

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია:  
ზ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ისტორიის ინსტიტუტი

## ტექსტოლოგიის საკითხები

### II



გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი  
1971

„ტექსტოლოგიის საკითხების“ მეორე წიგნში შედის ნარკვევები ტექსტოლოგიური მუშაობის შესახებ XIX საუკუნის საქართველოში და გამოცემათა სახეებზე, ლიტერატურული პორტრეტები მე-19 და მე-20 საუკუნეების ქართველ ტექსტოლოგებსა და რედაქტორ-გამომცემლებზე, დახასიათებულია მათი ღვაწლი ქართული ტექსტოლოგიის ისტორიაში.

რედაქტორი სოლ. ყუბანეიშვილი

## გამოცემათა სახეები

თხზულებათა სრული კრებულის არააკადემიური გამოცემა:

აკადემიური გამოცემის ამ სახეს „მეცნიერულ გამოცემასაც“ უწოდებენ. აღნიშნული სახისათვის მისაღებ ტერმინად უფრო „თხზულებათა სრული კრებულის არააკადემიური გამოცემა“ მიგვაჩნია, რადგან აქ მინიშნებულია გარკვეული სახის სპეციფიკური ნიშანი, რომლითაც იგი სხვა გამოცემისაგან განსხვავდება. თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის მთავარი განმსაზღვრელი ნიშანია ის, რომ მასში სრულად არის წარმოდგენილი ყველაფერი, რაც კი დაკავშირებულია მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიასთან. იგივე არ ითქმის თხზულებათა სრული კრებულის არააკადემიურ გამოცემაზე. უკანასკნელისათვის, პირველისაგან განსხვავებით, სპეციფიკური ნიშანია ის, რომ მასში აკადემიური სისრულით არაა წარმოდგენილი ყველა „თხზულება“, რომელიც მწერლის კალამს ეკუთვნის; შერჩევით არის გამოქვეყნებული თხზულებათა რედაქციები. ვარიანტები და სხვ.

აკადემიური და მოცემული სახის გამოცემათა განსხვავებისათვის აღნიშნული გარკვეულობა არ ახასიათებს ტერმინს „მეცნიერულ გამოცემას“. მეცნიერულია თხზულებათა სრული კრებული როგორც აკადემიური, ისე არააკადემიური გამოცემა; ორივე კრიტიკულად დადგენილ ტექსტსა და სათანადო სამეცნიერო აპარატს შეიცავს; ასეთი საერთო ნიშნები კი ტიპებისა და სახეების ერთმანეთისაგან გამოსაყოფად ვერ გამოდგება. ამიტომ არის, რომ „მეცნიერული გამოცემის“

---

1 „თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა“ განხილულია „ტექსტოლოგიის საკითხების“ პირველ წიგნში (იხ. „ტექსტოლოგიის საკითხები“. I. 1970. გვ. 22).

განსაზღვრებაში მკვლევრებს იგივე „თხზულებათა სრული კრებულის არააკადემიური გამოცემის“ შინაარსი აქვთ მოაზრებული: „Одной из характерных черт научного издания является его только относительная полнота. Поэтому варианты для таких изданий отбираются по принципу их значительности ... даются только наиболее важные для понимания творчества писателя другие редакции. Научно-справочный аппарат научных изданий мало чем отличается от аппарата академических изданий“, წერს ვ. პროხოროვი<sup>2</sup>. აღნიშნული ნიშნები გამოცემის „არააკადემიურ“ მოცულობაზე მიგვითითებს. ტერმინი, „თხზულებათა სრული კრებულის არააკადემიური გამოცემა“, რომელსაც იყენებენ დ. ბლაგოი და ბ. ბუხშტაბი<sup>3</sup>. უფრო გარკვეულად გვიჩვენებს ამ გამოცემის თავისებურებას.

თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური და არააკადემიური გამოცემის სახეთა განსაზღვრის დროს შეინიშნება ერთი გარემოება: სარედაქციო კოლეგიები გამოცემებისათვის თანდართულ სტატიებში ირწმუნებიან, რომ განახორციელეს აკადემიური გამოცემა, ხოლო სამეცნიერო ლიტერატურაში კი თეორიული თვალსაზრისით მათ მიაკუთვნებენ ან ერთს ან მეორე სახეს. მაგ., პუშკინისა და გოგოლის თხზულებათა გამოცემები აკადემიურია, რადგან ისინი აკმაყოფილებენ ამ სახისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, ხოლო გ. უსპენსკის თოთხმეტ-ტომეული თუ ლ. ტოლსტოის 90-ტომეული და სხვ. მხოლოდ არააკადემიური ან, როგორც უწოდებენ, მეცნიერული სახისაა, რადგან მათში ზოგი რამ დაბეჭდილი არ არის. აღსანიშნავია, რომ ასეთი პრინციპით მეცნიერული სახის გამოცემებს მიეკუთვნება ისეთი გამოცემები, რომელთა სარედაქციო სტატიებში ერთი სიტყვიც არ იხსენიება ამ სახის გამოცემა და მისთვის საჭირო ტექსტოლოგიური პრინციპები, რომლითაც ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია და გამომცემლები. ასეთი გამოცემების ამა თუ იმ სახისათვის მიკუთვნება ჩვენი აზრით, შექანიკურია. მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგი ნაწარმოები, ვარაუდით, რედაქცია და სხვ. გამოტოვებულია, აკადემიური სახის გამოცემა არააკადემიური სახის გამოცემად ვერ გადაიქცევა. ამიტომ სწორად მიგვაჩნია, როცა ბ. ბუხშტაბი, დ. ბლაგოისა და ე. პროხოროვისაგან განსხვავებით, პუშკინისა და გოგოლის თხზულებათა სრულ-

<sup>2</sup> Е. И. Прохоров, Текстология, 1966, стр. 184.

<sup>3</sup> Д. Благой, Типы изданий, в книге „Вопросы текстологии“, 1959, стр. 21. იხ. აგრეთვე: Я. Бухштаб, Типы Литературно-художественной книги, в книге „Библиография художественной литературы и Литературоведении“, 1960, стр. 25.

ლი კრებულების გარდა აკადემიურ გამოცემებს მიაკუთვნებს ლერ-  
მონტოვის, ლ. ტოლსტოისა და გ. უსპენსკის თხზულებათა სრული კრე-  
ბულის სათანადო გამოცემებსაც; მათ შორის არის განსხვავება, მაგ-  
რამ არა სახეობრივი, არამედ ხარისხობრივი; ე. ი. ისინი ზოგი უფრო  
მეტად აკმაყოფილებს აკადემიური სახის გამოცემის ძირითად ნიშ-  
ნებს, ზოგი ნაკლებად. უკანასკნელები აკადემიური გამოცემებია, მაგ-  
რამ აკლია სრულყოფა, ე. ი. გამოტოვებულია ზოგი თხზულება.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, არააკადემიური სახის გამოცემა  
დიდად არ განსხვავდება აკადემიური სახის გამოცემისაგან. არააკადე-  
მიურში ძირითად განმსაზღვრელ ნიშნად კვლავ სისრულე რჩება, მაგ-  
რამ რამდენადმე სახეცვლილებას განიცდის იგი. აქ მთლიანად არის  
დაბეჭდილი მწერლის თხზულებანი, ხოლო ვარიანტები და სხვა რედაქ-  
ციები კი მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის თავისებურების  
ჩვენებისათვის მათი მნიშვნელობის მიხედვითაა შერჩეული. გამოცე-  
მის ტირაჟი ბევრ რამეს აპირობებს. რადგან რუსეთში 300000-იანი და  
საქართველოში კი 30000-მდე ტირაჟით გამოცემული თხზულებათა  
სრული კრებულები მასიური მკითხველისათვისაც ხელმისაწვდომია,  
ამიტომ არააკადემიური სახის გამოცემაში დასაშვებია თვით ზოგიერთი  
თხზულების გამოტოვებაც; ჩვეულებრივ ამ შემთხვევაში მხედველო-  
ბაშია მიღებული, როგორც მწერლის, ისე მკითხველის ინტერესი. მხა-  
ტერულად ძალიან სუსტი ან საბოლოოდ დაუმუშავებელი ვარიანტე-  
ბისა და რედაქციების სახით დატოვებულ თხზულებათა გამოქვეყნება  
ვერაფერს შემატებს ავტორის სახელს მასიური მკითხველის თვალში.

თხზულებათა სრული კრებულის არააკადემიური გამოცემის სა-  
მეცნიერო აპარატი აკადემიური სახის გამოცემისაგან რამდენადმე  
განსხვავდება. აქ კვლავ ტირაჟი ასრულენს მნიშვნელოვან როლს; ამ  
გამოცემას სამეცნიერო აპარატი მკითხველის გაუვალისწინებით უნდა  
დაერთოს. არააკადემიური სახის გამოცემით სარგებლობენ როგორც  
მკვლევრები, ისე მასობრივი მკითხველები. ამიტომ გამოცემის პირ-  
ველი ტომი სარედაქციო სტატიითა და კრიტიკული ნარკვევით უნდა  
გაიხსნას.

სარედაქციო წერილში, მსგავსად აკადემიური სახის გამოცემისა,  
ჩამოყალიბებული იქნება სახელმძღვანელო ტექსტოლოგიური პრინ-  
ციპები და გამოცემის ამოცანა, ხოლო კრიტიკული სტატია ფართო  
მკითხველს მწერლის მემკვიდრეობას გააცნობს მისი შესწავლის უახ-  
ლესი მიღწევების გათვალისწინებით. ამავე პრინციპით დაიწერება  
გამოცემის კომენტარები და შენიშვნები. აქ გარდა ტექსტოლოგიური-

სა გარკვეული იქნება იდეოლოგიური, რეალურ-ისტორიული, ისტორიულ-ლიტერატურული და სხვა სახის საკითხები, რათა ფართო მკითხველმა შეძლოს მწერლის თხზულებათა ღრმად შესწავლა.

თხზულებათა სრული კრებულის არააკადემიური გამოცემა მწერლის შემკვიდრების გამოსაცემად მომზადების დასაწყისშივე უნდა იქნას განსაზღვრული. ამ სახის გამოცემის განხორციელებას ისეთივე ორგანიზაცია სჭირდება, როგორც აკადემიური სახის გამოცემას. ჩვენს მიერ აკადემიური გამოცემისათვის წარმოდგენილი ორგანიზაცია სწორედ მ. გორკის თხზულებათა არააკადემიური სახის ოცდაათტომეულის მომზადების დროს შემუშავდა. საქართველოში არააკადემიური სახის გამოცემა, როგორც სათანადო მიზანდასახულებითა და წინასწარ შედგენილი ინსტრუქციით განხორციელებული გამოცემა, არა გვაქვს. ჩვენი კლასიკოსების თხზულებათა სრული კრებულები, რომლებიც აკადემიური სახისაა, გარკვეული ნაკლის გამო, არააკადემიური სახის გამოცემად ვერ გადაიქცევიან. არააკადემიური სახის გამოცემად, სხვებთან შედარებით, ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის ათტომეულის 1951 წლის გამოცემა შეიძლება ჩაითვალოს. აქ გამომცემელი (პ. ინგოროყვა), როგორც ჩანს, ვარიანტებისა და რედაქციების მიმართ შერჩევის პრინციპით ხელმძღვანელობდა; მან სამეცნიერო აპარატში დაბეჭდა მხოლოდ ისეთი მასალა, რომელსაც, მისი აზრით, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მწერლის შემოქმედებითი მუშაობის გასაცნობად. „ჩვენ აქ მოგვყავს ვარიანტები — წერს იგი, — რომლებიც ან რაიმე განსხვავებას წარმოადგენენ თემატიურის ხაზით, ანდა სტილის მხრით უფრო არსებითად არიან გადამუშავებული“<sup>5</sup>. იმავე გამოცემაში სხვაგანაც ჩვეულებრივია ასეთი განცხადებები. უმთავრესი განსხვავების აღნიშვნის შემდეგ ი. ჭავჭავაძის „აჩრდილის“ მეორე ვარიანტის შესახებ გამომცემელი შენიშნავს: „გარდა ამისა არის განსხვავება ცალკე სტრიქონებში. ჩვენ აქ არ ვვხებით უბრალო სტილისტიკურ ვარიანტებს და აღვნიშნავეთ მხოლოდ იმ სტრიქონებს, რომლებიც რაიმე სხვაობას შეიცავენ აზრის მხრივ“<sup>6</sup> და სხვ.

სამეცნიერო აპარატისათვის მასალის აღნიშნული სახის შერჩევა დასაშვებია თხზულებათა სრული კრებულის არააკადემიურ გამოცემაში. მაგრამ პ. ინგოროყვას ზოგიერთი შენიშვნა გვიჩვენებს, რომ მან ი. ჭავჭავაძის ათტომეული გამოსაცემად მოამზადა როგორც წმინდა აკადემიური სახის გამოცემა, რომლისთვისაც, ჩანს, მისი აზრით, დასაშვებია შერჩევის პრინციპის გამოყენება. „რასაკვირველია, წმინდა

<sup>5</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, ტ. 1, 1951, გვ. 462.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 472.

აკადემიურ ხასიათის გამოცემაში, — წერს პ. ინგოროყვა, — რომელსაც წარმოადგენს წინამდებარე გამოცემა, არაა სავალდებულო, რომ მწერლის სხვადასხვა დროის ნაწერები თავით ბოლომდე დაუუმორჩილოთ ერთ წესს და ამასთან უმეტნაკლებოდ შეეუფარდოთ დღევანდელ ორთოგრაფიას<sup>7</sup>.

მართლაც, ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის ათტომეულში ზედმიწევნით არის დატული დედნის ორთოგრაფია, თვით იმდროინდელი ნაბეჭდების პუნქტუაციაც კი უცვლელად არის დატოვებული. მაგრამ დედნის ასეთი დაცვა, მართლაც, მხოლოდ წმინდა აკადემიური სახის გამოცემაშია დასაშვები და არა 20000 ტირაჟით გამოცემულ ტომებში, რომლითაც მწერლის მემკვიდრეობას ეცნობა ფართო მკითხველიც. უკანასკნელის ინტერესი მოითხოვს მასობრივი ტირაჟით გამოცემულ თხზულებათა სრული კრებულის არააკადემიურ გამოცემაში დატული იქნეს თანამედროვე ორთოგრაფია და პუნქტუაცია. ამრიგად, მიუხედავად ზოგიერთი ნიშნისა, მთლიანად ვერც ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის ათტომეული აკმაყოფილებს არააკადემიური გამოცემის მოთხოვნას.

თხზულებათა სრული კრებულის არააკადემიური გამოცემა წინა აუცილებელი საფეხურია აკადემიური სახის თხზულებათა სრული კრებულის სათანადო დონეზე განხორციელებისათვის. როგორც დ. ბლაგოი აღნიშნავს, პუშკინის თხზულებათა სრული კრებულის თექვსმეტტომეული ყველაზე მეტად იმიტომ აკმაყოფილებს აკადემიური სახის გამოცემისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, რომ მას წინ თხზულებათა სრული კრებულის მრავალი კრიტიკული გამოცემა უძლოდა; იმიტომ არააკადემიური სახის თხზულებათა სრული კრებულის სათანადო პრინციპზე დაყრდნობით გეგმაზომიერად მომზადებას დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. იგი მტკიცე საფუძველს მოამზადებს უფრო მაღალი სახის გამოცემისათვის.

#### ცალკეული თხზულების აკადემიური გამოცემა

აკადემიურად ნებისმიერი რაოდენობის ნაწარმოები შეიძლება გამოიცეს. ცალკეული თხზულების აკადემიური გამოცემის განმსაზღვრელი ნიშანია ის, რომ იგი მხოლოდ ერთ ნაწარმოებს შეიცავს.

1935 წ. ა. შანიძის რედაქციით გამოვიდა ე. ნინოშვილის მოთხრობა „პარტახი“, რომელსაც ვარიანტები, შენიშვნები და ლექსიკონი

დაურთო ქეთევან ლომთათიძემ. გამოცემას გარდა ამისა ახლავს ა. შანიძის წინასიტყვაობა, სადაც აღნიშნულია გამოცემის მიზანი და ხელნაწერის აღწერილობა. გამომცემლებს ახალი ქართული ლიტერატურიდან ამ ნაწარმოების ტექსტის კრიტიკულად დადგენა და აკადემიური სახით გამოცემა საჭიროდ მიაჩნიათ როგორც ენობრივი, ისე „საზოგადოდ ეგნ. ნინოშვილის ნაწერების ყოველმხრივ გათვალისწინებისათვისაც“. „ეგნ. ნინოშვილის ბელეტრისტულ ნაწარმოებთა შორის „პარტახი“ ერთ-ერთი თხზულებაა, — წერს ა. შანიძე, — რომლის ავტორგრაფებს ჩვენამდე სრულიად მოუღწევია. ხელნაწერს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტომ თხზულების პირვანდელი სახისა და ავტორის სტილისტურ-ორთოგრაფიულ თავისებურებათა დადგენისათვის, არამედ საზოგადოდ ეგ. ნინოშვილის ნაწერების ყოველმხრივ გათვალისწინებისათვისაც.

„მაგრამ არის კიდევ მეორე გარემოება, რომელიც გვაიძულებდა ყურადღება მიგვეპყრო „პარტახის“ ჯეროვანი გამოცემისათვის. ე. ნინოშვილის ნაწერებში მომქმედი პირები გურულ კილოზედ ლაპარაკობენ. ნიჭიერი მწერალი კარგად იცნობს გურულ კილოს, რომლის წიაღში იგი დაბადებულა და აღზრდილა და საზოგადოდ სისწორით ასახავს ამ კილოს ვითარებას 90-იან წლებში. რადგანაც ყოველი კილო და მათ შორის გურულიც მუდამ ცვალებადობას განიცდის და დღევანდელი მისი სახე უკვე ის აღარ არის, რაც უნდა ყოფილიყო ორმოციოდე წლის წინათ, ამიტომ ეგნ. ნინოშვილის ნაწერებს საზოგადოდ და განსაკუთრებით მის „პარტახს“ უალრესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული დიალექტური თვალსაზრისით“. გამოცემის რედაქტორი ხელნაწერის ზედმიწევნით აღწერის შემდეგ შენიშნავს: „მოთხრობა ჩვენ ისე დაგვბეჭდეთ, როგორც ავტორს შეუსწორებია, სხვათა შესწორებანი და შენიშვნები მხედველობაში არ არის მიღებული. ავტორის მიერ პირვანდელი სახით მოცემული ვარიანტები შენიშვნებშია მოქცეული“<sup>8</sup>.

როგორც ვხედავთ, ე. ნინოშვილის „პარტახი“ გამოცემულია ენათმეცნიერული მიზანდასახულობით, მაგრამ სავსებით კრიტიკულად. გამომცემლებმა დაბეჭდეს ისეთი ტექსტი, რომელიც გამოხატავს ავტორის ნებას, რაც უფრო აშკარად ჩანს გამომცემლის შენიშვნებიდან. „სხვის (ან სხვათა) მიერ შეტანილი შესწორებანი უყურადღებოდაა დატოვებული, — წერს ქ. ლომთათიძე, — მაგ. ავტორს ყველგან თავის სიტყვაში (ე. ი. იმ ადგილების გარდა, სადაც მოქმედ პირებს გურულ კილოზე ალაპარაკებს) უწერია „ეხლა“, მაგრამ ვილაც რედაქტორი მუდამ „ახლა“-დ უსწორებს; ეგნატეს სალიტერატურო

<sup>8</sup> ე. ნინოშვილი, პარტახი, (წინასიტყვაობა) 1935, გვ. III — IV.



ენას ახასიათებს „ნენ“ დაბოლოების ხმარება ზმნის მრავლობითს ფორმაში (იქნებოდნენ, აწყყინებდნენ, გაიბუტებოდნენ და მისთ). ვილაც ყოველთვის წინა ნარს უშლის და „ენ“-ად უკეთებს (იქნებოდნენ, აწყყინებდნენ, გაიბუტებოდნენ“ და მისთ). — და სხვ.

გამომცემელი, ჩამოთვლის რა რედაქტორების მსგავს ჩართვებს, შენიშნავს: „ამ გამოცემაში საზოგადოდ აღდგენილია და დაცული ეგნ. ნინოშვილის ორთოგრაფია“, „პარტახის“ ამ გამოცემას ერთის ნაწარმოებზე ავტორის შემოქმედებით მუშაობის ამსახველი „ვარიანტები“, რომლებიც სრულია და ზედმიწევნით ასახავს ავტოგრაფს. ლექსიკონი განმარტავს მწერლის თავისებურ თქმებსა და გმირთა ენისათვის დამახასიათებელ კუთხურ გამოთქმებს რაც, ა. შანიძის სამართლიანი შენიშვნით „მოთხრობის ადგილების სისწორით გაგებას ძალიან აადვილებს“.

ამრიგად, ა. შანიძის რედაქციით ქ. ლომთათიძის მიერ გამოსაცემად მომზადებული „პარტახის“ სახით ცალკე თხზულების აკადემიურად გამოცემის ფაქტთანა გვაქვს საქმე. აკადემიური ტიპის ამ სახის გამოცემა ერთი ნაწარმოების ფარგლებში ისეთივე შედგენილობით ხასიათდება, როგორც თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა: აქვს წინასიტყვაობა და „შენიშვნები“, უკანასკნელში წარმოდგენილია აგრეთვე ვარიანტებიც. „პარტახის“ აკადემიურ გამოცემაში დასახული გზები გამოსადეგია თხზულებათა სხვა სახის აკადემიური გამოცემისათვისაც. ამიტომ კლასიკოსების უმთავრესი ნაწარმოებების აკადემიურად ცალკე გამოცემა სასარგებლო და ტექსტოლოგიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. მეტიც, იდეალური იქნებოდა, მწერლის მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა იწყებოდეს არა ამ ტიპის უმაღლესი სახით, — თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემით, არამედ ჯერ აკადემიურად გამოიცეს ცალკეული უმთავრესი ნაწარმოებები, შემდეგ ისინი საუფუძვლად დაედოს უმაღლესი სახის გამოცემას „Не начинать надо с полного собрания сочинений Пушкина, а кончать им“ სამართლიანად წერდა თავის დროზე ბ. ტომაშევსკი<sup>9</sup>.

აკადემიური გამოცემის აღნიშნულ სახეს დამოუკიდებელი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. იგი, გარდა იმისა, რომ გვიჩვენებს ნაწარმოების შექმნის პროცესს, უმაღლესი სახის აკადემიური გამოცემისათვის საკირო ბევრი ტექსტოლოგიური საკითხების გადაწყვეტის საშუალებაც იქნება. ამ გამოცემით წინასწარ შემოწმდე-

<sup>9</sup> იქვე, გვ. 75.

<sup>10</sup> ციტატა ამოღებულია ე. პროხოროვის წიგნიდან, იხ. Э. Прохоров, Текстология, 1966, стр. 186.

ბა, თუ როგორი სახე და დონე უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ კლასიკოსის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიურ გამოცემას.

### მეცნიერული გამოცემა

„მეცნიერულ გამოცემას“ ტექსტოლოგიურ ლიტერატურაში ძალიან ფართო მნიშვნელობითაც იყენებენ. ჩვეულებრივ ყველა კრიტიკულ გამოცემას მეცნიერულ გამოცემებსაც უწოდებენ. ე. პროხოროვი ამ ტერმინით აღნიშნავს კრიტიკული გამოცემების მეორე ტიპს, რომელსაც მიაკუთვნებს თხზულებათა სრული კრებულის არაკადემიური სახის გამოცემებს. „მეცნიერული გამოცემის“ აღნიშნული შინაარსით გამოყენება მოკლებულია კლასიფიკაციისათვის საჭირო გარკვეულობას. თუ კრიტიკული გამოცემები მეცნიერულია ე. ი. შეიცავენ კრიტიკულად დადგენილ ტექსტებს, მაშინ მასობრივი ტიპის გამოცემები არამეცნიერული უნდა იყოს, რადგან ტიპები თავისი ძირითადი განმსაზღვრელი ნიშნით თუ ნიშნებით ერთმანეთს უნდა გამოირჩევიდნენ. სინამდვილეში კი ასე არ არის; ამჟამად ტექსტოლოგია მდებარეობს განვითარებაში, რომ დ. ლიხაჩოვის თქმით: „*Всякое издание текста должно быть критическим. Некритических изда ий не должно быть*“.<sup>11</sup> მაშასადამე, ნიშანი მეცნიერული თუ კრიტიკული, რომელიც ყველა გამოცემას ახასიათებს, კლასიფიკაციის საფუძვლად არ გამოდგება, რადგან მათი საშუალებით ტიპებსა და სახეებს ერთმანეთისაგან ვერ გამოვყოფთ.

მიუხედავად აღნიშნულისა, „მეცნიერული გამოცემა“ შედგენილობის სპეციალური ნიშნის შინაარსით კრიტიკული გამოცემების გარკვეულ სახეს მაინც დაუკავშირდა. გამოცემის ეს სახე ძველი ლიტერატურის მხატვრული ძეგლების შესწავლა-გამოცემის შედეგად ჩამოყალიბდა. მისი დამახასიათებელი ნიშანია კრიტიკული ტექსტის გამოკვლევებთან ერთად გამოცემა. მართალია, ძველი და ახალი ლიტერატურის თხზულებებს თავისებური ისტორიები აქვთ, მაგრამ კვლევადობის შედეგი ერთნაირია, ამ საკითხზე დ. ლიხაჩოვი სამართლიანად წერს: „*Издания отдельных произведений... не отличаются от изданий произведений древних*“.<sup>12</sup> დ. ლიხაჩოვი როცა გამოყოფს ჰველი ტექსტების გამოცემის ტიპებს, მხედველობაში აქვს ერთი ნაწარმოები და ასახელებს მეცნიერულსა და პოპულარულ გამოცემას. პირველს, როცა იგი კრიტიკულია. აუცილებლად თანდართული უნდა ჰქონ-

<sup>11</sup> Д. С. Лихачов, Текстология, 1964, стр. 72

<sup>12</sup> იქვე, გვ. 72.

დეს გამოკვლევა. იგივე ითქმის ახალი ლიტერატურიდან ცალკე ნაწარმოების მეცნიერულ გამოცემაზე: მას თან უნდა ახლდეს შემოქმედებით თუ გამოცემის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები. ახალი ლიტერატურისათვის „მეცნიერული გამოცემას“ აღნიშნული შინაარსითაც იყენებს დ. ბლაგოი „Крайне желательны и даже насущно необходимы, — წერს იგი, — подлинно научные издания отдельных наиболее выдающихся произведений классической литературы. Так, у нас есть очень большое число разного типа изданий пушкинского «Евгения Онегина», но нет ни одного издания, которое содержало бы и полный съезд вариантов, и исследовательскую статью и исследовательский, филологический — в широком смысле этого слова — комментарий»<sup>13</sup>. მკვლევრის აზრით, საჭიროა ასეთი მეცნიერული გამოცემები გვექონდეს რუსული ლიტერატურის სხვა კლასიკური ნაწარმოებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, შენიშნავს იგი, „ლიტერატურულ ძეგლთა“ სერია, რომელსაც სცემს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია, იფარგლება მხოლოდ ძველი ლიტერატურის ძეგლებით და მხედველობის გარეშეა დარჩენილი ახალი ლიტერატურისათვის ასეთივე გამოცემების საჭიროება. რუსეთში ჯერჯერობით ასეთი სახის ერთადერთ გამოცემად რჩება ტომაშევსკის მიერ 1922 წ. დაბეჭდილი პუშკინის „Гавриилнада“, რომლის კანონიკურ ტექსტს ახლავს ყოველმხრივი გამოკვლევები.

საქართველოში ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. პ. კელიძემ მოამზადა აკაკი წერეთლის ისტორიული პოემების „თორნიკე ერისთავისა“ და „ნათელას“ მეცნიერული გამოცემა. წიგნი შეიცავს, როგორც ტექსტოლოგიურ გამოკვლევებს, ისე დასახელებული პოემების კანონიკურ ტექსტებს. მკვლევარმა ამ ნაწარმოებების მაგალითზე შეისწავლა მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორია და ყველა წყაროს შეჯერებით წარმოგვიდგინა ტექსტის მთლიანი ისტორია. აქ „აღწერილია, — წერს ალ. ლონტი, — ყველა შეცდომა-დამახინჯება, აღდგენილია გამოტოვებული ადგილები და წარმოდგენილია ავტორის მიერ დადგენილი დეფინიციური ტექსტა“<sup>14</sup>. აღნიშნული მეცნიერული გამოცემის შედეგად მიღებული დასკვნები, ცხადია, ამ სახის კრიტიკული გამოცემების აუცილებლობასა და კულტურულ ღირებულებაზეც მიგვიითითებს.

<sup>13</sup> დ. ბლაგოი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 21.

<sup>14</sup> ალ. ლონტი, ახალი ტექსტოლოგიური გამოკვლევა, ჟურნ. „მნათობნი“ № 3, გვ. 187, 1961.

გამოცემის ამ სახის დანიშნულება მეცნიერულია და გარკვეულად განსხვავდება ყველა სახის გამოცემებისაგან. მისი სპეციფიკური ნიშანია ორიგინალის ზუსტი გადმოცემა. დოკუმენტურად შეიძლება გამოიყენოს ნაწარმოების, როგორც ხელნაწერი, ისე ნაბეჭდი წყარო; ორივე შემთხვევაში გამოცემას გარკვეული დანიშნულება აქვს: მისი მიზანია, უნიკალური ხელნაწერებისა და ნაბეჭდების ერთის მხრივ დაცვა, განადგურებისაგან გადარჩენა, ხოლო მეორეს მხრივ კი გაფართოებული კვლევა-ძიებისათვის ხელის შეწყობა — იშვიათი ძეგლები ხელმისაწვდომი გახდეს ყველა მკვლევრისათვის. ამ თვალსაზრისით ხელმძღვანელობდნენ ჩვენი მეცნიერები, როცა დოკუმენტურად გამოსცეს ხანმეტი ლექციონარი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა, ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ავტოგრაფები და სხვ.

დოკუმენტური გამოცემა შეიძლება განხორციელდეს ფოტომექანიკური და სტამბური წესებით. ფოტომექანიკურად გამოცემულ ტექსტს ფოტოტიპიური ან ავტოგრაფული გამოცემა ეწოდება, ხოლო ბეჭდური (სტამბური) საშუალებით გამოცემულს კი დიპლომატიურს უწოდებენ. ფოტომექანიკურად ხანმეტი ლექციონარის ხელნაწერის გამოცემას ა. შანიძემ „ფოტოტიპიური“ უწოდა<sup>15</sup>, ხოლო ახალი ქართული ლიტერატურიდან ასეთივე საშუალებით ხელნაწერების გამოცემას აწერია „ნ. ბარათაშვილი, ავტოგრაფები“<sup>16</sup>. ამრიგად, ხელნაწერების მიხედვით ქართულ გამოცემებს „ფოტოტიპიური“ ან „ავტოგრაფული“ ეწოდა. ამ ორი ტერმინიდან, კფიქრობთ, უმჯობესია მივიღოთ „ფოტოტიპიური“, რადგან იგი უფრო ზოგადი შინაარსისაა და გამოდგება ამ სახის ყოველგვარი გამოცემის აღსანიშნავად.

„ხანმეტი ლექციონარის“ ფოტოტიპიურ გამოცემას ა. შანიძემ წაუშმღვარა ვრცელი წინასიტყვაობა, სადაც მოცემულია ზედმიწევნითი ცნობები ხელნაწერის ისტორიაზე და დედნის ზუსტი აღწერა: აქვე გარკვეულია ძეგლთან დაკავშირებული ბევრი სხვა საკითხი. წინასიტყვაობის შემდეგ გამოცემას ერთვის ხანმეტი ლექციონარის სიმფონია და ტექსტის მხედრული ტრანსლიტერაცია, ბოლოს კი ძირითადი ნაწილი — ხანმეტი ლექციონარის 54 გვერდის ფოტოტიპიგებია. ამ-

<sup>15</sup> ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპიური გამოცემა. გამოცემა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, თბილისი, 1944.

<sup>16</sup> ნ. ბარათაშვილი, ავტოგრაფები, თბილისი, 1968.

რიგად, აღნიშნული გამოცემა გვიჩვენებს, რომ ფოტოტიპიურ გამოცემაში ტექსტის ფოტოტიპებს შეიძლება დაერთოს გამოკვლევებიც შესაძლებელია ყველა ტექსტს არ დასჭირდეს მასთან დაკავშირებულ რთული მეცნიერული საკითხების გარკვევა, მაგრამ ამ სახის გამოცემას ყოველთვის უნდა ახლდეს დედნის დაწვრილებით აღწერა: ამ გარემოებას აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება. რადგან ფოტოტიპიური გამოცემა, მრავალი დადებითი ნიშნის მიუხედავად, მკვლევარს ვერ აწვდის ბევრ აუცილებელ ცნობას. „ხანმეტი ლექციონარის“ ფოტოტიპიური გამოცემით ჩვენს თვალწინაა გრაციის უნივერსიტეტში დაცული ტექსტი, მაგრამ მაინც გაუგებარი გვჩნება: როგორ ქალაღღზე იგი დაწერილი, რანაირ მელანს იყენებდა გადამწერი და რა სახისაა გარეგნულად ხელნაწერი. მაგ. გ. ჩუბინაშვილი, რომელმაც ა. შანიძის თხოვნით გრაციის უნივერსიტეტში ზედმიწევნით აღწერა „ხანმეტი ლექციონარის“ ხელნაწერი, წერს: „14,7—9 წითური სტრიქონებია; ...22,2 და 23,2 ნაწერი დაზიანებულია წყლისაგან, 25,2 და 26,1 ეტრატის ნაპირი მოკრეცილია“<sup>17</sup> და სხვ. ამდაგვარი ცნობების გარეშე ფოტოტიპიური გამოცემით ვერ გავეცნობით ხელნაწერის გარეგნულ სახეს და აკი მართლაც, ხანმეტი ლექციონარის ფოტოტიპიურ გამოცემაში წითური სტრიქონები არ ჩანს. მაშასადამე, ფოტოტიპიური გამოცემისათვის ხელნაწერის ზედმიწევნით აღწერის თანდართვა აუცილებელია.

3. ინგოროყვამ ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფების ფოტოტიპიურ გამოცემას წაუძღვარა პოეტას თხზულებათა ხელნაწერი წყაროების დახასიათება — „ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფები“, ხოლო ბოლოს კი დაურთო „შენიშვნები“. პირველში მოცემულია მოკლე ცნობები ჩვენამდის მოღწეული ყველა ავტოგრაფის შესახებ, ხოლო უკანასკნელი კი ეხება მხოლოდ გამოცემულ ხელნაწერს. მკვლევარს მითითებული აქვს, რომ „ეს კრებული (რომელიც პ. ინგოროყვამ ფოტოტიპიურად გამოსცა — ლ. კ.) ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანდელია ნ. ბარათაშვილის ჩვენს დრომდე მოღწეულ ავტოგრაფულ კრებულთა შორის და ამავე დროს ყველაზე სრულია შედგენილობის მხრით. აქ შედის პოემა „ბედი ქართლისა“ (მისი ბოლო რედაქცია) და 27 ლექსი“<sup>18</sup>. რადგან გამოცემაში გარდა აღნიშნული კრებულისა პოეტის სხვა ლექსების ფოტოტიპებიც შედის, რომელთა ავტოგრაფებმა ჩვენამდის ვერ მოაღწია და ამიტომ მათ მხოლოდ პირველნაბეჭდების მიხედვით ვიცნობთ, „შენიშვნებში“ მითითებულია მათი დედნებიც.

17 ხანმეტი ლექციონარი. 1944, გვ. 013.

18 ნ. ბარათაშვილი, ავტოგრაფები, 1968, გვ. 143.

ყოველივე ეს აუცილებელი ცნობებია ფოტოტიპიური გამოცემისათვის, მაგრამ ამ სახის გამოცემის სპეციფიკა და მიზანდასახულება მოითხოვს აგრეთვე უეჭველად აღინიშნოს ავტოგრაფის ის მხარეები, რომელსაც მკვლევარი ფოტოტიპების მიხედვით ვერ გაეცნობა; ასეთ ცნობებს, როგორც ხანმეტი ლექციონარის მაგალოთზე უკვე დავინახეთ. შეიცავს ხელნაწერის ზედმიწევნითი აღწერა. მელნის, ფანქრის და სხვ. აღნიშვნა მნიშვნელოვანია ახალი ლიტერატურისათვისაც, რადგან იგი ხშირად გამოსატყვის მწერლის მიერ ვარიანტების შექმნის თანმიმდევრობას.

დოკუმენტური გამოცემა შეიძლება მივიღოთ ნაბეჭდის საშუალებითაც. მართალია, ნაბეჭდით ხელნაწერი თვალსაჩინო არ იქნება, მაგრამ სამაგიეროდ ტექსტის ზუსტი ამოკითხვა გვექნება ხელთ.

ა. შანიძემ ხანმეტი ლექციონარის ფოტოტიპიურ გამოცემაში ასომთავრულით დაწერილი ტექსტის მხედრული ტრანსლიტერაციაც მოგვცა, ხელნაწერების ბეჭდურად გამოცემას—დიპლომატიურს უწოდებენ. ცხადია ხელნაწერის ბეჭდურად გამოცემა ტექსტის ზუსტად წაკითხვას მოითხოვს, რაც შეუძლებელია ძეგლის ორმად შესწავლის გარეშე; ტექსტის დიპლომატიურად გამოცემისათვის საჭიროა მკვლევარმა ზედმიწევნით იცოდეს ეპოქისა თუ მწერლის ენა, მას უნდა ჰქონდეს ხელნაწერების წაკითხვის დიდი გამოცდილება და ინტუიციის უნარი ხელწერის თავისებურებათა გათვალისწინებით ტექსტის სწორად წაკითხვისათვის; ამავე თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ძველი ლიტერატურის ძეგლებში, ქარაგმების გახსნისა და იმდროინდელი ბუნქტუაციის ცოდნას. აღნიშნული ფორმით ტექსტის გამოცემისათვის საჭიროა არა მარტო დასახელებული სამუშაოს ჩატარება, არამედ ბეჭდურად ხელნაწერის ისე გადმოცემა, რომ შენარჩუნებული იქნას დედნის თავისებურებანი. „ფრჩხილებში ჩასმულია ამოფხეკილი ხანები და თვალთ უჩინარი ასოები, ხოლო დიდ კავებში — ეტრატის მოხეულ ნაწილებს გაყოლილი ასოები, მეორეში კი — ისეთი ასოები და სიტყვები, რომლებიც ნაწილობრივ ჩანან. ამას გარდა ქარაგმები გახსნილია და აშკარა შეცდომები ვასწორებულია, მაგრამ სქოლიოებში ყოველთვის ნაჩვენებია ხელნაწერის ვითარება“<sup>19</sup>, წერს ა. შანიძე „ხანმეტი ლექციონარის“ მხედრული ტრანსლიტერაციით გამოცემის შესახებ. „ტექსტი იბეჭდება ფოტოტიპების სახით ისე, — წერს ძველი აღთქმის წიგნების გამოცემის წინასიტყვაობაში ა. შანიძე, — როგორც ხელნაწერშია წარმოდგენილი.

<sup>19</sup> ხანმეტი ლექციონარი, გვ. 825.

ოლონდ: ქარაგმები გახსნილია, შეუძლებელი ფორმები გასწორებულ-  
ლია და ხელნაწერის წაკითხვა შენიშვნებშია ჩამოტანილი A ლიტერით.  
გამოტოვებული ადვილები სამწერტილით არის აღნიშნული (...), ჩემ  
ძიერ ჩამატებული სიტყვები და ასოები — კავებით. ნაირ-ნაირი, მაგ-  
რამ შესაძლებელი ფორმები ხელუხლებელია.... დიდი სიჭრელა და  
ზოგჯერ დიდი შეცდომებიც საკუთარ სახელებში, მაგრამ მათი გასწო-  
რება, საზოგადოდ, ჩემ მიზანს არ შეადგენდა... მსგავსი მოვლენა ბევ-  
რია ხელნაწერში, მაგრამ ისინი საერთოდ ხელუხლებელია“<sup>20</sup>.

ამრიგად, ხელნაწერის დიპლომატიური გამოცემა ძეგლის ღრმად  
შესწავლის შედეგია. ყველაფერი უნდა ვაკეთდეს იმისათვის, რომ  
ჰკითხველს მიეაწოდოთ არა მარტო ტექსტის სწორად წაკითხვა, არა-  
მედ სხვადასხვა საშუალებით თვით მისი სახეც წარუდგინოთ ყოველ-  
გვარი სტილიზაციის გარეშე: ტექსტის აშკარა შეცდომებიც კი არ უნ-  
და დაიკარგოს, რათა სხვა მკვლევარს საშუალება ჰქონდეს, თვითონ  
დაადგინოს ამა თუ იმ წაკითხვის ბისწორე.

დიპლომატიური ეწოდება ნაბეჭდის დოკუმენტურ გამოცემასაც.  
ამ შემთხვევაში დაცული უნდა იქნას შრიფტის ზედმიწევნითი მსგავ-  
სება და დედნის ტექსტის ზუსტი გამეორება ისე, როგორც უკვე  
გვქონდა აღნიშნული ხელნაწერების დიპლომატიურად გამოცემასთან  
დაკავშირებით; ნაბეჭდის ასეთი გამოცემა აკ. შანიძის მიერ აღდგე-  
ნილი შ. რუსთაველის ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა  
1712 წლისა. ა. შანიძემ გამოცემას წაუძღვარა წინასიტყვაობა და  
ბოლოს დაურთო გამოკვლევები სხვადასხვა საკითხებზე, როგორცაა,  
1712 წლის გამოცემის შეცდომათა გასწორება, ვახტანგი როგორც  
ლექსიკოგრაფი, ვახტანგის დედანი ვეფხისტყაოსნისა და ვეფხისტყა-  
ოსნის პირველი გამოცემის მოღწეული ცალები. მეცნიერს დასასრულ  
მოცემული აქვს ცნობები ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის მეორე გა-  
მოცემის გაფორმებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

ა. შანიძემ არა მარტო მეცნიერული, არამედ დიდი პრაქტიკული  
მუშაობაც გასწია, რომ ნაბეჭდის ქართული დიპლომატიური გამოცემა  
განებორციელებინა. იგი თვითონ ჩაუდგა სათავეში საჭირო შრიფტის  
შექმნას, რომლის საშუალებითაც მიალწია ახალი გამოცემის დედან-  
თან აღდევატურობას. „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი  
14. IV 1935 წ. მიმართულს მოხსენებით ბარათში, სხვათა შორის,  
ეწერდი, — აღნიშნავს ა. შანიძე, — ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის  
აღდგენა შესაძლებელია სხვადასხვა საშუალებით, მაგრამ ყველაზე  
უფრო მიზანშეწონილია მისი განმეორება იმავე შრიფტით, რომელიც

20 ა. შანიძე, ძველი აღქმის წიგნები, წინასიტყვაობა, 1947, გვ. VIII.

1712 წლის გამოცემაშია ნახმარი. ეს ასოები ამჟამად რომ სადმე მოიპოვებოდეს, აღდგენის საკითხი მარტივად გადაწყდებოდა, მაგრამ არა უშავს რა, რადგანაც მათი აღდგენა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს: უნივერსიტეტის გამომცემლობას მოეპოვება ასოთა პუნსონებისა და ყალობების გასაკეთებელი (საგრაურო) მანქანა, რომლის საშუალებითაც ყოველგვარი შრიფტის დამზადებაა შესაძლებელი და სხვათა შორის, ვახტანგურისაც. შრიფტისა და ორნამენტების აღდგენის წყალობით ადვილად მოხერხდება ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემის ისე გამეორება, რომ ძალიან ძნელი იყოს ძველი და ახალი გამოცემის ერთმანეთისაგან გარჩევა, თანაც ქართული შრიფტის ღარიბ ნიმუშებს მოემატება ერთი საინტერესო სახე, რომელიც ისტორიულია და ამჟამადაც აღარსად მოიპოვება<sup>21</sup>. მართლაც, უნივერსიტეტმა ა. შანიძის თაოსნობით შეძლო ვახტანგური შრიფტის შექმნა და ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემის ისე გამეორება, რომ პირველ გამოცემას იგი მაქსიმალურად უახლოვდება. ამაზე გამომცემელი საგანგებოდ შენიშნავს კიდევ: „თუ რამდენად ახლო და სისწორით გადმოგვეცემს ახლად ჩამოსხმული შრიფტი და ამის ნიშნები პირველ გამოცემაში ნახმარის ხასიათს, — წერს იგი, — ზემოთ, გვ. 405 მოყვანილია 1712 წლის გამოცემიდან სურათი (კლიშე) თავფურცლისა, რომელიც შეიძლება შევადაროთ ამ გამოცემაში დაბეჭდილს“<sup>22</sup>. აღნიშნული ნიმუშების შედარება დედნისა და ასლის უეჭველ მსგავსებას გვაძლევს.

გარდა ანალოგიური შრიფტით დაბეჭდვისა ვეფხისტყაოსნის დოკუმენტური გამოცემის დანიშნულება დედნის ტექსტის ზედმიწევნით გამეორებაც იყო. „ამ გამოცემას კი სულ სხვა მიზანი აქვს (კრიტიკულ გამოცემასთან შედარებით—ლ. ქ.), — წერს ა. შანიძე, — აღდგენილ იქნეს გამოცემა 1712 წლის და ამით მკითხველს საშუალება მიეცეს. ნათელი წარმოდგენა იქონიოს პირველი გამოცემის შესახებ, რომელსაც ჩვენამდე იშვიათად მოუღწევია, სრული ცალი არსად იპოვება, დაზიანებულიც ძნელი ხელმისაწვდომია და, თუ იშოვნის სადმე კაცი, ძნელად გამოსაყენებელი, რადგანაც სავსეა კორექტურული შეცდომებით და, საზოგადოდ, ბეჭდვისას დაუდევრობით გამოწვეული ტექნიკური დეფექტებით.

მაინც ორიოდ შემთხვევაში ვძლიე ჩემ თავს, — განაგრძობს იგი. — და ისეთი შესწორებაც შევიტანე, რომელიც უფრო კრიტიკული გა-

21 შ. რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისაული გამოცემა 1712 წლისა. აღდგენილი ა. შანიძის მიერ. 1937, გვ. 403.

22 იქვე, გვ. 406.



მოცემის საქმეა<sup>23</sup>. ა. შანიძე იქვე ასახელებს მის მიერ ტექსტში შეტანილი მრავალ კორექტურულს და... მკარგ კრიტიკული ხასიათის შესწორებებს. მიუხედავად პატივცემული მეცნიერის მიერ მკითხველის საბას სიტყვებით გაფრთხილებისა, რომ „ერთისა და ორის კლებისათვის ნუ აძაგებთ, სრული ძნელია“<sup>24</sup>, მაინც აძაგებაზე ფიქრის გარეშე უნდა აღენიშნოთ, რომ ნაბეჭდის დიპლომატიურ გამოცემაში დაუშვებელია ყოველგვარი ჩარევა ტექსტში. გამოცემა დედნის ორეულს უნდა წარმოადგენდეს ყოველმხრივ როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული გვაქვს, უკანასკნელი პრინციპი სწორედ აქად. ა. შანიძემ დაიცვა ზედმიწევნით ძველი ქართული ლიტერატურის სხვა ძეგლების დიპლომატიურ გამოცემაში, სადაც ადგილი აღარა აქვს მსგავს ცდუნებებს.

ამრიგად, დოკუმენტური გამოცემის მიზანი ყველა საშუალებით განხორციელებულ ამ სახის გამოცემაში თავიდან ბოლომდის გატარებული უნდა იქნას; არავითარი ჩარევა დედნის ტექსტში, დაინტერესებულ პირს მისი ზუსტი ასლი უნდა მივაწოდოთ. ამიტომ ასეთი გამოცემის მომზადების ყველა სიძნელის მიუხედავად, თვით გამოცემის სამეცნიერო აპარატი ძალიან მარტივია: მითითებული უნდა იქნას მხოლოდ წყარო და მისი ზუსტი აღწერილობა. გამოკველევების თანდართვა მას უპარგავს გარკვეულ სახეს და აახლოებს გამოცემის მეცნიერულ სახესთან. დოკუმენტურ გამოცემას დიდი კულტურული ღირებულება აქვს. როგორც სამართლიანად შენიშნავს ა. შანიძე „ხანმეტი ლექციონარის შესახებ, „ფოტოტიპური გამოცემა... ყველას საშუალებას მისცემს უფრო ახლოს გაეცნოს... იშვიათსა და უშესანიშნავეს ძეგლს ქართული ენისა და ლიტერატურისა“<sup>25</sup>. გამოცემის ეს სახე მკვლევარებს საშუალებას მისცემს უფრო ღრმად შეისწავლონ როგორც ლიტერატურისა და ენის ცალკეული საკითხები, ისე კლასიკოსების შემოქმედებითი ლაბორატორიის საიდუმლოებანი.

## გასობრივი გამოცემები

კრიტიკული გამოცემები სპეციალისტთა ინტერესს აკმაყოფილებს, ფართო მკითხველს კი სჭირდება მის მოთხოვნილებასთან შეფარდებული მასობრივი ტიპის გამოცემები; აღნიშნულის გამო ამ

23 იქვე, გვ. 348.

24 იქვე, გვ. 343.

25 ხანმეტი ლექციონერი, გვ. 02.

ტიპის სახეებზე გარკვეული თეორიული შეხედულების შემუშავებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

მასობრივი ტიპის გამოცემები არსებითად ყველა რჩეულებია, ისინი შეიცავენ მწერლის უმთავრესსა და საუკეთესო ნაწარმოებებს, მაგრამ მოცულობის მხრივ ასეთი გამოცემების სახეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მასობრივი გამოცემები სხვადასხვა რაოდენობით შეიცავენ რჩეულ ნაწარმოებებს.

#### რჩეული ნაწარმოები (მისწავლათა მრავალტომიანი)

როგორც აღვნიშნეთ, რჩეული ნაწარმოები შეიძლება გამოაცხადოს ტომებად. მაგ. 1925 წელს ს. გორგაძისა და ს. აბაშელის რედაქციით გამოვიდა ა. წერეთლის „რჩეული ნაწარმოების“ ოთხტომეულის პირველი ტომი, რომელსაც წამძღვარებული აქვს სტატია „რედაქტორისაგან“, ხოლო ბოლოში დართულია შენიშვნები და ბიბლიოგრაფია. „აკაკის ბიოგრაფია და მისი ნაწარმოების კრიტიკული განხილვა დაიბეჭდება ერთ-ერთ შემდეგ ტომში“<sup>26</sup>. — აცხადებდა რედაქცია; მართლაც, მეოთხე ტომში დაიბეჭდა ვ. კოტეტიშვილის კრიტიკული ნარკვევი, „აკაკი წერეთელი“. პირველ ტომში შევადგა პროზა, მეორეში — პოემები, მესამეში — დრამები და მეოთხეში კი ლექსები. უკანასკნელი ტომის მასალა დალაგებული იყო თემატურად და შეიცავდა რვა განყოფილებას: „სიყვარული, მამულის სიყვარული, მშრომელი ხალხი, აკაკის პოეტიკა, შგოსნის ნაღველი და ამედეგი, სატირა, სამშობლო და სალამი, ყრმობის ლექსები“. „აკაკის ნაწარმოებთა რიცხვი 2000-მდე აღწევს, წერენ გამომცემლები, და თავისთავად იგულისხმება, რომ ამ უამრავი მასალიდან ჩვენს გამოცემაში ყველა ნაწარმოები ვერ შევიდოდა. პირველყოვლისა აქედან გამორიცხული იქნა ყველაფერი, რაც საკუთრივ კაზმულსიტყვაობის გარეშე დგას. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ აკაკის ავტობიოგრაფია „ჩემი თავგადასავალი“ და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი წერტილი: „ივანე მაჩაბლის გამო“ და „მე და ჩემი პენცია“... საკუთრივ მხატვრულ ანუ კაზმულ სიტყვიერების ნაწარმოებშიც სასტიკი შერჩევა იქნა მოხდენილი და ამგვარად გაცხრილული მასალა შემდეგ ჩამოყალიბდა ტომებად“<sup>27</sup>.

ს. გორგაძისა და ს. აბაშელის მიერ გამოცემულ ა. წერეთლის „რჩეული ნაწარმოების“ ოთხტომეულს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროისათვის. ამ გამოცემით ხალხმა ყველაზე ფართოდ გაიცნო დიდი პო-

26 ა. წერეთელი, რჩეული ნაწარმოები, 1925, ტ. 1, გვ. 3.

27 იქვე, გვ. 335.

ეტის შემოქმედება. კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა გამოცემას და აღნიშნა მისი ეპოქალური მნიშვნელობა. ა. წერეთლის რჩეული ნაწერების პირველი ტომი «ძვირფასი საჩუქარია ქართველი მკითხველისათვის. ჩვენ მას ვუყურებთ, — წერდა რეცენზენტი, — როგორც ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომ გამოცემას, იმ მასისათვის, რომელმაც ისწავლა წიგნის ფასი»<sup>28</sup>. მიუხედავად აღნიშნულისა, ამ გამოცემის სტრუქტურა თანამედროვე ტექსტოლოგიის თვალსაზრისით, კრიტიკას ვერ უძლებს:

„რჩეულ ნაწერების“ დასაწყისშივე უნდა დაიბეჭდოს კვალიფიციური შეკვლევარის კრიტიკული ნარკვევი, რომელიც ა. წერეთლის ოთხტომეულში ბოლო ტომს აქვს დართული; დღეს ასეთი რამ გაუმართლებელია. „რჩეულში კრიტიკული ნარკვევის დანიშნულებაა. მასობრივი მკითხველი პოპულარული თხრობით გაარკვიოს მწერლის შემოქმედებით თავისებურებაში, გააცნოს მას გამოცემაში შესული ნაწერების იდეურად და მხატვრული ღირსება, ამ აზრით, გამოცემის თავში დაბეჭდილი ნარკვევი, მითუმეტეს თუ გამოცემა მრავალტომეულია, უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს მკითხველს, ვიდრე ბოლო ტომშიდა მისი გაცნობა. მართალია, რჩეულისათვის შერჩევის პრინციპი აუცილებელია, მაგრამ იგი შესაბამისობაში უნდა იყოს გამოცემის დასახელებასთან. ოთხტომეულის გამოცემელებმა გამოცემას დააწერეს ა. წერეთლის „რჩეული ნაწერები“, ხოლო მასალა კი შეარჩიეს, როგორც ისინი აღნიშნავენ, მხოლოდ „საკუთრივ კაზმულსიტყვაობიდან“, ორიოდე პროზაული თხზულების გამონაკლისის გარდა. კლასიკოსის „რჩეულ ნაწერებში“ უნდა შევიდეს ყველა საუკეთესო და მნიშვნელოვანი ნაწარმოები მათი ჟანრის მიუხედავად; ამ პრინციპის დაცვა ყველა სახის რჩეულ გამოცემაში სავალდებულოა, რადგან „რჩეულის“ საშუალებით მკითხველი მისი მოთხოვნილების ფარგლებში უნდა გაეცნოს კლასიკოსის მთელი მემკვიდრეობის საუკეთესო ნაწილს და არა რომელიმე ჟანრის რჩეულ ნაწარმოებს. გაუმართლებელია აგრეთვე კლასიკოსის რჩეული ნაწერების თემატური პრინციპით დალაგება. რეალურად ამის აბსოლუტური განხორციელება შეუძლებელია, რადგან ერთი და იგივე ნაწარმოები, მრავალფეროვანი ნაარსის გამო, შეიძლება რამდენიმე თემატურ ჯგუფს მივაკუთვნოთ. ეს გარემოება იმ დროსვე აღინიშნა პრესაში. „აკაკის ლირიკა დალაგებულია ტომში რვა მთავარ ჯგუფად... დაჯგუფებათა რიცხვი კიდევ შეეძლოთ გაემრავლებიათ რედაქტორებს, — წერდა ვ. ხუროძე, —

<sup>28</sup> რაე (მ. რადიანი), აკაკი წერეთელი. „რჩეული ნაწერები“, ტ. I, „მნათობი“. 1926, № 1, გვ. 249.

კინაიდან მათ მიერ აღებული პრინციპი ამის ნებას უთუოდ აძლევდა მათ... მე კი მგონია, — განაგრძობდა იგი, — რომ რვა ჯგუფად დანაწილება შეცდომაა: აკაკის პოეზიის პათოსი ეროვნული გოდებაა, ამიტომ ლექსთა სამი დაჯგუფება — მამულის სიყვარული, მგონისის ნალველი, იმედები და სატირა — უკეთესი იქნებოდა, რომ გაერთიანებულიყო, ვინაიდან ყველა ამ ლექსებს ერთი იდეა უდევს საფუძვლად<sup>29</sup>.

რეცენზენტის შენიშვნა საგულისხმოა იმ მხრივ, რომ როგორც გამომცემელთა კრიტიკა, ისე მისი საკუთარი შეხედულება თემატური პრინციპის მერყეობას გვიჩვენებს. რჩეულში ნაწარმოებები შესაძლებლობის ფარგლებში განლაგებული უნდა იქნას ქრონოლოგიურად, რათა მკითხველმა კრიტიკული ნარკვევის დახმარებით შეისწავლოს მწერლის შემოქმედებითი გზა. მაგრამ ამ წესის დაცვა რჩეულში ძნელია და ამიტომ ჩვეულებრივ ვარდევთ მას.

ა. წერეთლის „რჩეული ნაწერების“ ოთხტომეულის გამომცემლები ტექსტოლოგიის თანამედროვე მოთხოვნილების მიხედვითაც სავსებით მართებული დებულებით ხელმძღვანელობდნენ გამოცემის დანიშნულებისა და შედგენილობის განსაზღვრის დროს. ისინი სამართლიანად შენიშნავდნენ, რომ რჩეული ნაწერების გამოცემას მასობრივი დანიშნულება აქვს და ამიტომ იგი დამძიმებული არ უნდა იყოს მასობრივი მკითხველისათვის გაუგებარი სამეცნიერო აპარატით. „წინამდებარე გამოცემა არც სრულია და არც ვიწრო აკადემიური. იგი აკაკის მხოლოდ „რჩეულ ნაწარმოებთა“ კრებულს წარმოადგენს, — წერენ გამომცემლები, — რომელიც უმთავრესად ფართო საზოგადოებისათვისაა დანიშნული და არა მხოლოდ მკვლევართა და ვიწრო სპეციალისტებისათვის. ამიტომ ამ გამოცემაში მკითხველი ვერ შეხვდება ეგრეთწოდებულ „კრიტიკულ აპარატს“, ტექსტის ყოველგვარ წვრილმან და უწვრილმანეს განსხვავებათა ჩვენებით და დღემდე ცნობილ გამოცემათა და ხელნაწერ დედანთა დაწვრილებითი აღწერილობით. რაც ისე დიდად საჭიროა აკადემიური გამოცემისათვის, მაგრამ ფრიად საგრძნობი და შეუფერებელი სიმძიმე იქნებოდა ისეთი გამოცემისათვის, როგორც წინამდებარე გამოცემა.

საზოგადოდ აკაკის ნაწარმოებთა ტექსტის შესახებ ამ გამოცემაში ჩვენ მხოლოდ აუცილებლად საჭირო ცნობებს შემოვიტანთ<sup>30</sup>. აცხადებენ გამომცემლები. მკითხველის გარკვეული კატეგორიისათვის

29 ვ. ხუროძე, აკაკი წერეთლი, რჩეული ნაწერები, ტ. IV, ს. გორგაძისა და ს. აბაშელის რედაქციით, ვ. კოტეტიშვილის კრიტიკული წერილით, „მნათობი“, 1928, № 7, გვ. 235.

30 ა. წერეთელი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, 1925, გვ. 335.

აუცილებელი ცნობების მიწოდება ახლაც სახელმძღვანელო პრინციპია „რჩეულების“ გამომცემლისათვის.

1931 წ. ს. ხუნდაძემ გამოსცა ნიკო ნიკოლაძის „რჩეული ნაწერების“ პირველი ტომი. „ამჟამად ჩვენი გამოცემა მიზნად ისახავს მიაწოდოს ქართველ საზოგადოებას ნიკო ნიკოლაძის რჩეული ნაწერები ექვს ტომად“, — წერდა გამომცემელი. „ყოველ ტომს. — განაგრძობდა იგი, — გარდა თავისი წინასიტყვაობისა, რომელშიაც შეფასებული იქნება მარქსისტული სოციოლოგიის თვალსაზრისით წარმოდგენილი მასალები, — დართული იქნება რედაქტორის შენიშვნები, რომელშიც განხილული იქნება ტექსტთან დაკავშირებული საკითხები და განმარტებული უმთავრესი საკითხები — თანამედროვე მკითხველისათვის გაუგებარი“<sup>31</sup>. მართლაც, როგორც ცნობილია, ს. ხუნდაძემ ნ. ნიკოლაძის I ტომს დაურთო ისეთი კომენტარები, რომ ზოგიერთი მათგანი გამოკვლევას უდრის; ისინი იმდენად ფართო და მეცნიერულია, რომ არა მარტო მასობრივო, სპეციალისტი მკითხველისათვისაც სავსებით ანგარიშვასაწევია; უკეთ, უპირატესად უკანასკნელის ინტერესია მათში გათვალისწინებული.

ს. ხუნდაძემ აღნიშნულ გამოცემაში შეგნებულად უარყო თემატური პრინციპი და ნაწარმოებები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაბეჭდა. მან აქ დაასაბუთა, რომ უკანასკნელი პრინციპი პირველთან შედარებით მკითხველს უფრო ზედმიწევნით აცნობს მწერლის შემოქმედებით გზას. „რედაქტორის მიერ უარყოფილია პრინციპი ტომების თემატურად დალაგებისა. ამ შემთხვევაში იგი ფიქრობდა, რომ პუბლიცისტური ნაწერების გამოცემა უფრო მიზანშეწონილი და სასარგებლოა ქრონოლოგიურ წესით: ეს წესი, წერს ს. ხუნდაძე, ერთის მხრივ, საშუალებას იძლევა მკითხველს ნათლად უჩვენოს თვით მწერლის თანდათანო ზრდი, მისი აზროვნებისა და მსოფლმხედველობის ევოლუცია, მეორეს მხრივ, — გააცნოს ისტორიული თარიღების მიხედვით ის საკითხები, რომელიც ამა თუ იმ ეპოქაში წამოიჭრებოდა. ამრიგად, — განაგრძობს მკვლევარი, — ქრონოლოგიური წესით მკითხველი უფრო ღრმად და სრულად ეცნობა, როგორც ეპოქის (ან ეპოქების) შინაარსს, ისე თვით მწერლის თანდათანობით განვითარებას. გარდა ამისა, პუბლიცისტ-მწერლის დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ ძლიერ ხშირად იგერტ და იმავე წერილში მრავალ სხვადასხვა თემას ეჭება და ამიტომ ტექნიკურადაც ხშირად შეუძლებელი ხდება მათი თემატურ-

<sup>31</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1931, გვ. XI.

<sup>32</sup> იქვე, გვ. IX—X.

რად დალაგება<sup>32</sup>. როგორც ზემოთ დავინახეთ, ა. წერეთლის „რჩეული ნაწერების“ მეოთხე ტომის სტრუქტურამაც გვიჩვენა, რომ თემატურად დალაგების პრინციპი მხატვრული ნაწარმოებისათვისაც გამოუსადეგარია, აქაც ქრონოლოგიური პრინციპი სავსებით ამართლებს ს. ზუნდაძის მიერ მოცემულ დახასიათებას. თემატური პრინციპის უარყოფა და ქრონოლოგიურის უპირატესობის მოცემული დასაბუთება, აგრეთვე განსაკუთრებით მისი „რჩეულ ნაწერებში“ თანმიმდევრულად გატარება წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 30-იანი წლების ქართულ-ტექსტოლოგიური აზრის განვითარებაში.

ჯერ კიდევ 1918 წელს მ. გორკი წერდა, რომ მასობრივი გამოცემისათვის ნაწარმოებები შერჩეულ უნდა იქნას როგორც წმინდა მხატვრული, ისე ნაწარმოების ისტორიული მნიშვნელობის თვალსაზრისით; თუ რა გავლენა მოახდინა მან ლიტერატურისა და საზოგადოების განვითარებაზე. ს. ზუნდაძეს ჩამოყალიბებული აქვს „რჩეული ნაწერებისათვის“ ნაწარმოების შერჩევის პრინციპები, რომლებიც სავსებით აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნილებასაც. ნ. ნიკოლაძის „რჩეული ნაწერების“ გამოცემისათვის „წერილების შერჩევის დროს ჩვენ უმთავრესად შემდეგი ძირითადი პრინციპებით ვხელმძღვანელობდით: ერთის მხრივ, — წერს იგი, — ვარჩევდით ისეთს წერილებს, რომელიც მაშინდელი ეპოქის დამახასიათებელი იყო, რომელიც ეხებოდა ეპოქის მიერ წამოყენებულ ძირითად და დამახასიათებელ პრობლემებს და არსებითად გამოხატავდა ამა თუ იმ ინტელიგენტთა ჯგუფის მსოფლმხედველობასა და მისწრაფებებს; მეორე მხრივ შერჩევის დროს ყურადღებას ვაქცევდით ისეთ წყაროებსაც, რომელიც დამახასიათებელი იყო თვით ნ. ნიკოლაძისათვის და რომელიც ყველაზე უფრო გამოხატავდა ავტორის მსოფლმხედველობასა და აზროვნებას, მის ერუდიციასა და პუბლიცისტურ ხერხებს, მის სტილსა და ლიტერატურულ გემოვნებას“<sup>33</sup>. როგორც ვხედავთ, კლასიკოსის „რჩეული ნაწარმოების“ გამოცემა ლიტერატურისა, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისა და თვით კლასიკოსის მემკვიდრეობის დრმა ცოდნას მოითხოვს. აღნიშნულის გამო „რჩეულ ნაწერების“ გამოცემა დიდად საპასუხისმგებლო საქმეა; რამდენადაც მაღალია გამოცემლის კვალიფიკაციის დონე, იმდენად მეტად გაერკვევა იგი გამოცემის დანიშნულებაში და უზრუნველყოფს მასობრივი მკითხველისათვის სათანადოდ შერჩეული ნაწარმოებების მიწოდებას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში კლასი-

კოსების „რჩეული ნაწერების“ გამოცემლები ესოდენ მნიშვნელოვანი და სწორი პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ, ყველა პირობა იყო შექმნილი ამ სახის გამოცემების უფრო მაღალი ფორმით განხორციელებისათვის, მაინც მრავალტომეული „რჩეული ნაწერების“ გამოცემები, რომლებსაც ზოგჯერ „თხზულებანი“ ან „რჩეული თხზულებანი“ აწერია, სრულყოფილად ბოლომდის არაა ჩამოყალიბებული. 1935 წ. გამოვიდა ი. ევდოშვილის „თხზულებათა“ პირველი ტომი, რომლის სარედაქციო სტატიაში გამომცემელი წერს— „იგი (თხზულებანი — ლ. ჯ.) უნდა გამოვიდეს ოთხ ტომათ. პირველი და მეორე ტომში მოთავსებული იქნება ლექსები, მესამეში პოემები და მეოთხეში პროზა“. გამომცემელმა საერთოდ არ განიზრახა ი. ევდოშვილის პუბლიცისტური წერილების, რომელიც მისი მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, გამოცემაში შეტანა; როცა „თხზულებათა“ მრავალტომეულს ვაფასებთ, როგორც გამოცემის გარკვეულ სახეს. ბუნებრივად იბადება კითხვა, რატომ? რადგან პუბლიცისტური წერილი „ნაწერებსა“ და „თხზულებებს“ განეკუთვნება. ამიტომ ამ უანრის რჩეული ნაწილიც უნდა შევიდეს მწერლის „თხზულებათა“ მრავალტომეულში; იგივე შეიძლება ითქვას კლასიკოსების სხვა მემკვიდრეობაზე. აღნიშნული პრინციპის დარღვევა თითქმის საყოველთაოა ჩვენში კლასიკოსების „რჩეული ნაწერების“ თუ „თხზულებათა“ მრავალტომეული გამოცემებისათვის. მაგ. 1946—7 წელს დაიბეჭდა ა. ყაზბეგის „რჩეულ თხზულებათა“ ორტომეული, რომელშიც შევიდა მხოლოდ მოთხრობები და დრამა „არსენა“; განა ყაზბეგის ლექსები და პუბლიცისტური წერილები კი თხზულებანი არ არის? გამოცემის მიხედვით მასობრივ მკითხველს, ცხადია, მწერალზე არასწორი შეხედულება იქნება, რომ იგი მხოლოდ მოთხრობებსა და დრამატულ ნაწარმოებებს წერდა. იგივე ითქმის გ. წერეთლის „რჩეული ნაწერების“ ორტომეულზე, რომელიც 1947 წელს დაიბეჭდა; აქ შევიდა მწერლის მხოლოდ მოთხრობები. მსგავს მოვლენას აქვს ადგილი თვით იმ გამოცემებშიც, რომლებიც მწერლის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემის შემდეგ დაიბეჭდა. 1962 წელს მესამედ გამოიცა ა. ყაზბეგის „თხზულებანი“ ორ ტომად, რომელშიც მხოლოდ მოთხრობებია დაბეჭდილი და სხე.

არსებობს „თხზულებათა“ ერთტომეულებიც. ისინი არსებითად ერთტომიან „რჩეულებს“ წარმოადგენენ, მაგრამ მასობრივი გამოცემის ამ გარკვეული სახისაგან მაინც განსხვავდებიან. „თხზულებათა“ ერთტომეულს შეიძლება არ მივუდგეთ „რჩეულისათვის“ თხზულებათა შერჩევის მკაცრი პრინციპით, იგი უფრო ტევადია; მასში შეიძლება

დაიბეჭდოს გარდა საუკეთესო ნაწარმოებებისა სხვებიც, რომლებიც აგრეთვე მნიშვნელოვანი თხზულებანია. ერთტომეულს ის მნიშვნელობაც აქვს, რომ მკითხველს ერთად ექნება ხელთ კლასიკოსის მემკვიდრეობას ძირითადი ნაწილი; ამიტომ ერთტომეულის ტევადობის გადიდების მიზნით მიმართავენ ორ სვეტად ბეჭდვას და ამავე დროს იგივე მიზნიდან გამომდინარე უშვებენ ნაწარმოების ისეთ შემოკლებას, როცა გამოტოვებული ადგილები ხელს არ უშლის მკითხველს თხზულების, როგორც შინაარსის, ისე მხატვრული ღირსების გაგებაში. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ „თხზულებათა“ ერთტომეული არ გამოდგება ყველა მწერლისათვის. მაგ. შეუძლებელია ლ. ტოლსტოის ძირითადი ნაწარმოებების ერთ ტომში მოთავსება. თავისთავად ცხადია, როცა „რჩეული ნაწერების“ ერთტომეულზე ვმსჯელობთ, მხედველობაში არ მიიღება ის მწერლებიც, რომელთა მემკვიდრეობა ერთ ტომს არ აღემატება. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ერთტომეული შეიძლება თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა იყოს და მასობრივი გამოცემაც. თხზულებათა ერთტომეული, შეიძლება ითქვას, უფრო შესაფერისი გამოცემა იქნება ე. წ. მეორე რიგის მწერალთა მემკვიდრეობის გამოცემის დასაწყებად. რადგან მათი ნაწერების ძირითადი ნაწილი, ჯერ ერთი ხშირად ერთ ტომს არ აღემატება, ხოლო მეორეს მხრივ, ტევადობის გადიდების პრინციპულობის გამო, გამოცემელს საშუალება მიეცემა, საზოგადოებას ფართოდ გააცნოს ნაკლებად ცნობილი მწერალი. თხზულებათა ერთტომეულის სტრუქტურას იგივე პრინციპები განსაზღვრავს, რაც ზემოთ მრავალტომეულისათვის იყო წარმოდგენილი.

„თხზულებათა“ არსებული ერთტომეულები სტრუქტურის თვალსაზრისით ისევე ვერ აკმაყოფილებენ მასობრივი ტიპის ამ სახის გამოცემისადმი წაყენებულ მოთხოვნილებას, როგორც „თხზულებათა“ მრავალტომეულის შესახებ იყო ნათქვამი, მაგ. 1960 წ. გამოვიდა ვაჟა-ფშაველას „თხზულებანი“ ერთ ტომად, რომელშიც შევიდა მხოლოდ ლექსები, პოემები, მოთხრობები და პიესები. „თხზულებათა“ ერთტომეულებში ყველაზე სრულყოფილი სახე აქვს ი. ჰავეჭავაძის თხზულებათა ერთტომეულს, რომელიც 1957 წელს გამოსცა პ. ა. ინგოროსკვამ. აქ წარმოდგენილია ძირითადი ნაწარმოებები მწერლის სხვადასხვა ენარიდან: ლექსები, პოემები, მოთხრობები, წერილები, სიტყვები.

„რჩეული ნაწერების“ მრავალტომეულებში გარდა სავალდებულო შედგენილობის უგულებელყოფისა, შეინიშნება ჯერ კიდევ ს. ხუნდაძის მიერ გამოყალიბებული ისტორიზმის პრინციპის დარღვევა. რო-



გორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ს. ზუნდაძეს „რჩეული ნაწერების“ მრავალტომეულისათვის თხზულებათა შერჩევის დროს აუცილებლად შიაჩნდა გათვალისწინება იმისა, რომ ნაწარმოებს ზომ არ ჰქონდასაე-ციფიკური მნიშვნელობა ლიტერატურის ისტორიისათვის საერთოდ. როგორც ჩანს, გამოცემის ამ მხარეს სათანადო ყურადღება არ შიაქციეს შ. დადიანის „რჩეული ნაწერების“ ხუთტომეულის გამომცემლებმაც. არ შეიძლებოდა შალვა დადიანის საუკეთესო დრამებს გამოკლებოდა ცნობილი პიესები „მღვიმეში“ და „როს ნადიმობდნენ“.

„ცნობილია, — წერს ალ. ჩავლეიშვილი, — რომ რომელიმე მწერლის შემოქმედებიდან ნაწარმოებთა არჩევა არ არის დამოკიდებული ამრჩევთა სუბიექტურ შეხედულებებზე; არჩევას გარკვეული ლოგიკა გააჩნია, რაც ობიექტურ მონაცემებს ეყრდნობა. პირველ ყოვლისა, აქ გადამწყვეტია ნაწარმოების ადგილი მწერლის შემოქმედებაში იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით და ამავე თვალსაზრისით მისი მნიშვნელობა ლიტერატურის ისტორიაში. ამ თვალსაზრისით გაუმართლებელია აღნიშნული დრამების გამოტოვება შ. დადიანის რჩეული თხზულებებიდან, რადგან ისინი მკიდროდ არიან დაკავშირებული ქართულ მწერლობაში სოციალისტური რეალიზმის გენეზისთან.

ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის დამწყებად ზოგს ირ. ევდოშვილი მიაჩნია — ვანაგროძობს მკვლევარი — ზოგს ლ. ქიაჩელი, ზოგს კი — შალვა დადიანი. ამ მესამე მოსაზრების დამცველები ეყრდნობიან შ. დადიანის დრამებს — „მღვიმეში“ და „როს ნადიმობდნენ“, რადგან ამ ნაწარმოებებში განვითარებულია მუშათა კლასის. ჰეგემონიის იდეა, ამის აღიარება და დაცვა-ქადაგება კი დაკავშირებულია სოციალისტური რეალიზმის ძირითად დამახასიათებელ ნიშანთან“<sup>34</sup>. ალ. ჩავლეიშვილი წერილში ასახელებს სხვა მნიშვნელოვან ნაწერებსაც და მოითხოვს გამოცემის ნაკლი თავიდან აცილებულ იქნას ერთი ტომის დამატებით ვფიქრობთ, ალ. ჩავლეიშვილის მიერ გაკეთებული შენიშვნის გათვალისწინება საჭირო იყო არა მარტო შ. დადიანის „რჩეული ნაწერების“ ხუთტომეულის გამომცემლებისათვის, არამედ იგი საერთოდ მხედველობაში მისაღებია ყველა მწერლის თხზულებათა ასეთი სახის გამოცემის განხორციელების დროს.

ამრიგად, „რჩეული ნაწერების“ მრავალტომეულის ზოგიერთი, ჩვენი აზრით, დამახასიათებელი გამოცემის განხილვიდან შეიძლება

<sup>34</sup> ალ. ჩავლეიშვილი, შალვა დადიანის რჩეული თხზულებების გამოცემის გამო. „ლიტერატურული გაზეთი“, 1962 წ. № 33.

ჩამოვყალიბოთ მასობრივი ტიპის ამ სახის გამოცემისათვის სავალდებულო პრინციპები.

„რჩეული ნაწერების“ მრავალტომეულმა მასობრივ მკითხველს სრული წარმოდგენა უნდა მისცეს მწერლის შემეყიდრობაზე საერთო და არა მის რომელიმე ნაწილზე; გამოცემის ეს სახე უნდა შეიცავდეს, დამოუკიდებლად ქანრებისა, ყველაფერს, რისი მიწოდებაც კი შეიძლება მასობრივი მკითხველისათვის. „რჩეული ნაწერების“ მრავალტომეულში უნდა შევიდეს ძირითადი რჩეული თხზულებანი, როგორც მხატვრული ნაწარმოებიდან, ისე კრიტიკული და პუბლიცისტური წერილებიდან. გამოცემაში აგრეთვე უნდა შედიოდეს მნიშვნელოვანი პირადი წერილები, დღიურები და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ „თხზულებათა კრებულის“ მრავალტომეული მასობრივი გამოცემის უმაღლესი სახეა და ამიტომ მისი დანიშნულებაა ყველაზე განვითარებული არასპეციალისტი მკითხველის ინტერესების დაკმაყოფილება; ეს გარემოება განსაზღვრავს, როგორც გამოცემის ძირითად შედგენილობას, ისე მისი სამეცნიერო აპარატის ხასიათს: უკანასკნელი უნდა შეიცავდეს ისტორიულ-ლიტერატურულსა და რეალურ კომენტარებს... აგრეთვე გაუგებარი სიტყვების განმარტებას. ბოლო ტომს უნდა დაერთოს გამოცემაში შესული ნაწარმოებების ერთიანი საძიებელი. აღნიშნული კომენტარები მასობრივ მკითხველს დაეხმარება, როგორც ნაწარმოების შექმნის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევაში, ისე თვით ტექსტში თავისებური და ბუნდოვანი გამოთქმების შინაარსის გაგებაში.

ქრონოლოგიური პრინციპის დაცვა, მასალის გამოცემისათვის მათი მხატვრული ღირებულებისა და ისტორიული მნიშვნელობის მიხედვით შერჩევა და სხვა, რომელზეც ვთქვით „რჩეული ნაწერების“ გამოცემასთან დაკავშირებით, სავალდებულოა თხზულებათა როგორც მრავალტომეულის, ისე ერთტომეულის გამოცემის დროს.

„რჩეული ნაწერების“ აღნიშნული პრინციპების დაცვით გამოცემას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. იგი ხელს შეუწყობს არა მარტო კლასიკოსის შემეყიდრობის პოპულარიზაციას, არამედ მასზე სწორი წარმოდგენის შექმნასაც; მაგ. სათანადო პრინციპების დაცვით შედგენილი ვაჟა-ფშაველასა და ა. ყაზბეგის „რჩეული ნაწერების“ მრავალტომეული, მასობრივ მკითხველს ამ მწერლებს გააცნობს არა მარტო როგორც მთის ყოფის ამსახველ გენიოსებს, არამედ აგრეთვე როგორც დიდი კულტურისა და ეროვნული ტიფილების მქონე შემომკმედებს, რომელთა მიერ მთის ყოფის ასახვა გარდატეხილი იყო მსოფლიო კულტურის მოწინავე იდეებისა და ეროვნული ტიფილე-

ბის ყოველმხრივ ღრმა გავების პრიზმაში. აღნიშნულ მწერლებზე ასეთი აზრი მასობრივ მკითხველს განუმტკიცდება მხოლოდ მაშინ, როცა თვითონ წაიკითხავეს ამ კლასიკოსების მიერ სიღრმითა და დიდი პატრიოტული პათოსით დაწერილ პუბლიცისტურ წერილებს.

### რჩეული პირობები

მასობრივი ტიპის გამოცემათა გარკვეული სახეა რჩეული ნაწერების ერთომეული. შედგენილობის მხრივ მისი სპეციფიკა საუკეთესო თხზულების ერთ ტომად გამოცემაშია. „რჩეულის“ დაწინაურებაა კლასიკოსის მემკვიდრეობის პოპულარიზაცია — მწერლის საუკეთესო ნაწარმოები გააცნოს ყოველ მკითხველს. გამოცემის ამ სახესაც „რჩეული ნაწერების“ მრავალტომეულისათვის ზემოთ ჩამოყალიბებული პრინციპები უდევს საფუძვლად. ქართველი კლასიკოსების „რჩეულებს“ იგივე ნაკლი ახასიათებს, რომელიც შეინიშნებოდა მასობრივი ტიპის ზემოთ განხილულ გამოცემებში.

საკაკი წერეთლის „რჩეული ნაწერების“ ერთომეულში, რომელიც გამოვიდა 1935 წელს, შევიდა მწერლის ლექსები, პოემები, დრამატიული ნაწარმოებები, მოთხრობები. აკაკის „რჩეულის“ 1940 წლის გამოცემაში, წინა გამოცემისაგან განსხვავებით, დამატებულია რამდენიმე ლექსი და დრამატიული პოემა „პატარა კახი“. ა. ყაზბეგის „რჩეული ნაწერების“ ერთომეულში, რომელაც კრიტიკული ნარკვევის გარეშე გამოვიდა 1937 წელს, დაბეჭდილია მხოლოდ მოთხრობები. ვაჟა-ფშაველას „რჩეული ნაწერების“ 1936 წელს დაბეჭდილ ერთომეულში შევიდა პოეტის ლირიკა, პოემები და პროზა. მსგავსი მდგომარეობაა ამ სახის სხვა გამოცემებშიც. როგორც ვხედავთ, „რჩეულების“ ერთომეულები ჯერ კიდევ სრულყოფას მოითხოვენ: ისინი მასობრივ მკითხველებს მთლიანობაში ვერ აცნობენ ჩვენი კლასიკოსების მემკვიდრეობას. მათში წარმოდგენილი არ არის ქართველ მწერალთა-მრავალფეროვანი შემოქმედებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი მხარე; მხედველობიდან გამორჩენილია მთელი თანრები, რომლებიდანაც მრავალი რჩეული ნაწარმოების დაბეჭდვა შეიძლებოდა.

აღნიშნული გარემოება შესაძლოა ადრეულ გამოცემებში გამოწვეული იყო იმით, რომ ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო გამოვლინებული ჩვენი მწერლების მდიდარი მემკვიდრეობა. როგორც ჩანს, თხზულებათა სრული კრებულების აკადემიური გამოცემები თავის მხრივ ხელს უწყობენ მასობრივი გამოცემის ცალკეული სახეების ჩამოყალიბებას. შედარებით სრულყოფილია ვაჟა-ფშაველას „რჩეული“.

რომელიც 1953 წელს გამოვიდა ა. აბაშელისა და ა. შანიძის რედაქციით; აქ პოეტის „რჩეულების“ სხვა გამოცემებისაგან განსხვავებით, შევიდა ვაჟას საუკეთესო პუბლიცისტური წერილებიც, რაც, ცხადია, „რჩეულების“ გაუმჯობესებისათვის წინ გადადგმული ნაბიჯია.

თხზულების შერჩევის დროს ისტორიზმის პრინციპის დაცვა, როგორც აღნიშნეთ, „რჩეულშიც“ საგაღდებულოა; გამომცემელმა ზედმიწევნით უნდა გაითვალისწინოს ყოველი ნაწარმოების მხატვრულ ღირსებასთან ერთად მათი მნიშვნელობა არა მარტო მწერლის შემოქმედების შესწავლისათვის, არამედ საერთოდ ლიტერატურის ისტორიაში. 1951 წელს გამოვიდა ა. ფურცელაძის „რჩეული ნაწარმების“ ერთტომეული, რომლის შესახებ ვ. ვახაია წერს: „საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ უსათუოდ კარგი საქმე გააკეთა ა. ფურცელაძის რჩეული ნაწარმოების გამოცემით. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ წინამდებარე კრებულში შესული არაა ა. ფურცელაძის ყველა რჩეული ნაწარმოები, მაგ. „სამის თავგადასავალი“, „ვაი მართალთა“ და ზოგიერთი სხვა. აღნიშნული თხზულებები შეიცავენ ეპოქის მოწინავე იდეებს და მათი ავტორის აშკარა რადიკალ-დემოკრატიზაზე შეტყველებენ, ისინი ამავე დროს საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის შესასწავლად: მათში იგივე პრობლემებია აღძრული, რაც ჩერნიშევსკის და ტურგენევის რომანებში — „რა ვაკეთოთ“ და „რუდინი“. ა. ფურცელაძის მოთხრობები, როგორც ცნობილია, ამ ნაწარმოებთა ერთგვარ გავლენას განიცდის. თუნდაც მხოლოდ ამიტომ მოთხრობებს — „სამის თავგადასავალი“ და „ვაი მართალთა“ შესაფერისი ადგილი უნდა ეპოვათ ა. ფურცელაძის ნაწარმების წიგნში“<sup>35</sup>. აღნიშნულ მოთხრობებს ა. ფურცელაძის შემოქმედებაში და აგრეთვე ლიტერატურის ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობა ეძლევა. მწერლის „რჩეულის“ მიმართ გაკეთებული ეს შენიშვნა სწორი და სასარგებლოა ისტორიზმის პრინციპის დაცვის თვალსაზრისით.

„რჩეულის“ ერთტომეულში საუკეთესო ნაწარმოებები უნდა შევიდეს ყველა ჟანრიდან. ზოგიერთი გამომცემელი კი არღვევს რა ამ პრინციპს, თხზულებების შერჩევის დროს მხედველობიდან უშვებს, რომ მასობრივმა მკითხველმა „რჩეულის“ ფარგლებში მწერალი მთლიანობაში უნდა გაიცნოს. „ვფიქრობთ, — სამართლიანად შენიშნავენ ნოე ზომლეთელის „რჩეული ნაწარმების“ ერთტომეულის შესახებ რეცენ-

<sup>35</sup> ვ. ვახაია ი. ანტ. ფურცელაძე, „რჩეული ნაწარმები“, 1951, „მნათობი“ 1952, № 17, გვ. 144—145.

ზენტები, — უმჯობესი იქნებოდა შინაარსობრივად პრიმიტიული და ინატვრულად სუსტი ნაწარმოებების ზარკზე (რომელთა რიცხვი არც თუ ისე მცირეა) რჩეული ნაწერების კრებულში თავისი გამოხატულება ეპოვა მწერლის მოთხრობების, სატირულ-იუმორისტული ფელეტონებისა და თარგმანების საუკეთესო ნაწილს, რაც მკითხველს უფრო სრულ წარმოდგენას მისცემდა ნ. ზომლეთელის მრავალმხრივ სამწერლო მოღვაწეობაზე... კრებულში შეტანილი უნდა ყოფილიყო ნ. ზომლეთლის პირველი ლექსი (მიძღვნილი დიდი რუსი მწერლის ალ. პუშკინისადმი), რომელიც 1899 წელს დაიბეჭდა; მაშინ მწერლის შემოქმედების პირველი პერიოდის საზღვრები იქნებოდა 1899—1917 წლები და არა 1905—1917 წლები, როგორც ეს საჩეცენზიო წიგნშია<sup>36</sup>. ცხადია, აღნიშნულის გათვალისწინებით შედგენილი „რჩეულის“ საშუალებით მასობრივ მკითხველს უფრო სწორი წარმოდგენა შეექმნებოდა ნ. ზომლეთელის მთლიან მემკვიდრეობაზე. შეიძლება იყოს „რჩეული“ ცალკეული ჟანრის მიხედვით, მაგრამ მაშინ გამოცემას უნდა ეწეროს: „რჩეული ლექსები“ ან „რჩეული მოთხრობები“ და სხვ.

„რჩეულის“ სათანადო პრინციპების დაცვით შედგენას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს თუნდაც იმიტომ, რომ მას უფრო ფართო მკითხველი ჰყავს: მაშასადამე, მასებში მწერლის უმთავრესი ნაწერების პოპულარიზაციის ძირითადი საშუალება სწორედ გამოცემის ეს სახეა. საუკეთესო ნაწერებითა და სათანადო პრინციპების დაცვით შედგენილი „რჩეულები“ დიდად შეუწყობენ ხელს მწერლის მემკვიდრეობაზე სწორი წარმოდგენის შექმნას; მასობრივი მკითხველისათვის უფრო ზედმიწევნით იქნება გასაგები ქართველი ერის კულტურის ისტორიაში კლასიკოსთა როლი და მნიშვნელობა.

#### თეატრ-მანრობრივი კრებულების გამოცემა

დანიშნულებასთან ერთად, შედგენილობის მხრივაც, „რჩეულებს“ უახლოვდება თეატურ-ჟანრობრივი შინაარსის მქონე კრებულები, მაგრამ პირველისაგან განსხვავებული საკუთარი სპეციფიკაც ახასიათებთ მათ. 1904 წელს წ. ა. გამ. საზოგადოებამ ორ ტომად გამოსცა „ქართველი პოეტების რჩეული ლექსები“; 1959 წ. გამოვიდა კრებული „ქართველი მწერლები პოლონეთს“, 1961 წელს მიკოლა ბაჟანმა, ოლეგ ნოვიციმ და სიმონ ჩიქოვანმა უკრაინულად გამოსცეს ორ

36 კ. ხინთიბიძე, ა. შირიანაშვილი, ნოე ზომლეთელის რჩეული ნაწერები, „მნათობი“, 1954, № 3, გვ. 149.

ტომიანი კრებული „ქართველი ხალხის პოეზია“ და სხვ. როგორც ვხედავთ, ამ რამდენიმე მაგალითიდანაც კი ჩანს, რომ „კრებულები“ სხვადასხვა თვალსაზრისითაა შედგენილი. პირველის მიზანია მკითხველს ერთად მიაწოდოს ქართველი პოეტების მხოლოდ რჩეული ლექსები, მეორეს აქვს გარკვეული თემა და მესამეც ერთი ეპიკური თემა. პრინციპში ისინი „რჩეულებს“ წარმოდგენენ, მაგრამ შემოღობული სახეებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ აქ წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ეპიკური ან ერთ თემაზე დაწერილი ნაწარმოებები.

1955 წელს ნ. გურაბანიძემ გამოსცა კრებული „ილია ჭავჭავაძე თეატრის შესახებ“, რომელსაც დართული აქვს გამომცემლის შესავალი წერილი და შენიშვნები. კრებულში თავმოყრილია ილიას გამონათქვამები თეატრის შესახებ, რომელსაც დართული აქვს გამომცემლის შესავალი წერილი და შენიშვნები. მასალა მრავალფეროვანია: მოტანილია პუბლიცისტური წერილები, პირადი წერილები. ქართული სცენის დაარსებიდან 50 წლის შესრულების თავზე წარმოქმნილი სიტყვა და ზოგიც ნაწყვეტები სხვადასხვა ნაწარმოებიდან, მაგ.: „ნაწყვეტი 1879. თებერვლის „შინაურა მიმოხილვიდან“, ნაწყვეტი 1879 აპრილის — „შინაურ მიმოხილვიდან“ და სხვ. შესავალ წერილში მიმოხილულია ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი თეატრალურ ხელოვნებაზე და მწერლის როლი ქართული თეატრის განვითარებაში. შენიშვნებში გამომცემელი იძლევა მოკლე ტექსტოლოგიურსა და რეალურ კომენტარებს. 1962 წ. ვ. შადურმა გამოსცა კრებული „ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ“. გამოცემას წამძღვარებული აქვს ვ. შადურის „შესავალი“ სტატია, რომელშიც მიმოხილულია რუსეთ-საქართველოს საზოგადოებრივ ლიტერატურული ურთიერთობის ისტორია XIX საუკუნის ნახევრამდე. გამოცემას ბოლოში ერთვის „შენიშვნები და პირად სახელთა საძიებელი“. წამოდგენილი მასალა მრავალფეროვანია, როგორც ეპიკური, ისე მოცულობით. აქ დაბეჭდილია როგორც ნაწყვეტები შ. რუსთაველის, ჩახარუხაძის, ნოდარ ციციშვილის, არჩილის, მამუკა ბარათაშვილის და სხვათა პოეტური ნაწარმოებებიდან, ისე პროზაული ტექსტები ვ. ორბელიანის, გაბრიელ რატიშვილის, თეიმურაზ ბაგრატიონისა და სხვათა ნაწარმოებებისა. შენიშვნებში მითითებულია წყარო, საიდანაც ან რომლის მიხედვითაც იბეჭდება ნაწარმოები; აქვეა მოცემული ცნობები, რომლებიც ტექსტის გაგებას ემსახურება. 1967 წ. გ. კვიციანიძემ, ნ. ყიასაშვილმა, ვ. შადურმა, ჯ. ტუმბურიძემ და ს. ხუციშვილმა გამოსცეს კრებული „გაყაფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“, რომელსაც კომენტარები და საძიებლები დაურთეს გამომცემლებმა, ზოლო ლექსი-

კონი, ა. ჭინჭარაულმა: „კრებულში თავმოყრილია „ვაჟა-ფშაველას გამოთქვამები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. აქ — წერენ გამომცემლები, — სხვადასხვა ენაზე არსებული კრებულების მსგავსად, — იბეჭდება ვაჟას ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები სათანადო პროზაული თუ ლექსით თხზულების სრული ტექსტი ან ნაწყვეტი.

კრებული მკითხველს მთლიანი სახით გააცნობს დიდი ქართველ პოეტის შეხედულებას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა ლიტერატურის და ხელოვნების რაობა, დანიშნულება და მხატვრული გამოსახვის ფორმები.

წიგნი განკუთვნილია ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის<sup>37</sup>. გამომცემლები სარედაქციო სტატიაში აგრეთვე შენიშნავენ, რომ „რედაქციამ საჭიროდ მიიჩნია იმავე კრებულში მოეყარა თავი სხვადასხვა პირის მოგონებებში დაცული ცნობებისათვის ჩვენთვის საინტერესო საკითხზე“<sup>38</sup>. კრებულს წამძღვარებული აქვს ვ. კიკნაძის ნარკვევი „ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“. ქართული გამოცემიდან კიდევ შეიძლებოდა ასეთი გამოცემების მაგალითის გამოკვლევა.

დასახელებული კრებულებას შედგენილობიდან, ვფიქრობთ, ჩანს გამოცემის ამ სახისათვის დამახასიათებელი ნიშნები: კრებულში შესული ყველა ნაწარმოების თემა ერთი უნდა იყოს. შეიძლება დიდიხუროს ყოველი ჟანრის ნაწარმოები, თუ კი იგი კრებულის თემას ეხება. დასაშვებია თხზულებებიდან ამოღებული ნაწყვეტების დაბეჭდვა. მწერლის თხზულებათა თემატურ კრებულებს, რადგან ისინი „მკითხველთა ფართო წრისათვის“ იბეჭდება, წამძღვარებული უნდა ჰქონდეს კრიტიკული ნარკვევი, რომელშიც ავტორმა კრებულის თემის ფარგლებში მასობრივი მკითხველი მწერლის შეხედულებებსა და დამსახურებაში უნდა ვაარკვიოს; გამოცემისათვის თანდართულ სამეცნიერო აპარატსაც იგივე დანიშნულება აქვს — მან მკითხველს ხელი უნდა შეუწყოს ტექსტის გაგებაში. გამომცემლისათვის განსაკუთრებით სახიფათოა თხზულებებიდან ამოღებული ნაწყვეტების გამოცემაში შეტანა, რადგან ნაწარმოების მთლიან კონტექსტს მოცილებული ნაწილი მკითხველისათვის შესაძლებელია გაუგებარი დარჩეს; ისიც დასაშვებია, რომ ნაწყვეტი სულ სხვა აზრით იქნას გაგებული. ამიტომ

37 ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, 1967, გვ. 2.

38 იქვე, გვ. 5.

ღნიშნულის გათვალისწინებით უნდა შეირჩეს ნაწყვეტები გამოცე-  
მისათვის. თემატიურ კრებულებთან შედარებით უფრო ადვილია გა-  
მოსაცემაა ჟანრების მიხედვით შედგენილი კრებულები, რომელთა  
პრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება ჩვენი მწერლების თხზუ-  
ლებათა ამ სახის გამოცემიდან: ა. წერეთელი „საბავშვო მოთხრობე-  
ბი“, 1940 წ. ვაჟა-ფშაველას „საბავშვო მოთხრობები“, 1954 წ. და  
სხვ.

თემატიურ-ჟანრობრივი კრებულების გამოცემა მასობრივი მკითხვე-  
ლის მოთხოვნილებამ განაპირობა; ცხადია, იგი ამა თუ იმ საკითხზე  
მწერლის შეხედულებებს ასეთი სახის გამოცემებით უფრო ადვილად  
გაეცნობა. ვიდრე აკადემიური გამოცემების მრავალტომეულებით.  
რომლებშიც მისთვის საინტერესო თხზულებანი და გამონათქვამები  
სხვადასხვა ადგილზეა გაფანტული მთლიან მემკვიდრეობაში. თემა-  
ტიურ-ჟანრობრივ კრებულებს გარდა კლასიკოსის შემოქმედების პო-  
პულარიზაციისა, სააღმზრდელო მნიშვნელობაც აქვს, როგორც მასობ-  
რივი მკითხველისათვის, ისე განსაკუთრებით მოზარდი თაობისათვის:  
ამ სახის გამოცემები ხელს შეუწყობენ უკანასკნელთა ცოდნის თანდა-  
თან გამდიდრებას.

#### თხზულების ცალკე გამოცემა

მასობრივი ტიპის გამოცემათა ეს სახე კლასიკოსთა მემკვიდრეობის  
ფართო პოპულარიზაციის ძირითადი საშუალებაა. ჩვეულებრივ ცალ-  
კე გამოცემა მწერლის ნაწარმოებთა შორის ყველაზე საუკეთესო  
თხზულება, რომელსაც იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით საყოველ-  
თაო აღიარება აქვს მოპოვებული. იგი იბეჭდება მაქსიმალური ტირა-  
ჟით, რადგან სხვა გამოცემებთან შედარებით მას ყველაზე მეტი მკი-  
თხველი ჰყავს. თხზულების ცალკე გამოცემის პრინციპებზე ჩვეულ-  
ბრივ არ მსჯელობენ, რადგან მასთან რაიმე სირთულეები არაა დაკავ-  
შირებული, მაგრამ მასობრივი გამოცემების სხვა სახეების დახასიათე-  
ბიდან თუ გამოვალთ, ტექსტოლოგიისა და საგამომცემლო საქმის გან-  
ვითარების თანამედროვე დონეზე მიზანშეწონილი იქნება ტექსტის  
გაგებისათვის საჭირო მარტივი აპარატი ამ სახის გამოცემასაც დაერ-  
თოს.

---



### ტიქსტოლოგიური მუშაობა XIX საუკუნის საქართველოში

მეცხრამეტე საუკუნე ახალი ხანის დასაწყისია ქართველი ხალხის ისტორიაში, საქართველო რუსეთს შეუერთდა. ქართველი ერის ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა. ახალი ცხოვრების პირობებში ქართველი ხალხი მიისწრაფოდა. სისრულით აეთვისებინა მსოფლიოსა და რუსეთის მოწინავე კულტურა. ცარისტული ხელისუფლება საქართველოში ატარებდა მკაცრ, მჩაგვრელ ნაციონალურ და ეკონომიურ პოლიტიკას, რამაც თავისი კვალი დააჩნია ქართველი ხალხის ცხოვრებას მეცხრამეტე საუკუნის პირველ ათეულ წლებში. მეფერამეტე საუკუნეში გამოცოცხლებული სასტამბო საქმიანობა მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებამდე შეფერხდა. 1801 — 1837 წლებში თბილისში ქართულ ენაზე სულ რვა წიგნი გამოიცა. ამ გარემოებამ თავისი დალი დაასვა ედიციურ პრაქტიკას საქართველოში, რამაც ახლად ფეხადგმული ტექსტის შემსწავლელი მეცნიერება თითქმის კიდევაც ჩაჰკლა.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებამდე საგამომცემლო საქმიანობა საქართველოში უაღრესად ნელი ტემპით ვითარდებოდა.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მთელი ძალით გაიშალა დიდი ლიტერატურული ცხოვრება. ყველა სფეროში დამაჩერებლად ჟღერდა ეპოქის ახალი მოღვაწის ხმა. მძაფრმა იდეოლოგიურმა ბრძოლამ, ნაციონალური თვითშეგნების ამადლებამ გაზარდა ინტერესი ქართველი ხალხისა საკუთარი ისტორიისადმი, საერთოდ საზოგადოებრივი იდეებისადმი. ფეხი მოიკიდა და გაიშალა ლიტერატურული და ისტორიული ძეგლების გამოცემა. პერიოდულ პრესაში გაჩნდა მანამდე უცნობი დარგი ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა, რომლის მიზანი იფარგლებოდა არა მარტო იმით, რომ აღეწერა წიგნი, გაეხადა იგი ცნობილი მკითხველსათვის, არამედ ახალი მოთხოვნითაც: განესაზღვრა წიგნის გამოცემის

ხარისხი, შეეჯერებინა სხვადასხვა გამოცემათა ან ხელნაწერი ტექსტები ახლად გამოცემულ ტექსტებთან, მიეთითებინა გამოცემის წყაროები და ვარიანტები. ფართოდ დაინერგა კერძო გამომცემელთა ქსელი: სტ. მელიქიშვილი, გრ. ჩარკვიანი, ექ. ხელაძე, ძმები თავართქილაძეები, ა. კალანდაძე და სხვანი. 80-იანი წლების დასასრულს დაარსდა „ქართველთა გამომცემელი ამხანაგობა“ (1880 წელს თბილისში, 1892 წელს ქუთაისში), რომლის მიზანს შეადგენდა თანამედროვე და ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამოცემა და პოპულარიზაცია.

ქართველი სამოციანელები, რომელთა სახელთანაა დაკავშირებული მე-19 საუკუნის ყოველი დიდი წამოწყება, უპირველეს ყოვლისა საგანმანათლებლო საქმეს ისახავდნენ მიზნად (ასეთია, მაგალითად, მათი ინიციატივით დაარსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელთანაც დიდადაა დაკავშირებული ქართული წიგნის გავრცელება), მაგრამ ისინი ვერ აუდიოდნენ ცხოვრების მიერ წამოპირალ მრავალ საკითხს. აკაკი წერეთელი წერილში „საპასუხოდ“ იგონებს მესამოცე წლების მოღვაწეებს, იმ საზოგადოებრივ პირობებს, რომლებშიც მათ უხდებოდათ მოღვაწეობა. აკაკის სიტყვით ეს იყო „მარტოხელობის“ დრო, როდესაც „მესამოცე წლების თაობა იძულებული იყო ყველაფერს წატანებოდა, ყველაფრისათვის მოეკიდნა ხელი და ცოტა-ცოტა ყველაფერი ეკეთებინა... ისინი მხოლოდ იმ ფიქრში იყვნენ, როგორ დავეხმაროთ და მივეშველოთ მისაშველს და რაგვარად ვეწინააღმდეგოთ ამ მავნესა და საწინააღმდეგოსო“<sup>1</sup>. მესამოცე წლების მოღვაწეთა თაობას, მართლაც, დიდი საქმე ჰქონდა. „ჩვენი საქმე, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — საქართველოს ცხოვრებაა, მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია... ჩვენ... ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა... მისს ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გასსნა“<sup>2</sup>... გზის გასსნა კი, სხვა ძირეულ ფაქტორებთან ერთად, მეცნიერების და ხელოვნების მიღწევების გაუთვალისწინებლად წარმოუდგენელი იყო. მესამოცე წლების წარმომადგენლებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს წარსული და თანადროული მწერლების ნაწერების გამოცემას. „ამჟამად ჩვენში ძვირად იპოვება იმისთანა კაცი, რომ საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდეს ჩვენი ძველი ლიტერატურისა, — წერდა გ. წერეთელი 1970 წელს, — ... სამწუხაროდ თვითონ საქართველოს მემატრიანეებსაც სრულებით არ მიუქცევიათ ყურადღება ამ უმთავრეს საგანზე,

<sup>1</sup> ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIII, 1961, გვ. 12.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 66—

მაშინ, როდესაც ზოგჯერ რამდენიმე ფურცელი სულ უბრალო ამბებით გაუქრელებიათ. უბედურ ისტორიულ გარემოებასაც არ დაუყწარმატების კვალი საქართველოს ერისა... სარწმუნოებისათვის დაუწყწინარებელს ბრძოლას ბევრი გონებითი საუნჯე შეუშუსრავს: მრავალი საუკეთესო წიგნები ცეცხლს და წყალს მისცემია... ვისაც ძველი თეწალი ხელში არ უქირავს, ის ახალს ნამუშევარს ვერ მოიმკის, ხეს რომ ფესვები გამოვაცალოთ, ნაყოფს როგორღა გამოიღებს?.. ამიტომ არა აქვს ჯერ ჩვენ მოქმედებას მკვიდრი საფუძველი. ან კი საიღან უნღდა ჰქონღდეს? მამა-პაპის ღვაწლი არ ვიცით... ამ შემთხვევეწაში საუკეთესო ძველი წიგნების დაბეჭღვა და მათი კრიტიკული გარჩევა... შექწს მაინც მოჰფენს მათ ღირსებას“<sup>3</sup>...

ძველი და ახალი თაობის არა ერთ წარმომადგენელს აწუხებღდა ის გარემოება, რომ მრავალ ხელნაწერ თხზულებათაგან ფრიაღ მციღრეღი იყო დაბეჭღიღი; დაუბეჭღველობას სხვა ზიანიც მოჰქონღდა, მწერლობას ფესვები ეკვეცებღდა, ისტორიულღად ახალგაზრდობას აღმზრღელი მწერლობის შესწავღა ფერხღებღდა. „მოკღეთ ის აზრი გამოღდის, რომ ჩვენ ჯერ არ ვიცით ღიტერატურის ისტორიულღად შესწავღის სარგებლობა და ამის გამო კიღდევაც არ იბეჭღება ჩვენი მწერლობის თხზულებანიო, — წერღა პეტრე უმიკაშვიღი, — მაგრამ ცხადღად სჩანს აუცილებელი საჭიროება ჩვენი თვითუღლის მწერღის თხზულებათა ერთღდ გამოცემის“<sup>4</sup>.

ასეთ წერილებს და საჯარო გამოსვლებს დაღებითი შეღდეგი მოჰქონღდა, მაგალითღდ, 1869 წელს პღატონ იოსელიანიღმა, რომელსაც უფრო აღრე გამოცემული ჰქონღდა ძველი მწერლობის ზოგიერთი ძეგღა, წამოაყენა წინაღაღება ძველი ქართული წიგნების გამოცემაზე. ერთერთი პირვეღი ამ წინაღაღებას გამოეხმაურა პ. უმიკაშვიღი, რომელღმაც „ღროებაში“ სპეციღლური წერიღი დაბეჭღდა და მხარი დაუჭირა პ. იოსელიანის წინაღაღების განხორციელებას. პ. უმიკაშვიღი წერღა: „ვისურვებთ, რომ ბეჭღვის საქმე მართღა ახღდეს და იმეღიცა ვეაქწს... რომ, რაც უნღდა დაბრკოლებები აღმოჩნღდეს, ცრუთ აღარ დაბოლოვღება საქმე, როგორც აქამღდისინ იყო ხოღმე“<sup>5</sup>.

რღღაც მიზეზებისა გამო პ. იოსელიანიღმა უარი განაცხადღ თავის წინაღაღების განხორციელებაზე<sup>6</sup>. პ. უმიკაშვიღმა, გ. წერეთელთან

<sup>3</sup> გ. წერეთელი, ღავით გურამიშვიღი და იმისი წინაღროება, „ღავითიანი“, ტფიღისი, 1870 წ., გვ. 1—11.

<sup>4</sup> „ღავითიანი“. პ. უმიკაშვიღის რეღაქტორობით, ტფიღისი, 1882 წ., გვ. II—V.

<sup>5</sup> პ. უ-შვიღი, პღ. იოსელიანის წინაღაღება ქართული წიგნების ბეჭღვაზეღ. „ღროება“, 1869 წ., № 18.

<sup>6</sup> იქვე.

და 5. ბერძენოვთან (ბერძნიშვილთან) ერთად, იკისრა ამ საქმის შესრულება. „დროებასა“ და „მნათობში“ დაიბეჭდა მათი ერთობლივი წერილი — „ძველი წიგნების გამოცემაზე“, რომელშიც ნოკლედ იყო გადმოცემული ქართველ მწერალთა ნაწერების გამოცემაში არსებული უკიდურესი ჩამორჩენილობა და ამ ნაკლის გამოსწორების აუცილებელი საჭიროება<sup>7</sup>. იმავე ხანებში პ. უმიკაშვილმა რამდენიმე წერილი დაბეჭდა წიგნის გამოცემის პრაქტიკულ საკითხებზე<sup>8</sup>.

საგამომცემლო საქმიანობა საქართველოში სულ უფრო და უფრო შლიდა ფრთებს.

საკუთრივ ტექსტოლოგიური მუშაობა იწყება ავტორის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ხორციელდება მწერლის ნაწერების სიკვდილს შემდეგდროინდელი გამოცემა (ე. წ. editio princeps).

ახალი ქართული ლიტერატურის წარმომადგენლები, ერთეულების გარდა, თითქმის ყველა უშუალოდ იღებდა მონაწილეობას თავისი ნაწერების ბეჭდვაში. მათი ნაწერების გამოცემის ფართო პრაქტიკული საქმიანობა დაკავშირებული იყო „ქართველთა გამომცემელ ამხანაგობასთან“, რომელმაც დაიწყო ქართველი ავტორების თხზულებათა მასობრივი გამოქვეყნება<sup>9</sup>.

ედიციურ-ტექსტოლოგიური მუშაობა საქართველოში მე-18 საუკუნის 10-იან წლებში დაიწყო (ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა) და მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებამდე ძირითადად პრაქტიკული მიზნებით იფარგლებოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოს საგამომცემლო საქმიანობაში უმთავრესად გაბატონებული იყო მექანიკური ტექსტოლოგია, რომლისათვისაც მაშინ, როდესაც ზოგჯერ რამდენიმე ფურცელი სულ უბრალო ამბე-

7 ნ. ბერძენოვი, პ. უმიკაშვილისი, გ. წერეთელი, ძველი წიგნების გამოცემაზე, „დროება“ 1869, № 52.

8 ანჩისხატელი, წიგნების ბეჭდვა ქუთაისში, „დროება“, 1872, № 15: ა. უმიკაშვილი. ხალხში როგორ უნდა მოეფინოთ ქართული წიგნები, „დროება“, 1872, № 24.

9 მიუხედავად იმისა, რომ ახალი ქართული ლიტერატურის წარმომადგენლები ერთეულების გარდა, უშუალოდ მონაწილეობდნენ თავიანთი ნაწერების ბეჭდვაში (პრესაში თუ კრებულებად) მათი ნაწერების გამოცემის საქმე არ იყო მაინცა და მაინც სახარბიელო მდგომარეობაში. აკაკი წერეთლის დიდი პოპულარობის მიუხედავად სიცოცხლეში მისი ნაწერები მხოლოდ პატარა კრებულებისა და ცალკეული ბროშურების სახით გამოდიოდა. სასიქადულო მგოსანი სიცოცხლის მიწურულში გულისტვივით აღნიშნავდა: „...ყველაზე მეტი უბედურება ჩემ ნაწერებს ეწია. ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ორი პატარა ტომის მეტი არ გამოსულა. მაშინ, როდესაც ათეული მაინც უნდა გამოცემულიყო“ (იხ. ა. წერეთელი, ჩემი ნაწერები, 1912, წინასიტყვაობა). ასეთ მდგომარეობაში მარტო აკაკი არ ყოფილა.

დამახასიათებელი იყო ხელნაწერი წყაროს დასტამბვა ყოველგვარი წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარების გარეშე, მოცემული ტექსტის მექანიკური გადაბეჭვდა.

ცხოვრების წინსვლასთან ერთად თანდათანობით ისახებოდა ახალი, მეცნიერული მოთხოვნების შესაბამისი პრინციპები. ტექსტების გამომცემელნი აღარ სჯერდებიან ტექსტების უბრალო მოწოდებას, ისინი თავიანთ მუშაობას უქვემდებარებენ გარკვეულ ტექსტოლოგიურ ხერხებსა და მეთოდებს. აუცილებელი ხდება გაეცეს პასუხი კითხვებს: „თუ საიდან გადმოიბეჭდა ტექსტი“, „რა ცვლილება შეტანილი ავტორის მიერ ტექსტში“, ანგარიში ეწევა მწერლის ნებას („თუ ოდესმე დაჰბეჭდავთ ამ ეგზემპლარიდან უნდა დაბეჭდოთო“<sup>10</sup>, „დასაბეჭდად უნდა წარდგენილიყო ავტორის მიერ უკანასკნელად გადათვალეირებული და შესწორებული ტექსტი“<sup>11</sup>; ნაწარმოები „უშეცდომოდ და იმ სახით დაიბეჭდონ. როგორადაც იგი უკანასკნელად გამოვიდა ავტორის ხელიდან, მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულიად შეუმცდარად დედნისა უნდა დაიბეჭდოს.“<sup>12</sup>; მთელი სიგარძე სიჯანთდგება ატრიბუციის პრობლემა („ამ წიგნში შესული ლექსები უეჭველად ალექსანდრე ჭავჭავაძისაა“<sup>13</sup>, „საეჭვოა, რომ ლექსები გრ. ორბელიანს ეკუთვნოდეს“<sup>14</sup>, „ჩინარი“ ზედმიწევნით ვიცით, რომ ნ. ბარათაშვილის თქმულია“<sup>15</sup>); მკვიდრდება ნაწარმოების ქრონოლოგიური<sup>16</sup> და ქანობრივი განლაგების პრინციპი („ტომში შედის ლექსები“, „მეორე ტომში დაიბეჭდება მოთხრობები“<sup>17</sup>); დიდი ყურადღება ექცევა „მართლწერისა და დასასვენებელი ნიშნების“ (პუნქტუაცია და ორთოგრაფია) საკითხებს; ინერგება ე. წ. „ტექსტის რეკონსტრუქციის“ — აღდგენის მეთოდი (მაგ. პ. უმიკაშვილის მიერ გამოცემული „არსენას ლექსი“ და „ეთერანის“ გამოცემები); მრავალს აუცილებელ პირობად მიაჩნდა „ჩვენი თითოეული მწერლის თხზულებათა ერთად გამოცემის საჭიროება, რის გამოც ვამოცემის აუცილებელ ატრიბუტად მოითხოვდნენ მწერლის ბიოგრაფიას და მისი ნაწერების კრტიკულ განხილვას. გამომუშავდა საკმაოდ ჩამოყალიბებული შეხედუ-

<sup>10</sup> გრ. ორბელიანი, ლექსები, 1884, ბოლოსიტყვაობა.

<sup>11</sup> ვახ. ორბელიანი, ლექსები, 1894, წინასიტყვაობა.

<sup>12</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961, გვ. 118.

<sup>13</sup> ალ. ჭავჭავაძე, ლექსები, 1881, წინასიტყვაობა.

<sup>14</sup> „დროება“, 1884, № 49, გვ. 2 (პ. უმიკაშვილის რეცენზია).

<sup>16</sup> მაგ. გრ. ორბელიანის ლექსები, 1873 (პ. უმიკაშვილმა ამ გამოცემაში ქრონოლოგიურად დაალაგა ლექსები).

<sup>17</sup> იხ. ი. ჭავჭავაძის ტ. I—IV, 1892—3 წწ.

ლება გამოცემის ტიპზე<sup>18</sup>. ძირითად ტიპად პოპულარული გამოცემა იყო მიჩნეული. ყველა ეს საკითხი პრაქტიკულმა აუცილებლობამ დააყენა დღის წესრიგში, მათი თეორიული განზოგადება არავის უტედა.

80-იანი წლებიდან საქართველოში ტექსტოლოგიური მუშაობა თავისუფლდება მექანიკური თეორიის არტახებისაგან და როგორც წეცნიერება დგამს პირველ გაუბედავ ნაბიჯებს.

ძველი ქართული მწერლობის ნიმუშების პირველი გამომცემელი იყო პლატონ იოსელიანი, რომელმაც 1838 წელს გამოსცა ჩახრუხაძის და შავთელის სახოტბო ოდები<sup>19</sup>, 1851 წელს იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“<sup>20</sup>, 1852 წელს იონა მიტროპოლიტის „მიმოსვლა“<sup>21</sup> 1853 წელს ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობა“<sup>22</sup> და თეიმურაზ პირველის ცხოვრება (ეს უკანასკნელი წარმოადგენს არჩილის „თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასების“ ერთ მონაწილ ნაწილს)<sup>23</sup>.

პლატონ იოსელიანმა ყამირი გატეხა მე-19 საუკუნის ქართულ ტექსტოლოგიაში. მან მის მიერ ზემოდასახელებულ გამომცემულ ძეგლებს დაურთო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის შენიშვნები და სქოლიოები. იგი ცდილობდა, თუ ძეგლს რამდენიმე წყარო ჰქონდა, ძირითად ტექსტად უკეთესი აერჩია, ცდილობდა ეჩვენებინა ძეგლის ავტორს თუ სხვა რამ დაუწერია ან უთარგმნია, მაგრამ, როგორც აკად. კ. კეკელიძე შენიშნავს, პ. იოსელიანის „ცნობები ხშირად მცდარი და ყალბია, ავტორი უკრიტიკოდ ამეორებს იმ ლეგენდებსა და გარდმოცემათ ამა თუ იმ მწერლის შესახებ, რომლებიც ზეპირსიტყვაობით ცოცხლობდა თანაედროვე სამეცნიერო და სამწიგნობრო წრეებში, თხზულებათა და ხელნაწერთა განუხილველად; ამიტომ ამგვარი ცნობებით სარგებლობა... სახიფათო და შეუძლებელია“<sup>24</sup>.

18 ფხა (რ. ფანცხავა), პასუხის პასუხი, „კვალი“. 1895, № 48. გვ. 11—13

19 „თამარ მეფისა და მეუღლის მისია დავითის შესხმა, თქმული ლექსად ჩახრუხაძისაგან, წელსა ქრისტეთი 1187, აღბეკდილი პლატონ იოსელიანისაგან ქალაქსა ტფილისს, 1838 წ: ნოემბრის რვასა“ და „თამარ მეფასი და მეუღლის მისია დავითის შესხმა შავთელისაგან, ტფილისი, 1838 წ., აგვისტოს 24“.

20 „დიდმოურავიანი. თქმული სააკაძის ძის იოსებ თფილელისაგან.. ტფილისი, 1851“.

21 „მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა მიტროპოლიტისა“, 1852.

22 „წყობილ-სიტყვაობა ქმნილი ანტონისაგან პირუელისა კათალიკოს პატრიარხისა ყოვლისა საქართველოსა. აღწერილი ლექსად არჩილისაგან“, ტფილისი, 1853.

23 „ცხოვრება მეფისა თეიმურაზ პირველისა. აღწერილი ლექსად არჩილისაგან, ტფილისი, 1853“.

24 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, 1952, გვ. 17

მე-19 საუკუნის ქართველ ტექსტოლოგთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს და ე ი ო ჩ ხ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ს . მან გამოსცა: „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილი, ვეფხისტყაოსანი, „ქართული ქრესტომათია“ (სანკტპეტერბურგ. 1846 წ. ნაწ. I, პროზა, ნაწ. II პოეზია) და სულხან საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ (1859 წ.)<sup>25</sup>. დ. ჩუბინაშვილის „ქრესტომათიამ“: „მტკიცე საფუძველი დაუდო ძველი მწერლობის ძეგლთა მეცნიერულ შესწავლას, რამდენადაც ნაწილობრივ მაინც, ხელმისაწვდომი გახდა ისინი დაინტერესებულ პირთათვის“<sup>26</sup>.

დ. ჩუბინაშვილი იმ კომისიის ერთ-ერთი წევრი იყო, რომელიც ამზადებდა ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემას. ამ კომისიაში შედიოდნენ აგრეთვე მ. ბროსე და ზ. ფალავანდიშვილი. პოემის ტექსტის დამზადება-გამოცემაში მონაწილეობას იღებდნენ თ. ბაგრატიონი და გ. ავალიშვილი.

კომისიამ შეიმუშავა გამოცემის გეგმა ანუ „პროღრამა“, სადაც ახსნილია მიზეზი პოემის ხელახალი გამოცემისა, რა დაედებოდა საფუძვლად მეორე გამოცემას და ა. შ. კომისიას ხელთ ჰქონდა პოემის ვახტანგისეული გამოცემა და ვრცელი ტიპის რამდენიმე ხელნაწერი. ყველა წყარო შეუდარებიათ ერთმანეთისათვის და პოემის პირველი გამოცემისათვის დაუმატებიათ 50 სტროფი. მთელი თავისი საქმიანობით კომისიის მუშაობა სცილდება მექანიკური ტექსტოლოგიის ფარგლებს; მის მუშაობაში ნათლად ჩანს კრიტიკული დამოკიდებულება წყაროებისადმი. ამ კომისიის საქმიანობით ჩვენ მე-19 საუკუნეში საქმე გვაქვს ქართული მეცნიერული ტექსტოლოგიის პირველ ნაბაჯებთან (აქვე შევნიშნავთ, რომ ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს შ. რუსთაველის პოემის 1888 წლის გამოცემის დროს. ამ გამოცემის

---

<sup>25</sup> „სიბრძნე სიცრუისა“ მეორედ თბილისში გამოსცა პეტრე უმიკაშვილმა 1871 წ., რომელმაც დ. ჩუბინაშვილისაგან განსხვავებით გამოცემას დაურთო წინასიტყვაობა, სადაც დახასიათებულია სულხან-საბა ორბელიანის ნაწერები, განსაკუთრებით „სიბრძნე სიცრუის“ მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. პ. უმიკაშვილს გარკვეული მუშაობა ჩუტარებია ტექსტის დასადგენად. მან აღადგინა დ. ჩუბინაშვილის გამოცემის კუპირები, ხელნაწერების მიხედვით გაასწორა ბუნდოვანი ადგილები და სხვა.

<sup>26</sup> 1892 წელს „სიბრძნე სიცრუისა“ მესამედ გამოსცა ნ. მთვარელიშვილმა. რომელსაც შეუფაროვებია და შეუდარებია ნაბეჭდი გამოცემები სხვა ხელნაწერებთან, ნაწარმოებთა არაკებად დაუწაწილებია და მათთვის შესაფერი სათაური მიუცია. მან გამოცემას დაურთო ძნელად გასაგები სიტყვების ლექსიკონი. ნ. მთვარელიშვილის გამოცემა პირველი ცდაა ამ ძეგლის მეცნიერულ-პოპულარული გამოცემისა ქართულ ენაზე.

<sup>26</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ტ. I, 1951, გვ. 17.

ტექსტის დამდგენმა კომისიამ მუშაობა დაიწყო 1881 წლის თებერვალში, მისი მუშაობის ანგარიშებიდან ჩანს, რომ კომისიის წევრები დიდი გულისყურით ეკიდებოდნენ პოემის ყოველ სიტყვას, სტრიქონს, სტროფს, ყალბ ადგილებს, მართლწერასა და პუნქტუაციას<sup>27</sup>.

დ. ჩუბინაშვილმა 1857 წლიდან დაიწყო სამზადისი თავისი ქრესტომათიის მეორე გამოცემისათვის, ქრესტომათიის მეორე ნაწილში მან მხოლოდ ვეფხისტყაოსანი და რუსთაველის სახელით ცნობილი ლექსები დაბეჭდა. პოეტის ტექსტი დ. ჩუბინაშვილს ახლად დაუმუშავებია, 1841 წლის გამოცემაში დამატებული 50 სტროფიდან ქრესტომათიის მეორე ნაწილში შემავალ პოემის ტექსტში მას მხოლოდ ექვსი სტროფი დაუტოვებია, ტექსტი გაუსწორებია და ბოლოს დაურთავს ვრცელი ლექსიკონი. დ. ჩუბინაშვილისეული პოემის ეს გამოცემა „სხვებთან შედარებით, უფრო კარგია, როგორც მოცულობით ისე ტექნიკური გაფორმებით. ამიტომ მომდევნო გამოცემებს ერთხანს ძირითადად ეს ტექსტი დაედო საფუძვლად“<sup>28</sup>.

მე-19 საუკუნის ქართველ ტექსტოლოგთა შორის განსაკუთრებული ადგილი უნდა მიეკუთვნოს პეტრე უმიკაშვილს, რომლის მთავარი დამსახურება «закljučается в том, что он был неутомимым собирателем памятников грузинской старины. Им собраны и изучены грузинския пословицы, проредактированы первые издания сборников известных грузинских поэтов... Им же было потрачено много труда над некоторыми другими изданиями, выпущенными Обществом распространения грамотности среди грузин»<sup>29</sup>.

პ. უმიკაშვილი თვითონ ავროვებდა ხელნაწერებს, ერთმანეთთან ადარებდა მათ, არჩევდა სრულ, საიმედო ტექსტს, ურთავდა ბიოგრაფიებსა და შენიშვნებს. მან, „სიბრძნე სიცრუის“ გარდა გამოსცა: დ. გურამიშვილის „დავითიანი“ 1870 (ნ. ბერძენოვთან და გ. წერეთელთან ერთად) პირველი გამოცემა შეიცავდა „დავითიანის“ 43 თავს, მეორე წარმოადგენდა სრულ ტექსტს. გამოცემა დაიბეჭდა ავტორის მართლწერის დაცვით, მცირეოდენ შეცდომათა გასწორებით. გამოცემელს გასწორებული აქვს ავტორისეული ლაფსუსები (დ. გურამიშვილს თავისებურად გადაუკეთებია „ფრიდრიხ ჰაფენი“ — „ფინდრიღანის“, „შვეტის“ უნდა იყოს „შვედი“, „ბრუსიის“ — „პრუსიის“ და სხვ.). „ივერია“ ამ გამოცემის გამო წერდა: „თუ ყველა შესანიშნ-

27 „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდურ გამოცემათა შესახებ დაწერილებით იხ. სოლომონ უზნაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, „მეცნიერება“, 1966.

28 იქვე, გვ. 68.

29 Г. М. Туманов, Характеристики и воспоминания, кн. II, Тифлис, 1908, стр. 123—124.



ნავი ძველი ქართული თხზულება დაიბეჭდა ასე კეთილსინდისიერად, იმედი უნდა ვიქონიოთ, ძველი დროის შესწავლა გაადვილდება და იქნება აღმოჩნდეს იმისთანა პირიც, რომელიც გაჰბედავს ამ ახალ გზაზე დადგომას<sup>30</sup>.

1873 წელს პ. უმიკაშვილმა გამოსცა გრ. ორბელიანის ლექსები. სადაც პირველად ქართულ სინამდვილეში გამოცემულმა გამოიყენა ნაწარმოების ქრონოლოგიური განლაგების პრინციპი; 1876 წელს პ. უმიკაშვილმა გამოსცა ნ. ბარათაშვილისა და ზ. ანტონოვის ნაწერები („ახალგაზრდა გამომცემელთა ამხანაგობის“ წევრებთან ერთად); 1881 წელს — ალ. ჭავჭავაძის ლექსები, 1894 წელს — ვახტანგ ორბელიანის ლექსები.

1886 წელს პ. უმიკაშვილმა გამოაქვეყნა ვახტანგ მეექვსის „დასტურლამალი“. გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისათვის ეს იყო აკადემიური გამოცემა, რადგანაც წიგნს დართული ჰქონდა ძირითადი ტექსტის ვარიანტები, საძიებელი, ლექსიკონი და კომენტარები. ეს ძველი მეორედ აღარ დაბეჭდილა და დაინტერესებული პირები დღესაც მით სარგებლობენ.

პ. უმიკაშვილის წიგნის „სიკეთის სიმრავლის“ მომხრე იყო. იგი წერდა: „უკეთესი იქნება ერთი წიგნი მომზადდეს კარგად, დიდხანს. ვიდრე ორმოცი და ხელდახელ მომზადებული და უფარგისი“<sup>31</sup>. ეს არ იყო ლიტონი ფრაზა. გამოსაცემი ტექსტების დასაბეჭდად მომზადებაში პ. უმიკაშვილი იჩენდა სამაგალითო კეთილსინდისიერებასა და გულმოდგინებას. გამოცემული წიგნების უმრავლესობას საკუთარ წინასიტყვაობებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კომენტარებსა და ლექსიკონებს ურთავდა. პ. უმიკაშვილი თანამედროვეთა მიერ იყო დიდად დაფასებული. ნ. ნიკოლაძე მის შესახებ 1873 წელს წერდა: „ეს ჩვენი ახალგაზრდა (საუბარია პ. უმიკაშვილზე — ი. ლ.) დიდი ხანია. რაც ნელ-ნელა, აუჩქერებლად და მოუსვენრად სჩხრეკს... ხელნაწერებს, აგროვებს სახალხო ლექსებს და ანდაზებს, ჰკრეფს ძველ წიგნებს და გამოცემებს და ზოგჯერ კი ბეჭდავს შესანიშნავ თხზულებებს. მისი მხრით ეს მით უფრო მოსაწონი და საქები საქმეა, რომ ამნაირ შრომას მეტი სიმეტი თავდავიწყება სჭირია... უფ. პ. უმიკაშვილი გულითადი მად-

30 ეურნ. „ივერია“, 1881, № 4, გვ. 148—156.

31 პ.-უ., ქართული მწიგნობრობა, „ივერია“, 1883, № 7—8. გვ. 156.

ლობის ღირსია ჩვენი მწერლობის და მკითხველი საზოგადოების  
მხრითა<sup>32</sup>.

1884 წელს თბილისში დაიბეჭდა „ვისრამიანის“ პირველი გამო-  
ცემა. წიგნის რედაქტორებად აღნიშნული არიან: ილია ჭავჭავაძე, ალ.  
სარაჯიშვილი და პ. უმიკაშვილი.

„ვისრამიანის“ დასახელებული გამოცემა თავის დროისათვის სა-  
ნიმუშოდ არის შესრულებული. მის ფაქტიურ რედაქტორს პ. უმიკა-  
შვილს დიდი შრომა ჩაუტარებია ტექსტის რიგიანად გამოცემისათვის.  
მართალია, ტექსტში დაშვებულია შეცდომები, გასწორებული არა,  
მთელი რიგი ადგილები, რომლებიც ხელნაწერში დამახინჯებულად არ-  
ის მოცემული, მაგრამ, როგორც ამას „ვისრამიანის“ მეორე გამოცემ-  
ლები აღნიშნავენ, „ამგვარი შეცდომების თავიდან აცილება არც იყო  
იმ დროს შესაძლებელი, რადგან წიგნი ჯერ კიდევ იმ დროს გამოიცა,  
როცა ძველი ქართულის შესწავლის საქმე ახლად იწყებოდა“<sup>33</sup>.

ტექსტოლოგიური მუშაობის ერთგვარ მიღწევად უნდა ჩაითვა-  
ლოს 1886 წელს თბილისში გამოცემული „ქილილა და დამანა“ (რე-  
დაქტორი ილია ჭყრნია). გამოცემა დაფუძნებულია 4 ხელნაწერის  
კრიტიკულ შესწავლაზე. რედაქტორი შესავალ წერილში ახასიათებს  
მის ხელთ არსებულ ხელნაწერებს (ზოგი ნაკლებად ყოფილა). ტექ-  
სტი დაუბეჭდავთ ვაჩნაძისეულ ხელნაწერის მიხედვით „განსხვავებუ-  
ლი თავები, — წერს ი. ჭყონია, — დანარჩენ ხელნაწერებიდან სხო-  
ლიობად შევიტანეთ. ზოგ მათგანს აუცილებლად საჭირო განმარტე-  
ბა დავსძინეთ“, ტექსტს დართული აქვს ლექსიკონი.

1895 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ექვსი ხელნაწერის მიხედვით  
გამოსცა „სიბრძნე ბალავარისი“ (დაწერილებით იხ. აქვე გვ. 85 — 86).

მე-19 საუკუნეში დაიწყო სამოქალაქო საისტორიო ძეგლების გამო-  
ცემაც, რომელიც ივ. ჯავახიშვილის აზრით „შედარებით უკეთეს  
მდგომარეობაში“ იყო ვიდრე ძველი ქართული მწერლობის ძეგლების

32 ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 3, 1963, გვ. 261.

3. უმიკაშვილმა დაბეჭდა ათობით „სახალხო წიგნი“ ე. წ. „შაურიანი“, იაფფა-  
ციანი წიგნი, რომელმაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ფართო გავრცელება  
პოვა. ასეთი გამოცემის მიზანი იყო მხატვრული ლიტერატურის პოპულარიზაცია  
ამ სერიით მრავალი ნაწარმოები გამოიცა (ძველი მწერლობა და ხალხური შემოქმე-  
დება). ამ გამოცემებში საყურადღებოა ტექსტის თავისებური დამუშავების ცდები.

3. უმიკაშვილის დამსახურებას მიეწერება მისი ინიციატივით, თბილისში 1875  
წელს, ჩამოყალიბებული „ახალგაზრდა გამოცემელთა ამხანაგობა“ (სმ. Г. Туманов,  
„Характеристики и воспоминания“, к. I изд. 2, 1913. стр. 151; к. 3, 1905.  
стр. 125).

33 ვისრამიანი, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით  
და შესავალი წერილით, 1938, გვ. III.

გამოცემის საქმე. მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, ალ. ცაგარელის, თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილის, ალ. ხახანაშვილის, ე. თაყაიშვილის მნიშვნელოვანმა შრომებმა დიდი ამაგი დასდეს ქართულ საისტორიო მწერლობას. განსაკუთრებით ე. თაყაიშვილმა, რომელსაც თავისი გამოცემებით „თანამედროვე ქართულ საისტორიო მწერლობას დიდი საჩისახური გაუწია და ყოველ მკითხველს და მკვლევარს საშუალება მისცა ქართული საისტორიო წყაროების შესწავლას შესდგომოდა“<sup>34</sup>.

ყურადღებას იპყრობს 1867 წ. გ. ერისთავის თხზულებათა ორ წიგნად დაბეჭდვა (გამომცემელი ალ. ერისთავი). ამ გამოცემის მიზანი იყო მოეცა გ. ერისთავის თხზულებათა სრული „კრება“, მაგრამ ეს განზრახვა განუხორციელებელი აღმოჩნდა. გამოცემაში შეტანილი არ იყო გ. ერისთავის პოემა „ოსური მოთხრობა“, რომელიც პირველად სოლ. დოდაშვილის ქურნალში დაიბეჭდა 1832 წელს<sup>35</sup> და მწერლის სიყრმის დროინდელი ნაწერები, აგრეთვე კომედია „დავა“, რის შესახებაც გაზ. „დროება“ იუწყებოდა: „გამომცემელს ჭერ კიდევ ვერ უშოვნია გ. ერისთავის კომედია „დავა“ და ძალიან საჭირო კი არის, რომ ეს კომედია დაიბეჭდოს. ვინც „დავას“ მოუტანს გამომცემელს, ის ჯილდოდ მიიღებს ერთ თუმან ფულს და ათს ეგზემპლიარს ერისთავის თხზულებას“<sup>36</sup>.

გ. ერისთავის თხზულებანი უფრო სრულყოფილად 1884 წ. დაიბეჭდა.

ჩანს ეს გამოცემა დიდხანს მზადდებოდა (ცენზურის ნებართვა გაცემულია 1883 წლის 22 ოქტომბერს). გამოცემას რედაქტორობდა დავით ერისთავი. თხზულებათა კრებულში მოთავსებულია აქაკი წერეთლის წერილი, სადაც დიდი პოეტი მაღალ შეფასებას აძლევს გიორგი ერისთავის ღვაწლს ქართული კულტურის ისტორიაში<sup>37</sup>. შემდეგ დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიული ნარკვევი „თ. გიორგი დავითის ძე ერისთავის (1811—1864)“. პირველ ნაწილში წარმოდგენილია ლექსები, მეორეში დრამატული თხზულებანი, აქვს სარჩევი და შეცდომათა გასწორება.

ამ გამოცემაში პირველად დაიბეჭდა გ. ერისთავის ლექსები: „წიგნი მიწერილი მეგობართან“, „მე შენ არ მეტრფი“, „ერთი კაცი წავა სნეული“, „ვისთვის ვთქვა ლექსი“, „ჩემს ძმას ი...“, „უცხო ქვეყნის

34 ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა..., თბილისი, 1945, გვ. 27.

35 სალიტერატურო ნაწილში ტფილისის უწყებათანი, 1832, №№ 2, 3, 4.

36 „დროება“, 1867, № 22.

37 აქაკი წერეთლის ეს წერილი შეტანილი არ არის მის თხზულებათა დღემდე გამოცემულ ტომებში.

კაცს“ და კომედია „თევზის კანტორა“. გამომცემელმა 1867 წლის გამოცემაში დაშვებული ზოგიერთი შეცდომა გაასწორა, მაგრამ ძირითადად მაინც ამ გამოცემას დაეყრდნო.

გამოცემა განხორციელდა გ. ერისთავის ვაჟის დავითის ზედამხედველობით. ბ. ესაძემ ამ გამოცემას „Изящное издание-ს უწოდებს<sup>38</sup>. „დროება“ თავის რეცენზიაში აღნიშნავდა: „ამ მოკლე ხანში დიდი განძი შეიძინა ჩვენმა ღარიბმა ლიტერატურამ. ეს განძი თ. გ. ერისთავის ლექსთა და დრამატულ თხზულებათა კრებაა, რომელიც განსვენებულის „მემკვიდრე პოეტმა“ დავით ერისთავმა გამოსცა წარსულ მთავის თვეში. წიგნის გარეგანი მხარე თვალსა სკრის კაცს და იზიდავს მკითხველს: იყიდე, წიგნით სახლი დაიმშვენეო. არც ერთ ევროპულს საუკეთესო გამოცემებს არ ჩამოუვარდება გარეგანი სიმშვენიერით. გამომცემელს თითქოს განზრახ შეუმკია წიგნი, რომ ჩვენი საზოგადოება... მიეზიდნა და შიგ გახვეული აზრი და იდეა შეეცნო. ჩვენ კი უფრო საინტერესოდ წიგნის შინაგანი მხარე და შინაარსი ჩიგვანია. ჩვენს ლიტერატურას ამგვარად გამოცემული წიგნი არ მოლანდებია და ამიტომაც დიდი სიამოვნებით ვეგებებით... ცხადია, ჩვენი საზოგადოება დიდი სიამოვნებით დაეწაფება მას“<sup>39</sup>.

1895 წელს ე. თაყაიშვილისა და დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით გამოიცა ნ. ბარათაშვილის ნაწერების, რიგით მეხუთე, გამოცემა, რომელიც დიდი პოეტის თხზულებათა პირველი მეცნიერული გამოცემა იყო (დაწერილებით იხ. აქვე გვ. 86 — 88)<sup>40</sup>.

ქართულ ტექსტოლოგიას დიდი ამაგი დასდეს ილია ჭავჭავაძემ, გ. წერეთელმა და სხვა სამოციანელებმა, რომელთა ღვაწლს სპეციალური წერილები ეძღვნება.

როგორ გამოიყურებიან მე-19 საუკუნის გამოცემები? შეგვიძლია თუ არა ამ პერიოდში გამოცემული ტექსტები მივიჩნიოთ კრიტიკულ

<sup>38</sup> Летопись Грузии, вып. I стр. 357.

<sup>39</sup> „დროება“. 1886, № 126, 127.

<sup>40</sup> ბარათაშვილოლოგიის ტექსტოლოგიაში, როგორც ფაქტი, უნდა აღინიშნოს შემდეგი: 1891 წელს გ. არეშიძემ ზ. კვიციანიძეს გასაცნობად ათხოვა ნ. ბარათაშვილის მიერ 1841 წელს მაიკო ორბელიანისათვის გადაწერილი ხელნაწერი (შემდეგში ვ. გუნიასეულ ვარიანტად ცნობილი, S—2701). ზ. კვიციანიძემ დაწერილებით აღწერს ის განსხვავებანი, რაც მან შეამჩია ხელნაწერსა და დაბეჭდილი ლექსების ტექსტებს შორის, „იენ იცის,—კითხოლობდა ზ. კვიციანიძე წერილში,—ეჭვნება ბარათაშვილის ლექსებმა ჩვენამდე ისე მოაღწია, რომ შიგ სხვადასხვათა მიერ გადაწერის დროს რაიმე ცვლილებები და შეცდომაც მოხდა? ისიც შესაძლებელია, რომ ეს რვეული ბარათაშვილის პირველი რვეული იყოს და შემდეგ კი ეს ლექსები თვით განსვენებულ პოეტს შეესწორებინოს“ (იხ. ზ. კვიციანიძე, ბარათაშვილის ლექსების რვეული „ივერია“, 1891, №№ 79, 80).

გამოცემებად? ამისათვის ჯერ საჭიროა გაირკვეს როგორი უნდა იყოს კრიტიკული გამოცემა. კრიტიკული ან მეცნიერული ის გამოცემა, რომელიც ისტორიულ-ლიტერატურული სახით იძლევა ნაწარმოების სწორ გაგებას, ხოლო ლინგვისტური თვალსაზრისით ავტორის ეპოქაში გაბატონებული ენობრივი ნორმების მიხედვით დადგენილ ტექსტს. შეეძლოთ თუ არა წარსული საუკუნის რედაქტორ-გამომცემლებს დაეკმაყოფილებინათ ეს პირობები თავიანთ გამოცემაში? რა თქმა უნდა არა, რადგანაც მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა ენის ისტორიული გრამატიკა, ჯეროვან სიმალლეზე ვერ იდგა ისტორიულ-ლიტერატურული ცოდნის დონეც, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ გამოცემებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ.

დიდი ილიას თქმისა არ იყოს „სახელი და დიდება მე-19 საუკუნისა ის არის, რომ უხვი მოსავალი მოგვცა“<sup>41</sup>. ეს სიუხვე ტექსტოლოგიურ მუშაობასაც ჭარბად ემჩნევა.

---

41 ი. ჭ ა ე ჭ ა ე ა ძ ე, თხზულებანი. ტ. V, 1955, გვ. 7.

ერის მწერლობის კურსის ჩამოყალიბება შეუძლებელია ფართოდ გაშლილი ტექსტოლოგიურ მუშაობის გარეშე. ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა გამოცემა-შესწავლამ საშუალება მისცა პროფესორ ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ - ე ი ლ ს წარსულ საუკუნის დამლევისათვის დაეწერა და გამოეცა ოთხტომიანი ნაშრომი — «Очерки по истории грузинской словестности».

## რედაქტორ-გამომცემლები

რუსულან კუსრაშვილი

### იოსებ გრიშაშვილი

გამოჩენილი ქართველი პოეტის იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა მართო მისი პოეტური შემოქმედებით არ ამოიწურება. იგი აფასებდა და პატივს სცემდა სხვის ნიქს, სხვის ტალანტს და მთელი მონდომებით, ენერჯის დაუზოგავად იღწვოდა მათი არდავიწყებისათვის. ი. გრიშაშვილი დიდი მოქალაქე და საზოგადო მოღვაწე იყო. ასე შეუძლია დაახასიათოს ჩვენი პოეტი არა მხოლოდ იმას, ვინც უშუალოდ იცნობდა მის პიროვნებასა და საქმიანობას, ასე ახასიათებს მას თითოეული მისი ნაშრომი, გამოკვლევა თუ გამოცემა, რომლებიც ესოდენ დიდი ერუდიციით, საქმის ცოდნითა და სიყვარულით არის შესრულებული. ი. გრიშაშვილმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართველ პოეტთა ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოცემებს. რომლებიც მუდამ გამოირჩეოდნენ და იგამოირჩევიან გამომცემლის ორიგინალური სტილითა და საინტერესო მეცნიერული დაკვირვებებით. მისი წყალობით ბევრმა მივიწყებულმა მწერალმა დაიმკვიდრა სამუდამო სავანე როგორც მხატვრული ლიტერატურის სავანძურში. ისე მკითხველთა გულებში. მან ნათელი მოჰფინა საქართველოს, კერძოდ თბილისის ლიტერატურულ და თეატრალურ წარსულს. რაც შეეხება ხალხთა შორის ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის შესწავლას, ი. გრიშაშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ამ მეტად საინტერესო პრობლემების გადაჭრაში.

პოეტი, მეცნიერი-მკვლევარი, დიდი მწიგნობარი, ბიბლიოგრაფი. ტექსტოლოგი-გამომცემელი, მთარგმნელი — ასე იცნობს ი. გრიშაშვილს მთელი ქართველი საზოგადოება. ამიტომ ბუნებრივია, სხვა საკითხებს შორის ინტერესმოკლებული არ იქნება ი. გრიშაშვილის რედაქტორულ-გამომცემლობითი მოღვაწეობის შესწავლა.

\* \*

იმ საქმის სიყვარულმა, რომ არ დაკარგულიყო ბევრი კარგი მწერალი, მივიწყებული ძვირფასი ლიტერატურული ქმნილებები, რომ

მათი ავტორები სამუდამოდ გაცოცხლებულიყვნენ ქართველთა გულ-  
ებში და ლიტერატურის ისტორიაში თავისი ადგილი დაეკავებინათ,  
ი. გრიშაშვილი გამომცემლობით საქმიანობამდე მიიყვანა. პირველ-  
ყოვლისა ეს იყო მიზანი, როცა მან საიათნოვას გამოცემა განიზრახა.

საიათნოვა, როგორც პოეტი, წლების განმავლობაში დავიწყებას  
მისცემოდა. პოეტ-აშულის ხელნაწერ დავთარში აზერბაიჯანული ლექ-  
სები სომხური ასოებით დაუწერია ავტორს, სომხური ლექსები — ქარ-  
თული ასოებით. ქართული ლექსები კი დავთარში არ აღმოჩნდა. აღ-  
ბათ ეს იყო მისი ქართული ლექსების გაფანტვისა და დაკარგვის ერთ-  
ერთი და, შეიძლება ითქვას, ერთადერთი მიზეზი. საიათნოვას ქართუ-  
ლი ლექსები თითქმის აღარავის ახსოვდა. ხოლო თუ ამ ლექსებს  
მღეროდნენ, მეტ შემთხვევაში ავტორი უცნობი რჩებოდა. თვითონ  
აშული კი თავის თავს ქართული ლექსების დამწერად და საქართვე-  
ლოში ლექსის ახალი ფორმის — „მუხამბაზის“ შემომტანად თვლიდა:  
„მე ვიცოდი ჩანგური კარგად და ამასთან სპარსულ ხმაზე გავაკეთე  
ქართული ლექსები, ჯერ არ იყო შემოღებული და, როდესაც მეფემან  
ირაკლი ინება მეჭლისი და მოგვიყვანეს მოსაყარავენი, მაშინ მე სპარ-  
სულის<sup>1</sup> ხმით ქართულად ვიმღერე. ბატონს დიდად ეამა და ხალათიც  
მიბოძა და მერე სხვათაც მრავალთა თქვეს და მომბაძესო“ — უთქვამს  
საიათნოვას<sup>1</sup>.

ი. გრიშაშვილი ბავშვობიდანვე დაინტერესებულა ამ პოეტით.  
იგი შეყვარებული ყოფილა მის სიმღერებზე, რომლებიც მუდამ ხიბ-  
ლავდა ჭაბუკის სმენას. ამან კი მას საიათნოვას ქართული ლექსების  
მოძებნის სურვილი აღუძრა.

„მე. თბილისზე შეყვარებულ პოეტს, საიათნოვას სიმღერები ბალ-  
ლობიდანვე მიზიდავდა. ყრმას მომხვდა მისი დიდი ნიჭის ეშხიანი ნაპერ  
წყალი და მგოსნის აღმოუჩენელ ქართულ ლექსებს გაფაციცებით  
დავეძებდი ყველგან — არქივებსა თუ მომღერლებს შორის“ — იგო-  
ნებს ი. გრიშაშვილი<sup>2</sup>.

1914 წელს თბილისში საიათნოვას ძეგლის კურთხევის დროს ჯერ  
სრულიად ახალგაზრდა, 24 წლის პოეტმა ითავა ამ მეტად რთული სა-  
ქმის მოგვარება — შეეკრიბა საიათნოვას ქართული ლექსები და გამო-  
ექვეყნებინა კრებულის სახით.

<sup>1</sup> „კალმასობა“, 1936, გვ. 227.

<sup>2</sup> იხ. მისი „ლიტერატურული ნარკვევები“, ტ. IV, 1964, გვ. 256.

„ვიდიქრე, — მოგვითხრობს ი. გრიშაშვილი, — თუნდაც საიათნოვას ლექსებს თავისთავად დიდი ღირებულება არა ჰქონდეს, ის მაინც ქართველთა სამეფოს კარის მგოსანი იყო და გარდა ამისა საიათნოვა ერთგვარ საბაბსაც მომცემს, რომ გზადაგზა ტფილელ ყარაჩოღელებსაც გაკვირთ შევეხო, რომელთა შესახებაც დღემდე არაფერი დაწერილა, როგორც ისტორიულ, ისე ეთნოგრაფიის მხრივ-მეთქი და გადავწყვიტე რომ საიათნოვა, — ეს სომხებისათვის სათაყვანებელი პიროვნება, ქართველებისათვის საინტერესო გამეხადა. აი, ასე დამებადა ანრი საიათნოვას შესწავლისა იმ მიზნით, რომ ძველი ქართული სიტყვიერების ერთი ამოღრმავებული ადგილი წყალგემრიელი ნაკადით ამოვსებულყო“<sup>3</sup>.

ი. გრიშაშვილმა მთელი გულმოდგინებით მოკიდა ხელი ამ საქმეს და 1918 წელს შკითხველ საზოგადოებას წარუდგინა არა მარტო საიათნოვას ქართული ლექსების კრებული, არამედ მთელი გამოკვლევა საიათნოვაზე, როგორც აშულ-პოეტზე, მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მონოგრაფია „საიათნოვა“ ი. გრიშაშვილის პირველი მეცნიერული ნაშრომია, რომელმაც გზა გაუხსნა დიდი აშულის ლიტერატურული მემკვიდრეობით დაინტერესებულ პირებს მისი უფრო ღრმად შესწავლისა და მეცნიერული კვლევისაგან.

საბჭოთა ხალხებმა შეიყვარეს საიათნოვა. მასთან ერთად დააფასეს მისი მკვლევარი და ამაგდარი ი. გრიშაშვილიც. 1945 წელს, საიათნოვას გარდაცვალებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით ი. გრიშაშვილს, როგორც საიათნოვას პირველ მკვლევარს, საბჭოთა სომხეთის მთავრობამ მიანიჭა სომხეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1918 წლისათვის ი. გრიშაშვილს შეუტკრებია საიათნოვას სულ 28 ლექსი<sup>4</sup>. ისინი პოეტმა იპოვა, როგორც თვითონ აღნიშნავს, სხვადასხვა ხელნაწერებში, დაბეჭდილ თუ დაუბეჭდავ სახელმძღვანელოებში. ამასთან სამი ლექსი გადმოწერილია ი. ჰავჭავაძის „ივერიიდან“ (1877 წ. №28, 30), ათი გადმოწერილია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდიდან. 15

3 ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, საიათნოვა, 1918, გვ. 7.

4 ლ. მელიქსეთ-ბეგი, საიათნოვას, ქართული ლექსების რიცხვს 30-მდე ასახელებდა (იხ. „საიათნოვა“, 1935 წ. სომხური ლექსების თარგმანი). თვითონ ი. გრიშაშვილმაც ჭერ კიდევ 1924 წ. აღმოაჩინა მანამდე უცნობი ორი ლექსიც -- „სამოთხიდან გამოსული“ და „ჩემსა ვარდსა და ესენი“. 1963 წელს გამოცემულ საიათნოვას ლექსთა კრებულში 35 ლექსია შეტანილი.



ლექსი კი ი. გრიშაშვილის თხოვნით ნიკო მარმა გადმოუგზავნა მას პეტროგრაძის სააზიო მუზეუმის ხელნაწერების ფონდიდან.

არცერთი ხელნაწერი ავტოგრაფი არ არის. აქედან ცხადია, თუ რა სიძნელეებს წააწყდებოდა გამომცემელი ტექსტების შერჩევისა და დადგენის დროს.

ლექსები ძალიან ყოფილა დამახინჯებული გადმომწერთა მიერ. ვადაწერის დროს ისინი ტექსტში უშვებდნენ მრავალ შეცდომას: ზოგან სტრიქონებს ურევდნენ, ზოგან მთელ სტრიქონებს ტოვებდნენ: ზოგი კი თვითონ აბოლოებდა ლექსს და ა. შ. ზოგი გადამწერი შედარებით კეთილსინდისიერად მოქცეულა და თუ ლექსის ნაწილი არ ახსოვდა, იქვე მიუწერია: „ვერ დავიხსოვე დანაშთომი“, „ბოლო ხანა ცოტა აკლია. ვინც იცოდეთ, შეასრულეთ“.

ტექსტები განსაკუთრებით დაუმახინჯებია საიათნოვას შეილს ივან სეიდოვს, რომელსაც ზეპირად სცოდნია მამის ლექსები და თეიმურაზ ბატონიშვილის თხოვნით 1823 წ. 23 მარტს თავისი ზეპირი ცოდნა ქალაღზე გადმოუტანია. სწორედ მისი ხელნაწერები გადმოუგზავნია ნ. მარს პეტერბურგიდან ი. გრიშაშვილისათვის. ხელნაწერებში ისეთი ქაოსი ყოფილა, რომ ი. გრიშაშვილს რის ვაი-ვაგლახით ამოურჩევია 15 ლექსი (სამწუხაროდ, გამომცემელი არ ასახელებს ამ ლექსებს). ადვილი გასაგებია, რაოდენ დიდი შრომა დასჭირდებოდა მას, ეს „დაბდაბულა“ ლექსები, როგორც თვითონ უწოდებს, რომ წესრიგში მოეყვანა და მკითხველისათვის შეძლებისდაგვარად გამართული ტექსტი მიეწოდებინა. ურთხანს კიდევ გადაუწყვეტია ი. გრიშაშვილს თვითონ ჩარეულიყო და გაემართა, „გაერემონტებინა“ ტექსტები, მაგრამ მეცნაერულმა სიფრთხილემ დასძლია და ამჯობინა მისთვის გაუგებრად დაწერილი ლექსები არ შეეტანა კრებულში. „გამახსენდა დავით რექტორის სიტყვები: როგორც უთქვამს, ისრე არის გადაწერილი, გამართვა უმართებულოაო — და მეც უმჯობესად ვცანი ეს დამახინჯებულ ლექსები სულ არ შემეტანა“, — აღნიშნავს იგი.

რა პრინციპით ხელმძღვანელობდა ი. გრიშაშვილი, როცა საიათნოვას ლექსებს ეძებდა და კრებდა?

საბედნიეროდ, საიათნოვა თავის ლექსებში თავის გვარს და სახელს ჩაურთავდა ზოლმე. ეს დაუღო საფუძვლად ი. გრიშაშვილმა კვლევა-ძიებას, რის გამოც მან გადაიკითხა ყველა ძველი ხელნაწერი და რომელ ლექსშიც სიტყვა „საიათნოვა“ იყო გარითმული, იმაზე აჩერებდა ყურადღებას. ტექსტების გადმოწერისას და შერჩევისას დიდ სიფრთხილეს იჩენდა — რაც საეჭვოდ მიაჩნდა, იმ ლექსისაგან საერთოდ თავს იკავებდა. ამგვარი კვლევის შედეგად ი. გრიშაშვილმა ერთ-

ერთი ლექსი, რომელიც მანამდე საიათნოვას ლექსად იყო აღიარებული. სხვა ავტორისეულად სცნო და ვინმე „მებაღე დავითას“ მიაკუთვნა. აღსანიშნავია, რომ ი. გრიშაშვილი არსად არ ასახელებს, რომელი ლექსი გადმოწერა მან უშუალოდ. ან რომელი გადასცეს მას. მხოლოდ ერთ ლექსზე მიუთითებს — „ზღვას ვით გააშრობს“, რომელიც გიორგი თუმანიშვილს უპოვია მამის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის. მიხეილ თუმანიშვილის არქივში და მისთვის გადაუცია. ამ ხელნაწერში „ზღვას ვინ გააშრობს“ ლექსის გვერდით მეორე ლექსიც ეწერა. მკითხველი საზოგადოება ორივეს საიათნოვას მიაწერდა. მაგრამ ამ მეორე ლექსის ბოლოს ნახსენები იყო „მებაღე დავითა“ („მებაღე დავითამ არ დაიფაწყოს...“) და სწორედ იმის გამო, რომ ავტორები ხშირად თავის სახელს ან გვარს ჩაურთავდნენ ხოლმე ლექსებში, ი. გრიშაშვილმა მეორე ლექსის ავტორად „მებაღე დავითა“ აღიარა.

საერთოდ, ი. გრიშაშვილის მუშაობა საიათნოვას ლექსებზე გამოცემიდან არა ჩანს. არსად არ არის აღნიშნული რომელი ხელნაწერი უგულებელყო გამომცემელმა ან რომელი მიიჩნია ავტორისეულად, ან როგორი მუშაობა ჩაატარა მან თითოეულ ტექსტზე და ა. შ. რაც შეეხება ლექსების სათაურებს, ბევრი ლექსი უსათაუროდ ყოფილა გადაწერილი. ზოგს კი შეცდომით სხვადასხვა ჰანგის სათაური ჰქონია. რადგანაც საიათნოვას თითქმის ყველა ლექსი „მიუხამბაზურ ყაიღაზეა“ დაწერილი, ი. გრიშაშვილმაც უმჯობესად სცნო, სათაურებად ტექსტის პირველი სიტყვები გაეტანა. ამ გამოცემის შესახებ ი. გრიშაშვილი მოკრძალებით ამბობს: „წიგნში მოთავსებული ლექსებით ვერ დაფასდება საიათნოვას ნიჭი. პირიქით, მკითხველი თავს უგემურად იგრძნობს“. მიუხედავად ამისა, ის დიდი სურვილი, რომ ქართველ მკითხველს მიახლოვებით მაინც ჰქონოდა საიათნოვაზე წარმოდგენა, სისრულეში მოიყვანა. წიგნის გამოცემას სხვა გამართლებაც მისცა ი. გრიშაშვილმა. იმ პერიოდში ყველასათვის როდი იყო ცნობილი, რომ საიათნოვა მეფე ერეკლეს კარის მგოსანი იყო: „საიათნოვა ჩვენთვის, სხვა რომ არა იყოს, იმით არის საგულისხმო, რომ ის მეფე ერეკლეს მომღერალი იყო და დღეს ისტორიული პიროვნებაა ქართველთათვის“.

ლექსებს დართული აქვს ლექსიკონი იმ სიტყვების, რომლებიც საიათნოვას ლექსებშია ხმარებული. ლექსიკონი ამომწურავად იძლევა სიტყვების განმარტებას. გამომცემელი შეძლებისდაგვარად ცდილობს ნათი ეტიმოლოგიის დადგენასაც. ი. გრიშაშვილს არც საკომენტარო სიტყვები დაუტოვებია ყურადღების გარეშე. მაგრამ სალექსიკონო ერთეულებსა და საკომენტარო სიტყვებს ერთმანეთისაგან არ გამოჰყოფს

და ორივეს ლექსიკონის სათაურის ქვეშ ათავსებს. ამრიგად: აისი. აშბარჩა, ამბურა, იალდუზი, თალარი, ნავლი, ოინბაზი, პინა, სოვდა-გარი და ა. შ. სიტყვების გვერდით გვხვდება წმინდა საკომენტარო სიტყვები, რომლებსაც წესით იქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს: აღრიბე-ქანი, ალაბი (საიათნოვას წინაპრების სამშობლო), არაზი, ლაიჯანი (სოფელი), ზაალი, თურანი (თურქეთის ძველი სახელწოდება). ხორასანი და მრავალი სხვა.

იგივე მიზანი ამოქმედებდა ი. გრიშაშვილს, როდესაც იგი ავქსენტი ცაგარლისა და გ. სუნდუკიანცის პიესებს ამზადებდა გამოსაცემად (ეს გამოცემებიც „საიათნოვას“ მსგავსად მეცნიერულ-პოპულარული, მასიური გამოცემებია).

ი. გრიშაშვილი დიდად აფასებდა ა. ცაგარლის ნიქს. იგი მას „ქართველ ოსტროვსკის“ უწოდებდა და გულისტყვივით აღნიშნავდა იმ დაუფასებლობას ქართველი საზოგადოებისაგან, რომლისთვისაც მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ძვირფასი შენაძენი უნდა ყოფილიყო. „იყო სოფელში და სოფელმა ვერ იცნო იგი“ — ასეთი იყო ი. გრიშაშვილის აზრი ამ მწერალზე. მან გადაწყვიტა ქართველი საზოგადოებისათვის მიეწოდებინა ერთ დროს მეტად საყვარელი და პოპულარული კომედიოგრაფის თხზულებანი, რაც იკდევ შეასრულა.

1936 წელს გამოვიდა ავქსენტი ცაგარლის პიესების სრული კრებული ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ლექსიკონით.

ი. გრიშაშვილისეული გამოცემა ლიტერატურულ-ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და ფასეულია. იგი პირველი ცდაა ა. ცაგარლის შემოქმედების სრულყოფილად წარმოდგენისა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მკითხველ საზოგადოებას საშუალება მიეცა სრულად გასცნობოდა იმ შესანიშნავ კომედიოგრაფს, რომლის პიესებმაც თავის დროზე დიდი როლი ითამაშეს ქართული კულტურის, ქართული ხელოვნების დამკვიდრებისა და განვითარების საქმეში. როგორც „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემის“ ფოლკლორმა იმოქმედა ჩემს პოეზიაზე, ისე ა. ცაგარლის წიგნებმა შემაყვარა ქართული თეატრი და დრამატურგიაო“ — წერს ი. გრიშაშვილი.

პოეტმა-გამომცემელმა კრებულში შეიტანა ა. ცაგარლის ყველა ორიგინალური პიესა, რიცხვით ხუთი. ხოლო დამატებად დაურთო სცენები და „მოგონებანი“. ბოლოს კი, შენიშვნებისა და ლექსიკონის შემდეგ, ა. ცაგარლის ნაწერების სია. მასში აღნუსხულია ორიგინალური, ნათარგმნი და გადმოკეთებული პიესები. ერთი სიტყვით, გამო-

ცემაში შეტანილია და ნახსენებია მთელი ის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რის შექმნაც მოასწრო ა. ცაგარელმა. „ორიგინალური კოპედია მხოლოდ ხუთია და ხუთივე ამ წიგნში მოვათავსეთ, ხოლო დანარჩენი პიესები, რომლებიც ჯერჯერობით ვერ იბეჭდება, ნუსხაში მოვაქციეთ და შეძლებისდაგვარად აღვნიშნეთ იმათი დაწერის თუ დადგმის თარიღები“ — წერს გამომცემელი. მართლაც, თითოეული პიესისათვის კრებულის ბოლოს დართულია ლიტერატურულ-ტიქსტოლოგიური ხასიათის კომენტარები: რამდენ მოქმედებიათ პიესა, როდის დაიწერა, როდის დაიდგა და რა გამოხმაურება ჰპოვა მან პრესასა თუ საზოგადოებაში. ამ შენიშვნებიდან ჩანს, რომ ი. გრიშაშვილისათვის ცნობილი ყოფილა ა. ცაგარლის პიესების დაწერის ან დაბეჭდვის თარიღებიც. მაგრამ ტექსტების დათარიღებისათვის გამომცემელი რატომღაც ამ შესაძლებლობას არ იყენებს.

პიესები დალაგებულია არა ქრონოლოგიურად, არამედ ხარისხის მიხედვით, რაც მეცნიერულ-პოპულარული ტიპის გამოცემისათვის მისაღებია. აქედან ზოგს მიწერილი აქვს თარიღი, ზოგს კი არა, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამომცემელმა იცოდა თითოეული მათგანის დაწერის თუ არა დაბეჭდვის თარიღი მაინც. შენიშვნებში კი აღუხსნული აქვს ამ პიესების შესახებ ყველა მნიშვნელოვანი თარიღი და. როგორც ირკვევა, ხელთ ჰქონია ყველა ნაბეჭდი წყარო. მისთვის ცნობილი ყოფილა „ხანუმასა“ და „ციმბირელის“ ავტოგრაფებიც კი და ამის მიხედვით შეურჩევია კიდევ ტექსტები, მაგრამ ამჯერადაც მაზანი სხვა იყო, რის გამოც ის ტექსტოლოგიური მუშაობა, რომელიც გამომცემელმა ჩაატარა ტექსტებზე, უგულვებელყოფილია (ე. ი. შენიშვნებში მოცემული არ არის მწერლის შემოქმედებითი განვითარების გზა, ვარიანტული წაკითხვების ჩვენება, არც ზედწერების აღწერაა მოცემული. არ არის ნაჩვენები, თუ რა პრინციპით ხელმძღვანელობდა გამომცემელი ძირითადი ტექსტის შერჩევის დროს)<sup>5</sup>. გამომცემლისთვის მთავარია არა ტექსტის შექმნის ისტორია, მისი განვითარების ეტაპები, არამედ ტექსტის სრულყოფის შემდეგ, რა ბედი ეწვია პიესას. ამიტომ შენიშვნებში პირველყოვლისა გამომცემელი მკითხველისათვის მეტად საინტერესოდ, თავისი თხრობის დამახასიათებელი გულწრფელობით და საქმის ღრმა ცოდნით ამომწურავად მოგვითხრობს თითოეული პიესის დადგმაზე, მათ პოპულარობაზე, პირველი დადგმების მონაწილეებზე აფიშა-პროგრამების ილუსტრირე-

<sup>5</sup> როგორც გამოცემიდან ჩანს, ძირითად ტექსტად გამომცემელს მეტწილად აუღია ვასო აბაშიძის მიერ შედგენილ „ჩანგში“ (1892 წ.) დაბეჭდილი პიესები.

ბით; ლაპარაკობს მსახიობთა ჩაცმულობაზე, მათ მიერ შექმნილ როლებზე, პიესების თარგმანებზე (თუ როდის და რომელ ენაზე ითარგმნა იგი) და მათ ეკრანიზაციაზე ან საოპერო დადგმებზე.

თავისებურია სიტყვების ან გამოთქმების განმარტება: ამა თუ იმ ტექსტის შენიშვნებში განსამარტავად გამოტანილ სიტყვებს ყოველთვის წინ უძღვის გვერდის ჩვენება, შემდეგ მითითება იმაზე, თუ ვინ სმარობს ამ სიტყვას პიესაში. მაგალითად, გვ. 14, ქაბატუა ამბობს; გვ. 19, თავადი ვანო ამბობს; გვ. 21, ხანუმა ამბობს და ამათ შემდეგ მოტანილია განსამარტავი სიტყვები. „ქაბატუა ამბობს: „სომხები იტყვიან — „ლუნ პსტიკე, ჰამა მეწე კწუმ“. ეს ანდაზა ქართულად ასე ითარგმნება: „რწყილი პატარაა, მაგრამ დიდად იკბინება“. „ხანუმა ამბობს: „დრუსტ ასუმ“. ეს სომხურია და ნიშნავს „მართალს ამბობს“. აკოფა მღერის: „ოდეს ზღვა დაშრეს, დიდღედაჭან“... „აი, ამ ლექსის ისტორია“... და იქვე მოტანილია ლექსის ისტორიაც.

პიესების შენიშვნებისაგან ფანსხვაეებით, სცენებს უფრო მოკლე მიმოხილვა აქვს დართული. ზოგ სცენას თვითონ გამომცემელი ასათაურებს. მაგალითად, პირველი სტრიქონის დასაწყისი სიტყვის მიხედვით ერთ-ერთ სცენას ასეთი სათაური მისცა: „ჩაპყაპე“ („ჩაპყაპეაჩან! ვაი შენი ქრისტეს კირიმე“).

ი. გრიშაშვილის მიერ დასათაურებულია სცენები: „რა ქნას თუკი ქართული არ იცის“; „გაკრის ჩივილი“, „თბილისის წყლებზე“ და სხვა.

მართალია, თითოეული პიესის შენიშვნებში მოცემულია ტექსტში სმარებული უცნობი სიტყვების განმარტება. მაგრამ გამომცემს ცალკე ბოლოში დართული აქვს ერთიანი ლექსიკონიც იმ განსხვავებით, რომ შენიშვნებში განსამარტავი სიტყვები წინადადებებშია გამოტანილი. ლექსიკონში კი მხოლოდ სალექსიკონო ერთეულებია. განმარტებები ვრცელია, ამომწურავი. ავტორი შეძლებისდაგვარად ცდილობს ყველაფერი თქვას ამა თუ იმ სიტყვაზე. ვეაძლევეს საინტერესო ეტიმოლოგიურ დაკვირვებებსაც. მაგალითად, „სვინა“ ასეა განმარტებული: შვილის მომნათლავი ან ნათლის მამა. ზომ არ წარმოსგება სიტყვისაგან ს ვ ი ა ნ ი? სვინანი-ბედნიერი, სვეს მქონებელი. სვინა-ნათლია, ბედნიერების დამრქმელი და ა. შ.

ი. გრიშაშვილი სიტყვების განმარტებისას მაგალითისათვის მართო პიესების კონტექსტს არ მიმართავს. იგი სხვა მწერლების ნაწარმოებებსაც იშველიებს, სადაც ეს სიტყვაა ნახმარი. ამით გამომცემელი ცდილობს მკითხველს უჩვენოს, რამდენად ფეხმოკიდებული და გავრცელებულია ეს სიტყვა ქართულ ენაში. მაგ. „დუნია“ ასეა განმა-

რტებული: ქვეყანა, მსოფლიო; „დანარჩენთათვის ბრმა არის, ამოდენს ღუნიაზედა“ (ვაჟა-ფშაველა: „მოტყუებული“, „განათლება“, 1909 წ. № 1); „... მთელი ღუნია იხსენიებს ფიცით“, (ტ. ტაბიძე „მნათობი“, 1835. № 78, გვ. 39).

ზოგი ისეთი სიტყვაა ლექსიკონში გამოტანილი, რომელიც განმარტების გარეშეც ცნობილია და ამდენად მისი სალექსიკონო ერთეულად წარმოდგენა ზედმეტია. ასეთებია: აშარი, ბრუციანი, დანტური, დოინჯი, დუდუკი. პანჩური, ხათაბალა, ჯანდაბა, ჯონჯოლი და ა. შ.

როგორც ზემოთ ავლენიშნეთ, ა. ცაგარლის თხზულებათა ი. გრიშაშვილისეული გამოცემა ლიტერატურულ-ისტორიული თვალსაზრისით ერთ-ერთ საუკეთესო გამოცემად ჩაითვლება. მკითხველი ამ წიგნით ეცნობა არა მარტო ავქსენტის ცაგარლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, არამედ დაწვრილებითი წარმოდგენა ეძლევა იმ ლიტერატურულ-თეორიულ წარსულზე, რომელშიც ცნობილ კომედიოგრაფს უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა. კმაყოფილ მკითხველს მადლობის მეტი არაფერი ეთქმის გამომცემლისადმი.

ასეთივე სიყვარულითა და დიდი გულმოდგინებით უმუშავია ი. გრიშაშვილს ცნობილი დრამატურგის გაბრიელ სუნდლუკიანცის პიესების გამოცემაზე. ი. გრიშაშვილმა გადაწყვიტა თავი მოეყარა გ. სუნდლუკიანცის პიესებისათვის და ცალკე წიგნად გამოეცა ისინი. მართლაც, 1950 წელს „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა გ. სუნდლუკიანცის პიესების პირველი კრებული ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ლექსიკონით.

გამოცემას სრული კრებულის პრეტენზია არა აქვს. მასში გამოცემულს არ შეუტანია ორი კომედია — „მეუღლენი“ და „სიყვარული და თავისუფლება“, ასევე, მოთხრობები „ვარინკას ვეჩერი“ და „ჰამალის მასლაათიდან“. ამას ი. გრიშაშვილი თავისებურ გამართლებას აძლევს: ჯერ ერთი, ტომის მოცულობა ვერ იტევდა ყველა მასალას; მეორეც, პიესების შინაარსი დაკავშირებული არ არის თბილისის გარემოსთან და არც დიდი წარმატებებით სარგებლობდაო. ამრიგად, ზემოთ დასახელებული ნაწარმოებები გამომცემელს საჭიროდ არ ჩაუთვლია კრებულში შესატანად. მისი მიზანი იყო თავი მოეყარა გ. სუნდლუკიანცის პოპულარული პიესებისათვის, რომლებიც ყველასათვის ცნობილი და საყვარელი იყო.

ცნობილია, რომ გ. სუნდლუკიანცი თავის პიესებს სომხურ ენაზე წერდა, ხოლო მერე თარგმნიდნენ ან თვითონ ავტორი თარგმნიდა (ასე თარგმნა მან, მაგალითად, „პეპო“ რაფიელ ერისთავის დახმარებით). ი. გრიშაშვილმა ტომისათვის შეარჩია საუკეთესო თარგმანები — დე-

დანთან ახლოს მდგომი და ავტორის უშუალო მონაწილეობით შესრულებული. თუ რა მეთოდით ხელმძღვანელობდა გამომცემელი პიესებზე მუშაობის დროს, მოვეუსმინოთ თვითონ მას:

„წინამდებარე ერთტომეულში დაიბეჭდა გ. სუნდუკიანცის ყველა გახმაურებული პიესა, რომელიც ქართულ სცენაზე დიდი წარმატებით იდგმებოდა. თხზულებანი ნათარგმნია ძველი მთარგმნელების მიერ. ჩვენ განგებ გვერდი ავუარეთ სუნდუკიანცის პიესების ახალ თარგმანებს, სადაც სუნდუკიანცური ძველი თბილისური ენის კოლორიტი დაკარგულია. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ აქ მოთავსებული ყველა პიესა ავტორის უშუალო მონაწილეობით არის ნათარგმნი. მოვერიდეთ, აგრეთვე, სიტყვასიტყვით შედარებას დედანთან, რადგანაც იმ სიტყვიერის მეტნაკლებობა. რომელიც ახასიათებს ქართულ ტექსტს. შეიძლება სომხური ტექსტის ვარიანტებად ჩაითვალოს... დედანს მაშინ მივმართავდით, როცა აშკარა შეუსაბამობასთან გვექონდა საქმე“ (გვ. 358).

კრებულში შედის სუნდუკიანცის შვიდი პიესა. ისინი დალაგებულია არა ქრონოლოგიის, არამედ ხარისხის მიხედვით. ჯერ „პეპოა“, შემდეგ „ხათაბალა“, „დაქცეული ოჯახი“, „კიდევ ერთი მსხვერპლი“. „აბანოს ბოღჩა“, „სალამოს ერთი ცხვირი ხეირია“ და „ოსკან პეტროვიჩი საიქიოს“.

შენიშვნებში კი პიესები უკვე დალაგებულია და განხილულია ქრონოლოგიურად, ე. ი. ჯერ „სალამოს ერთი ცხვირი ხეირია“ (1863 წ.), შემდეგ „ხათაბალა“ (1866 წ.)<sup>6</sup>, „ოსკან პეტროვიჩი საიქიოს“ (1866 წ.), „კიდევ ერთი მსხვერპლი“ (1870 წ.), „პეპო“ (1870 წ.), „დაქცეული ოჯახი“ (1872 წ.) და „აბანოს ბოღჩა“ (1907 წ.). ი. გრიშაშვილი აქაც მისთვის ჩვეული დაკვირვებითა და სიტყვიერებით მოქცევია ტექსტებს. რადგან ვასო აბაშიძის თარგმანები ყველაზე სანდო და დედანთან ახლო მდგომ ტექსტებად ჩათვალა. მეტწილ შემთხვევაში ისინი შეუტანია კრებულში.

ზოგ ტექსტს ხელნაწერებიც აღმოაჩნდა, მაგრამ, ისინი ავტოგრაფები არ არის, ამიტომ არც სანდოაო — აღნიშნავს გამომცემელი. მიუხედავად ამისა, რატომღაც ისინი მაინც შეუდარებია ვასო აბაშიძის თარგმანისათვის, რაც, რასაკვირველია, ტექსტს არაფერს შემატებდა, მაგრამ ფაქტი მაინც საგულისხმოა: ი. გრიშაშვილს ქართული ტექსტები სომხურ დედნებთან შეუდარებია და ამით უფრო დაუ-

<sup>6</sup> „ხათაბალა“ პირველად ამ კრებულში დაიბეჭდა, მანამდე კი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. ი. გრიშაშვილს ძირითად ტექსტად აუღია 1935 წლის ნ. გოცირიძისეული ხელნაწერი.

ზუსტებია თარგმანები, დაინტერესებულა ხელნაწერი წყაროებით და ისინიც ნაბეჭდი წყაროებისათვის შეუდარებია. ყოველივე ეს კი შენიშვნებში აღნიშნა (რასაც ადრეულ საიათნოვასა და აექსენტი ცაგარლის გამოცემებში უგულვებლყოფდა). ტექსტოლოგიური თვალსაზრისით ეს წინ გადადგმული ნაბიჯია. გამომცემელს უკვე ნაწარმოებები აინტერესებს არა მხოლოდ ლიტერატურულ-ისტორიული თვალსაზრისით, არამედ მეცნიერულ-ტექსტოლოგიური თვალსაზრისითაც. მაგალითად, „ოსკან პეტროვიჩი საიქიოს“ ტექსტი ი. გრიშაშვილს აუღია ი. იმედაშვილის მიერ შედგენილი პიესების კრებულიდან — „ცხოვრების საჩქე“ (1901 წ.), მაგრამ ამ ტექსტით არ დაკმაყოფილებულა. იგი შეუდარებია და შეუჭერებია სომხურ დედანთან და ისე მოუთავსებია თავის გამოცემაში (აქვე დასძენს, რომ „ლ. მელიქსეთ-ბეგის ცნობით, ამ პიესის ქართული ხელნაწერი დაცულია ერევნის სალიტერატურო მუზეუმშიო“ — თუმცა არ მიუთითებს, ვის ეკუთვნის ეს თარგმანი).

კრებულში შენიშვნები გაკეთებულია იმ პრინციპით, რა პრინციპითაც გაკეთდა ა. ცაგარლის პიესების შენიშვნები. ლექსიკონში არ არის შეტანილი საკომენტარო სიტყვები. სალექსიკონო ერთეულები კი განმარტებულია სრულად და ამომწურავად; ზოგჯერ ამა თუ იმ სიტყვის მთელი ისტორიაც არის მოცემული. მაგალითად, „პაქარნი“ ასეა განმარტებული: „პ ა ქ ა რ ნ ი — თავზეხელაღებული, მხიარული, დაუდგრომელი, რისკიანი. გაკეთებულია რუსული სიტყვიდან „Пожар“.

მეხანძრეთა რაზმში ირიცხებოდნენ გამბედავი და უშიშარი მომუშავენი. გ. სუნდუკიანცის დროს ეს სიტყვა გადატანით მნიშვნელობით მიეკუთვნა თბილისის კინტოებს. მაგ. პეპო ყარაჩოღელია, კაკულა — კინტო. ამიტომ გაუგებრობაზე იყო აშენებული ერთი რეცენზენტის წერილი, როცა „პაქარნი კაკულა“ — „მეხანძრე კაკულად“ მონათლა („კომუნისტი“, 1930 წ. 11 მაისი). სიტყვა „პაქარნი“ ილიამაც მიიღო. როცა იგი გრ. ორბელიანის ერთ ლექსს არჩევს, შემდეგ ამბობს: „განა რითმა რომ არ იყოს, პოეზია არ იქნება? აბა წაიკითხეთ „ონიკოვის დარღები“, რამდენი პოეზიაა შიგ, თვალწინ წარმოგიდგებათ ის ჩათუქესანი, თბილისის ის ქართველი პაქარნი, რომლის ნატერა და სამოთხე კახური ღვინოა... („პაქარნის“ რაობის შესახებ, აგრეთვე. იხ. ჩემი „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“, გვ. 246 და ჩემივე „ასიკო ცაგარელი“, გვ. 494)“.

გ. სუნდუკიანცის პიესების კრებული, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ არის სრული, მაგრამ გამომცემლის აზრით, „მანც იმედს არა ვკარგავთ, რომ როცა საკითხი დაისმება სუნდუკიანცის ქართულ თარგმან-



თა სრული კრებულის გამოსაცემად, მაშინ დანარჩენი სხვებიც მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახდებაო“.

ი. გრიშაშვილის ტექსტოლოგიური მუშაობა შედარებით უფრო გამოჩნდა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1939 წლის აკადემიურ გამოცემაში. თუ რამდენად პასუხობს თავის დანიშნულებას ეს გამოცემა, ჩვენს თემას არ ეხება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იგი დატვირთულია ხარვეზებით, რაც, თუ დღევანდელი თვალსაზრისით მიუდგებით, ნამდვილი აკადემიური გამოცემისათვის მიუღებელია. მაგრამ ასეთი ტიპის გამოცემები განსაკუთრებით ჩვენი საუკუნის 30 — 40-იან წლებში ჭერ კიდევ ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე, ამიტომ ყოველი ახალი ნაბიჯი ამ საქმეში პროგრესული იყო.

კრებულში მოთავსებულია 38 ლექსი, პოემა „ბედი ქართლისა“. სახუმარო ეპიგრამები, ყრმობისდროინდელი ლექსები და წერილები.

რედკოლეგიამ, რომელშიც ი. გრიშაშვილი შედიოდა, დაავალა ი. გრიშაშვილს გამოცემისათვის ტექსტების დადგენა. პოეტი მთელი თავისი მონდომებითა და გულისყურით მოჰკიდებია ამ საქმეს. გასცნობია მისთვის მისაწვდომ ყველა ხელნაწერსა თუ ავტოგრაფს, შეუსწავლია და შეუდარებია ისინი და დაუდგენია ტექსტები. მაგრამ გრიშაშვილის ტექსტოლოგიური მუშაობა, როგორც მოსალოდნელი იყო, შენიშვნებში კი არ არის აღბეჭდილი, არამედ იქვე ტექსტებიდან დართულ სქოლიოებში, რომლებიც თავისთავად გარკვეულ ნაკლოვან მხარეებს შეიცავს. მაგალითად, „ბულბული ვარდზედ“ ძირითად ტექსტში წერია: „მის არე“. სქოლიოში გაკეთებულია შენიშვნა, სადაც აღნიშნულია მოკლედ: დედანშია „მისარე“.

„ბულბული და მწირის“ მე-18 სტრიქონის სქოლიოში წერია: „დედანში თავდაპირველად ყოფილა „სიცოცხლის ხმას“, მერე გაუსწორებია „სიცოცხლის ხმასა“.

„ქეთევანის“ 32-ე სტრიქონზე წერია: „ნაქები მშვენიერებით!“ სქოლიოშია: ძახილის ნიშანია ე ვარიანტში.

„შემოღამება მთაწმინდაზე“ მე-17 სტრიქონზე წერია: „საწუთროება,“. სქოლიოშია: დედანში მძიმე არ არის. ტექსტში წერია: „აქაიქა“. სქოლიოშია: დედანშია „აქ-იქ“. ტექსტშია „სადღაც“. სქოლიოში: დედანში ყოფილა „სადღაცა“. ტექსტში არის: „წყნარი“. სქოლიოში წერია: დედანში ყოფილა მწყნარი, სადაც მ წაუშლიაო.

„ბედი ქართლისა“-ს 44-ე სტრიქონში ვკითხულობთ: „რომ გავგავონე კვლავ ხმა სალხენი“. სქოლიოში ი. გრიშაშვილი „ხმაზე“ მიუთითებს და ამბობს, ეს სიტყვა თ (?) ვარიანტში არ არისო.

„ბედი ქართლისაში“ ვკითხულობთ ერთ სტროფს:

ასე ირაკლი და მის მსაჭულს  
მამულისა თუს გულმტკივნეულნი,  
ქართლისა ბედსა განსამართლებდნენ,  
ხოლო ქართველნი მამულს ჰგალობდნენ„.

მის სქოლიოში წერია: ეს ტაეპი დედანში არ არის და მეორე ვარიანტიდან არის შემოტანილი.

როგორც ჩანს, ი. გრიშაშვილს ხელთ ჰქონია ზოგიერთი ლექსის დედანი, ასევე ვარიანტები, რომელთა უმნიშვნელო სხვაობაც კი ძირითად ტექსტთან არ გამოირჩენია მხედველობიდან. მაგრამ რომელთა ეს დედნები ან ის ე. წ. „მეორე ვარიანტი“ — ჩვენთვის უცნობი. ასევე უცნობია, რომელია ეს ე და თ ვარიანტები.

ბუნებრივია, გადავხედეთ ჯამოცემის ბოლოს დართულ შენიშვნებს, რომლებსაც წესით გარკვეულობა უნდა შეეტანა ან გაუგებრობაში, მაგრამ აქ უფრო მეტ გაუგებრობას წავაწყდით. ზემოთ ნახსენები ვარიანტები საერთოდ შენიშვნებში არ არის მოტანილი. აღნუსხულია მხოლოდ ხელნაწერები და მათგან ერთი-ორს გაკეთებული აქვს ვარიანტები ძირითადი ტექსტის აღუნიშნავად (ე. ი. ციფრებითაა მითითებული მხოლოდ ტექსტის სტრიქონი, ხოლო საჭირო სიტყვა არა). აღმოჩნდა, რომ ლექსები და პოემა კი გაუმართავს ი. გრიშაშვილს, მაგრამ ტექსტის ბოლოს დართული შენიშვნები გაუკეთებია სხვას (ი. ბალახაშვილს).

როგორც ირკვევა, ი. გრიშაშვილი და ი. ბალახაშვილი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მუშაობდნენ და ერთმანეთის საქმიანობას სრულიად არ იცნობდნენ. რადგან ტექსტები ი. გრიშაშვილმა დაადგინა, შენიშვნებიც რომ მასვე გაეკეთებინა, ამით ეს სქოლიოები და შენიშვნები ერთიან და ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებდა და გამოცემაც უფრო მოიგებდა.

რაც შეეხება ტომში ტექსტების დალაგების პრინციპს, ძირითადად ჩვენ იგი არასწორად მიგვაჩნია, კერძოდ:

1. არ უნდა იყოს სწორი ტექსტების თანმიმდევრობა: ჯერ ლექსებია, შემდეგ პოემა, შემდეგ ისევ ლექსებია (ყრმობისდროინდელი). ამას მისდევს ძირითადი ლექსების ვარიანტი ლექსები და ბოლოს სახუმარო ეპიგრამა.

2. ლექსების ვარიანტ-ტექსტებს კიდევ ცალკე აქვს დართული თავისი ვარიანტები და შენიშვნები ძირითადი ტექსტების ვარიანტებისა და შენიშვნებისაგან დამოუკიდებლად, რაც, რასაკვირველია, მიუღებელია.

ამასთანავე დაცულია ძველი ორთოგრაფია და აღრეულია პუნქტუაცია.

ი. გრიშაშვილი, როგორც რედაქტორ-გამომცემელი ნამდვილი სახით წარმოგვიდგება მაშინ, როცა იგი მარტო მუშაობს და მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითონ არის საქმის ავან-ჩავანი. ამ დროს უფრო ნათელი და მკაფიო ხდება მისი მუშაობის სტილი, სუბიექტური მანერა. ამის დამამტკიცებელია ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემა, რომელიც 1940 წელს გამოვიდა ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით და ლექსიკონით.

ნ. ბარათაშვილის მსგავსად, ალ. ჭავჭავაძეც არ ღირსებია თავისი ლექსების დაბეჭდვას. მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ დაიწყო ამ დიდი რომანტიკოსის გამოქვეყნება პრესაში. მანამდე კი მისი პოეზია ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა.

1881 წელს გამოვიდა ალ. ჭავჭავაძის ლექსთა პირველი კრებული. მას სრული ეწოდება, მაგრამ ფაქტიურად იგი ძლიერ შორს დგას სისრულისაგან. მას შემდეგ გავიდა 60 წელი და ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებული აღარ გამოსულა.

ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა მორიგი გამოცემა ი. გრიშაშვილმა იკისრა. საამისოდ მან დიდი შემკრებლობითი მუშაობა ჩაატარა და შეძლებისდაგვარად თავი მოუყარა პოეტის მანამდე ნაცნობ თუ უცნობ ლექსებს. შეისწავლა ყველა ხელნაწერი და ნაბეჭდი წყარო, შეარჩია ძირითადი ტექსტები და თითქოს ამომწურავი პასუხი გასცა ყველა იმ საკითხს, რაც გამოცემისათვის იყო საჭირო. „მკითხველი ადვილად მიხვდება, რაოდენი თავის მტკრევა, გონების დაძაბვა, გულთათმენა დამჭირდებოდა ამ მასალის ხელმეორედ განჩხრეკისათვისო“, — წერს ი. გრიშაშვილი შესავალ წერილში (ვვ. 26). საქმე ისაა, რომ სასტამბოდ გამზადებული კრებულის გამოცემა მან ათი წლის შემდეგ შეძლო, რისთვისაც ხელახლა მოუხდა მასალების შეჭერება.

1940 წლის გამოცემა 1881 წლის გამოცემას ვერ შეედრება თავისი მოცულობით და მეცნიერული აპარატით. პირველ გამოცემლებს არცერთი ავტოგრაფი არა ჰქონიათ ხელთ და უსარგებლიათ მხოლოდ სხვადასხვა პირთა ხელნაწერებით. ი. გრიშაშვილმა მიაკვლია ავტოგრაფების ნაწილს, რამაც საშუალება მისცა გაცნობოდა ა. ჭავჭავაძის პოეზიას, პოეტის ხელწერას, მისი წერის მანერას, სტილს და აქედან განევრცო ყოველივე ეს სხვა ხელნაწერებზეც, რომლებსაც ავტოგრაფები არ გააჩნდათ. ი. გრიშაშვილს დიდა ტექსტოლოგიური ალლო ჰქონდა და ამიტომ ანიჭებდა ასეთ დიდ მნიშვნელობას ავტოგრაფებს: „თავდაპირველად უნდა აღინიშნოს ის სიხარული, რომელიც

ვიგრძენით ალ. ჭავჭავაძის ავტოგრაფის აღმოჩენის დროს! ალ. ჭავჭავაძის პირველ გამომცემლებს დაღალ ჰქონდათ პოეტის დედნის უპოვნელობა! ისინი წერდნენ: „იმედს არა ვკარგავთ, რომ სადმე არ აღმოჩნდეს და ვერ მოგვეპოვებოდეს ნამდვილი ხელნაწერი პოეტისა“. სიხარულით უნდა აღინიშნოს, რომ ნაწილი ამ „ნამდვილი ხელნაწერებისა“ უკვე ნაპოვნი გვაქვს“.

გამომცემელი იძლევა ავტოგრაფების აღწერას. იგი მათ ორ ნაწილად ყოფს: პირველი ავტოგრაფი (ასე უწოდებს ი. გრიშაშვილი) დეფექტურია და, ეტყობა, ახალგაზრდა პოეტის ნამუშევარია. იგი ორი რვეულისაგან შედგება და 11 ლექსს შეიცავს.

მეორე ავტოგრაფი წარმოადგენს შავს, პოეტის შავად ნამუშევარს (წაშლილები, გადახაზულები, ჩამატებულები და ა. შ.) მასში მოთავსებულია 14 ლექსი.

ამრიგად, ი. გრიშაშვილს ხელთ ჰქონია ალ. ჭავჭავაძის 25 ავტოგრაფი, რაც საკმაო მასალას იძლევა მწერლის შესასწავლად.

1881 წლის გამოცემასთან შედარებით 1940 წლის გამოცემაში ი. გრიშაშვილმა ალ. ჭავჭავაძის 34 სახელწოდების ახალი ნაწარმოები მოათავსა. ამ გამოცემაში ი. გრიშაშვილმა პირველად შეიტანა ალ. ჭავჭავაძის მანამდე სრულიად უცნობი ლექსი „შექცევისათვის“. ასევე დედნის მიხედვით პირველად აღადგინა და გამართა „კავკასიის“ ტექსტი, შეასწორა ლექსი „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“. წინა გამოცემასთან შედარებით გაასწორა ვადაწყერებისაგან დაშვებული მრავალი შეცდომა. ხოლო სამი ლექსი „გულთა საწყლავად კუბიდონს“, „როს აღმობრწყინდა ბადრი მთვარე“ და „ჩემო სიამევე, შვებავ“ — რომლებიც მანამდე ალ. ჭავჭავაძისეულად ითვლებოდა, დასაბუთებულად მიაკუთვნა სხვას. ი. გრიშაშვილმა გაარკვია, რომ ლექსი „საჰარის ხმაზე“, რომელიც 1881 წლის გამოცემაში ალ. ჭავჭავაძის ორიგინალურ ნაწარმოებად იყო ცნობილი, თარგმანი აღმოჩნდა. როგორც ი. გრიშაშვილი ადგენს, ალ. ჭავჭავაძის ეს ლექსი ოდოევსკის „Роза и цитовей“-ს, თარგმანი ყოფილა. ამიტომ ამ ქართულად ნათარგმნ ლექსს ადრინდელი სათაური („საჰარის ხმაზე“) შეუცვალა და „ვარდი და ბულბული“ დაარქვა<sup>7</sup>. ასევე თარგმანებში მოათავსა ლექსი „ვიდრემდის გქონან“, რომელიც პუშკინის ლექსის „Вотамъ вамъ еще даны“ თარგმანი ყოფილა. ი. გრიშაშვილმა თარგმანებზე ცალკე განყოფილებად გამოყო. ამრიგად, თარგმანებიანად გამომცემელს

<sup>7</sup> დაწერილებით იხ. ი. გრიშაშვილის წერილი „ოდოევსკის „ვარდი და ბულბული“ ჭავჭავაძისეულის თარგმანი“, ლიტერატურული ნარკვევები, 1957, გვ. 99—104.

40-მდე ახალი ლექსი აღმოუჩენია და შეუტანია 1940 წლის გამოცემაში (იხ. გვ. 107 — 240).

ალ. ჭავჭავაძის ლექსებზე მუშაობისას ი. გრიშაშვილს პირველ ყოვლისა პოეტის ავტოგრაფები აქვს მხედველობაში. რომელი ლექსის ავტოგრაფიც ხელთ აქვს, ძირითად ტექსტადაც მას იღებს. იგი ძლიერ ერიდება ამ შემთხვევაში ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანას. ამიტომ როგორც ავტოგრაფშია, მაგალითად, ფორმები წარმოდგენილი, ისევე უცვლელად ტოვებს მათ (მარა, მაგრამ, მარამ და ა. შ.), მხოლოდ ორთოგრაფიას მეტ შემთხვევაში უკვე ახალ იყენებს: ჭ→ოპ. ჭ→პე, ჴშ→ვე და ა. შ. „ესეც არა ყველგან, სადაც მარკვალთა მეტნაკლებობა მოითხოვდაო“ — აღნიშნავს ი. გრიშაშვილი.

ავტოგრაფებზე თვითნებობას გამომცემელი მხოლოდ ლექსთა დასათაურების დროს იჩენს და თითოეულ ლექსს პირველი სტრიქონის მიხედვით ასათაურებს. ამასაც თავისებურ გამართლებას აძლევს: ლექსებს ირანული დასათაურება აქვს, გამომცემელი კი ამჯობინებს ქართულ სათაურებს<sup>8</sup>.

ტექსტების დალაგება გამოცემაში 1881 წლის მიხედვითაა, ოღონდ არც ერთ ლექსს თარიღი არ უზის. ცალკე განყოფილებად მოსდევს თარგმანები, ხოლო ბოლოს დამატების სახით პირველად გამოქვეყნდა ალ. ჭავჭავაძის „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1832 წლამდე“, რომელიც ავტორს მოხსენების სახით რუსულად წარუდგენია ნიკოლოზ პირველისათვის 1836—1837 წწ. ნარკვევის შენიშვნებში გამომცემელი კომენტარების დართვით დაწვრილებით და საინტერსოდ იძლევა ტექსტის ისტორიას.

რაც შეეხება სამეცნიერო აპარატს, სადაც უფრო ცხადად ჩნდება გამომცემლის მუშაობა, ამ მხრივ წინა გამოცემებთან შედარებით ეს გამოცემა გაცილებით სრულყოფილია. თითოეულ ლექსის პასპორტში აღწუსებულია ყველა ხელნაწერი და ნაბეჭდი წყარო. ი. გრიშაშვილს ძირითადი ტექსტების შერჩევისას როცა ავტოგრაფი არა აქვს, მეტწილად იღებს 1881 წლის გამოცემის ტექსტებს, რომელთა ზარვეზებსაც იქვე ასწორებს სხვა წყაროებიდან. მაგრამ არის შემთხვევები, როცა გამომცემელი არ მიუთითებს ძირითადი ტექსტის წყაროს, რის გამოც მკითხველი გაურკვეველ მდგომარეობაში ვარდება (იხ. „ჟამნი რბიან“, „ოპ წარმავალნო“, „ვარდის გაყრილსა“, „სახე შენი როს ვიხილო“, „გული

<sup>8</sup> ალ. ჭავჭავაძის ლექსების დასათაურების შესახებ დაწვრილებით იხ. ავ. კენკოშვილის „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, 1953, გვ. 41—48.

წავართვი“. „აპა. ესე ვარღზამბახნი“, „ჰე, მთვარეო“ „რის ბულბული“, „შორს ვკერეტ“ და ა. შ.).

ნათელი წარმოდგენა რომ გვექონდეს ი. გრიშაშვილის მუშაობის მეთოდზე, მაგალითისათვის მოვიტანთ ერთი ლექსის აპარატს:

### „უწყალო სიყვარული“

ხელნაწერები: № 1512, გვ. 888; სათაურია: „მუხამბაზი ბოი სალ-ბუჩინარის ხმაზედ“. დავით რექტორი ამ სათაურს ასე განმარტავს: „სომხურად ტალი სალბის მსგავსია“ (იქვე. გვ. 329). ეს ლექსი კიდევ არის სხვ. ხელნაწერებში № 101 — საქ. სახელმწ. სალიტ. მუზეუმში № 806/4.

დაიბეჭდა „ივერიაში“, 1877 წ. № 4; ვადაიბეჭდა „სახალხო ფურ-ცლის“ დამატებაში 1916 წ. № 128.

რასაკვირველია, ამ აპარატიდან ძნელია გარკვევა, რომელი წყაროა ძირითად ტექსტად აღებული ან რომელს იყენებდა გამომცემელი ტექსტის დასადგენად.

ზოგჯერ გამომცემელი მიუთითებს — ტექსტი იბეჭდება ბარბალე ქობულაშვილის რვეულიდან №..., ხელნაწერიდან, „ივერიიდან“, ია ეკ-ლაძის ანთოლოგიიდან, 1881 წლის კრებულიდან და ა. შ. რატომ მაინცდამაინც ამ ტექსტებს არჩევს გამომცემელი, ამის შესახებაც არაფერ დასაბუთებას არ იძლევა. ერთი კი ფაქტია: იგი ისეთ ტექსტს იღებს ძირითადად, რომლებიც, მისი აზრით, ასე თუ ისე დედანს უახლოვდება (მხედველობაში გვაქვს უავტოგრაფო წყაროები). გამომცემელი ასეთ შემთხვევაში სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა. მან ისიც იცის, რამდენად არასანდოა სხვის მიერ ვადაწერილი ტექსტი. ამიტომ, რაც მას ავტორისეულად არ მიაჩნია, თავს ვეღარ იკავებს და ცდილობს ავტორის შესაფერისად შეასწოროს.

მაგ. ლექსში „გლახ თვალთა შენის“ ზოგი ადგილი 1940 წლამდე იბეჭდებოდა ასე:

1. როს მომცემ, მზეო, ლხენასა,  
არ ძალუქს ქება არვის უნახსა.
2. რომ განმამორე შეებასა ტკბილსა,  
არ ვიგლოვ თავსა ესრეთ პყრობილსა.

ი. გრიშაშვილს არ მოსწონებია ასეთი შერითმება და რითმის დაცვისათვის ასე შეუწორობია (გადამწერს ალბათ შეცდომა მოუვიდალად):

1. როს მომცემ, მზეო, ლხენასა,  
არ ძალუქს ქება არვის ენასა.

2. როს განმავორე შევბას ტკბობილს.  
არ ვიგლოვ თავსა ესრეთ ჰყრობილსა.

აღბათ გრიშაშვილის მიერ შეტანილი შესწორება უფრო დედნი-  
სეულია, თუმცა ამაზე დარწმუნებით არ შეიძლება არაფრის თქმა.

ვფიქრობთ, ასეთივე ჩარევაა გამომცემლის მიერ ლექსის „მოვედ  
ამ არედ შესამკობელად“ ერთ სტრიქონში, სადაც ეწერა: „მზე მოიწ-  
ვიე და მამატკობელად“ გასწორდაო, ამბობს ი. გრიშაშვილი, ასე:  
„მზე მოიწვიე და მამატფობელად“. საიდან გაასწორა გამომცე-  
მელმა, არ ჩანს.

მაგრამ ლექსში „თავსა უფლად“, სადაც ადრე იბეჭდებოდა:

თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ,  
ერთგზის თქვენცა ტრფიალება  
ჩემებრ მწარედ დაგიმონებთ.

ი. გრიშაშვილის „ერთი ხელნაწერის მიხედვით“ ეს ხარვეზი ამო-  
უესია და „დაკოქლებული ხანა“ ასე გაუსწორებია:

თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ.  
ყოველთ ესრეთ გაიგონეთ.  
ერთგზის თქვენცა ტრფიალება  
ჩემებრ მწარედ დაგიმონებთ.

ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, სწორედ მოიქცა იგი. მაგრამ რო-  
მელია ეს ხელნაწერი, ჩვენთვის უცნობია. ამრიგად, როცა 1940 წლის  
გამომცემას ვეცნობით, ცხადი ხდება, თუ რა დიდი ტექსტოლოგიური  
მუშაობა ჩაატარა ი. გრიშაშვილმა ტექსტებზე. რაზედაც ხელი მიუწვი-  
და ყველაფერი ამომწურავად შეისწავლა, ყველაფერზე ამომწურავად  
სცადა პასუხის გაცემა. მაგრამ თვითონ მასალაა მეტად სადავო და სა-  
ეკვო (მეტი წილი ზომ სხვისი გადაწერილი ხელნაწერებია), ამიტომ გა-  
მომცემელიც ამ შემთხვევაში შეძლებისდაგვარად მოიქცა. ამის საფუ-  
ძველზე მან ბევრი ადგილი აღადგინა, ტექსტები დაწმინდა, ბევრი ად-  
გილიც შეცვალა თავისი სარწმუნო არგუმენტებით. ლაპაარკობს იმაზე,  
თუ სად იპოვა ან როგორ მიაკვლია ზოგიერთ ტექსტს; რატომ არის  
იგი ჭკუკავადისეული და არა სხვისი. იქვე მოაქვს ადგილები, რომელმა  
მწერალმა თავის რომელ ნაწარმოებში გამოიყენა ალ. ჭკუკავადის ესა  
თუ ის ლექსი. ან ვინ თარგმნა მისი ლექსი და რა ენაზე. პარალელუ-  
რად აწარმოებს სხვადასხვა თარგმანების შედარებას და მკითხველს  
უჩვენებს ერთის უპირატესობას მეორეზე.

რაც შეეხება დათარიღების საკითხს, შთაბეჭდილება ისეთია, თით-  
ქოს გამომცემელი განგებ უხვევს ამას გვერდს და მიზნად არა აქვს

თარიღის გარკვევა. „ზოგიერთი ლექსის დათარიღებას მოვერიდეთ სათანადო მასალების უქონლობის გამო“, — წერს ი. გრიშაშვილი. მაგრამ აქაც თავისი აზრი აქვს რამდენიმე ლექსის თარიღის დადგენაზე და იქვე დასძენს: „ერთი კი უდავოა, რომ ყველა ის ლექსი, რომელიც პუბლიცისტობის ეპოს არის დაწერილი და რომელთაც ქვეშ ძველი რექტორების მიერ მიწერილი ჰქონდათ — „კაზარმობის დროს თქმული“ — ეკუთვნის 1804 წელს, პოეტის პირველ პერიოდს და არა 1834 წელს. ამას ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ დავით რექტორის დავთარი გადაწერილია 1823 წელს“.

ცალკეა გამოყოფილი ლექსიკონი. იგი იმავე პრინციპით არის გაკეთებული, როგორც საერთოდ გამომუშავებული აქვს ი. გრიშაშვილს: სალექსიკონო და საკომენტარო სიტყვები ერთმანეთშია არეული და ანბანთრიგის მიხედვით არის დალაგებული (მაგალითად ლექსიკონში განმარტებულია ისეთი სიტყვები, როგორიცაა გრემი, გუსტავი, კასპი, ლუდოვიკო, ფრიდერიკოსი, ციციშვილი და ა. შ.).

როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა ეს აკადემიური გამოცემა და პასუხობს თუ არა თავის მოთხოვნილებებს?

მეცნიერული კვლევითი თვალსაზრისით, იგი ერთ-ერთ საუკეთესო გამოცემად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ, როგორც აკადემიური გამოცემა, მთლად უნაკლო არ არის: მასში არ არის მოგვარებული ვარაიანტული წაკითხვების აღნიშვნა; არ არის მოგვარებული დათარიღების საკითხი, არ არის გადაწყვეტილი ძირითადი ტექსტების შერჩევისა და დადგენის პრინციპი (ეს ეხება უავტოგრაფო ტექსტებს), ასევე მოსაგვარებელია განსამარტავი სიტყვების კლასიფიკაცია და ა. შ. ყოველივე ამის გამო ეს გამოცემა სათანადოდ ვერ პასუხობს თავის დანიშნულებას. თვითონ გამომცემელიც გრძნობს მის ზოგიერთ ნაკლს და თავის შეხედულებას ამ ტომზე ასე აყალიბებს: „მკითხველი შეატყობს, რომ წიგნში აღძრული რამდენიმე დეტალი არ არის ჩემს მიერ განფენილი... ეს ჩემი ნაშრომი, რომელიც ვერ გავაძლე მასალებით — თარიღთა დაზუსტებისათვის კვლავ საჭიროებს სათუთად მიდგომას. ზოგიერთი საკითხი იმდენად შეუსწავლელია ჩვენს ლიტერატურაში, რომ მისი ერთბაშად გადაჭრა საჭიფათოა... დიდ დროს მოითხოვს. ერთი კი უდავოა; ამ წიგნის გამოსვლით ალექსანდრე ჭავჭავაძის გარშემო გაცხოველდება ნიაზი, მსჯელობა, კამათი სხვადასხვა აღმოჩენები და ეს კი საბაბს მოგვცემს, მეორე გამოცემა გამოვიდეს „შევსებული და შესწორებული“, როგორც ეს მიღებულია ხოლმე ამისთანა შემთხვევაში“ (გვ. 343—344).

1940 წელს ი. გრიშაშვილმა გამოსცა აკ. წერეთლის თხზულებათა



III ტომი (შვიდტომეულიდან), რომელშიც შედის პოემები, დრამატული ნაწერები ლექსად და ნაწყვეტები. 1949 წელს გამოსცა აკ. წერეთლის დრამატული ნაწერები პროზად (ტ. V).

როცა განზრახულ იქნა აკ. წერეთლის თხზულებათა გამოცემა 15 ტომად, 1956 წელს შემოხსენებული III ტომი ორ ტომად გაიყო (V—VI ტომებად) და III ტომში შემავალი მასალები ასე განაწილდა. V ტომში შევიდა მხოლოდ პოემები, VI-ში დრამატული ნაწერები ლექსად.

1949 წელს გამოცემული V ტომიც 1959 წელს ორად გაიყო (IX—X ტომებად) და V ტომში შესული მასალებიც ასე განაწილდა: IX ტომში მოთავსდა 15 ორიგინალური პიესა, X ტომში კი დანარჩენი სამი პიესა და თარგმანები

ამ ტომების განხილვისას, აშკარა ხდება, რომ ი. გრიშაშვილს შესწავლია და საკმაოდ დიდი მუშაობა გაუწევია აკ. წერეთლის პოემებსა და დრამატულ ნაწერებზე, რომლებიც აკაკის თხზულებათა 7 და 15 ტომეულებში სულ ექვს ტომად შევიდა: ორი ტომი 1940 1949 წლებში, ოთხი ტომი 1956 — 1959 წლებში.

ჩვენ შევეცდებით დაწვრილებით განვიხილოთ 1940—1949 წლის გამოცემები და შემდეგ ისინი შევეუდაროთ 1956—1959 წლის გამოცემებს, რომლებიც ძირითადად 1940—1949 წლის გამოცემებს მისდევენ და დამატებით კიდევ შეიცავენ ახალ მასალას.

1940 წელს გამოცემულ აკ. წერეთლის თხზულებათა III ტომში ტექსტები უანრობრივად არის დალაგებული: პოემები, დრამატული ნაწერები ლექსებად, ნაწყვეტები და ვარიანტები. ისინი ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დალაგებული. პოემების ბოლოს მოთავსებულია საბავშვო ზღაპარი, სიკვამულისდროინდელი ნაწარმოებები: „ალექსი“ და „მეუდაბნოე“. დრამატულ ნაწერებში ცალკეა გამოყოფილი სატირული ნაწარმოები „პირუტყვის არჩევანი“ და ყრმობისდროინდელი ნაწერი „ძველი ამხანაგები“.

ი. გრიშაშვილს ტექსტებზე მუშაობის დროს პირველყოვლისა ყურადღება მიუქცევია ავტოგრაფებისთვის და მათზე დაყრდნობით გაუმართია და აღუდგენია პოემები: „თამარ ცბიერი“, „პატარა კახის“ ნაწილი და სხვა. მაგრამ ამ ტომს აქვს ნაკლოვანი მხარეებიც. მაგალითად, „მოხუცის გრძობის“ შესახებ შენიშვნების შესწავლაში წერია, რომ იგი მანამდე იბეჭდებოდა დაზიანებულად, ჩვენს გამოცემაში კი ტექსტი აღდგენილია პოეტის დედნების მიხედვით — სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქ. მუზეუმში და ცენტრარქივში დაცულ ხელნაწერ მასალებზე მუშაობისასო (გვ. 685), ე. ი. გამომცემელს ტექსტი აღუდგენია ხელნაწერ მასალებზე მუშაობის დროს პოეტის დედნების მიხედ-

ვით. რასაკვირველია, აქ იგულისხმება ავტოგრაფები, რომლის მიხედ-  
ვითაც ტექსტი გამართულა. მაგრამ იქვე „მოხუცის გრძობის“ შენიშ-  
ვნებში (გვ. 700) საწინააღმდეგო ცნობას ვაწყდებით. ირკვევა, რომ ამ  
პოემას არავიფარდი. ავტოგრაფი არ ჰქონია. ამ შენიშვნაში არ არის  
ცნობილი, აგრეთვე თუ რომელ ტექსტს დაეყრდნო გამომცემელი ან  
საიდან შეიტანა ტექსტში შესწორება. საფიქრებელია, მან ძირითად ტე-  
ქსტად 1905 წლის გამოცემა აიღო, მაგრამ 20 ხანა საიდან აღადგინა,  
ეს მაინც გაურკვეველი რჩება.

რაც შეეხება „თორნიკე ერისთავს“, ი. გრიშაშვილი ეყრდნობა  
1884 წლის ხელნაწერს და მის მიხედვით მართავს ტექსტს. ამასთან ერ-  
თად იგი მართებულად იყენებს 1940 წელს უნივერსიტეტის ბიბლიო-  
თეკაში ახლად აღმოჩენილ ხელნაწერს, რომელიც აკაკის ავტოგრაფი  
არ არის (ი. გრიშაშვილის აზრით, ხელწერა აკაკის მოწაფის — პოეტ  
ცახელისა უნდა იყოს), მაგრამ თავის სისრულით მაინც გარკვეულ ინ-  
ტერესს იწვევს. ცნობილია, რომ პოემიდან ცენზურას ამოუღია შესავ-  
ლის 12 სტრიქონი („შიდ სამთავროს მოგვაგონებს მოელვარე ეს  
შვიდფერი“ — აქედან) და ისე დაიბეჭდა 1884 წელს. 1893 წელს აკა-  
კის ამ თორმეტი სტრიქონიდან პირველი ოთხი სტრიქონის დაბეჭდვა  
მოუხერხებია. დანარჩენი რვა სტრიქონი კი („ამ იმედით ფრთა შესხ-  
ბული“ — აქედან) არასოდეს არ დაბეჭდილა. ი. გრიშაშვილმა ეს 12  
სტრიქონი სრულად დაბეჭდა. არ გამოკვეყნებულა აგრეთვე პოემის  
სხვადასხვა ადგილებიც. კერძოდ, ბრძოლების ეპიზოდებიდან ი. გრი-  
შაშვილმა აღადგინა მთელი რვა სტრიქონი („თუმც შეგვიძლია თავზე  
დავესხათ“...). ასევე თორმეტი მანამდე უცნობი სტრიქონი: („როდესაც  
ატყდეს პირველად ომი“... აქედან — „უნდა დაეუხვდეთ და გა-  
ვუმაგრდეთ“ აქამდე). ი. გრიშაშვილმა პირველად მიაწოდა მკითხველს  
მთელი 26 მანამდე უცნობი სტრიქონი — ქართველების გმირობის  
ეპიზოდი („არავინ ელოდა აქ გადარჩენას... გასამაგრებლად მისცეს  
მხარი მხარს“). დედნის მიხედვით გაასწორა მთელი რიგი სიტყვებისა  
(განა გონებით → განაგონებით, წყურვილისაო → ურვილისაო, იწყო →  
იგრძნო, აქა → ახლა და მრ. სხვა). ასე რომ 1940 წლამდე პოემის 53  
სტრიქონი მუდამ გამოტოვებული და ამდენად მკითხველი საზოგადოე-  
ბისათვის უცნობი იყო. ი. გრიშაშვილმა 1884 წლის ავტოგრაფი შეუ-  
დარა 1940 წელს ნაპოვნ ხელნაწერს, აღადგინა ყველა ეს გამოტოვებული  
ადგილი და ტექსტი პირველად სრული სახით წარუდგინა მკითხველს.  
ი. გრიშაშვილმა ავტოგრაფის მიხედვით პირველად სრულყოფილად და-  
ბეჭდა, აგრეთვე, პოემა „სნეული“. ასევე პირველად სრული სახით, ავ-  
ტოგრაფზე დაყრდნობით დაბეჭდა „ასი წლის ამბავი — ტერმშოვანთ  
კეკელა“. ყოველივე ეს გამომცემლის დიდი დახმარებაა. მსგავსი შემთ-

სვეეები კი ი. გრიშაშვილის მიერ გამოცემულ აკაკის ტომებში, როგორც ვხედავთ, არც თუ ისე იშვიათია.

რაც შეეხება ველიჩკოს „გორის ციხეს“, იგი, ყოველთვის ორიგინალურ ნაწარმოებად ითვლებოდა. ი. გრიშაშვილმა ტექსტი სამართლიანად მიიჩნია თარგმანად (ნებისმიერად არის გადმოქართულებული, მაგრამ მაინც ნათარგმნაო) და „თარგმანები“-ს განყოფილებაში გადაიტანა.

რომელი ნაწარმოების ავტოგრაფიც ხელთ არა ჰქონია, მათ მიმართ ი. გრიშაშვილი უფრო ნებისმიერად იქცევა. ხან პირველ ნაბეჭდ წყაროებს იღებს ძირითად ტექსტად<sup>9</sup>, ხან კი საერთოდ არ ასახელებს წყაროს<sup>10</sup> და ჩვენთვის გაურკვეველი ხდება, რომელ ნაბეჭდ წყაროს გყარდნობა იგი. ნაბეჭდ წყაროებზე მუშაობის დროს გამომცემელს ერთი მიზანი ამოქმედებს — შეარჩიოს ისეთი ტექსტი, რაც, მისი აზრით, უფრო ავტორისეულია. თუმცა ხშირად არ იძლევა დასაბუთებას, რატომ არის მის მიერ არჩეული ტექსტი უფრო დედნისეული და რატომ არა.

თითოეულ ნაწარმოებს აქვს თავისი პასპორტი და შენიშვნები. ამ შენიშვნებიდან ჩანს, რომ ი. გრიშაშვილისათვის ცნობილი ყოფილა ყველა ნაბეჭდი წყარო. მათი ბიბლიოგრაფია სრულყოფილად არის წარმოდგენილი, სადაც მოცემულია მწერლის არა მარტო სიცოცხლისდროინდელი ნაბეჭდები, არამედ სიკვდილის შემდეგდროინდელიც. აკადემიური გამოცემისათვის არაფრის მთქმელია სიკვდილის შემდეგდროინდელი განმეორებითი გამოცემები. მაგრამ, როგორც ჩანს, ი. გრიშაშვილი ორივე პერიოდის გამოცემებს ერთნაირ მნიშვნელობას აძლევდა (მაგალითად, „თორნიკე ერისთავი“-ს გამოცემების ბიბლიოგრაფია ასეა წარმოდგენილი: 1884 წ., 1898, 1908 წ., შემდეგ — 1919 წ. 1926 წ. 1935 წ. 1940 წ. და ა. შ.).

შენიშვნებში არსად არ არის გამოტანილი საკომენტარო სიტყვები, თუმცა ისინი ტექსტებში დიდი რაოდენობით გვხვდება. ასევე არ არის სრულად ტექსტების ვარიანტული წაკითხვები. ეს კი მეტად მნიშვნელოვანია ტექსტის ისტორიის შესწავლისა და მისი დადგენისათვის. ხოლო ავტორის უკანასკნელი ნება უმეტეს შემთხვევაში გამომცემლისათვის გასაზიარებელი უნდა იყოს. ი. გრიშაშვილს თავის ტექსტოლო-

<sup>9</sup> „ბაგრატ დიდი“ — 1875, „ანდრია პირველწოდებული“ — 1884, „ქიდაობა“ — 1888, „იკოლას ნაამბობი“ — 1889, ამ უკანასკნელზე ი. გრიშაშვილი ამბობს, რომ 1889 წლის კრებულში უფრო სწორად არის დაბეჭდილი, ვიდრე შემდეგდროინდელ წყაროებშიო“. ამიტომ ვფიქრობთ, ეს ტექსტი აიღო ძირითადად.

<sup>10</sup> „წმინდა გიორგი და წმინდა ილია“, „ორი ქართველი“, „ნაცარქეჩია“, „გამზრდელი“, „ნათელა“.

გეორგ ბუშობაში ეს ორი აუცილებელი კომპონენტი მეტ შემთხვევაში უგულვებელყოფილი აქვს.

აღსანიშნავია, რომ აკადემიურ გამოცემებში ჯერ იძლევიან ტექსტის პასპორტს, შემდეგ კი შენიშვნებს. ი. გრიშაშვილისეულ გამოცემებში ზოგჯერ პირიქით გვხვდება: ჯერ შენიშვნებია, მათ ბოლოს კი ჩამოთვლილია უკვე ტექსტის დაბეჭდვისა თუ დაწერის თარიღები (მაგ. „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“).

აქ წერეთლის თხზულებათა მესამე ტომის გამოსვლამ გამოხმაურება პპოვა პრესაში. 1942 წლის ე. „მნათობის“ № 7—8-ში დაიბეჭდა მ. დუდუჩავას რეცენზია ხსენებულ ტომზე. ბევრი დადებითი მხარეების აღნიშვნის გვერდით, რეცენზიის ავტორი გამომცემელს არ ეთანხმება ზოგიერთ საკითხში და საყვედურობს თვითნებურ ჩარევას ამა თუ იმ ტექსტის გამართვის დროს, რაც ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია აკადემიური გამოცემისათვის. „კლასიკოსის ნაწარმოებში შესწორების შეტანა, — წერს მ. დუდაჩავა, — მაშინ, როდესაც ამის საფუძველს არ ძლევია ამ ნაწარმოებების არც ერთი ვარიანტი ან შესასწორებელი ადგილი რამე აშკარა დამახინჯებას არ იძლევა, გაუმართლებელია... ეს ათქმის უფრო არსებითი შესწორების შესახებ, რომელიც „ალექსის“ ერთ-ერთ სტროფში შეუტანია რედაქტორს რითმის მიხედვით“ (გვ. 251).

საკითხები ეხება პოემა „ალექსის“ ერთ სტროფს, რომელშიც ი. გრიშაშვილს რითმის გამართვის გამო სტრიქონებში სიტყვები გადაუნაცვლებია, მაგალითად:

იყო:

ძილი დაუფრთხათ

ტკბილი, მაგარი.

ამ ხმაურით პატარა კრავებს,

რა რომ წამოხტენ,

მაშინვე მიხედნენ,

რომ აბრწყვებდა ვიღაც მტრობით

III ტომში დაიბეჭდა

დაუფრთხათ ძილი,

მაგარი ტკბილი

პატარა კრავებს ამ ხმაურით.

რა რომ წამოხტენ,

მაშინვე მიხედნენ,

რომ აბრწყვებდათ ვიღაც მათ

მტრობით.

ასევე ი. გრიშაშვილს გადაუნაცვლებია სტრიქონები „კიკოლას ნამბობის“ ერთ-ერთ სტროფში.

და, მართლაც, რომ ჩამაბარეს  
სატანჯველად სისხლისმსმელებს,  
არ უშვებდნენ არც  
მნახველებს.  
ინ მოსთელის ჩემს გასაქირებს.

და მართლაც რომ ჩამაბარეს  
სატანჯველად სისხლისმსმელებს,  
ვინ მოსთელის ჩემს გასაქირებს.  
არ უშვებდნენ არც  
მნახველებს.

რაც რეცენზენტის დიდ საყვედურს იწვევს.

ამ საყვედურის გამო აღშფოთებული ი. გრიშაშვილი თავის საპასუხო წერილში „ერთი რეცენზიის გამო“ წერს: „უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მე აკაკის ტექსტი არ ამომიხვევია მზამზარეულად გამოცემულ რომელიმე წიგნიდან და ისე არ ვადამიცია სტამბისათვის. აკაკის ყოველი ნაწარმოები დიდის გულმოდგინებით შემისწავლია, შემიდარებია საარქივო მასალებისათვის, ავტოგრაფებისათვის, პირველ ნაბეჭდ ტექსტისათვის და ისე გამოიმჩნევა აკადემიურ გამოცემაში“<sup>11</sup>.

ი. გრიშაშვილი აბსოლუტურად ეთანხმება რეცენზენტს იმაში, რომ გამოცემელმა ავტორისეული არაფერი არ უნდა შეცვალოს, არ უნდა გადააკეთოს თავის ნებაზე. ეს ჩარევა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ მიაჩნია დასაშვებად, თუ ტექსტში აშკარა შეცდომაა დაშვებულად სწორედ ასეთ შეცდომად თვის ი. გრიშაშვილი ზემოთ მოტანილი მაგალითების აღრე დაბეჭდილ ტექსტებში. მას, როგორც თვითონ აღნიშნავს, მიუგნია „მესტამბის“ შეცდომებისათვის, რომელსაც არასწორად აუწყვია სიტყვები. ი. გრიშაშვილს ეს ადგილები გაუმართავს და აკაკის ნამდვილი რითმა აღუდგენია. „რატომ უნდა მესაყვედუროს არა აკაკის მიზეზით გაპარული „აშკარა დამახინჯებანი“, როცა ყველამ ვიცით, აკაკი სტამბის კაცი არ იყო და მე დარწმუნებული ვარ, არც ერთი თავისი ნაწერის კორექტურა წაკითხული არ ექნებოდა“, — ამბობს ი. გრიშაშვილი.

საქმე იმაშია, რომ ი. გრიშაშვილიც და მ. დუდუჩავაც ერთ პრინციპს იზიარებენ კლასიკოსი მწერლის გამოცემის დროს — ტექსტი უნდა იყოს ავტორისეული, ავტორის ნებაში თვითნებურად არავინ არ უნდა ჩაერიოს და ნაწარმოები უნდა გამოიცეს ისე, როგორის გამოცემაც მწერალს სურდა. მათ შორის უთანხმოება ერთმა გარემოებამ გამოიწ-

<sup>11</sup> ი. გრიშაშვილი, ერთი რეცენზიის გამო, თხზულებანი, ტ. IV. 1964. გვ. 366.

ვია: ამ შესწორებების შესახებ ი. გრიშაშვილი არაფერს არ ამბობს „ალექსის“ შენიშვნებში. მას რომ შენიშვნებში დასაბუთებულად აღენიშნა, თუ როგორ შეასწორა „მესტამბის“ შეცდომები და როგორ აღადგინა აკაკიეული ტექსტი, ვფიქრობთ, რეცენზენტის საყვედურს კი არა, დიდ მადლობას დაიმსახურებდა და ასეთ გაურკვევლობასაც აღარ ექნებოდა ადგილი.

ი. გრიშაშვილის ეს საპასუხო წერილი ჩვენთვის იმიტომაცაა საინტერესო, რომ მასში ნათლად ჩანს, ჯერ ერთი, ის დიდი ტექსტოლოგიური მუშაობა, რაც მას ჩაუტარებია ამ გამოცემაზე და მეორე, რაც მთავარია, მასში ჩანს ის ერთადერთი სწორი პრინციპი (ავტორის ნების დაცვა), რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა ტექსტებზე მუშაობის დროს. ეს იყო ი. გრიშაშვილის ტექსტოლოგიური საქმიანობის მთავარი ძარღვი.

როგორც ზემოთ ვთქვით, 1940 წლის აკაკი წერეთლის თხზულებათა III ტომი 1956 წელს ორ ტომად გაიყო (V — VI ტომებად). V ტომში შევიდა პოემები, VI-ში კი დრამატული ნაწერები ლექსებად. III ტომთან შედარებით ამ უკანასკნელ ტომებში გარკვეული ცვლილებებია შეტანილი, შენიშვნები უფრო სრულყოფილი და მეცნიერულია. ბევრია დამატებითი ცნობები ამა თუ იმ ტექსტის ისტორიაზე, თარიღზე და სხვა.

მაგალითად, 1940 წლის გამოცემაში გამოტოვებულია „ბაგრატ დიდის“ ცალკე წიგნად მეორედ დაბეჭდვის თარიღი (1875 წ.). ასევე, არ არის ნახსენები პოემის 1908 წლის გამოცემა ცალკე წიგნად. „ჭილაობის“ დაბეჭდვის თარიღად კი მხოლოდ 1888 წელია აღნიშნული. 1906 წელსაც რომ დაიბეჭდა, გამოტოვებულია. ამ მხრივ 1956 წლის გამოცემა სრულია და ამგვარი ხარვეზებისაგან შედარებით თავისუფალი.

„ბაგრატ დიდის“ შენიშვნებში დამატებით არის ნათქვამი, თუ რამ უბიძგა აკაკის დაეწერა ეს პოემა: „ინგილო (დიმიტრი) ჯანაშვილის ნარკვევს — „ბაგრატ დიდი“ — დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია პოეტზე. მან ბიძგი მისცა ლექსად დაეწერა შესანიშნავი პოემა „ბაგრატ დიდი“ — წერს ი. გრიშაშვილი. ეს ცნობა თავისთავად მეტად საინტერესოა ტექსტის ისტორიისათვის, მაგრამ ცოტა გაუგებრობას იწვევს: რას ნიშნავს ლექსად დაეწერა პოემა? პოემა ხომ თავისთავად დიდი, რაიმე ამბის შემცველი ლექსია?

„თორნიკე ერისთავის“ შესახებ ზუსტად იგივე მეორდება, რაც წინა გამოცემაშია. დამატებით ნათქვამია, რომ პოემის პირველი სათაური ყოფილა „თორნიკე“ და, რომ 1946 წელს პროკლე კეკელიძემ

დაიცვა დისერტაცია თემაზე „აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავის“ ავტოგრაფი“.

როგორც აღვნიშნეთ, „ქიდაობა“ ავტორის სიცოცხლეში ორჯერ დაიბეჭდა<sup>12</sup>. ი. გრიშაშვილი ტექსტში შეტანილი ავტორისეული ცვლილებების ნათელსაყოფად ამ ორ ნაბეჭდ წყაროს კი არ უდარებს ერთმანეთს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო აკადემიური გამოცემისათვის, არამედ იგი 1888 წლის გამოცემას უდარებს 1924 წლის ნაბეჭდს, რომ ნათელი გახადოს — როგორ დაამახინჯეს გამომცემლებმა ეს უკანასკნელი გამოცემა (საილუსტრაციოდ მოტანილია ოთხი მაგალითი). ეს ცნობა თავისთავად საინტერესოა, მაგრამ აკადემიურ გამოცემას პირველყოვლისა აინტერესებს ავტორის სიცოცხლეში დაბეჭდილი ტექსტების ურთიერთმიმართება, ვიდრე მწერლის სიკვდილის შემდეგდროინდელი გამოცემების მდგომარეობა.

საინტერესოა „ნათელას“ ტექსტის ისტორიაც: V ტომში დამატებით აღნიშნულია, რომ ი. გრიშაშვილის ძირითად ტექსტად გამოუყენებია 1879 წელს მიტროფანე ლალიძის მიერ გამოცემული პოემა ცალკე წიგნად. ხელთ კი ჰქონია პირვანდელი ხელნაწერი, რომელიც აკაკის მეგობარს დათიკო ფალავას ეკუთვნისო. სწორედ ამ ხელნაწერიდან ირკვევა, რომ „ნათელას“ აღრინდელი სათაური „პირიმზისა“ ყოფილა. გამომცემელს ძირითად ტექსტში ზოგი შესწორება ხელნაწერიდან შემოუტანია, ზოგიც ნაბეჭდის მიხედვით დაუტოვებია; ზოგი ადგილი კი, რომელიც ხელნაწერში ყოფილა და ნაბეჭდში არა, ხელნაწერიდან შეუვისია. რა საფუძველზე გამართა ასეთი ტექსტი გამომცემელმა. ამის შესახებ იგი არაფერს ამბობს. იქნებ თვითონ აკაკიმ ამოიღო ხელნაწერიდან სტროფები და ნაბეჭდში აღარ გაუშვა, როგორც პოემისათვის ზედმეტი ადგილები?

შენიშვნაში ერთ გაუგებრობას აქვს ადგილი. იგი უფრო სტილისტური ხასიათისაა. ი. გრიშაშვილი როცა „ნათელას“ პირვანდელ ხელნაწერს ეხება, წერს: „არსებობს „ნათელას“ პირვანდელი ხელნაწერი, რომელიც ეკუთვნის კერძო პირს, პოეტის მეგობარს... დათიკო ფალავას (ამჟამად ექიმს). ეს ხელნაწერი წარმოადგენს პოეტის შავ მასალას... ფალავასეული ვარიანტიდან ირკვევა, რომ პოემას თავდაპირველად რქმევია „პირიმზისა“. საინტერესოა, რას ნიშნავს „ფალავასეული ვარიანტი“, ალბათ აქ უფრო არასწორ გამოთქმასთან გვაქვს საქმე, ვიდრე ის ვიფიქროთ, რომ იგი ფალავას მიერ შეცვლილი ტექსტია.

<sup>12</sup> ი. გრიშაშვილმა სამართლიანად უარყო პოემის დაწერის მანამდე გავრცელებული მცდარი თარიღი 1890 წელი და დაასაბუთა, პოემა დაწერილია 1888 წელსო.

შენიშვნების ბოლოს „ნათელას“ ბიბლიოგრაფიაა მოცემული სადაც გამომცემელი ბოლო გამოცემის თარიღად 1937 წელს ასახელებს. 1940 წელს კი თვითონ დაბეჭდა ეს პოემა III ტომში, რის შესახებაც არაფერს ამბობს.

„მოხუცის გრძნობის“, „მამლის ყვივილზე“ და „გორგასლანის“ შენიშვნებიც არ არის ცნობილი, თუ რომელი ტექსტია ძირითად წყაროდ აღებული, მით უმეტეს, რომ „გორგასლანის“ ორი ავტოგრაფი არსებობს, ასევე ნაბეჭდი წყაროებიც. რაც შეეხება „მამლის ყვივილზე“, ორივე გამოცემაში ასეთი ცხობაა: „არსებობს „მამლის ყვივილზე“ ავტოგრაფიო“ და სხვა არაფერი.

ამრიგად, 1956 წლის გამოცემაში ბევრი ახალი მასალაა წარმოდგენილი 1940 წლის გამოცემასთან შედარებით, თუმცა ბევრიც უცვლელად მეორდება. ზოგიერთი ადგილი ისე მექანიკურად არის გადმოტანილი ადრინდელი გამოცემიდან, რომ ერთგვარ კურიოზებსაც კი ვაწყდებით. მაგალითად, როგორც ზემოთ ითქვა, 1940 წლის გამოცემაში დაწვრილებით არის ლაპარაკი „თორნიკე ერისთავის“ ადრინდელ გამოცემებში გამოტოვებულ იმ 58 სტრიქონზე, რომლებიც „მანამდე არცერთ გამოცემაში არ დაბეჭდილაო“. 1956 წლის V ტომში ე. ი. 16 წლის შემდეგ იმავეს იმეორებს გამომცემელი და მხედველობიდან რჩება, რომ ეს 58 სტრიქონი 1956 წელს კი არ იბეჭდება პირველად, არამედ მის მიერვე უკვე დაიბეჭდა 1940 წელს.

ასევე, პირველად აღდგენილია „მოხუცის გრძნობიდან“ გამოტოვებული 20 სტროფი, წერს გამომცემელი V ტომის მე-386 გვერდზე და აქაც დავიწყებას არის მიცემული ის ფაქტი, რომ ეს 20 სტროფი მან უკვე გამოაქვეყნა 1940 წელს.

რაც შეეხება ტომში ნაწარმოებების განლაგებას, აქაც ჩანს ის არასწორი პრინციპი, რომლის მიხედვითაც ტექსტის ნაწყვეტები და ვარიანტი-ტექსტები ცალკეა გამოყოფილი. ფაქტიურად ისინი უნდა მოთავსებულიყო ძირითადი ტექსტების შენიშვნებში და არა ტომის მთავარ ნაწილში დამოუკიდებელ ნაწარმოებებად.

ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო V ტომში 1940 წლის გამოცემიდან არ არის შეტანილი „ანდრია პირველწოდებული“, „სწეული“, „ასი წლის ამბავი — ტერმშოვანთ კეკელა“ და „წმინდა ნინო“.

1956 წელს გამოცემულ აკ. წერეთლის თხზულებათა VI ტომიც, რომელშიც 1940 წლის III ტომის ნაწილი შედის (დრამატული ნაწერები ლექსად) იგივე მეთოდით არის გაკეთებული. მასში ბევრი მეტად საინტერესო დაკვირვებები და ცნობები მოცემული, ბევრი ადგილია აღდგენილი და ტექსტების მეტი ნაწილი სრულად იბეჭდება. მაგალი-



თად, ვასწორებულია და სავსებით აღდგენილია ი. გრიშაშვილის მიერ „თამარ ცბიერის“ ტექსტი. „პატარა კახშიც“ სამი ადგილი გასწორდა, მაგრამ საიდან იყო ეს სწორება, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

ისევე როგორც 1940 წლის გამოცემაში, არ არის აქაც დასახელებული „მედიას“ წყარო, საიდანაც გამომცემელი სარგებლობდა ძირითადი ტექსტისათვის. აქვე ერთ გაუგებრობას ვაწყდებით. ი. გრიშაშვილი წერს: „აკაის ავტოგრაფებს შორის შეგვხვდა ერთი ფურცელი, სადაც რამდენიმე სიტყვაა ჩამოწერილი და განმარტებული. ეს ალბათ (ხაზი ჩვენია — რ. კ.) „მედიას“ შენიშვნებიაო“. ამას მოსდევს ეს სიტყვებიც: აეტეს, სავარცხულა, კველა, თეჯირი, სერსეროთი, კაბდე. საინტერესოა რომელ ავტოგრაფებს გულისხმობს გამომცემელი: აკაის სხვა ხელნაწერებს თუ „მედიას“ ავტოგრაფებს? ალბათ სხვა ტექსტების ხელნაწერებს, თორემ „მედიას“ ავტოგრაფებში ეს სიტყვები რომ ენახა, გამომცემელი სიტყვა — „ალბათს“ აღარ იხმარდა, მაგრამ, სადაც არ უნდა შეხვედროდა ისინი, გამომცემელი ისე კარგად სცნობდა „მედიას“ ტექსტს, რომ პირდაპირ უნდა აღენიშნა „მედიადან“ მომდინარეობდნენ ისინი, თუ არა. კარგად არის გაკეთებული „ვორონცოვის“ შენიშვნები. მასში დაწვრილებით არის განხილული, თუ როგორ აკრძალა ცენზურამ ეს პოემა, ავრეთვე გარკვეულია მისი დაწერის თარიღი (1909).

პირველად ცნობილი ყოფილა ამ პოემის რუსული თარგმანი (ცენზურისათვის გაკეთებული), შემდეგ მის ქართულ დედანს მიაკვლიეს და 1912 წელს დაბეჭდეს კიდევ. მაგრამ ცენზურამ იგი აკრძალა და თავის არქივში შეინახა. ი. გრიშაშვილმა საცენზურო კომიტეტის არქივში მიაკვლია ქართულ ტექსტს და როგორც აღნიშნავს, შეუდარებია კიდევ 1912 წლას ნაბეჭდისათვის (შედარება მოტანილი არ არის). ყოველივე ამ საინტერესო ცნობების შემდეგ ი. გრიშაშვილის შემდეგი ცნობა კვლავ გაუგებრობას იწვევს. შენიშვნის დასასრულს გამომცემელი აღნიშნავს, რომ ლექსი „სავარცხელი“, რომელიც იდეურად ენათესავება „ვორონცოვს“, დღემდე არ დაბეჭდილაო. „არსებობს აკაის ერთი დავიწყებული ლექსი, ქართულად იგი დაბეჭდილი არ გვინახავს, ლექსის სათაურია „სავარცხელი“ (გვ. 396). ამას წერს 1956 წელს. 1940 წლის გამოცემაში კი მის მიერ „სავარცხელი“ დამოუკიდებელ ლექსად მიდის გამოცემის ძირითად ნაწილში. მე-6 ტომში იგი მხოლოდ „ვორონცოვის“ „მონათესავე“ ლექსად სცნო ი. გრიშაშვილმა და ტომის ძირითად ნაწილიდან შენიშვნებში გადაიტანა.

კარგი იქნებოდა ასე მოქცეულიყო ი. გრიშაშვილი „პატარა კახის“ და მისი პროზაული ვარიანტის „ირაკლი ბატონიშვილის“ მიმართ..

ორივე ტექსტი დამოუკიდებლად მიდის გამოცემაში და ორივეს ცალ-ცალკე აქვს დართული შენიშვნები, რაც სწორი არ არის.

იგივე ითქმის „მელიაზე“ და მის ვარიანტზე „მელია ელადაში“, რომლებიც ასევე დამოუკიდებლ ტექსტებად იბეჭდება VI ტომში.

V ტომში შედის 17 ორიგინალური პიესა, 4 თარგმანი და 5 „იმე-რული სცენა“.

ეს იყო პირველი და მეტად მნიშვნელოვანი ცდა, როცა პრესაში გაბნეული ეს ნაწერები ერთად იქნა თავმოყრილი. ამასთან აქ პირველად დაიბეჭდა მანამდე უცნობი პიესები „განთიადი“, „რეპეტიცია“ და სხვა. „ქვემოთ მოთავსებულ სარედაქციო შენიშვნებში ვიძლევიტ ცნობებს თითოეული ნაწარმოების ტექსტის ისტორიისა, თარიღისა, პუბლიკაციისა, აგრეთვე პიესების თეატრალური ისტორიის შესახებ. პიესები დალაგებულია ქრონოლოგიურად“ — წერს ი. გრიშაშვილი შენიშვნების შესავალში. 1959 წელს V ტომი ორად გაიყო — IX და X ტომები (IX ტომში თითქმის უცვლელად მეორდება ყველაფერი, რაც V ტომშია, მხოლოდ IX ტომში შედის „მომრიგებელი მოსამართლე“, რაც V-ში გამოტოვებულია. განსხვავება ამ გამოცემებს შორის ის არის, რომ 1949 წლის V ტომში თუ წერია „40 წლის წინათ“, 1959 წელს წერს „50 წლის წინათ“).

1949 წლის გამოცემაში ბევრი ახალი თქვა ი. გრიშაშვილმა — მან გაარკვია, რომ „სცენა საპატიმროში“ დაიწერა არა 1872 წელს, როგორც მანამდე იყო ცნობილი, არამედ 1867 წელს „ძველსა და ახალს შუა“-ს მეორე მოქმედება ცენზურას ამოუღია. მხოლოდ ი. გრიშაშვილმა აღადგინა ავტორისეული ტექსტი და დაბეჭდა ამ გამოცემაში. ასევე ორმოქმედებიანი კომედიის — „ისინი ნაცარქექიები ანუ ორი ვირის თავის“ მხოლოდ პირველი მოქმედება იბეჭდება. ი. გრიშაშვილმა ამ ნაწარმოების მეორე მოქმედების ავტოგრაფი აღმოაჩინა და პიესა სრული სახით დაბეჭდა.

ი. გრიშაშვილმა პირველმა გაარკვია, რომ „არსენა“ და „კულდურ-ხანუმი“ ერთმანეთის „ნათესავი“ ტექსტებია, და რომ „კულდურ-ხანუმი“ „არსენას“ ახალი რედაქციაა. „არსენას“ რადგანაც ცენზურა კრძალავდა, აკაკი იძულებული გამხდარა პიესის მოქმედების დრო გადაეწია. მან პიესის შინაარსი დაუკავშირა მე-16 საუკუნის ოსმალეთის საქართველოს ცხოვრებას, მოქმედ პირებს სახელები გამოუცვალა, სათაურიც „კულდურ-ხანუმად“ გადააკეთა და ისე დაბეჭდა. ი. გრიშაშვილამდე ეს პიესები ორ სხვადასხვა პიესად ითვლებოდა. გამომცემელმა მათ იგივეობას მიაქცია ყურადღება, ერთმანეთს შეუდარა და სამართლიანად ერთმანეთის რედაქციებად სცნო („არსენას“ პირველი მოქმედება ცნო-

ბილია, მეორეს კი ი. გრიშაშვილი დაკარგულად თვლის. სწორედ ამ პირველ მოქმედებას შეუდარა გამომცემელმა „კულტურ-ხანუმის“ II მოქმედება და მათ შორის დიდი მსგავსებაც დაადგინა). როცა შეეუღარეთ ერთმანეთს ეს ტექსტები, ჩვენც გავიზიარეთ ი. გრიშაშვილის აზრი ამ პიესების იდენტურობის შესახებ.

და ბოლოს, ინტერესს იწვევს „ვანთიადის“ შენიშვნები. მასში ვკითხულობთ „აკაკის ამ ახლად აღმოჩენილ პიესაზე, რომელიც პირველად გამოვქვეყნეთ ჟურნალ „მნათობში“ (1945 წ. № 2, 4—5), ცოტა ვრცლად ვილაპარაკებთო (გვ. 431)<sup>13</sup>. ამ შემთხვევაშიც გამომცემელი გამორიცხავს 1949 წლის აკ. თხზულებათა V ტომის გამოცემას, რომელშიც თვითონ დაბეჭდა ეს პიესა.

ეს და მსგავსი შემთხვევები გვაფიქრებინებს, რომ გამომცემელი ხშირად ივიწყებდა თავის ნაშრომს, ან მეტისმეტად უგულებელყოფდა მას, რაც, რასაკვირველია მართებული არ არის.

აკაკის თხზულებათა აკადემიური გამოცემის ზემოთ ხსენებულ ტომების განხილვას შემდეგ დასკვნებამდე მივყევართ:

ი. გრიშაშვილს მისთვის ჩვეული ენერგიით, თავისი ცოდნისა და გამოცდილების დაუზოგავად მეტად საინტერესო და მრავალმხრივი ტექსტოლოგიური მუშაობა ჩაუტარებია. მან ბევრი ახალი თქვა ამ ტომებში, ბევრი მასალა აღმოაჩინა, არაერთი ტექსტი აღადგინა და დახვეწა. მაგრამ რადგანაც აკადემიური დაერქვა, ეს გამოცემა უფრო პრეტენზიული გახდა. ამ თვალსაზრისით აკაკის თხზულებათა თხუთმეტტომეული მთლად უნაკლო არ არის. არ არის უნაკლო ი. გრიშაშვილის მიერ მომზადებული ამ გამოცემის ტომებიც, კერძოდ:

1. ზედმეტად მიგვაჩნია პოეტის სიკვდილის შემდეგდროინდელი წყაროების აღნიშვნა და მით უმეტეს ზედმეტია მათთან ადრინდელი ნაბეჭდი ტექსტების შედარება.

2. არ არის ვარიანტული წაკითხვები და თუ არის მეტად ძუნწადაა წარმოდგენილი.

3. არ არის გამოტანილი საკომენტარო სიტყვები, თუმცა მათი რიცხვი არც თუ ისე მცირეა.

4. ძირითად ტექსტად, როცა ავტოგრაფები არა აქვს ხელთ, მეტწილად გამომცემელს აუღია პირველი ნაბეჭდი წყაროები, რაც გაუმართლებელია იმ შემთხვევაში, თუ შემდეგაც უმუშავია ავტორს ტექსტზე და ეს გამომცემლისათვის ცნობილი ყოფილა.

<sup>13</sup> მის შესახებ იხ. აგრეთვე, ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, 1957, გვ. 115—119.

5. ძირითადი ტექსტებისა და მათი ვარიანტი ტექსტების ერთ-მანეთისაგან დამოუკიდებელ ტექსტებად გაშვება ტომების ძირითად ნაწილში არამც თუ აკადემიურისათვის, არამედ ყველა გამოცემისათვის მიუღებელია.

6. მითითებული უნდა იყოს, თუ რომელი წყარო აქვს გამომცემელს აღებული ძირითად ტექსტად და რატომ. აკაკის თხზულებათა ამ ტომებში ხშირად არ არის დასახელებული ეს წყარო.

ი. გრიშაშვილს, მართალია, მის მიერ მომზადებულ გამოცემებზე საერთოდ დიდი შრომა აქვს დახარჯული (ვანსაკუთრებით ეს ითქმის აკადემიურ გამოცემებზე), მაგრამ მის მუშაობაში მეცნიერულ-ტექსტოლოგიური მეთოდები და პრინციპები საბოლოოდ ჩამოყალიბებულსა ხეის ვერ იღებს. ი. გრიშაშვილისათვის ასე თუ ისე უცნობია მწერლის შემოქმედებითი პროცესისასდმი ისეთი მიდგომა, როგორც ამას აკადემიური გამოცემა მოითხოვს. ამიტომ ი. გრიშაშვილის მიერ გამოცემული აკადემიური გამოცემები, ფაქტიურად მეცნიერული ტიპისაა.

ი. გრიშაშვილის გამოცემლობით მუშაობას თავისი სუბიექტური მხარე აქვს — იგი ორიგინალური რედაქტორ-გამომცემელია, რომელსაც მუდამ ერთი მიზანი აქვს: ესა თუ ის მივიწყებული ქართველი პოეტი ხალხისთვის „მისაწვდომი, საყვარელი და პოპულარული“ გახადოს. ამ ერთხელ გამომუშავებულ ჩვევას არც შემდეგ დალატობს და აკადემიურ გამოცემებშიც ძირითადად ამ პრინციპით ხელმძღვანელობს.

მე ერთ დროს „დავიწყებულის და გამორჩენილის“ სათაურით მინდოდა გამომეცა ის პოეტები, რომელნიც ასე თუ ისე ჩრდილში იყვნენ მომხდარნიო“, — წერდა პოეტი 1938 წელს<sup>14</sup>. მან ამ მიზნის განხორციელება ნაწილობრივ მოასწრო. ჩვენს ნაშრომში განხილული გამოცემების გარდა ი. გრიშაშვილმა შეისწავლა და ქართველ ხალხს შეძლებისდაგვარად სრულყოფილად გააცნო ეთიმ გურჯის, ჰაზირას, დ. გივიშვილის, დიმიტრი ერისთავის, სოლო გოშაძის ლიტერატურული მემკვიდრეობანიც.

ი. გრიშაშვილის რედაქტორობით გამოვიდა, აგრეთვე გრ. რჩეულიშვილის (რჩეულიშვილის) „ქვერვის ლიმონები“ (1921 წ.), გუგუნავას „თამარიანი“ (1928 წ.), ე. ჩერქეზიშვილის მოგონებები (1942 წ.), ნ. ბარათაშვილის ლექსები (1945 წ.), „ლიტერატურული კოლხიდა“ — მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული (1948 წ.) და ა. შ. ეს გამოცემები მასობრივი, პოპულარული ხასიათისაა. მიუხედავად ამისა, თითოეულ მათგანს თან ერთვის ი. გრიშაშვილის წინასიტყვაობა, შენიშვნები და

<sup>14</sup> იხ. შ. მღვიმელი: სიმღერები, 1938, გვ. VII, წინათქმა ი. გრიშაშვილისა.

ლიტერატურულ-ისტორიული კომენტარები, სადაც გარკვევით ჩანს გამოცემლის სტილი, თხრობისა და წერის მანერა, მეცნიერული და ტექსტოლოგიური ალლო, რომელიც მუდამ გააჩნდა ჩვენს სასიქადულო ჰგოსანს.

ი. გრიშაშვილი რომ დაინტერესებული იყო ტექსტოლოგიური ძიებით, ეს იქადანაც ჩანს, რომ იგი უყურადღებოდ არ ტოვებდა არცერთ ხელნაწერს, რომელიც კი ხელში ჩაუვარდებოდა. მას მთელი სიღრმით შეისწავლიდა, გამოიკვლევდა და როგორც კი დრო დაუდგებოდა. მაშინვე დაბეჭდილი სახით მიაწვდიდა მკითხველ საზოგადოებას. მაგალითად, ი. გრიშაშვილს ხელთ ჰქონია ცაგარლის „მკითხავის“ ერთადერთი ავტოგრაფი, რომელიც დრამატურგს ი. ჭავჭავაძის „კაციადამიანიდან?“<sup>15</sup> გადმოუყეობია. ი. გრიშაშვილმა იგი პირველად 1937 წელს გამოაქვეყნა „მნათობში“ № 53<sup>15</sup>. ი. გრიშაშვილმა ილიას პიესის „მაქანკლის“ ავტოგრაფს მიაკვლია და მანვე გამოაქვეყნა ილიასადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულებში (უნივერსიტეტის გამოცემა 1937 წ.)<sup>16</sup>.

ი. გრიშაშვილმა ცენტრარქივში დაცულ დავით ერისთავის საარქივო მასალებში მიაგნო აკაკის მანამდე უცნობ ლექსს „ჩვენი მიხაკა“, რომელიც პოეტს გრაფ მიხეილ ლორის-მელიქოვზე დაუწერია, მაგრამ არ გამოუქვეყნებია<sup>17</sup>. ეს ლექსი ი. გრიშაშვილმა პირველად დაბეჭდა 1934 წ.

ი. გრიშაშვილის მიერ მიკვლეულ და გამოქვეყნებულ იქნა (1939 წ.) ნ. ბარათაშვილის მშობლების მანამდე უცნობი რამდენიმე წერილი, რომლებიც დიდი პოეტის სიძის ნ. ერისთავის ოჯახში ინახებოდა<sup>18</sup>. გამოაქვეყნა, აგრეთვე ი. ჭავჭავაძის ორი პირადი წერილი, მიწერილი ნ. ერისთავისადმი<sup>19</sup>. მის მიერ პირველად გამოყენებული არის ცაგარლის შვიდი წერილი მიწერილი ნ. ნიკოლაძისადმი, რომლებიც ნ. ნიკოლაძის არქივში ინახებოდა<sup>20</sup> და მრავალი მისთანა. ყველა ეს ზემოხსენებული წერილი თავისი შენიშვნებითა და კომენტარებითაა გამოსული. ხოლო თავის დროისათვის მეტად პოპულარული ლექსი „დილა“ (ახ, დილაჲ! დილაჲ! კვლავ სანატრელო!), რომელსაც გრ. ორბელიანს აკუთვნებენ, ი. გრიშაშვილმა გიორგი დვანაძის ავტოგრა-

15 ი. გრიშაშვილი, თხზულებანი, ტ. VI, 1964, გვ. 389.

16 იქვე, გვ. 395—408.

17 იქვე, გვ. 335—338.

18 ი. გრიშაშვილი, თხზულებანი, 1965, ტ. V, გვ. 139.

19 იქვე, გვ. 59—71.

20 ი. გრიშაშვილი, თხზულებანი, ტ. VI, 1964, გვ. 351—355.

ფებისა და თვით გრ. ორბელიანის საარქივო მასალაზე დაყრდნობით სამართლიანად დაასაბუთა, რომ ეს ლექსი ეკუთვნის არა გრ. ორბელიანს, არამედ პოეტ გიორგი დვანაძეს<sup>21</sup>.

რაც შეეხება გრ. ორბელიანის დაბადების თარიღს, მანამდე მის რამდენიმე წელს უჩვენებდნენ: 1799 წ., 1800 წ. 1801 წ., და 1804 წ. ამათგან ყელაზე გავრცელებული იყო 1800 წელი. ი. გრიშაშვილმა, საარქივო მასალებზე დაყრდნობით დააზუსტა ეს თარიღი და 1804 წლის 2 ოქტომბერი დაადგინა ნამდვილ თარიღად<sup>22</sup>.

---

## ექვთიმე თაყაიშვილი

პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილთა შორის, რომლებმაც განუზომელი ღვაწლი დასდეს ქართულ მეცნიერებას, მის სულიერ და მატერიალურ კულტურას ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ე. თაყაიშვილი წარსული საუკუნის 90-იანი წლებიდან მთელი ენერგიით იწყებს მუშაობას საქართველოს სიძველეთა შეკრებისა და მათი მეცნიერული დამუშავებისათვის. საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, წყაროთმცოდნეობა, ეპიგრაფიკა, ეთნოგრაფია. ქართული ხელოვნება. ქართული ზეპირსიტყვიერება და სიტყვაკაზმული მწერლობა. ისტორიული გეოგრაფია და სამართლის ისტორია — აი ის დარგები, რომლებშიც თავისი სიტყვა სთქვა ექვთიმე თაყაიშვილმა, როგორც მეცნიერმა და მამულიშვილმა.

ექვთიმე თაყაიშვილს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ქართული სამოქალაქო ისტორიის და სალიტერატურო ძეგლების მოკვებასა და მათ მეცნიერულ შესწავლა-გამოცემაში. ე. თაყაიშვილმა თავისი ძვირფასი გამოცემებით „თანაზედროვე ქართულ საისტორიო მეცნიერებას დიდი დამსახური გაუწია და ყოველ მკითხველსა და ჩველევარს საშუალება მისცა ქართული საისტორიო წყაროების შესწავლას შესდგომოდა“<sup>1</sup>.

ქართული ტექსტოლოგიის ისტორიაში ე. თაყაიშვილს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია.

ე. თაყაიშვილის ტექსტოლოგიური მოღვაწეობის დასაწყისი ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც საქართველოში ტექსტოლოგიური მუშაობა ის იყო თავისუფლდებოდა მექანიკური თეორიის არტახებისაგან და როგორც მეცნიერება ახლად იდგამდა ფეხს.

<sup>1</sup> ი. ვ. ჭავჭავაძის შრომა, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 28.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში საკმაოდ ნათლადაა გარკვეული, რომ „ნაყოფიერი ხანა ძველი ქართული მწერლობის ისტორიის შესწავლისა დაიწყო ეგრეთ წოდებულმა პეტროვრადის საქეციერო სკოლამ აკად. ნ. მარის ხელმძღვანელობით. ნ. მარმა და მისმა მოწაფეებმა, უმთავრესად ფილოლოგიურ-ლინგვისტური მოსაზრებითა და მიზნებით, ხელი მოჰკიდეს თვით პირველწყაროების, ესე იგი ლიტერატურული ძეგლების, შესწავლას და გამოცემას“<sup>2</sup>.

პეტერბურგის სამეცნიერო სკოლას აღზრდილთა შორის წარსული საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართულ ტექსტოლოგიას ყველაზე დიდი ამაგი პეტრე უმიკაშვილსა და ექვთიმე თაყაიშვილს მიუძღვით. პირველს განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურის, მეორეს კი სამოქალაქო ისტორიის (ნაწილობრივ ლიტერატურული) ძეგლების ტექსტოლოგიაში (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მეცნიერული ტექსტოლოგიის პირველი ნაბიჯები ისტორიულად პეტრე უმიკაშვილს უნდა დაუკავშირდეს).

ისტორიული მეცნიერების საფუძველს — წყაროთმცოდნეობას დიდი საგანი აქვს. იგი მოწოდებულია გამოიმუშაოს ისტორიის წყაროების, წერილობითი ძეგლებისა და მასთან ერთად წარწერათა კრიტიკული შესწავლის ხერხები და მეთოდები.

ე. თაყაიშვილის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლა, მისი საისტორიო ხასიათის შემოქმედებითი შრომის უმთავრესი ხანა ქართულ ისტორიოგრაფიაში ხასიათდებოდა ფილოლოგიის ბატონობით. ეს იყო ქართული ფილოლოგიის აღმავლობისა და წარმატებების დასაწყისის ხანა და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ე. თაყაიშვილის საისტორიო მნიშვნელობის ნაშრომებსაც თავიდანვე ფილოლოგიურ მეთოდებით კვლევის სწრაფვა ახასიათებდა.

ე. თაყაიშვილისა და მისი თაობის წინაშე დასახული ამოცანა თავისებურად ახალ შინაგან სირთულეს შეიცავდა, რადგანაც მეცნიერული-შემოქმედებითი შრომის თვისობრივად და რაოდენობრივადაც უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა ხდებოდა.

ისტორიოგრაფის თვალსაზრისით მეტად ფასდაუდებელია მართო იმ ნაშრომების მიმოხილვა, რომლებიც ექვთიმე თაყაიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებს უძღვნა, მის მრავალრიცხოვან ვარიანტებს, ნუსხებს, მათ შესწავლას შედარებითი მეთოდით. ე. თაყაიშვილს ხელთ ჰქონია, აღუწერია და შეუსწავლია „ქართლის ცხოვრების“ ბარათაშვილისეული, დადიანისეული, თეიმურაზისეული,

<sup>2</sup> ე. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951; გვ. 21 (დაკოფა ე. კეკელიძეს ეკუთვნის).



რუმინანცევისეული, მარიამისეული და ჯანაშვილისეული ხელნაწერები. სწორედ ამის გამო შენიშნავდა აკად. ივ. ჯავახიშვილი, რომ ექვთიმე თაყაიშვილის „Описание“ შეიცავს ვრცელ გამოკვლევებს „ქართლის ცხოვრების“ ყველა ხელნაწერების შესახებო“<sup>3</sup>.

პირველ და მთავარ ამოცანად ამ დარგში ე. თაყაიშვილს ჰიაჩნდა „ხრონიკების გამოქვეყნება, მათი შედარება სხვა ხრონიკებთან და ისტორიულ ცნობებთან, სხვადასხვა მანუსკრიპტების ცნობაში მოყვანა და მათი ისტორიული ცნობების განმარტება, ჯუჯარების შეგროვება და გამოქვეყნება, სხვადასხვა ისტორიული წარწერების გარჩევა, აგრეთვე განმარტება, თუ რა მნიშვნელობა აქვს და რა ახალ მასალას გვაძლევს თითოეული წყარო და საზოგადოთ ასეთი მასალების კრიტიკული შესწავლა“<sup>4</sup>.

„ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა შესწავლა-გამოცემისას უპირველეს პრობლემად დგებოდა მათი დათარიღება, მათი შემადგენელი ნაწილების წლოვანების განსაზღვრა და ავტორის (გადამწერის) დადგენა.

ექვთიმე თაყაიშვილის პირველი სამეცნიერო გამოკვლევა, პირველი ტექსტოლოგიური ძიება, რომელსაც ავტორმა „სამი ისტორიული ხრონიკა“ უწოდა, დაიბეჭდა 1890 წელს. ეს ნაშრომი შეიცავდა დიდი სიფრთხილით შესწავლილ საისტორიო წყაროებს და წარსულს ისეთი ძვირფასი ძეგლებისაგან შედგებოდა, როგორცაა: 1) „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს საისტორიო ნაწილი, ანუ ქრონიკა; 2) XI საუკუნის დასაწყისის ავტორის სუმბატ დავითის ძის თხზულება ტაოკლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ და 3) სამცხე-საათაბაგოს ამსახველი ნაწარმოები — „მესხური დავითის ქრონიკა“.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ აღმოჩნდა შატბერდის დიდ კრებულში, სადაც სხვა ლიტერატურული ძეგლებიც იყო მოთავსებული და ახლდა ვრცელი ანდერძი, რომელიც თავის დროს კრებულის გადამწერს მიუწერია. გადამწერი თავის თავს „იოვანე ბერაჲს“ უწოდებს. ამ ძეგლის აღმოჩენამ დიდი სიხარული მოჰგვარა საზოგადოებას. ე. თაყაიშვილმა დაასაბუთა, რომ ძეგლი შედგენილი და გადაწერილია არა IX საუკუნეში, როგორც ამას ვარაუდობდა დ. ბაქრაძე, არამედ X საუკუნეში.

<sup>3</sup> ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. 1916, გვ. 252.

<sup>4</sup> სამი ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ე. თაყაიშვილის მიერ, ტფილისი, 1890.

ე. თაყაიშვილმა აღმოაჩინა ე. წ. პარხალის ოთხთავი, რომელსაც ვრცელი ანდერძი ახლდა, სადაც გადამწერის მიერ მოთხრობილი იყო ამ ოთხთავზე მუშაობის დრო და პირობები. პარხალის ოთხთავის გადამწერა იხვე იოანე ბერაა აღმოჩნდა, რომლის ხელშიც გამოუვლია შატბერდის კრებულს. ანდერძში პარხალის ოთხთავის გადამწერა-პოკაზმვის თარიღი კარგად არის შემონახული; „დაიწერა დასაბამითგანა წელთა ხფოზ (6577), ქორონიკონი იყო მეცამეტედ ქცეული რჳგ — 193“. წელთაღრიცხვის ორივე სისტემა ერთნაირ თარიღს — 973 წელს იძლევა. ამრიგად, გაირკვა, რომ იოანე ბერაა X საუკუნის ზოლვაწე ყოფილა.

ე. თაყაიშვილი წლების მანძილზე გულდასმით მუშაობდა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე, მისი ვარიანტების ქრონოლოგიაზე, სხვების მიერ წარმოდგენილი დასკვნების შემოწმებაზე. ამ დარგში თავისი წვლილის მნიშვნელობაზე არაპირდაპირ თვით ე. თაყაიშვილი გვამცნობს: „აქამომდე ჩვენ არ გვქონია არც ერთი ძველი ხრონიკის ვარიანტი, რომლითაც შესაძლებელი ყოფილიყო შემოწმება „ქართლის ცხოვრების“ ცნობებისა. ანდა კი „ქართლის მოქცევის“ საშუალებით შეკვიძლია შევამოწმოთ უმთავრესი ცნობები ქართლის ცხოვრებისა და ვაღიაროთ მათი სიძველე ანუ უარყოთ ზოგიერთი მათგანი“<sup>5</sup>.

ე. თაყაიშვილმა ტექსტუალური სხვაობანი სქოლიოებში მოგვცა (იგი, როგორც წესი, შენიშვნებს სქოლიოებში იძლევა). მკვლევარი წერდა: „მთლად შევიტანეთ ის ადგილები ქართლის ცხოვრების ტექსტისა, რომელნიც სიტყვასიტყვით ემთხვევიან ქართლის მოქცევის ხრონიკას და აღენიშნეთ განსხვავებანი“<sup>6</sup>. მეცნიერ ტექსტოლოგის მიზანიც ის იყო, რომ „თვალსაჩინოდ დაგვეჩვენებინა მკითხველისათვის“<sup>7</sup> განსხვავებათა არსებობა. შედარებითი მეთოდის საშუალებით განხორციელებული გამოცემა ე. თაყაიშვილს— „ძრეულ საჭიროთ“<sup>8</sup> მიაჩნდა. ამ წესით მან განახორციელა არა ერთი სამოქალაქო ისტორიის პუბლიკაცია.

ე. თაყაიშვილი თავის კვლევა-ძიებაში არ იფარგლებოდა ტექსტების გარეგანი კრიტიკით, იგი სათანადო ყურადღებას აქცევდა შინაგან კრიტიკასაც. მისი, როგორც ტექსტოლოგის, მუშაობის სახელმძღვანელო პროგრამა—პრინციპი გადმოცემულია „სამი ისტორიული ხრონიკის“ შესავალ წერილში. ე. თაყაიშვილი წერდა: „ჩვენი გამოცემის აზრი იყო პირველათ, აღგვედგინა ტექსტი ზოგიერთ ადგილას

<sup>5</sup> სანი ისტორიული ხრონიკა, 1890, გვ. XXXIV.

<sup>6</sup> იქვე, გვ. XXXV—XXXVI.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> იქვე.

გაფუჭებული ხელნაწერისა და უცვლელად წარგვედგინა მკითხველი-სათვის. ამ საქმეს ჩვენ რაც შეგვეძლო, ძლიერ ყურადღებით მოვეყა-ღეთ. რიგი და წესი ტექსტისა და მართწერა დედნისა სასტიკად დავი-ცავით; გაუხსენით მხოლოდ პატივქვეშ მყოფი სიტყვები, მაგრამ სადაც ცოტაოდენათ საჭირო იყო მათი მნიშვნელობა, ან შესაძლო იყო სხვა მართლწერა დაგვეცვა გახსნილი სიტყვისა, ამგვარ შემთხვევაში დედ-ნის სიტყვები პატარა ფრჩხილებში ჩავსვით. საზოგადოდ კი მართლ-წერა პატივგახსნილ სიტყვებისა ისეთი დავიცავით, როგორც უმეტეს შემთხვევაში თვით ტექსტში არის გატარებული. ეს საქირო ა-ბ ი გ ვ ა ჩ ნ ი ა, მ ი ს თ ვ ი ს, რ ო მ ი ს ტ ო რ ი უ ლ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო-ბ ა ს თ ა ნ ფ ი ლ ო ლ ო ვ ი უ რ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ც ა რ და გ ვ ე-კ ა რ გ ა ამ საყურადღებო წყაროსი. რადგანაც ზოგიერთი ადგილი ტექსტისა გაფუჭებული არის ჩვენ ხელნაწერში, ამისათვის ის ასოები და სიტყვები, რომელნიც კარგად არ გამოირჩევიან და რომელ-ნიც ჩვენ თითო-ოროლა ანბანების ნაშთებით თუ აზრით აღვადგინეთ, ყველა ესენი, როგორც მიღებულია, დიდ ფრჩხილ-ებში ჩავსვით. ამით მკითხველი დაინახავს სად არის ტექსტი გაფუჭებული და საეჭვო“; ე. თაყაიშვილი გვამცნობს თუ რა მნიშვნელობა ენიჭება შედარებითი წესით ტექსტე-ბის გადმოცემას. იგი აღნიშნავდა „მეორედ, ჩვენი გამოცემის აზრი იყო, შეგვედარებინა ქართლის მოქცევის ხრონიკის ცნობები ქართ-ლის ცხოვრების ცნობებთან და თვალსაჩინოდ დაგვენახებინა მკი-თხველისათვის რა მსგავსება და განსხვავება არი-ს მათ შორის. ამგვარი შედარებითი გადმოცემა ქართლის მოქცევის ხრონიკისა ძლიერ საჭი-როთ მიგვაჩნია, როგორც თვით ხრონიკის შე-სასწავლათ, ისე უმეტესად ქართლის ცხოვრე-ბის ცნობების შესამოწმებლათა და კრიტიკისა-თვის, და აგრეთვე ამ ორი წყაროს ერთმანეთის კავშირისა და დამოკიდებულების გამოსარკვე-ვად“<sup>9</sup>. მეცნიერი ტექსტოლოგის ეს მსჯელობა ნათლად გვიჩვენებს. თუ რა მოთხოვნილებებს უყენებდა თავისი დროის ტექსტოლოგიური ძიება რედაქტორ-გამომცემელს.

ე. თაყაიშვილს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული და შესწავლილი ტექსტის დამუშავებისა და გამოცემისათვის მაშინ მიღებული წესები: ხელნაწერის დეფექტების უცვლელი ჩვენება, საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება, დედნის მართლწერის „სასტიკად დაცვის“ აუცილებ-

<sup>9</sup> სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. XXXIV—XXXVI (დაყოფა ჩვენია — ე. ლ.).

ლბა. პატვის (ქარაგვის) გახსნის საკიროება, ისტორიულთან ფილოლოგიურის გამოჩენის აუცილებლობა, კვადრატულ ფრჩხილებში, ტექსტში ძნელად ამოსაკითხი ასოებისა და სიტყვების, ჩასმის წესი, შედარებით სხვაობა-მსგავსების დადგენა და ამ გზით მათი ურთიერთობის გარკვევა. ასეთი მსჯელობა, რომლის მსგავსი აღრე არ გვხვდება. ჩვენ ქართულ ტექსტოლოგიის ისტორიაში ტექსტის კვლევისა და მისი დამუშავების თეორიული განზოგადების ცდაც მიგვაჩნია. მუშაობის ეს მეთოდი სახელმძღვანელოა მისთვის მომდევნო ხანაშიც, როდესაც მეცნიერ-ტექსტოლოგმა გამოსცა არა ერთი საისტორიო ძეგლი (იხ. „ახალი ვარიანტი წმინდა ნინოს ცხოვრებისა“, ტფილისი, 1891 წ. ან „ხელმწიფის კარის გარიგება“, ტფილისი, 1920 წ.) სიგელ-გუჯრები (იხ. „მოამბე“, 1896 წ., №№ 4, 5, 6, 8, 10, 11), ეპისტოლური მემკვიდრეობა (იხ. მეფე ერეკლე II წერილები „მოამბე“, 1894 წ., № 1; ცნობილი კრებულები: „საქართველოს სიძველენი“, „ძველი საქართველო“ და ა. შ.).

1906 წელს ე. თაყაიშვილმა გამოსცა ქართლის ცხოვრების მარინისეული ვარიანტი. ეს გამოცემა საჯანგებოდ შეისწავლა პროფ. ვ. დონდუამ, რომელიც წერილში „ექვთიმე თაყაიშვილი როგორც წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი“ წერს: „ასეთი შეცდომებით გაქედნილი ხელნაწერის ამოკითხვა, დამუშავება, გადაწერა და დაბეჭდვა, კორექტირება უნდა ყოფილიყო დაუფიწყარი, მეცნიერისათვის უდიდესი და ხანგრძლივი ზრუნვის, თავდადებული მუშაობის დიდი საგანი. თუ არ მოვერიდებით ლირიკულ წიაღსვლას, ვიტყვოდით, რომ გაგვაოცა იმ პოლიგრაფულ პირობებში ასეთი შრომატევადი წიგნის წუნდაუდებელი და სრულყოფით გამოქვეყნების ფაქტმა... გადაწყვიტეთ საჯანგებოდ შეგვეჯერებინა დაბეჭდილი ტექსტი ხელნაწერთან, დაუმალავი სურვილით, რომ ორიოდეც ყოფილიყო აღმოგვეჩინა გამოცემაში წანაკითხის მცდარობის ფაქტი. მაგრამ ვერ შევძელით თვალდაუღალავი რედაქტორას „დაქერა“ რაიმე უზუსტობაში“<sup>10</sup>.

დაუღალავი შრომის შედეგად ხელშესახები გახდა დიდი შედეგები, უხვად შეგროვდა მასალა საქართველოს ისტორიის ახლებურად შესწავლისათვის. ექვთიმე თაყაიშვილმა ოცდაათი წლის შეუწელებელი შრომით „საქართველოს ისტორიის მეცნიერულად შემუშავების საქმეს ამ მძიმართულებით დასდო ისეთი ამაგი, რომ მისი ბადალი არც მის დრომდე და არც მის შემდეგ ამ დარგის არც ერთ მოღვაწეს არ გაუ-

<sup>10</sup> იხ. კრებ. „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი“, 1966, გვ. 81.

წევია<sup>11</sup> (აქ უპირველეს ყოვლისა იგულისხმება ე. თაყაიშვილის მიერ საისტორიო ძეგლების გამოცემა).

ე. თაყაიშვილისათვის ნათელი იყო, რომ ნამდვილი „ტექსტის აღდგენა აუცილებელი საჭიროა როგორც ისტორიისათვის, აგრე ლინგვისტური გამოკვლევისათვის“<sup>12</sup>. სახელოვანი მეცნიერ-ტექსტოლოგი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი ტექსტოლოგიური კრედოსი.

სამოქალაქო ისტორიის ძეგლების პუბლიკაციასთან ერთად ე. თაყაიშვილი არ იშურებდა დროსა და ენერგიას ძველი თუ ახალი მწერლობის ძეგლების გამოსაცემად. 1895 წელს მისი რედაქტორობით გამოიცა ძველი მწერლობის ერთ-ერთი უმესანიშნავესი ძეგლი „სიბრძნე ბალავარისი“. ეს გამოცემა ამ ნაწარმოების მეცნიერული გამოცემის პირველი, წარმატებით დაგვირგვინებული ცდა იყო.

გამომცემელს ხელთ ჰქონია „ბალავარიანის“ ექვსი ხელნაწერი. იგი იძლევა ხელნაწერთა ცალკე დახასიათებას. ხელნაწერთა ურთიერთ შეჯერების საფუძველზე ე. თაყაიშვილის თავისი გამოცემისათვის ძირითად წყაროდ მიუჩნევია სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ბიბლიოთეკის ხელნაწერი (M). ძირითადი ტექსტის გარდა გამოცემა შესდგება ოთხი დამატებისაგან: პირველში (გვ. 97) გადმოცემულია ხელნაწერთა დახასიათება, მეორეში (გვ. 116) წარმოდგენილია სხვა ხელნაწერების ვარიანტული წაკითხვები. სიადვილის მიზნით, რათა მკითხველი გაერკვეს რომელი ვარიანტი რომელი ხელნაწერიდანაა წარმოდგენილი, ე. თაყაიშვილი ხმარობს პირობით ნიშნებს, უფრო სწორედ ასდენს ხელნაწერების ლიტერიზაციას (A, B, C, D, E, M). ეს პირველი შემთხვევაა ქართულ ტექსტოლოგიურ საქმიანობაში. მესამე დამატებაში წარმოდგენილია „განმარტებანი ზოგიერთ სიტყვათა“ და ბოლოს, მეოთხე დამატებაში დახასიათებულია „ბალავარიანის“ მნიშვნელობა.

„ბალავარიანის“ გამოცემით ე. თაყაიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დასახელებული თხზულების კვლევის საქმეში (ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული „ბალავარიანი“ რუსულ ენაზე თარგმნა ივ. ჯავახიშვილმა). გამოცემა ემყარება თავის დროისათვის მოპოვებულ საუკეთესო ხელნაწერებს, შესრულებულია დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით და თავისი დროისათვის სანიმუშოა. ჩვენ არ მიგვაჩნია სწო-

11 იხ. კრებ. „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი“, 1966, გვ. 10 (ნ. ბერძენიშვილის წინასიტყვაობა).

12 იქვე, გვ. 27.

რად თითქოს „სიბრძნე ბალავარის“ ეს გამოცემა არ იყოს მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა.<sup>13</sup>

1895 წელს ე. თაყაიშვილისა და დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით გამოიცა ნიკოლოზ ბარათაშვილის „ლექსები და წერილები“<sup>14</sup>.

გამოცემაში ძირითადი კორპუსის გარდა მოთავსებულია: 1. ლექსის „ფიქრი მტკვრის პირას“ ავტოგრაფის ფოტოპირი, 2. ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის მაგიერ, 3. ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფები (ე. თაყაიშვილისა) და ბოლოს (გვ. 129) ვ. გუნიას ხელნაწერის უმთავრესი ვარიანტული განსხვავებანი. წინა ოთხ გამოცემასთან შედარებით ე. თაყაიშვილისა და დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით გამოცემულ კრებულში პირველადაა გამოქვეყნებული ნ. ბარათაშვილის ექვსი პირადი წერილი.

გამომცემლები ჩატარებული მუშაობის შესახებ აღნიშნავენ: „ჩვენი სურვილი იყო, რომ დაბეჭდილიყვნენ ნ. ბარათაშვილის ნაწერები, როგორც უწერია თვით ავტორს, ისე რომ იოტის ოდენი ცვლილება არ ყოფილიყო შეტანილი... ვფიქრობდით, რომ იმისთანა პოეტის ნაწერს, როგორც ნ. ბარათაშვილია, აქვს სრული უფლება გადაეცეს ჩამომავლობას იმ სახით, რა სახეც თვით დიდებულ პოეტს მიუცია... არავისა აქვს უფლება მისი ნაწერები გადააკეთოს, გადაასწოროს და მით უმეტეს გადაამახინჯოს, ამას მოითხოვს... ენათმეცნიერების ინტერესი და თვით დიდებული პოეტის პატივისცემა. ამ დედააზრის საფუძველად ბარათაშვილის ლექსები დაიბეჭდა სრული სისწორითა და თანხმობით თვით პოეტის ხელნაწერებთან. არც ერთი სიტყვა, არც ერთი ასო, არც ერთი წერილი არ არის შეცვლილი. ლექსების გამოცემის დროს ხელთ გვეჭონდეს პოეტის ხელით ნაწერი სამი ლექსთა კრებული და წერილები,

<sup>13</sup> ალ. ბარამიძე, ექვთიმე თაყაიშვილი ქართული მწერლობის გველვარი, კრებ. „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი“, 1966, გვ. 145; აგრეთვე, ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, 1968, გვ. 18.

„ბალავარიანის“ 1895 წლის გამოცემას რეცენზა უძღვნა ნ. შარვა. იგი სწერდა: „Наконец по-вился в печати давно ожидаемый подлинный текст грузинского извода повести о Варлааме и Иосафте“. ნიკო შარვა ე. თაყაიშვილის ტექსტოლოგიური ძიების ყველაზე საინტერესო მხარედ მიიწინედა გამოცემლის პირველ დამატებას, სადაც ხელნაწერება დახასიათებულია (იხ. Записки восточнаго отделения Императорскаго русскаго археологическаго общества, 1897 г., т. 10, стр. 211—213).

<sup>14</sup> ე. თაყაიშვილის მიერ 1895 წელს ნ. ბარათაშვილის ნაწერების გამოცემა უწყობდა დედოფალ დარჩენილი თითქმის ყველას ვინც ე. თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შეხებია (იხ. რ. მეტრეველი, შ. ბაღრიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, 1962 წ. აკადემიკოს ე. თაყაიშვილის შრომათა ბიბლიოგრაფია, შეადგინა ე. კელეჩერიძემ, მეცნიერება, 1963 წ.; გ. ლომთათიძე, ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და ლეწილი და სხვ.).

რომლებშიაც მოქცეულნი არიან კიდევ ცალკე ზოგიერთი ლექსი... ნ. ბარათაშვილს ჩვეულებად ჰქონია, ჩვენდა სასიამოვნოდ, გადაწერა თავისი ლექსების კრებულებისა თავისივე ხელით და დარიგება მათი ამხანაგებსა და ნაცნობებში. ამის გარდა პოეტი ავრცელებდა თავის ლექსებს მეგობართა შორის წერილებით. ტექსტი ამ გამოცემისა უმეტეს შემთხვევაში დამყარებულია თაყაიშვილის ვარიანტზედ, რადგან ეს ვარიანტი სხვებზე უფრო მოწოდებით არის გადაწერილი. ცვლილებები ვეზირიშვილის ვარიანტებისა დაწვრილებით აღნიშნულია სქოლიოებში“...

ასეთი გულმოდგინე ტექსტოლოგიური მუშაობა ადრე გამოცემულ ტექსტებზე (ბარათაშვილი იქნება თუ სხვა) არ შეინიშნება. 1895 წლის გამოცემა ყველა ადრეულ გამოცემებზე უკეთესია. პირველად ქართულ ტექსტოლოგიურ მუშაობაში გამომცემლებმა ნ. ბარათაშვილის ნაწერებს აკადემიური ხასიათი მისცეს, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთმა „კვალმა“ მას მკაცრი რეცენზია უძღვნა, სადაც დაგმობილია გამოცემის მეთოდი და გამოთქმულია საყვედური, რომ გამომცემლებმა ვითომდა ბრმად გაიმეორეს ერთი ვარიანტის ტექსტი და სხვა ვარიანტების განსხვავებანი მხოლოდ სქოლიოში წარმოადგინეს<sup>15</sup>. იგივე რეცენზენტი მეორე წერილში („პასუხის პასუხი“) იწუნებდა გამოცემის ტიპს. რეცენზიაში ვკითხულობთ: „... აკადემიურ გამოცემას ყოველთვის და ყველგან მკითხველთა მცირე რიცხვი ჰყავს“<sup>16</sup>, ამ სახის გამოცემის ტირაჟი არ უნდა შეეფარდებოდეს მასობრივი გამოცემის ტირაჟს.

რეცენზიამ გამომცემელთა პასუხი გამოიწვია, პასუხში ე. თაყაიშვილი და დ. კარიჭაშვილი არ დაეთანხმნენ რეცენზენტის ბრალდებას. ისინი წერდნენ: „... არავისა აქვს უფლება მისი [ბარათაშვილის] ნაწერები გადააკეთოს, გადაასწოროს და, მით უმეტეს, გადაამახინჯოს, ამას მოითხოვს სხვათაშორის ენათმეცნიერების ინტერესი და თვით დიდებული პოეტის პატივისცემა... ბარათაშვილის ლექსები დაიბეჭდა სრული სისწორით და თანხმობით თვით პოეტის ხელნაწერებთან. არც ერთი სიტყვა, არც ერთი ასო, არც ერთი წერილი არ არის შეცვლილი... ასე განსაჯეთ, კორექტურული შეცდომებიც კი არ მოიპოვება ლექსებში. ამიტომაც სრულიად უსაფუძვლოა ბ-ნ ფხას სიტყვები... ის მაგალითები, რომლებიც კრიტიკოსს მოჰყავს თავის სიტყვების დასასაბუთებლად, ამტკიცებენ მხოლოდ, რომ მას თავისი კრიტიკა ზეპირად დაუწერია... ბ-ნ ფხას არ ეკადრებოდა სიმართლეს ასე მოქცეოდა, ნ. ბარათ-

<sup>15</sup> ფხა (იაკობ ფანცხავა), ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები. გამოცემა მეხუთე..., გაზ. „კვალი“, 1895 წ. № 45.

<sup>16</sup> „კვალი“, 1895. № 48, გვ. 11—13.

თაშვილის ლექსების მეხუთე გამოცემას იგი ასე აგდებით არ უნდა მოაპრობოდა<sup>17</sup>. ი. ფანცხავას კრიტიკა დარჩა „ხმად მლაღაღებლად უდაბნოსა შინა“, ხოლო 1895 წელს ე. თაყაიშვილისა და დ. კარიჭაშვილის მიერ გამოცემულმა ნ. ბარათაშვილის ნაწერებმა ქართულ ტექსტოლოგიურ საქმიანობასა და ედიტორულ პრაქტიკაში საერთოდ დაამკვიდრა მწერლის ნაწერების გამოცემის აკადემიური ხასიათი, ავტორგრაფების დახასიათება, ხელნაწერ წყაროს უცვლელი ბეჭდვა, მათი ვარიანტული წაკითხვების აუცილებელი ჩვენება. ყოველივე ეს ქართული ტექსტოლოგიური საქმიანობის ახალი მიღწევა იყო და ამ ახლის ერთ-ერთ პიონერად ექვთიმე თაყაიშვილი წარმოგვიდგება.

1899 წელს ე. თაყაიშვილმა გამოსცა „მელის წიგნი“.

გამომცემელი ბოლოსიტყვაობაში აღნიშნავს იმ ტექსტოლოგიურ ძუშაობას, რომელიც მან ჩაატარა ტექსტის გამოცემის მომზადებისას. „მელის წიგნი“ მას დაუსტამბავს ერთადერთი ხელნაწერიდან, იგი იძლევა ამ ხელნაწერის აღწერა-დახასიათებას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. როგორც ტექსტის ისტორიის შემსწავლელი, გამომცემელი შედარების საფუძველზე აღნიშნავს ქართული ხელნაწერი ტექსტის განსხვავებებს სომხური და არაბული ტექსტებისაგან. ხელნაწერი უთარილო ყოფილა და ტექსტის პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე გამომცემელი მას ათარილებს მე-18 საუკუნის „დასასრულის უწინარეს დროით, უფრო კონკრეტულად „საჰემმარიტოა, რომ ხელნაწერი გადაწერილია მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლებში“-ო ასკენის გამომცემელი. ე. თაყაიშვილი განიხილავს ძველის წარმომავლობას და იზიარებს ნ. მარის მოსაზრებას, რომ იგავთა ეს წიგნი მომდინარეობს არა არაბულიდან, არამედ სომხურიდან. გამომცემელი ავლებს პარალელს ქართულ და სომხურ რედაქციებს შორის და ადგენს განსხვავებებს. იგი საგანგებოდ შენიშნავს ქართული ტექსტის „ზოგ რამ განსხვავებას სომხურს ცნობილს დედნებთან“. ტექსტუალური შედარების საფუძველზე ე. თაყაიშვილი ასკენის, რომ „ქართული მელის წიგნი ძველ თარგმანს არ უნდა შეადგენდეს, უფრო საჰემმარიტოა, რომ ის არის ნათარგმნი სომხურიდან მეთვრამეტე საუკუნეშიო“. აქვე განხილულია „მელის წიგნის“ ჟანრი და მისი ისტორია. თუ ვინ თარგმნა ვარდანული არაკები ქართულად, ამაზე პასუხი გამომცემელს არა აქვს გაცემული<sup>18</sup>.

ამრიგად, ტექსტის გამომცემელს ყველა ტექსტოლოგიური საკითხი არსებითად გადაჭრილი აქვს და ამიტომაც „მელის წიგნის“ ეს გა-

17 „კვალი“, 1895. № 47, გვ. 14—15.

18 ე. თაყაიშვილი, მელის წიგნი, თბ. 1899.



მოცემა ე. თაყაიშვილის ტექსტოლოგიურ საქმიანობაში ერთ-ერთ საპატიო ადგილს იკავებს<sup>19</sup>.

ანალოგიური პრინციპით გამოსცა 1903 წელს ე. თაყაიშვილმა თეიმურაზ II-ის მიერ გადმოთარგმნილი „თიმსარიანი“.

გამომცემელმა გამოთქვა ვარაუდი, რომ „თიმსარიანის“ ქართულ ენაზე მთარგმნელი თეიმურაზ მეორე უნდა ყოფილიყო.

ე. თაყაიშვილი ეხება „თიმსარიანის“ წარმომავლობას (ინდური— ფალაური— ახალი სპარსული; XII საუკუნეში შექმნილია ახალი სპარსული თარგმანი, ამ ახალი თარგმანიდან მომდინარეობს ქართული), იძლევა ძველის ზოგად დახასიათებას. გამომცემელი იხილავს ქართულ ხელნაწერებს და მიუთითებს წყაროს, რომელიც საფუძვლად დაუდო გამოცემას, ხელნაწერს ათარიღებს მე-18 საუკუნით (თუმცა ის 1804 წელსაა გადაწერილი). ეს ხელნაწერი შედარებული აქვს სხვა ქართულ ხელნაწერებთან. და ის ტექსტუალური განსხვავებანი, რაც არ მოიპოვება ძირითად წყაროში, სხვა ხელნაწერებიდან შეაქვს მასში. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ე. თაყაიშვილი თავის ტექსტოლოგიურ პრაქტიკაში მიმართავს ე. წ. კონტამინაციის მეთოდს, რაც რედაქტორული კონიექტურის თავისებური გამოვლინებაა. საერთოდ შეინიშნება, რომ ე. თაყაიშვილს კონიექტურა დადებით მოვლენად მიაჩნია და ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან მისი მოღვაწეობის დროისათვის და ისიც ძველი მწერლების ტექსტის გამოცემისას, ფილოლოგიური მეთოდებით კვლევა ყველაზე მეცნიერულ მეთოდად ითვლებოდა, რომლისთვისაც კონიექტურა ძირითად საშუალებად იყო მიჩნეული (დღესაც ძველი მწერლობის ტექსტების დადგენისას კონიექტურა ერთ-ერთი მიღებული წესთაგანია).

„კათალიკოზ-ბაქარიანის“ გამოცემის თარიღად ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში რატომღაც მიჩნეულია 1895 წელი<sup>20</sup>.

<sup>19</sup> „მელის წიგნის“ შემდგომმა შესწავლამ პასუხი გასცა რიგ საკითხებს, რომლებიც ე. თაყაიშვილმა ღიად დატოვა. იხ. ალ. ბარამიძე, მელის წიგნის ქართული რედაქციისათვის, თსუ შრომები, ტ. VI, 1937, გვ. 161—168; სოლ. ყუბანეიშვილი, მელის წიგნის ქართული ვერსია, „ლიტერატურული ძიებანი“. ტ. V, 1949, გვ. 201—228.

<sup>20</sup> იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1952, გვ. 426; რ. მეტრეველი, შ. ბადრიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, „ნაკადული“, 1962, გვ. 23; ტლაშაძე, ბაქარიანი, გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყუბანეიშვილმა, „მეცნიერება“, 1962, გვ. 4; აკადემიკოს ე. თაყაიშვილის შრომათა ბიბლიოგრაფია, „მეცნიერება“, 1963, გვ. 11; გ. ლომთათიძე, ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და ღვაწლი, კრებ. აკად. ე. თაყაიშვილი, 1966, გვ. 27; ალ. ბარამიძე, ექვთიმე თაყაიშვილი — ქართული მწერლობის მკვლევარი. იქვე, გვ. 145, აგრეთვე, ე. თაყაიშვილი, შრომები, ტ. I, 1968, გვ. 13.

სინამდვილეში იგი გაცილებით გვიან გამოიცა. გამომცემლის ბოლოსიტყვაობაში ვკითხულობთ: „ამ თხზულებების გამოცემა ახრათ ჰქონდა განსვენებულს ჩვენს მოღვაწეს პეტრე უმიკაშვილს და მან რამდენჯერმე მიმართა თხოვნით საზოგადოებას გაზეთის საშუალებით ეცნობებინათ აქვს თუ არა ვისმეს ხელნაწერი „კათალიკოს-ბაქარიანისა“, მაგრამ ვერავითარი ცნობა ვერ მიიღო და ნაკლოვანი ტექსტის გამოცემა არ ისურვა. პეტრე უმიკაშვილი გარდაიცვალა 1904 წელს. ამდენად ე. თაყაიშვილი 1895 წელს, ცოცხალ მოღვაწეზე, ვერ დაწერდა „აწ განსვენებულს ჩვენს მოღვაწესო“.

საქმე შემდეგშია, ე. თაყაიშვილს 1895 წელს განუზრახავს იასე ტლაშაძის პოემის გამოცემა, დაუსტამბია კიდევ, მაგრამ ტირაჟი არ გაუვრცელებია, რადგან როგორც თვითონ წერს „იმედი ჰქონდა სრულის ხელნაწერის პოემისა და ამიტომ დიდი ხნიდან დასტამბული ტექსტი შევაჩერეთ, მაგრამ რაკი იმედი არ ვაგვიმართლა, საჭიროდ დავინახეთ ნაკლოვანი ტექსტი მაინც გამოგვეცა“<sup>21</sup>.

პასუხს თუ რომელ წელს გამოსცა ე. თაყაიშვილმა იასე ტლაშაძის პოემა თვითონვე იძლევა: „Католикос-Бакарцзни издан мною же с описываемой рукописи в Тифлисе в 1907 году“<sup>22</sup>. მართლაც, პოემის გარეკანზე გამოცემის თარიღად 1907 წელია მითითებული<sup>23</sup>.

ბოლოსიტყვაობაში ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, თუ რომელი ხელნაწერი დაუდო საფუძვლად პოემის გამოცემას, რა ტექსტოლოგიური ხასიათის მუშაობა ჩაატარა პოემის ტექსტზე („ხელნაწერი... ფურცლები არეული ყოფილა“), როდის და სად დაიწერა პოემა, ვინაა პოემის ავტორი. გამომცემელმა ვერ დაადგინა პოემის გადამწერი და დაწერის დრო. აქვე მოცემულია პოემის მოკლე ისტორიულ ლიტერატურული დახასიათება.

ე. თაყაიშვილს გამოსაცემ ტექსტში გაუსწორებია გადამწერის შეცდომები (გამომცემელი შენიშნავს, რომ „გადამწერი ვერ ყოფილა სკოდნე ქართული ენისა; ხშირად მართლწერა სიტყვებისა და მათი ფორმები გარყვნილია. საჭიროთ დავინახეთ ზოგიერთი ამგვარ სიტყვების და ფორმების შესწორება“), გასწორებანი ნაჩვენებია ტექსტის შენიშვნებში (გვ. 50). მაგალითად, ხელნაწერში ყოფილა „წაყდენს“,

<sup>21</sup> კათალიკოს-ბაქარიანი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, ტფ. 1907, გვ. 154; აგრეთვე ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, 1968, გვ. 142.

<sup>22</sup> Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузин, т. II. 1912, стр. 596.

<sup>23</sup> ქართული წიგნი, ტ. I. 1941, გვ. 209, № 1774.

„ალაყბობს“, „პურ-მალი“, რაც შესაბამისად ნაბეჭდში შესწორებულია: : „წააკდენს“, „ალაყბოს“, „პურ-მარილი“ და ა. შ.

ე. თაყაიშვილის გამოცემები თავის დროისათვის სანიმუშონი არაა.<sup>24</sup>

ფართო და ყოველმხრივი ნიჭი დიდი მეცნიერ-ტექსტოლოგისა განსაკუთრებით გამოძეღანდა საყოველთაოდ ცნობილ ორტომიან ნაშრომში „Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения», რომლის პირველმა ტომმა 1907 წელს რუსეთის სამეცნიერო აკადემიის ოქროს მედალი დაიმსახურა.

ამ დიდი ეროვნულ-კულტურული საქმის განხორციელებას ე. თაყაიშვილი 1890 წლიდან შეუდგა. მან მიზნად დაისახა საქართველოში იმ დროს ყველაზე მდიდარი ხელნაწერთა ფონდის მეცნიერული აღწერილობის შედგენა. პირველი შედეგები მან გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა<sup>25</sup>. 1902 წლიდან 1912 წლამდე გამოაქვეყნა აღწერილობის რვა ნაკვეთი, რომელიც საბოლოოდ ორ ტომად გამოცა.

„Описание“-ში უმთავრესი ადგილი საერო-მხატვრული მწერლობის ძეგლების ხელნაწერთა აღწერას უკავია და საეკლესიო-სასულიერო ძეგლებს ის თითქმის არ ეხება, რის გამოც სასულიერო მწერლობის ისტორიკოსი მასში თავის მიზნებისთვის საჭირო მასალს ვერ იპოვნის<sup>26</sup>.

„Описание“-მ საზოგადოებისა და მეცნიერთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ამ ნაშრომის მიზანსა და მისწრაფებაზე ე. თაყაიშვილი წერდა: Известно, что памятники грузинской литературы еще мало разработаны... Тексты издавались и издаются не по лучшим спискам, а по первой попавшейся рукописи. Издатели часто не знают, где и какие рукописи находятся. Когда все памятники грузинской письменности подобно будут описаны и в частности наше Описание доведено до конца, тогда, можно надеяться, дело из-

---

<sup>24</sup> 1916 წელს ე. თაყაიშვილმა ცალკე წიგნად გამოსცა „ხალხური სიტყვიერება“, რომელიც ამოღებულია „ძველი საქართველოს“ ტომებიდან.

<sup>25</sup> იხ. „ივერია“, 1890 წ., № 3—58; 1891 წ., № 134—235.

<sup>26</sup> შენიშვნები სასულიერო ძეგლების შესახებ და თვით ძეგლები ე. თაყაიშვილის ცალკე აქვს დამუშავებული და გამოცემული.

1904 წელს დ. კარიჭაშვილმა გამოსცა „კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისა“, სადაც მთავარი ყურადღება სასულიერო ძეგლების აღწერას დაეთმო.

დანია და ობსერვაცია მონუმენტების გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ დასაბუთებული იქნება და დასაბუთებული იქნება მათი მდებარეობის შესახებ. 27

ე. თაყაიშვილის აღწერილობის ორტომეული დღესაც საინტერესოა. სამწუხაროდ ე. თაყაიშვილმა მის მიერ წამოწყებული საქმე ბოლომდე ვარ მიყვანა, ის მეორე ტომით შეწყდა.

აღწერილობის შედგენის პრინციპზე ე. თაყაიშვილი შენიშნავდა: „В нашем описании мы старались дать понятие как по внешнему виду и состоянии описываемой, так и , по мере возможности, об ее содержании, если таковое было неизвестно или мало известно в литературе. Кроме довольно пространных извлечений из текстов, нами приводятся все предисловия, послесловия, записки и заметки, которые могут служить для выяснения вопроса об авторе произведения, переводчике, переписчике, времени переписки, заказчике рукописи и условиях ее появления. Словом, мы старались исчерпать весь историко-литературный материал, который может дать описываемая рукопись без полного издания ее текста. Для определения времени недатированных бумажных рукописей мы, между прочим, привлекали к делу водяные знаки бумаги. Вопрос об водяных знаках, или филигранях бумаги грузинских рукописей еще не разрабатывался в литературе, и наблюдение в этом роде в конце может составить порядочный материал и сослужить службу для датировки недатированных бумажных рукописей“ 28.

აქ აღნიშნული არ სცილდება წმინდა ტექსტოლოგიური ძიების არეს და ე. თაყაიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თავის წინაშე დასახული ამოცანა ბრწყინვალედ განახორციელა, რთული ტექსტოლოგიური საკითხები მალალ მეცნიერულ დონეზე გადაწყვიტა.

ავტორის ვარაუდი „Если... наше Описание подвинет вперед дело изучения памятников грузинской письменности и даст специалистам достаточный материал, то, цель наша будет вполне достигнута“ 29 — სავსებით გაამართლა დროთა მსვლელობამ და მეცნიერულმა პრაქტიკამ. ე. თაყაიშვილის დაუღალავმა ტექსტოლოგიურმა საქმიანობამ დიდი სამსახური გაუწია ქართული მწერლობის შესწავლის საქმეს.

27 Описание... т. I, вместо предисловия, стр. IV.

28 იქვე, გვ. III—IV.

29 იქვე, გვ. IV.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეჭვთიმე თაყაიშვილის ჰოლვაწობას უკავშირდება XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დიდი მეცნიერული წამოწყება ქართულ ტექსტოლოგიურ საქმიანობაში. მის მიერ განხორციელებულმა გამოცემებმა ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ქართულ საისტორიო მეცნიერებას და ქართულ მწერლობას. ე. თაყაიშვილი იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი ტექსტოლოგი, რომელმაც ვარიანტებისა და სხვა რედაქციების შესწავლას დიდი ყურადღება მიაქცია, მან ახალ სიმაღლეზე აიყვანა ზელნაწერ წყაროთა მეცნიერული შესწავლის აუცილებლობა, დასაბამო მისცა მეცნიერულ-კრიტიკული ტიპის გამოცემებს.

---

ალ. აბაშელი

ცნობილმა ქართველმა პოეტმა ალ. აბაშელმა ფასდაუღებელი ამაგი დასდო ქართველ კლასიკოსთა გამოცემის საქმეს. იგი დიდს პატივისცემით ეპყრობოდა წინაპართა სულიერ საუნჯეს. მან კარგად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თანამედროვე თაობისათვის ეროვნული კულტურის ათვისებას. კლასიკოსთა სულიერი სამყაროს გაცნობას. მათი შემოქმედების საფუძვლიან შესწავლას კი პირველყოვლისა აადვილებს ქართველი მწერლების თხზულებათა გამოცემების არსებობა. ჩვენი საუკუნის დასაწყისში ქართველი საზოგადოება კლასიკოსთა გამოცემების დიდ ნაკლოვანებას განიცდიდა. ამ ხარვეზის შევსება სხვებთან ერთად მიზნად დაისახა ალ. აბაშელმა. ქართველ კლასიკოსთა თხზულებების გამოცემის საპატიო საქმეს მან რამდენიმე წლის დაძაბული მუშაობა მიუძღვნა. მარტო იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ მისი უშუალო მონაწილეობით გამოვიდა ნ. ჩხიკვაძის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ალ. ყაზბეგის და ვაჟა-ფშაველას თხზულებათა გამოცემები, მეტყველებს იმ დიდ დამსახურებაზე, რაც ალ. აბაშელს ქართველ კლასიკოსთა გამოცემების მომზადებაში მიუძღვის. ზემოჩამოთვლილ გამოცემათა უმრავლესობა მაღალ მეცნიერულ დონეზე დგას, ხოლო ერთი მათგანი ვაჟა-ფშაველას შვიდტომეული, თავისი ხასიათით აკადემიურსაც კი უტოლდება.

ალ. აბაშელი წლების მანძილზე მოღვაწეობდა ამა თუ იმ პერიოდული გამოცემის რედაქციებში, აქტიურ მონაწილეობას იღებდა რამდენიმე კრებულის შედგენაში, 1923 წლიდან იგი იყო სახელმწიფო

გამომცემლობის სარედაქციო კოლეგიის წევრი და ბევრი საყურადღებო წიგნის რედაქტორი. მაგრამ მწერლის თხზულებათა ცალკე გამოცემა პირველად მან 1922 წელს განახორციელა, როდესაც გამოსცა უდროოდ გარდაცვლილი მისი ახლო ნათესავი პოეტის ნოე ჩხიკვაძის ლექსების კრებული<sup>1</sup>.

ნოე ჩხიკვაძის ლექსთა 1922 წლის გამოცემა პოპულარული გამოცემაა. მისი მიზანია მკითხველთა ფართო მასას გააცნოს პოეტის ცხოვრება და შემოქმედება. კრებულს წამძღვარებული აქვს პოეტის როგორც მოკლე ბიოგრაფია, ასევე შედარებით ვრცელი ბიოგრაფიული ნარკვევი დაწერილი თვით აბაშელის მიერ და რ. კალაძის, ივ. გომართელის და სხვათა კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევები. ამ კრებულის მომზადება, ტექსტების შეგროვება და გამოცემა ალ. აბაშელის ინიციატივა იყო.

ნ. ჩხიკვაძის ლექსთა 1922 წლის გამოცემას არ ერთვის შენიშვნები და კომენტარები. მასში მოცემული არ არის არავითარი ცნობა ტექსტის წყაროებზე და მისი მომზადების ხასიათზე. მიუხედავად ამისა, ამ გამოცემამ თავის დროზე გარკვეული როლი ითამაშა. მან მკითხველ საზოგადოებას შედარებით ვრცლად გააცნო პოეტის ლექსები და ბიოგრაფია. (მანამდე ნ. ჩხიკვაძის ლექსთა მხოლოდ ერთი, 1914 წლის, გამოცემა არსებობდა).

1924 წ. ალ. აბაშელმა გამოსცა ალ. ყაზბეგის მოთხრობების რჩეული ორ ტომად. ამ გამოცემის მომზადებისათვის ალ. აბაშელს სერიოზული მუშაობა ჩაუტარებია, რაც კარგად ჩანს რედაქტორის შენიშვნებიდან, რომელიც გამოცემას თან ერთვის.

ყაზბეგის თხზულებათა ორტომეულის შენიშვნებში მითითებულია ტექსტის ძირითადი წყარო, რომელიც გამომცემელს შეუდარებია მისთვის ცნობილ ყველა დანარჩენ წყაროსთან, გაუაწილებია გამოცემებში გაპარული შეცდომები და უცვლელად აღუდგენია პირველნაბეჭდი ტექსტი. ამ შემთხვევაში ძირითადი წყაროს შერჩევაში სრულიად მართებულია ალ. აბაშელის გადაწყვეტილება, რამდენადაც, როგორც თვითონ მიუთითებს, ალ. ყაზბეგის თხზულებათა ყველა წინა გამოცემა წარმოადგენს პირველნაბეჭდის გამეორებას (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცენზურის ჩარევას), რასაც თან მრავალი უნებლიე შეცდომა ერთვის. „ჩვენ ეს შეცდომები ყველგან გავასწორეთ და აღვადგინეთ უცვლელად პირვანდელი ტექსტი“<sup>2</sup>, — წერს იგი.

<sup>1</sup> ამავე წელს ალ. აბაშელმა გამოსცა აგრეთვე ვაჟა-ფშაველას თხზულებათა 1 ტ. (ლექსები), რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

<sup>2</sup> ალ. ყაზბეგი, რჩეული მოთხრობები, ტ. I, 1924, გვ. V.

აბაშელის გამოცემაში აღდგენილია ისიც, რაც ცენზურას პირველნაბეჭდიდან ამოუღია. ვარიანტულ წაკითხვებში კი ყველა ეს აღდგენილი ადგილი მითითებულია.

ზაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ყაზბეგის მოთხრობათა ორტომეულში აბაშელს უცვლელად აქვს დაბეჭდილი ის ავტოგრაფი, რომელიც მისთვის ცნობილი იყო. ეს არის „მოძღვარის“ ვარიანტის ოთხი ნაწყვეტი. ოთხივე ეს ნაწყვეტი მთლიანადაა დაბეჭდილი ხსენებული გამოცემის მეორე ტომში. აქვეა მოცემული ამ ტექსტის ამომწურავი აღწერა-დახასიათება: მითითებულია ყველა შესწორებულ და გადახაზული, ავტორის მიერ დაწუნებული ფორმები. „შენიშვნებში“, — წერს გამომცემელი, — ჩვენ აღვადგინეთ ყველა წაშლილი ადგილიც, რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს დაკვირვებული მკითხველისათვის ავტორის მუშაობის იდუმალი პროცესი... ვარიანტები ამტკიცებენ, რომ ალ. ყაზბეგი დიდი გულმოდგინებით და შრომისმოყვარეობით ამუშავებდა ტექსტს და გასაოცარი დაჟინებით ეძებდა უკანასკნელი რედაქციის უფრო სასურველ ფორმას<sup>3</sup>. ამრიგად, მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ალ. აბაშელმა ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში საჭიროდ დაინახა ყაზბეგის თხზულებათა გამოცემაში მოეტანა ნაწარმოებთა ვარიანტში შეტანილი ყველა ავტორისეული სწორება და გადახაზული ადგილი, რათა მწერლის შემოქმედებით დაინტერესებულ პირს საშუალება ჰქონოდა ჩაეხედა მის შემოქმედებით ლაბორატორიაში.

საგანგებოდ უნდა შეკაჩეროთ ყურადღება რედაქტორის შენიშვნების იმ ადგილზე, სადაც აბაშელი იძლევა ტექსტის არსებულ წყაროთა დახასიათებას ერთმანეთთან შეპირისპირებით, აი, რას წერს იგი ამის შესახებ: „როგორც ამ შედარებიდან ჩანს, ალ. ყაზბეგის პირველი ოთხტომიანი გამოცემა „ქართველთა ამხანაგობისა“ 1892 წ. გადმობეჭდილია გაზ. „დროება“ და ჟურ. „ივერიიდან“. გადმოწერას დროს ტექსტში შეპარულია აუარებელი შეცდომა, ბევრი ადგილი გამორჩენილია. „ცნობის ფურცელის“ 1904 წლის ერთტომიან გამოცემაში უცვლელად შესულა პირველი გამოცემის ყველა შეცდომა, მრავალი ახალი შეცდომის ზედდართვით“<sup>4</sup>.

ალ. ყაზბეგის თხზულებათა ალ. აბაშელისეული გამოცემის გულმოდგინე შესწავლა ნათელყოფს, რომ გამომცემელი მუშაობის პროცესში თანდათან აყალიბებს და ავითარებს თავის შეხედულებებს მე-

3 ალ. ყაზბეგი. რჩეული მოთხრობები, ტ. II, 1924, გვ. III.

4 ალ. ყაზბეგი. რჩეული მოთხრობები, ტ. I, 1924 წ., გვ. IV.



ციერული გამოცემის შესახებ. ეს კარგად იგონება თვით ამ გამოცემის ფარგლებშიც. მაგ. როგორც უკვე გვექონდა აღნიშნული, რედაქტორის შენიშვნებში მითითებულია, რომ ამ გამოცემას საფუძვლად დაედო პირველნაბეჭდი ტექსტი, მაგრამ კონკრეტულად თითოეულ ნაწარმოების მიმართ ეს წყარო პირველი ტომის შენიშვნებში აღნიშნული არ არის, მხოლოდ ტომის სარჩევში ყველა ნაწარმოებს სათაურის გასწვრივ მიწერილი აქვს მისი პირველნაბეჭდი წყარო. მეორე ტომის შენიშვნებში კი ყველა ნაწარმოებს თან ერთვის პასპორტი, სადაც მოცემულია ტექსტის წყაროთა სრული სია სათანადო ლიტერების აღნიშვნით.

1925—1928 წლებში ალ. აბაშელი ს. გორგაძესთან და პავლე ინგოროყვასთან ერთად ახორციელებს უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის საქმეს. აქვეყნებს აკაკი წერეთლის რჩეულს და ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველ სრულ კრებულს. როგორც ალ. აბაშელის პირად არქივში დაცული ბიოგრაფიკული ნათელყოფის (იხ. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის ალ. აბაშელის არქივი) აკაკი წერეთლის რჩეულზე ალ. აბაშელი და ს. გორგაძე ერთმანეთთან შეთანხმებითა და თანაბარი დატვირთვით მუშაობდნენ. ისინი გულმოდგინედ ეცნობოდნენ აკაკის ნაწერების ტექსტს, უდარებდნენ მას პირველწყაროებს, თანხმდებოდნენ სიტყვათა დაწერილობასა და სხვა სადავო საკითხებზე. აბაშელის პირად არქივში დაცულია ს. გორგაძის წერილი, რომელშიაც იგი პასუხობს აბაშელის მიერ აკაკის თხზულებათა ტექსტის მიმართ დასმულ მრავალ შეკითხვას. ამ წერილში ს. გორგაძეს მოტანილი აქვს ვრცელი ამონაწერი აკაკის ერთ-ერთი თხზულების პირველწყაროდან, რომლის სისწორეში აბაშელს ეჭვი შეჰპარვია. წერილის დასასრულს კი ს. გორგაძე წერს: „მეორე ტომისათვის მასალა მთლად შეგროვილი და გადაწერილი გვაქვს, ... ახლა უნდა შევუდგეთ მესამე ტომისათვის ზრუნვას, იქ კი ბევრი რამ საყიდელი და გადასაწერი გვექნება“<sup>5</sup>-ო. და არა მხოლოდ თანარედაქტორისაგან ღებულობდა ალ. აბაშელი ანალოგიური ხასიათის წერილებს, არამედ ყველა დაინტერესებული და საქმის მცოდნე პირისაგან, ვისთვისაც ძვირფასი იყო აკაკის ლიტერატურული მემკვიდრეობა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა აკაკის ერთ-ერთი გამოცემების — ისიდორე კვიციანიძის — წერილი ალ. აბაშელისადმი, რომელიც საინტერესო ცნობებს გვაწვდის აკაკის პოემა „გორონცოვის“ ბეჭდვის ისტორიიდან. აი, რას სწერს ის. კვიციანიძე ალ. აბაშელს

<sup>5</sup> გ. ლეონიძის სახ. საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი, № 23776.

ამ წერილში: „ეს არის გუშინ ვნახე სახელგამის გამოცემა აკაკის ნაწერებისა, რომელსაც შენ რედაქტორობ, უკანასკნელათ თავის ნაწერების გამოცემა აკაკიმ მე მომანდო. მის სიცოცხლეში მხოლოდ ერთი ტომის — II-ის გამოცემა მოვასწარი, ისიც მაშინდელი ცენზურისაგან დამახინჯებული. უკვე დამთავრებული წიგნებიდან. 1—64 გვ., ამოგლაჯეს, წაიღეს 4000 ო., ორი ფორმა დატოვეს. ეს იყო მისი დაუბეჭდავი ახალი პოემა „ვორონცოვი“. ამის მაგიერ ამ ტომში სხვა მისი ნაწერები ჩაუმატეთ 64 გვერდი და გამოუშვათ წიგნი გასასყიდად. რაც ახლა მგონი აღარ მოიპოვება.

1) რაკი შენ ამ გამოცემას ხელმძღვანელობ, უეჭველად დაგპირდება ეს წიგნი და უფრო კი თვით ეს პოემა „ვორონცოვი“, რომლის რამდენაზე ცალი მე შენახული მქონდა და აი ახლა გიგზავნი და გამოიყენე შემდეგი ტომისათვის, თუ კი იგი მის ნების ამსრულებელს, კოტე აბდუშელიშვილს არ გადმოუცია მის სხვა დაბეჭდილ ნაწერებთან ერთად. გიგზავნი 3 ეგზემპლარს, იქნებ დაგპირდეს, თუ კი მისი დასტამბვა გადაწყვეტილი გაქვთ.

2) ამასთან გიგზავნი აკაკის რევანირ ფოტოსურათს...

3) გიგზავნი საკორექტურო ფურცლებს იმ „კრებულისა“, რომელსაც ვუპირებდი გამოცემას 1915 წ.“

ამ წერილში ის. კვიციანიძე კიდევ მრავალ საინტერესო ბიბლიოგრაფიულ და სხვა ხასიათის ცნობას აწვდის ალ. აბაშელს აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ამრიგად, ალ. აბაშელი აკაკის თხზულებათა რჩეულის როგორც ტექსტის, ისე შენიშვნების მომზადებაში დიდ მონაწილეობას იღებდა.

აკაკი წერეთლის თხზულებათა ოთხტომეულში გამომცემლები სწორ თვალსაზრისს აყალიბებენ ტექსტის დადგენისა და გამოცემათა ტიპების შესახებ. აქ ნათქვამია: „წინამდებარე გამოცემა არც სრულია და არც ვიწრო აკადემიური: იგი აკაკის მხოლოდ რჩეულ ნაწარმოებთა კრებულს წარმოადგენს, რომელიც უმთავრესად ფართო საზოგადოებისათვისაა და არა მხოლოდ მკვლევართა და ვიწრო სპეციალისტებისთვის. ამიტომ ამ გამოცემაში მკითხველი ვერ შეხვდება ეგრეთ წოდებულ „კრიტიკულ აპარატს“, ტექსტის ყოველგვარ, წვრილმან და უწვრილმანეს, განსხვავებათა ჩვენებით და დღემდე ცნობილ გამოცემათა და ხელნაწერ დედანთა დაწვრილებით აღწერილობით, რაც ასე დიდად საჭიროა აკადემიური გამოცემისათვის, მაგრამ ფრიად საგრძნობი და შეუფერებელი სამძიმო იქნებოდა ისეთი გამოცემისათვის, როგორც წინამდებარე გამოცემა.

საზოგადოდ, აკაკის ნაწარმოებთა ტექსტის შესახებ ამ გამოცემაში ჩვენ მხოლოდ აუცილებლად საჭირო ცნობებს შემოვიტანთ. ტექსტის გამოსაცემად მომზადების დროს მხედველობაში იყო მიღებული ყველა გამოცემა და ავტოგრაფი, რომელთაც კი ხელი მიგვიწვდებოდა“<sup>6</sup>.

როგორც ზემომოტანილი ციტატიდან ჩანს, ქართველ ტექსტოლოგთა უფროსი თაობისათვის ჯერ კიდევ ორმოცი და მეტი წლის წინათ ნათელი იყო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფილოლოგიური მეცნიერებისათვის მწერლის ხელნაწერებში არსებულ ყველა „წერილმან და უწერილმანეს განსხვავებათა ჩვენებას“.

ამრიგად აკაკის თხზულებათა რჩეულში ტექსტი და შენიშვნები მეცნიერულად არის დადგენილი და დამუშავებული. აქ მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურა თანმიმდევრობით და მოტანილია საყურადღებო ცნობები ტექსტის დათარიღებისათვის. მაგ. ერთგან ნათქვამია: „მოთხრობას („ეშმაკები“ ლ. ს.). თარიღი არ უზის, მაგრამ, რადგან იქ აღწერილი ამბავი, როგორც შინაარსიდან ჩანს, რუსეთში გლეხთა განთავისუფლებიდან 4 წლის შემდეგ მომხდარა, ე. ი. 1865 წელს, და რადგან მეორე მხრით მოთხრობა გამოქვეყნებულია 1868 წლის ივლისში, — ამისდა მიხედვით ჩვენც ამ მოთხრობას, პირობითად ამ ორი რიცხვით ვათარიღებთ“<sup>7</sup>. ასევე საინტერესო მასალაა წარმოდგენილი ამ გამოცემაში ტექსტის აგებულებისა და სტრუქტურის შესახებ: ვის ეკუთვნის ნაწარმოების თავებად დაყოფა, როგორი გეგმით აპირებდა ავტორი მის დამუშავებას; საჭიროების შემთხვევაში მოტანილია ავტოგრაფის ტექსტი, სქოლიოები სხვა გამოცემებიდან და ნაწყვეტები ავტორის მოვონებებიდან. მაგ. „მედიას“ შესახებ აქ ნათქვამია: „როგორც ავტორის შენიშვნებიდან ჩანს, მას განზრახული ჰქონია ეს პიესა ტრილოგიად დაეწერა... მაგრამ განზრახვა შეუსრულებელი დაურჩა, აქ წარმოდგენილი ტექსტი განზრახული ტრილოგიის მხოლოდ პირველ ნაწილს წარმოადგენს... ტრილოგიის მეორე ნაწილიდან („მედია ელადამი“) ძუძუდას ერთი მონოლოგია ავტოგრაფად (№ 23, 52), რომელსაც აქვე ვათავსებთ უკლებლად“<sup>8</sup>. აქვე, მართლაც მოტანილია ავტოგრაფის სრული ტექსტი. აღნიშნულ გამოცემაში აგრეთვე მითითებულია წყარო, რომელიც საფუძვლად დაედო ძირითად ტექსტს — მაგ. ასეთი ცნობა: „ამ უკანასკნელს უფრო ატყვია ავტორ-რედაქტორის კრიტიკული ხელი და ამიტომ ჩვენს გა-

6 ა. წერეთელი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1925, გვ. 336.

7 იქვე, გვ. 442—443.

8 ა. წერეთელი, რჩეული ნაწერები, ტ. III, 1927, გვ. 403.

მოცემასაც სწორედ ეს ტექსტი დაედო საფუძვლად<sup>9</sup>. ან კიდევ: „აკაკის ქალაქებში ჩვენ შეგვხვდა „ცისკრიდან“ ამოღებული... ფურცლები, სადაც ტექსტი ნასწორებია თვით ავტორის ხელით (ზოგან მელნით, ზოგან ფანქრით). წინამდებარე გამოცემას საფუძვლად ეს ტექსტი დაედო“<sup>10</sup>. ძირითადი წყაროს შერჩევის შესახებ ასეთი სწორი თვალსაზრისი აკაკის რჩეულში არაერთხელ გვხვდება. გარდა ამისა, ხსენებულ გამოცემაში ხშირია მსჯელობა კონკრეტულ შემთხვევაში ტექსტის გამართვისათვის ჩატარებული მუშაობის შესახებ. ასე მაგ. „ჯერ ავტორს დაუწერია „რეაქცია“, ოთხმოქმედებიანი „დრამა“, შემდეგ ეს უკანასკნელი სიტყვა გადაუსწორებია ასე: „კომედია“, ხოლო ნაბეჭდ ტექსტში „სცენებო“. ჩვენ ეს უკანასკნელი დავტოვეთ“<sup>11</sup>, მიუთითებენ გამოცემელები ერთ შენიშვნაში. ასევე სწორი გადაწყვეტილება მაუღიათ გამოცემელებს კომედია „ძველი და ახლის შუას“ ტექსტის დამუშავებისას. აქ ავტორს ყოველი მოქმედების დასაწყისში დაუწერია — „სცენა პირველი“, რაც ბუნებრივია, იმაზე მიუთითებს, რომ იმავე მოქმედებაში მეორე სცენაც უნდა იყოს. სინამდვილეში კი, გარდა მეხუთე მოქმედებისა, ყველა მოქმედებაში მხოლოდ ერთი სცენაა, ამიტომ გამომცემელებს, სრულიად სამართლიანად, წინა ოთხი მოქმედებიდან ამოუღიათ სიტყვა „პირველი“.

როგორც ვხედავთ, აკაკი წერეთლის რჩეულის გამოცემისათვის სერიოზული მუშაობაა ჩატარებული ტექსტის დადგენისათვის. ფართოდ არის მსჯელობა გაშლილი ნაწარმოებში შეტანილი ყოველი შესწორებისა და ცვლილების შესახებ, არ არის მხოლოდ ვარიანტული წაკითხვები რაც, როგორც გამოცემელები აღნიშნავენ, მხოლოდ აკადემიური გამოცემისათვის არის სავალდებულო. საინტერესო მასალა წარმოდგენილი აკაკის რჩეულში ცალკეულ ნაწარმოებთა კომენტარების მიზნითაც: აღნიშნულია, თუ ვის ეძღვნება ესა თუ ის ნაწარმოები, როდის და რა პირობებში დაიწერა იგი, მითითებულია ზოგიერთი მოქმედი პირის პროტოტიპი; გამოთქმულია თვალსაზრისი ავტორის ტექსტში გაპარული შეცდომის სავარაუდო წაკითხვის შესახებ, რომლის შემოწმების საშუალება, სათანადო მასალების უქონლობის გამო, გამოცემელებს არ ჰქონიათ და სხვა.

აკაკი წერეთლის თხზულებათა რჩეულს გამოცემელები უერთავენ ს. გორგაძის შედგენილ აკაკის ნაწერების სრულ ბიბლიოგრაფიას. რომელიც გარკვეულ წარმოდგენას უქმნის მკითხველს პოეტის მთლი-

<sup>9</sup> ა. წერეთელი. რჩეული ნაწერები, ტ. I, 1925, გვ. 340.

<sup>10</sup> ა. წერეთელი, რჩეული ლექსები, ტ. III, 1927, გვ. 403.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 398.

ანი შემოქმედების შესახებ, რაც სრული სახით ამ დროს გამოცემული არ იყო. ამ ბიბლიოგრაფიაში მითითებულა არა მხოლოდ ტექსტის ყველა ნაბეჭდი თუ ხელნაწერი წყარო, არამედ მოცემულა ნაწარმოების მოკლე დახასიათება და მისი ურთიერთობა სხვა ტექსტებთან. მაგ. ასე: საყმაწვილო ზღაპრის „ღამურას“ შესახებ ბიბლიოგრაფიაში ნათქვამია, რომ იგი „ლექსნარევ პროზას წარმოადგენს... რომელიც ავტორმა შემდეგ მთლიანად ლექსად გადააქეთა იმავე სათაურით. ეს პირველად დაიბეჭდა „დროებაში“ 1876 წ...“ და ა. შ. ჩამოთვლილია ნაწარმოების ყველა ცნობილი წყარო.

როგორც ვხედავთ, აკაკი წერეთლის ოთხტომიანი რჩეულის სამეცნიერო აპარატი იმდენად სერიოზულ და მნიშვნელოვან ცნობებს აწვდის მკითხველს ნაწარმოებთა ტექსტის შესახებ, რომ მისი დანიშნულება აშკარად ცილდება მასობრივი გამოცემის ფარგლებს, რასაც თავმდაბლად მიაკუთვნებენ ამ გამოცემას მისი მომზადებლები. ყაზბეგის თხზულებათა ორტომეულის მსგავსად, ეს გამოცემაც მეცნიერული ბასიის გამოცემაა.

ს. გორგაძისა და ალ. აბაშელის გამოცემულ აკაკი წერეთლის თხზულებათა ოთხტომიან რჩეულს ზოგიერთი ნაკლიც გააჩნია. მაგ. შენიშვნები, კომენტარები, ცნობები ტექსტის წყაროთა შესახებ და ყველა სხვა ხასიათის საჭირო მასალა ერთიმეორის მიყოლებით, ყოველგვარი წინასწარ შემუშავებული თანრიგის გარეშე ერთნაირი შრიფტით არის დაბეჭდილი, რაც აძნელებს სასურველი ცნობის მიკვლევას.

ტომებს შორის შეინიშნება მასალის მიწოდების სხვადასხვაგვარი ფორმაც. მაგ. ზოგიერთ ტომში ს. გორგაძის მიერ მომზადებული აკაკის ნაწერების დასახელებული სრული ბიბლიოგრაფია დაყოფილია იმისდა მიხედვით, რომელია ამ ტომში შესული მასალის ბიბლიოგრაფია და რომელი ამავე ქანრის იმ ნაწარმოებისა, რომლებიც ტომში არ დაბეჭდილია. ზოგან კი ამა თუ იმ ქანრის ნაწარმოებების ბიბლიოგრაფია თავიდან ბოლომდე ერთიმეორის მიყოლებით არის დაბეჭდილი ისე, რომ გამოყოფილი არ არის ის, რაც რჩეულში არის შეტანილი და ის, რაც მასში არ შესულა.

ასევე სხვადასხვაგვარად არის გამოცემაში წარმოდგენილი თარიღებიც. მაგ. ზოგ ტექსტს ქვემოთ მიწერილი აქვს ორი თარიღი: დაწერისა და პირველი გამოქვეყნების (ეს უკანასკნელი ჩასმულია ოთხკუთხ ფრჩხილებში), ხოლო ზოგს მხოლოდ დაწერის თარიღი.

გამოცემის ძირითად ნაკლად ჩვენ მანაც აკაკი წერეთლის ლირიკის თემატურ რკალებად დაყოფა მიგვაჩნია. აკაკის რჩეულ ლირიკას დათმობილი აქვს უკანასკნელი მეოთხე ტომი, რომელშიაც ლექსები

განლაგებულია რვა ციკლად, ესენია: 1) სიყვარული, 2) მამულის სიყვარული. 3) მშრომელი ხალხი, 4) აკაკის პოეტიკა, 5) მგოსნის ნალველი და იმედი, 6) სატირა, 7) სამძიმარი და სალამი, 8) ყრმობის ლექსები.

პირველ ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ლექსების ასეთი დაყოფა ყოველთვის მოსახერხებელი არ არის. ხშირად ძნელდება იმის გარკვევა: თუ ხსენებული მოტივებიდან, რომელი უფრო ძლიერად არის წარმოდგენილი ლექსში — ვთქვათ მამულის სიყვარული თუ პოეტის საკითხები, მშრომელი ხალხის მდგომარეობის ჩვენება თუ მგოსნის ნალველი და ა. შ.

გარდა ამისა, მეცნიერული გამოცემის მიზანია ვააცნოს მკითხველ საზოგადოებას მწერლის იდეური ზრდა, მისი თვალსაზრისის განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესი. ეს კი ყველაზე თვალსაჩინოა მასალის ქრონოლოგიურად განლაგების შემთხვევაში. აკაკის ლირიკის საერთო ქრონოლოგიით განლაგება საშუალებას მისცემდა მკითხველს თანმიმდევრულად წარმოედგინა ავტორის შეხედულებათა ცვალებადობა, ვაცნობოდა მის ინტერესთა სფეროს სხვადასხვა პერიოდში: მის აზრს ამა თუ იმ მოვლენისა და კონკრეტული ფაქტის მიმართ. ამიტომ, ვფიქრობთ, ხსენებულ გამოცემაში აკაკის ლირიკის ზემოთხსენებულ ციკლებად დაყოფა არ არის გამართლებული.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ზოგჯერ გამომცემლებს ზედმეტი სიფრთხილე გამოუჩენიათ და ავტორის ტექსტში აშკარა შეცდომაც კი არ შეუსწორებიათ. მაგ. პიესაში „კუდურ-ხანუმ“ არეულია რემარკები. ერთსა და იმავე მოქმედებაში (აქტში) რამდენიმე გამოსვლა გეორდება, ეს ნაკლი გამომცემლებს არ შეუსწორებიათ, თუმცა მისი შესწორების აუცილებლობას აშკარად გრძნობენ და შენიშნავენ „ჩვენ გვქონდა განზრახვა ეს დეფექტი შეგვესწორებინა, მაგრამ ჯერჯერობით თავი შევიკავეთ: დაე, ეს შესწორება შემდეგი დროის გამოცემამ იკისროს“<sup>12</sup>.

და ბოლოს, გამოცემის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ აქ ავტორის ტექსტში ერთ ფორმამდეა დაყვანილი პარალელიზმები. ამის გამართლებას რედაქცია გამოცემის ხასიათით ცდილობს და შენიშნავს: „ვეცადეთ ავტორის ენასა და მართლწერას არ დავეშორობოდით. მაგრამ ამასთანავე შეძლებისდაგვარად, ის აუცილებელი ერთგვარობაც დაგვეცვა, რომელიც ესოდენ საჭიროა იმგვარ გამოცემაში. როგორც ეს გამოცემაა. ამ ერთგვარობის დაცვის დროს არსად არ გვიხმარია ის ფორმა, რომლის გამართლება თვით აკაკისავე ავტორგა-

<sup>12</sup> ა. წერეთელი. რჩული ნაწერები. ტ. III, 1927, გვ. 402.

ფების ტექსტით ან უდაოდ თვით პოეტის მიერ გამოცემული ტექსტების მართლწერით არ შეიძლებოდა<sup>13</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, აკაკი წერეთლის თხზულებათა ეს გამოცემა არ წარმოადგენს პოპულარულ გამოცემას. ტექსტის შერჩევის პრინციპი და მრავალი საგულისხმო შენიშვნა და კომენტარი, რომელიც მოცემულია აქ, გამოცემას მეცნიერულ ხასიათს ანიჭებს, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ტექსტში შეიძლებოდა ავტორისეული პარალელური ფორმების დატოვება.

აკაკი წერეთლის თხზულებათა ალ. აბაშელისა და ს. გორჯაძის მიერ მომზადებულმა რჩეულმა დიდი როლი ითამაშა ქართველ კლასიკოსთა ნაწერების მეცნიერული გამოცემის განვითარების საქმეში. იგი თავის დროზე ერთ-ერთ უაღრესად საჭირო და საუკეთესო გამოცემად ითვლებოდა. ალბათ, ამით იყო გაპირობებული ის გარემოება, რომ ბოლო ტომის გამოსვლიდან ორი წლის შემდეგ კვლავ დაიწყო ამ რჩეულად გამეორებით გამოცემა. (თუმცა მეორე გამოცემის მხოლოდ პირველი ტომი გამოვიდა — 1930 წელს, შემდეგ კი მისი ბეჭდვა შეწყდა).

ორი ათეული წლის შემდეგ პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელს ერთობლივი მუშაობა მოუხდათ აკაკი წერეთლის ნაწერების ახალ გამოცემაზე — მათი რედაქტორობით გამოვიდა აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის პირველი და მეორე ტომები, რომლებშიაც შედის აკაკის ლირიკა. ორივე ტომის ტექსტის შენიშვნები დართულია მეორე ტომის ბოლოს, რომელიც პ. ინგოროყვას ეკუთვნის. ამიტომ ჩვენ ამ გამოცემას დაწვრილებით არ განვიხილავთ. შევეხებით მხოლოდ იმ ადგილებს, რომლებიც უპირისპირდება ზემოხსენებულ გამოცემას და წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს აკაკის ოთხტომიან რჩეულთან შედარებით. მაგ. აქ ყველა ლექსს ქვემოთ მიწერილი აქვს მარტო დაწერის თარიღი, პირველად გამოქვეყნებისა კი არა.

განსხვავებით წინა გამოცემისაგან ამ გამოცემაში აკაკის ლირიკა დაყოფილი არ არის თემატიკურ ციკლებად და ლექსები საერთო ქრონოლოგიით არის განლაგებული. საგულისხმოა, რომ ამჯერად გამოცემები სპეციალურ ყურადღებასაც კი უთმობენ ამ საკითხს და შენიშვნებში წერენ: „გამოცემაში ლექსები განლაგებულია ქრონოლოგიური თანრიგით. აკაკის პოეტური მემკვიდრეობის გამოქვეყნება ქრონოლოგიური თანრიგის მიდევნებით მით უფრო გამართლებულია. რომ პოეტი არის პოეტი მოქალაქე, რომელიც თავისი ლექსებით

13 ა. წერეთლის რჩეული ნაწერები, ტ. I, 1925. გვ. 336.

უშუალოდ ეხმაურებოდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს, პოეტი, თვით მისივე სიტყვით, იყო თავისი სამშობლო ქვეყნის „გარემოების საყვირი“. ამიტომაც, აკაკის ლექსები, ქრონოლოგიური თანრიგით განლაგებულნი, ერთგვარს პარალელში იმყოფება საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიასთან მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე“<sup>14</sup>.

რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრულ კრებულს, თუმცა აქ ყოველი ტომის რედაქტორად პ. ინგოროყვასთან ერთად ალ. აბაშელიც იხსენიება, მაგრამ ტომებში წამროდგენილი ყველა შენიშვნა და კომენტარი პავლე ინგოროყვას ეკუთვნის, ამიტომ ალ. აბაშელის ტექსტოლოგიური თვალსაზრისის შესწავლისას ჩვენ არ შევვებით ამ გამოცემის შენიშვნებსა და კომენტარებს, (რომელთაც, ეპეგარეშეა, ალბათ, აბაშელიც იზიარებდა) და ფანვიხილავთ მხოლოდ სარედაქციო წერილს, რომელიც ხელმოუწერელია და ამდენად თანაბრად მიეკუთვნება ორივე რედაქტორს. სარედაქციო წერილში საყურადღებო თვალსაზრისია გამოთქმული ტექსტის დადგენისა და მისი ძირითადი წყაროს შესახებ. ხსენებულ წერილში ვკითხულობთ: „ამ გამოცემაში ჩვენ შევეცადეთ აღგვედგინა ილიას ნაწერების ნამდვილი ტექსტი. ტექსტის დადგენის დროს ვხელმძღვანელობდით ყველა პირველწყაროებით (თვით ილიას ავტოგრაფებით, სხვადასხვა ხელნაწერებით და პირველ-ნაბეჭდებით). თვითეულ ნაწარმოებს ჩვენ ვებეჭდავთ იმ სახით, როგორც ეს წარმოდგენილია ავტორის მიერ მიღებულ საბოლოო რედაქციაში“<sup>15</sup>. ამრიგად, აშკარაა, რომ გამოცემის რედაქტორებისათვის ცნობილია ავტორის საბოლოო ნების უპირატესობა ნაწარმოების ძირითადი წყაროს შერჩევის დროს და ის დიდი მნიშვნელობა, რაც ტექსტის დადგენისას ენიჭება მის თითოეულ ვარიანტს.

როგორც ვნახეთ, ალ. აბაშელის მიერ მომზადებული ყოველი შემდგომი გამოცემა წარმოადგენს წინადადებულ ნაბიჯს. კლასიკოსთა გამოცემებზე მუშაობის დროს იგი თანდათან უფრო ავითარებდა და აყალიბებდა თავის შეხედულებას მეცნიერული გამოცემის რაობაზე, ამიტომ ბუნებრივია, რომ ალ. აბაშელის საგამომცემლო მოღვაწეობის გვირგვინს წარმოადგენს ამ ხაზით მისი უკანასკნელი ნამუშევარი — ვაჟა-ფშაველას თხზულებათა შეიღტომეული.

ვიდრე ვაჟა-ფშაველას თხზულებათა შეიღტომეულის განხილვაზე გადავიდოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ალ. აბაშელის მონაწილეო-

<sup>14</sup> ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1941, გვ. 627.

<sup>15</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1925, გვ. VI.



ბით ჯერ კიდევ 1922 და 1928 წელს გამოვიდა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა I ტომი, რომელიც ვაჟას ლექსებს შეიცავდა.

ხსენებული გამოცემები მეცნიერული გამოცემებია. მათ დართული აქვთ აკად. აკ. შანიძის მიერ შედგენილი ვაჟას ლექსიკონი და კოტეტიშვილისა და ქიქოძის ბიოგრაფიული და კრიტიკული წერილები, აქ წარმოდგენილია აგრეთვე აბაშელის შენიშვნები. ეს შენიშვნები შეეხება უშუალოდ ვაჟას ტექსტს. მასში გამოთქმულია მრავალი საგულისხმო მოსაზრება ვაჟას ორთოგრაფიისა და ტექსტის წაკითხვის შესახებ. ამ შენიშვნებიდან ვგებულობთ, რომ აბაშელს უპირატესობა მიუცია ფორმებისათვის: მთებისაკე, მაიღრუბლება, სამ, მტერსამც მაჰკლავს, მაჰმიო და სხვა, ასეთ ფორმებთან შედარებით: მთებისკენ, მოიღრუბლება, რამ, მტერსამც მოჰკლავს, მაჰამო და სხვ. აბაშელის შენიშვნებში მოტანილია აგრეთვე მრავალი მეტად საყურადღებო დაკვირვება ვაჟას ტექსტის წაკითხვასთან დაკავშირებით. შენიშვნებში აბაშელი ასახელებს ვაჟას ტექსტში გაპარულ შეცდომებს, რომლებიც აზრობრივ და მხატვრულ შეუსაბამობას ქმნიან ლექსებში. საგულისხმოა, რომ 1922 წლის გამოცემის შენიშვნებში ვაჟას ამა თუ იმ სტრიქონის წაკითხვის შესახებ ალ. აბაშელის მიერ გამოთქმული ზოჯიერთი თვალსაზრისი, რომლის მართებულება არავითარ ეჭვს არ იწვევდა, 1928 წლის გამოცემაში თვით ტექსტში შესწორდა. რაც ამავე დროს შენიშვნებშიც არის ფიქსირებული.

როგორც ალ. აბაშელის ზემოხსენებული პირადი არქივის გაცნობაც ადასტურებს, იგი სამი ათეული წელი მუშაობდა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა გამოცემაზე. წლების მანძილზე აგროვებდა ვაჟას ავტოგრაფებსა და სხვა საჭირო მასალებს. სწავლობდა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების დეტალებს, ეცნობოდა ფშაურ ყოფასა და დიალექტს. ამიტომ არის, რომ ვაჟას თხზულებათა აბაშელისეული გამოცემის გაცნობისას იგრძნობა განზრახული მიზნისადმი დიდი პასუხისმგებლობა, საოცარი შრომისმოყვარეობა და საგამომცემლო საქმის ცოდნა.

1930 წელს პირველად ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ხსენებული გამოცემის მესამე ტომი გამოვიდა, ემდგე კი 1932 წელს IV ტომი. ეს ორივე ტომი ვაჟას პოემებს შეიცავს. მას მოჰყვა მოთხრობების ორი ტომი (V—1936 წ. და VI—1939 წ.) ხოლო ბოლოს ლექსების პირველი და მეორე ტომი (1946, 1950 წწ.). აბაშელის გარდაცვალების შემდეგ კი, 1956 წელს, გამოვიდა ამ გამოცემის მე-7 ტომი, რომელიც შეიცავს აბაშელის მიერ მომზადებულ ტექსტს ვაჟას კორესპონდენციების, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული და პუბლიცისტური

წერილებისას. ამ ტომს არ ერთვის კომენტარები, ტექსტის ისტორია, პირთა საძიებელი და სხვა, რის გაკეთებაც აბაშელმა ვერ მოასწრო. მე-7 ტომის გამოცემა განახორციელა პ. ინგოროყვამ, მანვე დაურთო ტომს ბიბლიოგრაფიული ცნობები.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ალ. აბაშელის გამოცემათა შორის ვაჟა-ფშაველას თხზულებათა შეიდტომეული წარმოდგენს ყველაზე საუკეთესო გამოცემას. აქ არა მხოლოდ ტექსტი და შენიშვნებია დამუშავებული მეცნიერულ დონეზე, არამედ სხვა გამოცემებისაგან განსხვავებით, მას ერთვის ვარიანტული წაკითხვები, რაც ამ გამოცემას აკადემიურს უტოლებს. მაგრამ რადგან ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ხსენებულ გამოცემაში წარმოდგენილი არ არის ვაჟას თარგმანები, ამდენად მთლად ვამართლებული არ იქნება მას აკადემიური ვუწოდოთ.

ჩვენ ზემოთ უკვე მივუთითეთ ვაჟა-ფშაველას თხზულებათა შეიდტომეულის მეცნიერულ ხასიათზე. მაგრამ პირველი, რაც ამ გამოცემის გაცნობისას შეინიშნება, ეს არის საოცარი გულისყურით, საქმის ცოდნით და ყურადღებით ჩასწორებული ტექსტი. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ალ. აბაშელის მიერ მომზადებული ვაჟას ნაწერების ტექსტი უნაკლოდ არის გამართული, მაგრამ ჩვენ პირველ ყოვლისა ყურადღება მაინც იმას გვინდა მივაქციოთ, რომ აქ ალ. აბაშელს შემჩნეული აქვს ვაჟას ტექსტში არსებულ შეცდომათა და შეუსაბამობათა დიდი უმრავლესობა, მართალია, ზოგჯერ აბაშელის მიერ ტექსტში შეცდომად აღიარებული წაკითხვა სწორია და მისი უმართებულო ფორმად მიჩნევა იმათ აიხსნება, რომ გამომცემლისათვის უცხო იყო ესა თუ ის გამოთქმა, მაგრამ, ძირითადად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, აბაშელის მიერ ვაჟას ტექსტის მიმართ გამოჩენილია დიდი სიფრთხილე.

ხშირად აბაშელი ვაჟას ტექსტში შენიშნავს ისეთ წვრილმან შეუსაბამობას, რაც ძლიერ დაკვირვებულ და მცოდნე მკითხველსაც კი შეუმჩნეველი დარჩებოდა. ეს ერთნაირად ეხება როგორც ტექსტის შინაარსის ასევე მხატვრული ფორმის გამართვას. მოვიტანთ აბაშელის მიერ ვაჟას ტექსტში შეტანილი შესწორების რამდენიმე მაგალითს:

„ვეელის-შჰამელის“ ყველა ადრინდელ ნაბეჭდ წყაროში იკითხე-

ბოდა:

უნდა იკოდეთ. ჰხედადეთ  
თავთვების ყელის წელასა.  
ათი-ათასი ყოველმხრივ  
რომ დაიქუხებს ერთადა, —

„არა, მე მომპერ, მინღია,  
ნუ შტოვებ, შემი კენესა-მე!“  
„არა, მე, — სხვა გაიძახის! —  
უფრო მაშინებს ზეცა მე“.

როგორც წესი, პოემაში ყოველი მეორე სტრიქონი რითმიანია, ამიტომ მოულოდნელია მოტანილ ციტატაში ზედიზედ სამი ურითმო სტრიქონის თანმიმდევრობა. აბაშელს უგვრძნია ეს უხერხულობა და აქ IV სტრიქონის შემდეგ ხელნაწერიდან ჩაუმატებია ორი სტრიქონი:

ხელ-ნამგლიანი როცა ვარ,  
მნახავენ თავის ღმერთადა: —16

აბაშელისეული შესწორების შედეგად ყველა სტროფი ოთხსტრიქონიანი გახდა და აღდგენილ იქნა შერითმება I—IV სტრიქონებს შორის.

ასევე მართებულად მოიქცა აბაშელი, როდესაც „გველის-მქამელ-შა“ სადღუნას სიტყვებში ზელნაწერებიდან შემოიტანა ერთი სტრიქონი — „ვითომ რას ცოდნას გლოვობდა“ (იხ. ტ. IV გვ. 491), რითაც სათანადო ადგილზე აღდგენილ იქნა შერითმულ სტრიქონთა სწორი თანმიმდევრობა. მსგავსი შესწორებების მოტანა კიდევ შეიძლება ამ გამოცემიდან, მაგრამ უფრო საგულისხმოა ალ. აბაშელის მიერ ტექსტის ხარვეზების მიმართ გაკეთებული ის შენიშვნები. რომლებიც არსებული წყაროების მიხედვით არ სწორდება და ამდენად მათი შემჩნევაც გაცილებით უფრო ძნელია. მსგავს შემთხვევაში აბაშელი თუ არ ასწორებს შეცდომას, შენიშვნებში მაინც მიუთითებს მის შესახებ, მაგ. პოემა „სისხლის ძიების“ ერთი ადგილი ასე იქითხება:

რომ მოაქვს ჩიქირის ხელი.  
დაფასებული ძვირადა.  
ამიერიდან მის საქმე  
ექნებით გასაკვირადა  
ჩერებუთს დიდს და მცირეთა. —  
პატრივისცემის გვირგვინი  
ელგმის მის სახლის ღირეთა!7.

შესაბამის ადგილზე კი რედაქტორის შენიშვნებში აღნიშნულია. რომ აქ 4 და 5 სტრიქონებს შორის რითმის მიხედვით უნდა აკლდეს ერთი სტრიქონი, თუმცა ტექსტს „ლოგიკური ხარვეზი არ ეტყობა“<sup>16</sup>. არის შემთხვევები, როდესაც აბაშელი საკუთარი ვარაუდით ასწორებს

16 ვ ა ე ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, ტ. IV. 1932, გვ. 31.

17 ვ ა ე ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, ტ. II, 1930, გვ. 78.

18 ვ ა ე ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, ტ. III. 1930. გვ. 399.

შენიშნულ შეცდომას და ამის შესახებ ვრცელ განმარტებას ურთავს შენიშვნებში. საილუსტრაციოდ მოვიტანთ აბაშელის ერთ შესწორებასა და შენიშვნას ხსენებული გამოცემის მეორე ტომიდან. ეს შენიშვნა შეეხება ლექსს „კაი ყმა“. „ამ ლექსის დედანი ვერ აღმოვაჩინეთ, — წერს აბაშელი, — პირველნაბეჭდში არის გაუგებარი სტრიქონი:

ლეში ალალთ ჰკვებლითა

ეს სტრიქონი ჩვენ ასე გვაქვს შესწორებული:

ლეში ალალთ, ჰკვებლითა.

მაგრამ წინა სტრიქონთან შედარებით მაინც უხერხული თქმა გამოდის:

თავისად სოცხლობთ, მცონარეთა.

ლეში ალალთ, ჰკვებლითა.

შესაძლოა ასე ყოფილიყო ხელნაწერში:

თავისად სოცხლობთ, მცონართა

ლეში ალალთ ჰკვებლითა.

მაშინ რითმაც უფრო სწორი გამოვა: კ ვ ე ბ ი თ ა, ხ დ ე ბ ი თ ა, ს წ ე ვ ბ ი თ ა და სხვ...<sup>19</sup>.

როგორც ვხედავთ, აქ გამომცემელი ასწორებს შეუსაბამობას ტექსტში და ამავე დროს გამოთქვამს ტექსტის წაკითხვის სხვაგვარ ვარაუდსაც. რედაქტორის შენიშვნებიდან კიდევ უფრო საყურადღებოა ის შენიშვნები, რომლებშიაც აბაშელი არა მხოლოდ აღნიშნავს ტექსტში გაპარულ შეცდომებს, არამედ ამ შეცდომების გამომწვევ მიზეზსაც მიუთითებს და ასაბუთებს საკუთარ შესწორებას. მაგ. პოემა „კაიტი მართალის“ ერთ ადგილზე აბაშელის გამოცემაში ვკითხულობთ:

მეფემ იმ წამსვე სასჯელი  
გადაუწყვიტა მართალსა,  
დაარჩევან იგი საჯაროდ,  
და მიტომ მეფის ბრძანების  
ასრულებასაც ჩქარობენ,  
რომ დასასჯელი აღუჩნდათ,  
ვეზირნი ფრიად ხარობენ<sup>20</sup>.

ამ მხატვრული დარღვევის შესახებ აბაშელი წერს: „და მიტომ მეფის ბრძანების“ ტექსტში ეს მეოთხე სტრიქონია და უნდა დასრულდეს“.

<sup>19</sup> იქვე, 378.

<sup>20</sup> ვაქაფშაველა, ტ. IV, 1932, გვ. 372.

ლებულიყო მეორე სტრიქონის თანატოლი რითმით. პირველი რედაქციით ასეც ყოფილა:

მეფემ იმ წამსვე სასჯელი  
გადაუწყვიტა მართალსა —  
დაარჩევან იგი საჭაროდ,  
და შიტომ მეფის ნათქვამსა...

შემდეგ უკანასკნელი სიტყვა „ნათქვამსა“ ავტორს გადაუსწორებია სიტყვად „ბრძანების“, და სტრიქონიც, ნაცვლად მეოთხისა, პირველ სტრიქონად ჩაუთვლია, ამის შედეგია ამ სტრიქონის დაკოქლება<sup>21</sup>.

ვრცელ დასაბუთებას ურთავს აბაშელი საკუთარ შესწორებას პოემაში „მთათა ერთობა“. აქ მან „მამებსა“ შეცვალა სიტყვით „არზებსა“, რის გამოც იგი შენიშვნებში წერს: „ეს სიტყვა შესწორებული იქნა შემდეგი მოსაზრებით: A-ში მთელი ტაეპი ასეა:

წამოვალ უარს ვით ვერცვი,  
თუშც ვერ დაუწერ მამებსა,  
უნდა ურჩიო არ აპყვენენ  
ქეყენისა წამწყემდ აზრებსა.

მეორე სტრიქონში სიტყვა მამებსა, როგორც ჩანს, ნაშთია პირველი რედაქციის წაშლილი სტრიქონისა, სადაც ეს სიტყვა შეთანხმებული იყო ტექსტთან:

წამოვალ, უარს ვით ვერცვი  
ჩვენს სულის ჩამდგმელ მამებსა,  
თუ რასმე ვარგებ მწერლობით,  
დაეწერ კარგ რამე ამბებსა.

საფიქრებელია, რომ გადაწერის დროს ტექსტს შერჩა დედანში შემთხვევით გაუსწორებლად დარჩენილი სიტყვა, არზებსა აქ უფრო ეგუება როგორც აზრს, ისე რითმას აზრებსა. „ნახევარ-წიწილა“-ში ვაჟას აქვს ეს სიტყვები გარითმული:

„ბატონთან მიღის არზითა... მიიღებს თავის აზრითა“...<sup>22</sup>

ამრიგად, ავტორის ტექსტისადმი ის თვალის მიდევნება და ყურადღება, რასაც აბაშელი ვაჟას შვიდტომეულის მომზადებისას იჩენდა, მკლავნდება იმ მდიდარ შენიშვნებში, რასაც იგი ხსენებულ გამოცემას ურთავს. როგორც ვნახეთ, აბაშელი დაწერილებით მიუთითებს შესწორებებზე, რომლებიც მან ტექსტში შეიტანა, ამავე დროს

<sup>21</sup> იქვე, გვ. 428.

1879, № 20.

<sup>22</sup> ვაჟა-ფშაველა, 1932, ტ. IV, გვ. 422—423.

აღნიშნავს შეუსწორებლად დატოვებულ საექვო ადგილებს, გამოაჯვამს საგულისხმო ვარაუდებს ტექსტის მართებული წაკითხვის შესახებ და ხსნის შეცდომების გამომწვევ მიზეზებს.

ავტორის ტექსტის მიმართ გაკეთებული რედაქტორის ეს ვრცლად გაშლილი და დასაბუთებული მსჯელობანი, ამ გამოცემის მალალ ხარისხზე მიუთითებენ.

საგულისხმოა, რომ აბაშელის მიერ ვაჟას ტექსტში მიკვლეული მრავალი შეცდომა შემდგომში აღმოჩენილი მასალებით დადასტურდა.

ვაჟა-ფშაველას თხზულებათა აბაშელისეულ გამოცემების შენიშვნებში მითითებულია არა მხოლოდ ტექსტის წაკითხვასთან დაკავშირებული ცნობები, არამედ საინტერესოდ არის გაშუქებული ტექსტი: შექმნის ისტორია, აღნიშნულია რა პირობებში დაიწერა ესა თუ ის ნაწარმოები, რამ გამოიწვია მისი შექმნა და სხვ. მაგ. ლადო ბზვანელისადმი მიძღვნილ ვაჟას ლექსის შესახებ აბაშელი წერს: „ეს ლექსი დაწერილია პასუხად დამსახურებული სახალხო მასწავლებლის ლადო ბზვანელის (ნაცვლიშვილის) ლექსისა, რომელიც მიძღვნილია ვაჟა-ფშაველასადმი და დაბეჭდილია 1915 წ. „განათლების“ აპრილის ნომერში (IV)...“<sup>23</sup> და მოტანილია ბზვანელის ლექსის სრული ტექსტი.

საგულისხმო მსჯელობებს ვხვდებით ვაჟა-ფშაველას შვიდტომეულში ნაწარმოებთა დათარიღების შესახებ. აქვე მოცემულია აგრეთვე ხელნაწერების დაქასიათება და ვარიანტული წაკითხვები. საყურადღებოა ის გარემოება, რომ აბაშელს ყურადღებითა და დაკვირვებით შეუსწავლია ვაჟა-ფშაველას ნაწერების არა მხოლოდ ძირითადი ტექსტი, არამედ მისი ყველა ხელნაწერი და ვარიანტი. ამიტომ არის, რომ ვარიანტული წაკითხვების ჩვენების დროს იგი უყურადღებოდ არ ტოვებს შავ ხელნაწერში გაპარულ შეცდომებსაც კი და ცდილობს ახსნას ამ შეცდომების გამომწვევი მიზეზები. მაგ. ერთ ხელნაწერში სტრიქონი: „ზურამაც დამცა დასტური“ ასე ყოფილა წარმოდგენილი: „ზურამაც დამცა დასტურსა“. ამის შესახებ აბაშელი წერს: „A-ში დასტურსა (უნდა იყოს დასტური) ალბათ დარჩენილია სტრიქონის პირვანდელი რედაქციიდან: „ზურამაცამისცემს დასტურსა“<sup>24</sup>.

ვფიქრობთ, მოტანილი მაგალითებიდანაც აშკარაა, რომ აბაშელის მომზადებული ვაჟა-ფშაველას თხზულებათა შვიდტომეული წარმოად-

<sup>23</sup> ვაჟა-ფშაველა, ტ. 11, 1946, გვ. 408—409.

<sup>24</sup> ვაჟა-ფშაველა, ტ. IV, 1932, გვ. 439.

გენს სერიოზულ მეცნიერულ გამოცემას, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ გამოცემას არ გააჩნდეს ზოგიერთი ნაკლი.

როდესაც ვლადიმერობთ ხსენებული გამოცემის ნაკლზე, პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს თხზულებათა განლაგების პრინციპი.

ვაჟა-ფშაველას შვიდტომეულში ნაწარმოებები განლაგებულია არა მათი დაწერის, არამედ გამოქვეყნების თარიღის მიხედვით. თხზულებათა განლაგების ეს პრინციპი კი რიგ შეუსაბამობათა მიზეზი გახდა.

გამოცემაში აღრეულია ქრონოლოგიური რიგი, რადგან ერთი და იგივე წელს დაწერილი ლექსები ძირითად ტექსტში სხვადასხვა თარიღითაა შეტანილი, იმისდა მიხედვით, თუ რომელი როდის გამოქვეყნდა<sup>25</sup>. გარდა ამისა, ნაწერები განლაგებულია შემდეგ განყოფილებებში: ავტორის მიერ გამოქვეყნებული ნაწარმოებები, ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული ნაწარმოებები და ავტოგრაფებიდან ამოკრებილი მასალა. საბედნიეროდ, ვაჟას ყველა თავისი პოემა, პროზაული და დრამატული ნაწერები თვითონვე გამოუქვეყნებია, რის გამოც ზემოხსენებული განყოფილებები შვიდტომეულის მხოლოდ პირველ და მეორე ტომებში გვხვდება, რომლებშიაც ვაჟას ლირიკა წარმოდგენილი. ვაჟას ლირიკული ნაწერების ასეთ დაყოფას კი ის შედეგი მოჰყვა, რომ ხშირად ერთი და იგივე წელს დაწერილი ლექსები შეტანილია არა მხოლოდ სხვადასხვა თარიღით, არამედ სხვადასხვა განყოფილებებშიც კი: — ნაწილი ავტორის მიერ გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა შორის, ნაწილი ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებულ მასალაში, ხოლო ნაწილი პოეტის ხელნაწერებიდან ამოკრებილ დაუბეჭდავ ლექსებში. ასე რომ, მკვლევარი, რომელსაც აინტერესებს ვაჟა-ფშაველას ამა თუ იმ პერიოდის პოეზია, ვერსად ვერ ნახავს ამ მასალას ერთად თავმოყრილს და მოუხდება გამოცემის პირველ და მეორე ტომების თავიდან ბოლომდე გადაკითხვა. ეს, რა თქმა უნდა, ხელს უშლის მკვლევარს მუშაობაში. ხოლო, მეორეს მხრივ, შეუძლებელს ხდის ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ვაჟას ლირიკის იდეურ და მხატვრულ სრულყოფაზე.

ე. პროზოროვი ბაზგასმით მიუთითებს, რომ: „Если в научном издании встречаются отступления от хронологического порядка, то они обычно обусловлены существенно важными причинами, одной из которых может быть воля автора<sup>26</sup>“. ხსენებულ მიზეზით ქრონოლოგიური თანრიგის დარღვევის მაგალითად პროზოროვი

<sup>25</sup> აქ ლექსებს ქვეშ მიწერილი აქვს არა დაწერის, არამედ გამოქვეყნების თარიღი.

<sup>26</sup> Основы текстологии, 1968 стр. 160.

ასახელებს კრილოვის თხზულებათა გამოცემას, რომელშიაც ყველა ჟანრი განლაგებულ იქნა საერთო-ქრონოლოგიური რიგით, გარდა იგავ-არაკებისა, რომლებიც თვითონ ავტორმა განალაგა და მისცა მათ ერთიანი თავისებური კომპლექსის სახე. ასევე ჩეხოვის თხზულებათა 20 ტომეულში წარმოდგენილია შემდეგი განყოფილებები: „ჩეხოვის მიერ რჩეულში შეტანილი მასალა“, ჩეხოვის მიერ რჩეულში არ შეტანილი მასალა“ და „ხელნაწერებში დარჩენილი მასალა“. მაგრამ ეს იმის გამო, რომ თვითონ ჩეხოვმა რჩეულისათვის მკაცრად შეარჩია მის მიერ გამოქვეყნებული დიდძალი თხზულებების მხოლოდ მცირე ნაწილი.

გარდა ავტორის ნებისა, საერთო ქრონოლოგიური რიგის დარღვევა შესაძლოა გამოწვეულ იყოს მწერლის შემოქმედების რაიმე სპეციფიკური ხასიათით. ამის მაგალითად იგივე პროზოროვი ასახელებს მაიაკოვსკის თხზულებათა გამოცემას, რომლის პირველ ტომში შეტანილი იქნა პოეტის რევოლუციამდელი ყველა ნაწარმოებები, განურჩევლად ჟანრისა, ეს გამოწვეულია იმით, რომ რევოლუციამ უდიდესი როლი ითამაშა მაიაკოვსკის შემოქმედების ფორმულირებაში.

როგორც ცნობილია, ვაჟას შემოქმედებაში რაიმე მსგავს შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, ამიტომ აბაშელისეულ გამოცემაში ქრონოლოგიური რიგის აღრევა, რაც გამოწვეულია თხზულებათა გამოქვეყნების თარიღის მიხედვით განლაგებით, გამართლებული არ არის.

ხსენებულ გამოცემაში თხზულებათა გამოქვეყნების თარიღის მიხედვით განლაგებამ გამოიწვია არა მხოლოდ ქრონოლოგიური რიგის აღრევა, არამედ ჟანრობრივი პრინციპის დარღვევაც. აბაშელისეულ გამოცემის მეცნიერული დონისათვის წარმოუდგენლად მოულოდნელია ის გარემოება, რომ ამ გამოცემის მეხუთე ტომი შეიცავს მოთხრობებსა და პიესებს, ხოლო მეექვსე კვლავ—მოთხრობებს. ჟანრობრივი პრინციპის ამ აღრევის გამო აბაშელი მეხუთე ტომის შენიშვნებში ასეთ განმარტებას იძლევა: „ამ ტომში მოთავსდება მოთხრობები დაწერილი 1881 წლიდან 1895 წლამდე, VI ტომში მოთავსდება 1896—1914 წლებში გამოქვეყნებული მოთხრობები. ვინაიდან ვაჟას პიესები, გარდა ერთი პატარა სცენისა („ტყის კომედია“), რომელიც გამოქვეყნდა 1911 წ., შედიან ამ ტომში მოთავსებულ მოთხრობათა ქრონოლოგიურ რკალში, პიესებიც ამ ტომს დაერთო მთლიანად, ცალკე გამოყოფილი და ქრონოლოგიურად დალაგებული“. ეს, რა თქმა უნდა, არაფრით არ ამართლებს მეცნიერულ გამოცემაში მოთხრობებს შორის პიესების ჩართვას. კიდევ უფრო მოულოდნელია ის გარემოება, რომ პიესა, რომელიც ვერ თავსდება მუხუთე ტომის ქრონო-



ლოგიურ ჩარჩოში, მაინც იქნა შეტანილი მეზუთე ტომში. და ეს იმის გამო, რომ აბაშელის ზემომოტანილი დასაბუთებით იგი უნდა დაშორებოდა დანარჩენ პიესებს და მომდევნო — მეექვსე — ტომის მოთხრობათა შორის მოთავსებულიყო. ეს კი კიდევ ერთ ისეთ შეუსაბამობას გამოიწვევდა, რაც არცერთ მეცნიერულ გამოცემას არ შეიძლება ეპატიოს.

ვაჟა-ფშაველას თხზულებათა შედგომეულის შემდეგ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ აბაშელს ძირითად ტექსტში ავტორგრაფებიდან შემოაქვს ყველა ის დიალექტური ფორმა, რომელიც ვაჟას არცერთ გამოცემაში აღარ შეუტანია და არც აღუდგენია მის მიერ ჩასწორებულ ცალში. ეს განსაკუთრებით ითქმის პოემების ტექსტზე, სადაც ხშირია დიალოგები, რომლებიდანაც ვაჟამ, როგორც ჩანს. ზომიერების დაცვის მიზნით, ამოიღო ნაწილი დიალექტური ფორმებისა, რათა ზედმეტად არ დაემძიმებინა ტექსტი და ადვილად გასაგები გაეხადა იგი მკითხველისათვის.

ზემოჩამოთვლილი შეუსაბამობანი ჩვენ ხსენებული გამოცემის ძირითად ნაკლად მიგვაჩნია, თუმცა, გარდა ამისა, გამოცემაში ზოგჯერ ვხვდებით ვარიანტული წაკითხვების ბუნდოვან გადმოცემას, არასრულ კომენტირებას და სხვა. მაგრამ ასეთ შედარებით უმნიშვნელო შენიშვნებზე ჩვენ აქ დაწვრილებით არ შევჩერდებით და ერთხელ კიდევ მიუთითებთ, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული ნაკლისა, ვაჟას თხზულებათა აბაშელისეული გამოცემა დიდად სერიოზულ მეცნიერულ გამოცემას წარმოადგენს.

ამრიგად, პოეტურ მოღვაწეობასთან ერთად ალ. აბაშელი დიდ დროს უთმობდა ქართველ კლასიკოსთა თხზულების გამოცემას. მის მიზანს მეტწილად წარმოადგენს სერიოზულად შესწავლილი და დამუშავებული ტექსტის მომზადება სათანადო შენიშვნებისა და კომენტარების დართვით. ამიტომ იყო, რომ აბაშელისეულმა გამოცემებმა გარკვეული როლი ითამაშეს ქართველ კლასიკოსთა თხზულებების არამხოლოდ პოპულარიზაციის საქმეში, არამედ ქართული ტექსტოლოგიის განვითარებაშიც. ეს გამოცემები მკითხველსა და მწერლის შემოქმედებით დაინტერესებულ სხვა პირებს აცნობენ ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის ისტორიას და მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის სხვა დეტალებს.

როდესაც ვსწავლობთ აბაშელის გამოცემების შენიშვნებსა და კომენტარებს, აშკარაა, რომ გამომცემლისათვის უცხო არ იყო იმ დროისათვის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერების — ტექსტოლოგიის — თეორიული, და პრაქტიკული მიღწევები.

როგორც ვნახეთ, აბაშელი კარგად იცნობდა გამოცემათა ტიპებს, სწორ თვალსაზრისს გამოთქვამდა ძირითადი წყაროს შერჩევისა და ტექსტის დადგენის დროს სხვადასხვა ვარიანტის მნიშვნელობის შესახებ. გარდა ამისა, მის გამოცემებში მოცემულია საინტერესო ცნობები ნაწარმოების ადრესატის, დათარიღებისა და ტექსტის შექმნის ისტორიისათვის, წარმოდგენილია თხზულებათა სრული პასპორტი, ვარიანტული წაკითხვების სია, წყაროთა დახასიათება და ხელნაწერის აღწერა, მითითებულია საექვო ადგილები ავტორის ტექსტში და მასში შეტანილი ყველა სწორება. ყოველივე ეს და ბევრი სხვა „წვრილმანი“, რაც მინიშნებულია რედაქტორის შენიშვნებში, მნიშვნელოვან ცნობებს აწვდის მწერლის შემოქმედებით დაინტერესებულ მკვლევარს და აბაშელის გამოცემების მეცნიერულ ხასიათზე მიუთითებს.

ამიტომ, რომ ალ. ყაზბეგის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას თხზულებათა აბაშელისეულმა გამოცემებმა დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოში მეცნიერული გამოცემის განვითარების საქმეში .

---

### მიხეილ ზანდუკელი

მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა მიხეილ ზანდუკელმა თავისი მრავალი წლის მუშაობა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ყოველმხრივ შესწავლას მოახმარა. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის მასალის კვლევა-ძიებამ, ქართველი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლამ, მათი არქივებისა და სხვადასხვა ბიოგრაფიული და შემოქმედებითი მომენტების გათვალისწინებამ, ეპისტოლური და მემუარული ლიტერატურის მონაცემების გამოყენებამ მკვლევარი, ბუნებრივად, მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო ქართველი მწერლების მხატვრული შემოქმედების, მათი თხზულებების ტექსტების კრიტიკული შესწავლა და გამოცემა. სრულიად ბუნებრივია, რომ დროთა ვითარებაში ლიტერატურის ისტორიკოსი ვეღარ დაქმნაყოფილდებოდა მუშაობის იმ სტილითა და მეთოდით, როგორც გააჩნდათ ლიტერატურის მკვლევართ ადრე, ე. ი. როცა ლიტერატურის ისტორია იწერებოდა მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ყველა მნიშვნელოვანი ნაწილის გათვალისწინების გარეშე. «დღეს ჩვენთვის უდავოა — წერს მიხ. ზანდუკელი ერთ-ერთ წერილში<sup>1</sup>, რომელიც მიძღვნილია სიმონ ხუნდაძის საჯამომცემლო რედაქტორული საქმიანობისადმი, — რომ საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიისათვის და განსაკუთრებით კი ლიტერატურის ისტორიისათვის მთავარი გამოსავალი საფუძველი თვით ლიტერატურული ნაწარმოებია, მისი ზედმიწევნით გაგება. ამისათვის კი აუცილებელი საჭიროა, პირველ რიგში, მკვლევარს ხელთ ჰქონდეს ყოველმხრივ შემოწმებული ნაწარმოების ტექს-

<sup>1</sup> მიხ. ზანდუკელი, სიმონ ხუნდაძე, როგორც კლასიკოსების გამომცემელი რედაქტორი, «ლიტერატურული შეშვედრება», წიგნი 1, 1935.

ტი იმ სახით, როგორც ეს გამოვიდა მწერლის ხელიდან“.

სიმ. ზუნდაძის მოღვაწეობის შეფასებისას ზემოხსენებულ წერილში მიხ. ზანდუკელი თავის შეხედულებებსაც აყალიბებს ტექსტოლოგიის დარგში. ის თვლის, რომ გამომცემელ-რედაქტორის ამოცანაა მკვლევარს ხელი შეუწყოს მუშაობაში, კვლევა გაუადვილოს, მიაწოდოს მას დასაბუთებული ცნობები ნაწარმოების დაწერის დროის შესახებ. მკვლევრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების დაწერის თარიღის ცოდნას. ნაწარმოები ხშირად ქვეყნდება არა დაწერისთანავე, არამედ, ობიექტური მიზეზების გამო, მეტად გვიან. მკვლევრისათვის სასარგებლოა როგორც დაწერის, ისე გამოქვეყნების თარიღი, რაც საშუალებას მისცემს გაერკვეს მწერლის შემოქმედებით ევოლუციაში და მისცემს გასაღებს იმ პირობების გასაანალიზებლად, რომლებზეც გამოიწვიეს ნაწარმოების შექმნა, ან მისი გამოქვეყნების შეფერხება. ამასთან ერთად ტექსტს უნდა დაერთოს სათანადო კომენტარები, რომლებიც აგრეთვე, გაადვილებს ტექსტის შემოქმედებითი ისტორიის გამოაშკარავებას. ყოველივე ეს მდიდარ მასალას აძლევს ლიტერატურის თუ საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიკოსს.

მიხ. ზანდუკელი სიმონ ზუნდაძეს თვლის ერთ-ერთ იმ პირველთაგანად, რომლებმაც ტექსტის მეცნიერულად შესწავლა-გამოცემა გაადვილებელ ამოცანად დაისახეს. „სიმ. ზუნდაძე გარკვეულად გრძნობს, — წერს მიხ. ზანდუკელი, — რომ ამ ამოცანის განხორციელებისათვის ძირეულად უნდა მივიჩნიოთ ნაწარმოების ტექსტი“.

იგივე შეიძლება ითქვას თვით მიხ. ზანდუკელის ტექსტოლოგიურ და საგამომცემლო საქმიანობაზე.

სწორედ იმ ინტერესმა, რომ მხატვრული ნაწარმოების ტექსტი ყოფილიყო მეცნიერულად შესწავლილი, რომ ტექსტი გამხდარიყო როგორც ამოსავალი, ისე საფუძველი იდეურ-მხატვრული ანალიზისა. გადააწყვეტინა მიხ. ზანდუკელს ჩაეტარებინა ტექსტოლოგიური მუშაობა და გამოეცა ქართველი მწერლების თხზულებები.

მიხ. ზანდუკელის გამოცემები შედეგია მეტად შრომატევადი, სკრუპულოზური საქმიანობისა, რომელიც ძლიერ შორსაა მექანიკური საგამომცემლო საქმიანობისაგან. მისი გამოცემები გამოირჩევა მეცნიერული ხასიათით. ისინი სრულიად პასუხობენ იმ პრობლემებს, რომელთაც ტექსტოლოგია, როგორც მეცნიერება, უყენებს რედაქტორ-გამომცემლებს.

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების საფუძვლიანი ცოდნა, მათი შემოქმედებითი მემკვიდრეობის მოპოვება და დადგენა, ტექსტისადმი ფრთხილი და საქმიანი დამოკიდებულება, მათი გამოქვეყნება

ტექსტოლოგიის თვალსაზრისით არსებული ყველა მომენტის გათვალისწინებით და ამ გზით მწერლის ხასიათისა და სპეციფიკის შენარჩუნება მკითხველისა და მკვლევარისათვის — ყოველივე ამით ხასიათდება მიხ. ზანდუკელი, როგორც რედაქტორ-გამომცემელი.

თავისი მოღვაწეობის მანძილზე მას გამოქვეყნებული აქვს სამი ქართული მწერლის: დ. ჭონქაძის, გრ. ორბელიანის და ეკ. გაბაშვილის თხზულებები, რომელთაც ერთვის სათანადო მეცნიერული აპარატი. განვიხილოთ ეს გამოცემები ცალ-ცალკე.

პირველი გამოცემა, რომელიც მიხ. ზანდუკელმა განახორციელა 1932 წელს, არის დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“. ეს ნაწარმოები ავტორის სიკვდილის შემდეგ 1932 წლამდე გამოცემული იყო 15-ჯერ. ამ ნაწარმოების ხელნაწერები, სამწუხაროდ, არ შენახულა. „სურამის ციხემ“ მოაღწია ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდილი რედაქციით. ეს არის ერთადერთი წყარო, გამოქვეყნებული ავტორის სიცოცხლეში, რომელიც საფუძვლად უდევს ყველა დანარჩენ გამოცემას.

მიხეილ ზანდუკელს თავისი გამოცემის მომზადებისათვის შეუდარებია ერთმანეთისათვის 1875, 1879, 1910, 1914 და 1929 წლის გამოცემები. აღმოჩნდა, რომ პირველ, ე. ი. 1875 წლის გამოცემას საფუძვლად უდევს „ცისკარში“ გამოქვეყნებული ტექსტი ნაწარმოებისა. ხოლო ყველა შემდგომი გამოცემა აქედანაა გადაბეჭდილი. ყოველ შემდეგ გამოცემაში, როგორც რედაქტორი მიუთითებს შესავალ წერილში, გამეორებულია წინა გამოცემათა შეცდომები და ახალიც აუარებელია მიმატებული, რაც გამომცემელთა დაუდევრობითა და ტექსტის შესწავლის მოთხოვნილების სისუსტიტაა გამოწვეული. ამიტომ არც ერთ ამ გამოცემას არავითარი მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია. „ამიტომ, — წერს რედაქტორი, — „სურამის ციხის“ ტექსტის აღდგენაში საჭიროდ და მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდილ ტექსტს დავყრდნობოდით, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდილი ტექსტი ზუსტად აღგვედგინა“, ის სწორებები, რომლებიც რედაქტორს შეაქვს „ცისკარში“ რედაქციაში, რომელსაც არ სთვლის თუნდაც კორექტურული შეცდომებისაგან დაზღვეულად, მითითებული აქვს შენიშვნებში და იძლევა მათ დასაბუთებას.

ზანდუკელისეული გამოცემის სტრუქტურა ასეთია: რედაქტორის წინასიტყვაობა, ნაწარმოების ტექსტი, ფილიპე მახარაძის გამოკვლევა „დ. ჭონქაძე და მისი ღრო“, რედაქტორის შენიშვნები, ბიოგრაფიული ცნობები, ბიბლიოგრაფია და დამატება. წიგნის ასეთი შედგენილობა სრულიად პასუხობს მწერლის მეცნიერულად გამოცემის პრინ-

ციპებს. თუ რამდენადაა ეს განხორციელებული წინამდებარე გამოცემაში, ე. ი. როგორია წიგნის მეცნიერულ-კვლევითი აპარატი, შეიძლება დადგინდეს ამ ნაწილების დეტალური განხილვით.

მიხეილ ზანდუკელის წინასიტყვაობა ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში რედაქტორი იძლევა ცნობებს ტექსტის შესახებ, რაც ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, ხოლო მეორე ნაწილში იძლევა ნაწარმოების ერთგვარ ანალიზს. აქ ლაპარაკია „სურამის ციხის“ პოლიტიკურ მნიშვნელობაზე და იმ რეზონანსზე, რომელიც მას გამოქვეყნების დროს ჰქონდა. აქვე ცალკე საკითხადაა გამოყოფილი დ. ჭონქაძის შემოქმედების ენა. ზანდუკელი თვლის, რომ ამ მხრივ მწერალი „პირდაპირ რევოლუციური გზით მიდის“, აქცევს რა სალიტერატურო ენად ხალხურ-სალაპარაკო ენას მთელი თავისი ფონეტიკური და მორფოლოგიური თვისებებით. მოტანილია ამისი მაგალითები საკმაოდ დიდი რაოდენობით. შესავალი წერილის დასასრულს რედაქტორი ისევ გამოსთქვამს სინანულს, როგორც ხელნაწერების, ისევე მწერლის ბიოგრაფიული ცნობების სიმციროს გამო და მადლობას უხდის იმ პირთ (არკ. ზუნდაძე და პროფ. სიმ. ზუნდაძე), რომელთაც მიაწოდეს თუ მიუთითეს არსებული, თუნდაც მცირე მასალა.

შემდეგ დაბეჭდილია ნაწარმოების ტექსტი. არშიებზე მითითებულია 1859 და 1860 წლების უფრანლ „ცისკრის“ გვერდები, რომლებზედაც ქვეყნდებოდა „სურამის ციხე“.

წიგნს ერთვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფ. მახარაძის ვრცელი გამოკვლევა „დ. ჭონქაძე და მისი დრო“, რომელზედაც ჩვენ არ შევჩერდებით.

ტექსტოლოგიური კვლევის თვალსაზრისით ყველაზე საინტერესოა რედაქტორის შენიშვნები. ეს შენიშვნები სხვადასხვა ხასიათს ატარებს. აქ არის კომენტარები და ყველა საკითხი ტექსტთან დაკავშირებული, მითითებულია ის სიტყვები დედნიდან, ე. ი. „ცისკრის“ ტექსტადან, რომლებიც რედაქტორმა თავისი მოსაზრებით შესცვალა. ამ სწორებებს რიგ შემთხვევაში ახლავს სათანადო დასაბუთება. მაგ. დ. ჭონქაძისათვის დამახასიათებელია „ხო“-ს ხმარება „ხომ“-ის ნაცვლად. „რო“-ს ხმარება „რომ“-ის ნაცვლად და თუმცა რამდენიმე ადგილას ტექსტში ყოფილა „ხომ“ და „რომ“, ამას რედაქტორი კორექტურულ შეცდომად თვლის და მთელი მოთხრობის მანძილზე იცავს ავტორისათვის დამახასიათებელ ფორმას „რო“ და „ხო“. ეს მეთოდი სრულიად გამართლებულია თანამედროვე ტექსტოლოგიის პრინციპების თვალსაზრისით.

ზანდუკელი გულისყურით ეკიდება იმ დიალექტს, რომელიც და-  
ჩახასიათებელია დ. კონქაძისათვის და ტექსტში შეაქვს ასეთი სწორე-  
ბები „კამეჩი“ და არა „კამბეჩი“, „ხოლმე“ და არა „ხომე“, „ვითომც“  
და არა „ვითამც“ და შენიშვნებში იძლევა ამ სწორებებს.

ზანდუკელს თავისი ნებით შეუცვლია ტექსტში ნახმარი სიტყვა  
„მინუტა“ „წუთით“, რასაც შენიშვნაში შემდეგნაირად ასაბუთებს:  
„ტექსტში რამდენიმე შემთხვევაა „მინუტის“ ხმარებისა. მართალია,  
ზუსტად გვინდოდა დაგვეცვა „ცისკრის“ რედაქციის სახე, მაგრამ ამ  
ბარბარიზმის შეცვლა ყვალვან სწორი ლიტერატურული ქართულით  
შესაძლებლად დავინახეთ, ვინაიდან ეს გარემოება ტექსტის მთლიან  
შთაბეჭდილებას არ დაარღვევს. მით უმეტეს, ტექსტში არის შემთხ-  
ვევები სწორი ფორმის „წუთის“ ხმარებისაც“. თუმცა ეს დასაბუთება,  
მოცემული რედაქტორის შენიშვნებში, ერთის შეხედვით მართებუ-  
ლად გამოიყურება, საეჭვოა, რომ ეს იყოს სწორი ტექსტოლოგიური  
პრინციპი ტექსტის მიმართ.

ასევე დაეკვივება იწვევს შენიშვნებში მოტანილი სწორებების დი-  
დი რაოდენობა. აქ მრავლად გვხვდება ასეთი მაგალითები: ტექსტში  
დაბეჭდილია „მგვანებისარ“, დედანში ყოფილა „მგონებისარ“, ტექსტ-  
ში დაბეჭდილია „აუარებელმა ხალხმა“, — დედანში ყოფილა „საში-  
ნელმა ხალხმა“, ტექსტში დაბეჭდილია „ორ-სართულიანი“ — დედანში  
ყოფილა „ორ-ატაყიანი“, „მე აღარ შეგაწყენთ“, — დედანში ყოფილა  
„არ შეგაწყენ“, და კიდევ მრავალი მსგავსი. ამ დამოკიდებულებას ძი-  
რითადი ტექსტის მიმართ მიხ. ზანდუკელი შესავალში ასაბუთებს იმ  
გარემოებით, რომ „ცისკარში“ დაბეჭდილი ტექსტი არაა დაზღვეული  
კორექტურული შეცდომებისაგან და შენიშვნებში იძლევა, „ცისკრის“  
რედაქციის პირვანდელ სახეს, სადაც ტექსტში შეტანილი ყველა ცვლი-  
ლება ახსნილ-განმარტებულია. მაინც ვფიქრობ, რომ ეს სწორებები,  
თუმც ტექსტისათვის მეტად სასარგებლო, სცილდება კორექტურული  
შეცდომების გასწორებებს.

მიხ. ზანდუკელის კომენტარები საქმიანია და ამომწურავი. რედაქ-  
ტორის განმარტებული აქვს პიროვნებები, გეოგრაფიული ადგილები,  
მოვლენებ, უცხო სიტყვები და გამოთქმები.

თუმც ერთგვარად სცილდება კომენტარის საზღვრებს სოფლების  
ბოლორნასა და ნაოზას სახელწოდების განმარტება. აქ რედაქტორი  
იძლევა მეტად საინტერესო ცნობებს ამ სოფლის მდებარეობაზე, აქვეა  
მისი ბავშვობის დროის მოვონება იმის შესახებ, რომ სწორედ ამ სო-  
ფელში გაუგონია ლეგენდა სურამის ციხეზე. ვრცლადაა მოთხრობილი  
თვით ეს ლეგენდაც, რაც მეტად საინტერესო და საჭიროა „სურამის

ციხის“ გამოცემისათვის, მაგრამ ვფიქრობ ამ ლეგენდის ადგილი სოფლის სახელწოდების განმარტებაში არ უნდა იყოს. ასევე ვრცელია ცნობა ივ. კერესელიძის შესახებ. ტექსტში გვხვდება ივ. კერესელიძის სტრიქონები, გამოყენებული ეპიგრაფად. რედაქტორი შენიშვნებში მთელ გვერდს უთმობს ამ პიროვნების ვინაობის, მოღვაწეობისა და პოზიციის აღწერას. საჭირო იყო მითითებულიყო, თუ ივ. კერესელიძის რომელი ლექსიდანაა ამოღებული ეპიგრაფად გამოყენებული სტრიქონები.

რედაქტორის შენიშვნებში შემდეგ მოდის დანიელ ჭონქაძის ბიოგრაფია. აქ მოტანილია მცირე, მაგრამ საკვანძო მომენტები მწერლის ცხოვრებიდან. უფრო დაწვრილებითი ბიოგრაფიის დართვა, ალბათ, ბიოგრაფიული ცნობების სიმცირის გამო არ მოხერხდა.

წიგნს ერთვის აგრეთვე ამომწურავი ბიბლიოგრაფია, ხოლო ბოლოში დამატების სახით დართული აქვს დანიელ ჭონქაძის ანდერძი და წერილი, მიწერილი ცოლის ძმასთან, ივანე ფეოდოროვთან. ქვეყნდება ანდერძის და წერილის როგორც ქართული, ისე რუსული (სქოლიოში) ტექსტი. საჭირო იყო რედაქტორის მითითებანი, რომ ეს მასალა დაწერილია მწერლის მიერ რუსულ ენაზე და წიგნში შესული ტექსტი მის თარგმანს წარმოადგენს. აუცილებლად მიმაჩნია, აგრეთვე, რომ წიგნის ამ ნაწილსაც გაკეთებოდა კომენტარები.

„სურამის ციხის“ 1932 წლის გამოცემა ნათლად წარმოადგენს იმ დიდ, დაკვირვებულ მუშაობას, რომელიც მეცნიერმა ჩაატარა ამ ნაწარმოების გამოქვეყნებისას. შეიძლება ითქვას, რომ სიძნელე, გამოწვეული ავტოგრაფისა და ავტორიზებული ტექსტის უქონლობით, სრულიად დაძლეულია და 1932 წლის გამოცემაც პირველ სწორ და სახელმძღვანელო რედაქციად უნდა ჩაითვალოს, რომელზედაც მკვლევარს შეუძლია მეცნიერული კვლევა-ძიება აწარმოოს.

პროფ. სიმონ ზუნდაძის არქივში ინახება წერილი მიხ. ზანდუკელისადმი<sup>2</sup>, სადაც ს. ხუნდაძე უკეთებს შენიშვნებს „სურამის ციხის“ გამოცემას. ეს შენიშვნები ეხება გამოსაცემი ტექსტის დადგენასა და მთავარი წყაროს შერჩევას, ბიოგრაფიული ცნობების სიმცირეს, შენიშვნებში მოხსენებული პიროვნებებისა და მოვლენების განმარტებებს, ბიბლიოგრაფიის სისრულეს, წიგნში მასალის განლაგებას და სხვა. ვინაიდან ნაწილი ამ შენიშვნებისა 1932 წლის გამოცემაში უკვე შესწორებულია, სავარაუდოა ვიფიქროთ, რომ სიმ. ზუნდაძის წერილი, დაწერილია წიგნის გამოქვეყნებამდე. პროფ. მიხ. ზანდუკელს რამდენიმე

<sup>2</sup> რ. კუსრაშვილი, ს. ხუნდაძე როგორც რედაქტორ-გამომცემელი, „ლიტერატურული ძიებანი“. ტ. XIII, 1960, თბილისი.



შენიშვნა გაუზიარებია და თავის გამოცემაში ერთგვარი ცვლილებებში შეტანია. მაგ. პირველ შენიშვნაში კვითხულობთ: „მთავარ წყაროდ აუცილებლად „ცისკარში“ დაბეჭდილი ტექსტი უნდა იქნეს მიჩნეული, მაგრამ ეს სრულიად არ უშლის ხელს იმას, რომ ტექსტის ბეჭდვის ისტორიაც იყოს განხილული, ე. ი. შედარებულ იქნეს მთავარი გამოცემები პირველ „ცისკარის“ ტექსტთან“... მიხ. ზანდუკელის შესავალ წერილში, სადაც „სურამის ციხის“ გამოცემაზეა ლაპარაკი, წერია. რომ ტექსტის დასადგენად ერთმანეთს შედარდა 1875, 1879, 1910, 1914 და 1929 წლის გამოცემები, რომ ერთ-ერთი უკანასკნელი გამოცემათაგანი შესწორდა „ცისკარის“ რედაქციის მიხედვით და ამრიგად „სურამის ციხის“ ტექსტი ზედმიწევნით იქნა აღდგენილი წინამდებარე გამოცემაში.

ასევე, ს. ხუნდაძის შენიშვნა იმის შესახებ, რომ რუსული ტექსტის თარგმანიც უნდა იყოს მოცემული, გათვალისწინებულია და დანართში მოცემულია წერილისა და ანდერძის რუსული და ქართული ტექსტა.

1932 წლის № 7 „მნათობში“ დაიბეჭდა ვუკ. ბერიძის წერილი „დანიელ ჰონჭაძის „სურამის ციხე“. იხილავს რა ზანდუკელისეულ გამოცემას, წერილის ავტორი საყვედურობს გამომცემელს, რომ არ იყო საჭირო დ. ჰონჭაძის მართლწერის დაცვა იქაც, სადაც უხეში გრამატიკული შეცდომებია დაშვებული, „რაგინდ თავისებურებათ ისინი არ შეიცავდენ“ მით უმეტეს, რომ დედანი არ არსებობს, ხოლო „ცისკარის“ მასალა მძიმე კორექტურული შეცდომებითაა დაბეჭდილი. ვუკ. ბერიძე თვლის, რომ გამომცემელს თვალსაჩინო გრამატიკული შეცდომები უნდა გაესწორებინა, და მოჰყავს ამის მაგალითები.

შემდეგი გამოცემა მიხ. ზანდუკელისა არის გრ. ორბელიანის „ლექსები“, დაიბეჭდა 1935 წელს. ეს მეტად საინტერესო გამოცემაა ტექსტოლოგიური თვალსაზრისით, რადგან ის ეხმაურება მეცნიერების ამ დარგის ყველა ძირითად საკითხს. აქ დასმულია და დაძლეული ისეთი პრობლემები, როგორცაა ძირითადი ტექსტის დადგენა-დასაბუთება, ტექსტის კომენტირება, ატრიბუციის საკითხი, დართულია მწერლის შემოქმედების ამსახველი კრიტიკული წერილი.

განსახილველი გამოცემა რიგით მეხუთეა. პირველი ორი კრებული გრ. ორბელიანის ლექსებისა გამოცემულია მწერლის სიცოცხლეში, მესამე (ზ. ჭიჭინაძე) გადმობეჭდილია მეორე გამოცემიდან ავტორის ხელით შეტანილი სწორებების გათვალისწინებით. მეოთხე გამოცემა გრ. ორბელიანის ლექსებისა 1928 წ. ვახ. კოტეტიშვილს ეკუთვნის. ამ გამომცემელთაგან ბევრი სადავო აქვს მიხ. ზანდუკელს. თავი-

სი გამოცემის შესავალში იგი მიუთითებს იმ შეცდომებზე, რომლებიც წინა გამომცემელმა დაუშვა. ეს უმთავრესად ტექსტის მოპოვებასა და დადგენას ეხება. 1928 წლის გამოცემაში არაა გამოყენებული ლენინ-გრაძის ისტორიული მუზეუმის არქივის საქმე თავადაზნაურთა 1932 წლის შეთქმულების შესახებ, სადაც იპოვება უცნობი მასალა. ამ მასალის გამოყენებამ ბევრი რამ შემატა ზანდუკელისეულ გამოცემას: მასში შევიდა ახალი კრებული, გრ. ორბელიანის ხელით გადაწერილი, ჩამორთმეული 1833 წლის მარტში დაპატიმრების დროს. ხსენებული კრებულის ნაწილი 1928 წელს გამოქვეყნებულია „ქართულ მწერლობაში“ პავლე ინგოროყვას მიერ, ხოლო ნაწილი პირველად დაბეჭდილი წინამდებარე წიგნში. ეს ახალი მასალა შედგება რამდენიმე დასრულებული ლექსისაგან, ფრაგმენტებისაგან და რილევისაგან გადმოქართულებულ — გადმოკეთებული ლექსისაგან „აღსარება“.

ამ ახალი მასალის გარდა მიხ. ზანდუკელს ლენინგრაძის არქივიდან მოპოვებული აქვს ბევრი მნიშვნელოვანი ცნობა ნაწარმოების თარიღის, აღრესატის თუ აღწერილი მოვლენის განსამარტავად და დასადგენად. ამის მაგალითებს მრავლად შევხვდებით რედაქტორის შენიშვნების განხილვისას. ამიტომ ამაზე ქვემოთ.

ზანდუკელისეულ გამოცემაში აღდგენილია გრ. ორბელიანის ლექსთა წყობა, რომელიც წინა გამოცემაში რატომღაც დარღვეულია. თექვსმეტმარცვლიანი სტრიქონები, დამახასიათებელი გრ. ორბელიანისათვის, დაყოფილია და რვა მარცვლიან ლექსად გადაკეთებული. მ. ზანდუკელი თავისი გამოცემის შესავალში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ არც გამომცემლობას და არც რედაქციას არა აქვთ ასეთი თვითნებობის უფლება. ფორმა, რომელშიც მწერალი თავის განცდას აყალიბებს, უცვლელი უნდა იყოს. „ლექსთა წყობაც ხომ ერთ-ერთი სახეა პოეტური შემოქმედებისა და თავისი წვლილი შეაქვს მწერლის სამყაროს გამომქლავებისა და გაკვების საქმეში“, — წერს მიხ. ზანდუკელი და პრაქტიკულადაც იგივეს ანხორციელებს ამ გამოცემაში.

განსაკუთრებით ელადება რედაქტორი წინა გამომცემელს „სადღეგრძელოს“ ტექსტის დადგენაში. 1928 წლის გამოცემაში ამ პოემიდან ამოღებულია „სადღეგრძელო ნიკოლოზ პირველისადმი“. ამის დასასაბუთებლად ვაბტანგ კოტეტიშვილი თავისი გამოცემის შესავალში წერს: „ჩვენს გამოცემაში არის სატექსტო ხასიათის ცვლილებანიც. მაგ. „სადღეგრძელოდან“ გამოვტოვეთ ნიკ. I-ის სადღეგრძელო..., მეფის სადღეგრძელოს გამოტოვებას მოითხოვს როგორც თვით პოემის ხასიათი, ისე ტექსტთა ანალიზიც, რის შესახებ უფრო დაწვრილებით წიგნის ბოლოშია საუბარი“. წიგნის ბოლოს დართულ შენიშვნებში კი

კითხულობთ: „ნიკოლოზ პირველის საღვთაგანდღო არ შეადგენს პოემის ორგანულ ნაწილს. ის შემდეგ არის ჩამატებული, პოემის დაბეჭდვის ხანებში... ჩემათა პოემას, როგორც ერთგვარი ვიზა, ცენზურისათვის მიუღებელი ტექსტის გასატარებლად... ამას გარდა მეფის საღვთაგანდღო არ ეგუება. თვით პოემის შინაარსსაც“... და ა. შ.

ვ. კოტეტიშვილის ამ მოსაზრების პასუხად მიხ. ზანდუკელი მკაფიოდ გამოთქვამს თავის credo-ს, როგორც ტექსტოლოგი, მისი აზრით მწერლის სიცოცხლეში დაწერილი და დაბეჭდილი ტექსტი შეუვალაია. გამომცემელს არა აქვს უფლება შეცვალოს ან შეასწოროს მწერლის მიერ მოცემული სახე ნაწარმოებისა. რედაქტორს ევალება ტექსტის გარშემო წამოჭრილი ვაუგებრობანი თავის შენიშვნებში განმარტოს და ამით დაეხმაროს მკითხველსა და მკლევარს ნაწარმოების სწორედ ათვისებაში. მიხ. ზანდუკელი თავის გამოცემაში, პოემას აძლევს იმ სახეს, რა სახითაც ის დაიბეჭდა გრ. ორბელიანის სიცოცხლეში, ითვალისწინებს რა პოეტის უკანასკნელ ნებას შესწორებული ეგზემპლარით სარგებლობის შესახებ. ამაზე კიდევ იქნება ლაპარაკი წიგნის შენიშვნების განხილვისას.

მიხ. ზანდუკელის 1935 წლის გამოცემა სრულია, შედარებით წინა გამოცემებთან. ამ წიგნით ამოწურულია მაშინ არსებული თითქმის ყველა შესაძლებლობა მწერლის ხელნაწერებისა და დაბეჭდილი წყაროების მოპოვება-დადგენის საქმეში. რედაქტორი წიგნის შესავალში გამოთქვამს აზრს, რომ არქივებისა და პერიოდული გამოცემების შესწავლელობისა და მოუწესრიგებლობის გამო კიდევ შესაძლოა აღმოჩნდეს საღმრთო მივარდნილი ლექსი ან მთელი კრებული და ამიტომ გრ. ორბელიანის შემოქმედების კვლევა-ძიებას სრულიად ამოწურულად არ მიიჩნევს.

მიხ. ზანდუკელს აუცილებლად მიაჩნია, აგრეთვე, გრ. ორბელიანის პროზაული თხზულებების გამოკვეყნება, რაც, როგორც შესავალი წერილის ბოლოს ამბობს, მეორე ტომად ჰქონია გათვალისწინებული.

დასახელებული გამოცემის საუკეთესო ნაწილს წარმოადგენს მიხ. ზანდუკელის წერილი გრ. ორბელიანის შემოქმედებაზე. ამ ნაწილში შესანიშნავადაა წარმოდგენილი მწერლის გარემო, მისი ცხოვრების ფონი, რომელმაც წარმოშვა პოეტის ტკივილები, შეშფოთება, მისი წინააღმდეგობები, დამოკიდებულებები ადამიანებისა და ფაქტების მიმართ, რაც ასე მკვეთრად გამოიხატა მის შემოქმედებაში. წერილში საფუძვლიანადაა განხილული გრ. ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის ყველა სფერო, თვალსაჩინოებისათვის გავლებულია სათანადო პარალელები სხვა ქართველ მწერლებთან და ორბელიანის სახე

გამოკვეთილია, როგორც „მონოლითური პიროვნება, მთლიანი მსოფლ-  
ნსედველობითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით, ქართული ლი-  
ტერატურის ისტორიაში ფრიალ საინტერესო ფიგურა“.

ზანდუკელისეულ გამოცემაში არის განყოფილება — ფრაგმენტე-  
ბი, აქ შესული მასალა პირველად ქვეყნდება დასახელებულ წიგნში. ის  
აღმოჩენილია, სხვა ლექსებთან ერთად, ლენინგრადის ცენტრ. ისტორ.  
მუზეუმის არქივში დაცულ კრებულში.

განსახილველ გამოცემას დართული აქვს განყოფილება „ვარიან-  
ტების“ სახელწოდებით, სადაც რედაქტორი იძლევა არა ამა თუ იმ  
ლექსის ძირითადი ტექსტის ვარიანტულ ნაირწყაითხვებს, არამედ მათ  
სხვადასხვა რედაქციებს.

თარგმანების განყოფილებაში მოთავსებული ლექსები, როგორც  
მიხ. ზანდუკელი აღნიშნავს შენიშვნებში, შეიძლება ორაგინალურა-  
დაც ჩაითვალოს, იმდენად შეგუებულია ისინი პოეტის სულიერ გან-  
წყობილებასთან, მის გარემოსთან, იმდენად გადმოკეთებული არიან  
პოეტის მიერ.

როგორაა გადაჭრილი ატრიბუციის საკითხი წინამდებარე გამო-  
ცემაში? მიხ. ზანდუკელი სადავო ლექსების განყოფილებაში ათავსებს  
ესეთ ლექსებს, რომლების ავტორი დღეს უკვე სადავო აღარაა. ასეთია,  
მაგ. ლექსი „დილა“. იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ ეს ლექსი  
გრ. ორბელიანს ეკუთვნის, გამომცემელს მოჰყავს ასეთი ფაქტი: ნ. ბა-  
რათაშვილის ვეზირიშვილისეულ კრებულში არა ბარათაშვილის ხელით  
ჩაწერილია „დილა“ და მიწერილი აქვს „გრ. ორბელიანი“. 1940  
წლის № 12 „ლიტ. საქართველოში“ გამოქვეყნდა ი. გრიშაშვილის წე-  
რილი „ლექსი გ. დვანაძეს ეკუთვნის“, სადაც მკვლევარი ამტკიცებს,  
რომ ლექსის ავტორი გიორგი დვანაძე ყოფილა. გ. დვანაძის ხელნა-  
წერში არსებობს შენიშვნა „ეს „დილა“ არის დაბეჭდილი „ცისკარში“  
შეცდომით ივ. კერესელიძისაგან გ. ორბელიანის სახელზე“. ასე,  
რომ ზანდუკელი შეცდომაში შეუყვანია „ცისკარის“ 1860 წლის პუბ-  
ლიკაციას, ხოლო რაც შეეხება ბარათაშვილის კრებულს, ი გრიშაშვი-  
ლი წერს, რომ ხელმოწერა წაშლილია და ორბელიანის ხელით აწე-  
რია „ტყუილია“. რა თქმა უნდა, გამომცემელს ეს გარემოება უყურა-  
დღებოდ არ უნდა დაეტოვებინა.

ასევე სადავოა ლექსის „ხმა ლოპიანას საფლავიდან“ ავტორის სა-  
კითხი. მიხ. ზანდუკელი შენიშვნებში იძლევა ორ მოსაზრებას გრ. ორ-  
ბელიანისა და გიორგი ორბელიანის ავტორობის შესახებ და საკითხს  
გადაუჭრელად ტოვებს.

გაურკვეველია, რატომ შეაქვეს რედაქტორს ლექსი \* \* \* (ამა სო-  
ფელს დამშთომიეს) სადავოებში, როდესაც ამავე გამოცემის მეშვი-  
დე გვერდზე ეს ლექსი იბეჭდება, როგორც ორიგინალური — სათაუ-  
რით „მასვე“ (ე. ი. „ნ...დმი).

დიდი ყურადღებით ეკიდება მიხ. ზანდუკელი დათარიღების სა-  
კითხს. წიგნში არის მაგალითები მის მიერ ნაწარმოებისათვის ახალი  
თარიღის მიცემისა. მაგ. ლექსი „ანტონს“ წინა გამოცემაში დათარიღე-  
ბული ყოფილა 1827 წლით. ლენინგრადის ცენტრალურ ისტორიულ  
არქივში ნაპოვნი ხელნაწერი კრებულის მიხედვით რედაქტორს საშუა-  
ლება ეძლევა ლექსს მისცეს ახალი თარიღი 1829 წელი. იცვლება აგ-  
რეთვე დაწერის ადგილი, არა ნინოწმინდა, არამედ მუხროვანი.

ლექსები „ნ...დმი“ და „მასვე“ წინათ არსებულ გამოცემებში და-  
თარიღებული იყო 1839 წლით, ქ. გორი. ხოლო ავტოგრაფის მიხედ-  
ვით ზანდუკელი ამ ლექსებს აძლევს ახალ თარიღს 1829 წ. მაისი 7,  
თბილისი.

ასევე წინა გამოცემაში „წერილი ლექსების“ თარიღად მიღებული  
იყო 1827—1829 წლები. ხსენებულ ლენინგრადის კრებულში აღმოჩ-  
ნდა ამ ლექსების ავტოგრაფები ახალი თარიღებით და 1935 წლის გა-  
მოცემაშიც წერილი ლექსები თარიღდება 1827—1833 წლებით.

ლექსი „მ-დმი“ თარიღდებოდა 1829 წლით, ზანდუკელისეულ გა-  
მოცემაში არის ახალი თარიღი, 1830 წელი. აქაც რედაქტორი ავტო-  
გრაფის მონაცემებს ეყრდნობა. ყველა ეს ცვლილება რედაქტორს შე-  
ნიშვნებში აქვს მოცემული და დასაბუთებული.

გამომცემლის სერიოზული შრომის შედეგს წარმოადგენს ამ წიგ-  
ნის შენიშვნები. აქ ვხვდებით ვრცელ ცნობებს ტექსტოლოგიის ისეთ სა-  
კითხებზე, როგორცაა ძირითადი ტექსტების დადგენა, ნაწარმოების  
დათარიღება, ავტორის დაზუსტება, სხვადასხვა რედაქციების გამოვლენ-  
ა, ადრესატების ვინაობა.

მიხ. ზანდუკელის კომენტარები ამომწურავ ხასიათს ატარებს. მათ-  
ში გვხვდება მსჯელობა როგორც ადრესატების ვინაობის, პოეტის  
მათთან დამოკიდებულების, ისე ლექსის დათარიღების შესახებ.

საინტერესოა, აგრეთვე, ლექსის „მუხამბაზის“ კომენტარი. აქ ახს-  
ნილია მუხამბაზი, როგორც ლიტერატურული ჟანრი, აღნიშნულია, თუ  
როგორ განვითარდა იგი და შემოვიდა ქართულ ლიტერატურაში, თუ  
როგორ დაეუფლნენ მას ისეთი დიდი წარმომადგენლები ჩვენი მწერ-  
ლობისა, როგორებიცაა ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი და სხვ.  
შემდეგ ლაპარაკია იმ უთანხმოებაზე, რომელიც ამ ჟანრის დამკვიდრე-  
ბამ გამოიწვია მწერალთა ორ პლეადას შორის.

საინტერესოა შენიშვნები იმ ლექსებისა, რომლების ადრესატებს

წარმოადგენენ ნ. ქავკავაძე, ე. ქავკავაძე, პოეტის და ეფემია და სხვა. აქ გამომცემელი ერთგვარ ნათელს ფენს იმ წრეს, რომელშიც პოეტს უხდებოდა ცხოვრება და აღწერს მის დამოკიდებულებას ზემოაღნიშნული პირებისადმი, ავლენს აგრეთვე პოეტის სულიერი განწყობილების მიზეზებსაც.

ვრცელია და საინტერესო „სადღეგრძელოს“ კომენტარი. ეს პოემა, საერთოდ, მკვლევართა მსჯელობისა და პოლემიკის საგანს წარმოადგენს. მიხ. ზანდუკელი შენიშვნებში ასაბუთებს მის მიერ გამოსაქვეყნებლად აღებული ძირითადი ტექსტის საფუძვლიანობას. აქ იგი ეკამათება წინა გამომცემელს ტექსტის დადგენის საკითხში და ავტორის უქანასკნელი ნების გათვალისწინებით ამტკიცებს თავისი მოსაზრების სისწორეს.

აქვეა მოტანილი გამომცემლის სწორება ერთი სიტყვისა. პოემაში არის ასეთი სტრიქონი „ილევა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიან“. ყველა სხვა რედაქციაში, რომლებიც ეყრდნობოდნენ პირველ გამოცემას, იყო „ილევა“. ზანდუკელი ამას კორექტურულ შეცდომად თვლის და თავის რედაქციაში „ილევა“-თი ასწორებს.

ასევე ვრცელი მსჯელობაა შენიშვნებში სადავო ლექსების გარშემო. რედაქტორს მოაქვს ყველა არსებული მოსაზრება ამა თუ იმ ლექსის ავტორის დასადგენად.

გრ. ორბელიანის ზანდუკელისეული გამოცემა, შეიძლება თამამად ითქვას, წარმოადგენს შესანიშნავ ნიმუშს მწერლის შემოქმედების მეცნიერული გამოცემისას. ის სამეცნიერო-საცნობარო აპარატი, რომელიც ახლავს განსახილველ წიგნს, სრულიად პასუხობს თანამედროვე ტექსტოლოგიურ პრინციპებს და მაქსიმალურად აკმაყოფილებს გამომცემლის წინაშე მდგარ მაღალ მეცნიერულ მოთხოვნილებას.

მიხ. ზანდუკელის მესამე გამოცემა არის ე.კ. გაბაშვილის თხზულებათა კრებული, გამოქვეყნებული 1936 წელს. სამწუხაროდ, ამ გამოცემაზე მსჯელობა ძნელია, რადგან მას არ გააჩნია არავითარი შენიშვნა რედაქტორისა არც ტექსტის და არც სხვა საკითხების ირგვლივ.

მოთხრობებს წინ უძღვის ზანდუკელის წერილი მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ. აქ გარჩეულია ე.კ. გაბაშვილის შემოქმედების ძირითადი მოტივები და მათი გამომწვევი მიზეზები.

გარდა ამ სამი წიგნისა მიხ. ზანდუკელს ეკუთვნის რამდენიმე პუბლიკაცია. სხვადასხვა ჟურნალებსა და კრებულებში იგი აქვეყნებდა მკითხველისათვის უცნობ მასალას სათანადო განმარტებებით.

მიხ. ზანდუკელს გამოცემული აქვს პეტრე უმიკაშვილის ოთხი წერილი ეკატერინე გაბაშვილისადმი<sup>3</sup>. წერილებს დართული აქვს შესავალი და შენიშვნები. შესავალში გამომცემელი ლაპარაკობს ეპისტოლური მემკვიდრეობის დიდ მნიშვნელობაზე, თუ რამდენად საგულისხმო და სასარგებლო მასალას წარმოადგენს მწერალთა და მოღვაწეთა ურთიერთ წერილები, რომელთაც დიდი ინტიმური უშუალოების ხასიათი აქვთ, ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების სრული შესწავლისათვის. „კერძო მიწერ-მოწერა ხშირად სრულიად უნებლიედ იძლევა დიდმნიშვნელოვან ცნობებს, როგორც ავტორთა, ადრესატთა და მათ ნაცნობთა შესახებ, ისე ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოვლენის შესახებ. ეს ცნობები კი ხელსაყრელი ნედლი მასალაა მწერალთა მოღვაწეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების გზის გარკვევისათვის“, — წერს მიხ. ზანდუკელი შესავალში.

აქვეა საგულისხმო ცნობები პ. უმიკაშვილისა და ეკ. გაბაშვილის — წერილების ავტორისა და ადრესატის — ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ლაპარაკია იმ ღვაწლზე, რომელიც ამ ორ მოღვაწეს მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე.

ეს ოთხივე წერილი ეკ. გაბაშვილს გადაუცია მიხ. ზანდუკელისათვის 1935 წელს: „გიგზავნით პ. უმიკაშვილის ოთხ წერილს ჩემთან მოწერილს და ისინი, როგორც საჭიროდ დაინახავთ, ისე გამოიყენეთ“. მიხ. ზანდუკელი ასრულებს მწერლის ამ განზრახვას და 1941 წელს აქვეყნებს ამ წერილებს, რომლებიც, მისივე სიტყვებით „განსვენებული მწერლის ეკ. გაბაშვილის პიროვნებასაც, პეტრე უმიკაშვილისასაც ნაწილობრივ მაინც ამზეურებს და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებსაც ეხება“.

წერილების ტექსტს ერთვის გამომცემლის შენიშვნები, სადაც განმარტებულია ყველა ის პიროვნება, რომლებიც ნახსენებია პ. უმიკაშვილის წერილებში. აქ ვხვდებით ქართველი მოღვაწეების მთელ პლეადას, რომლებთანაც ჰქონიათ ურთიერთობა პ. უმიკაშვილსა და ეკ. გაბაშვილს და რომლებიც წარმოადგენდნენ მაშინდელი კულტურული საქართველოს მამოძრავებელ ძალას.

საგულისხმოა განმარტება ზოგიერთი მოვლენისა. მაგ. ერთ-ერთ წერილში ლაპარაკია დიდ მითქმა-მოთქმაზე, რომელსაც თითქმის საზოგადოებრივი სკანდალის ხასიათი მიუღია და რომელიც გამოუწვევია „11 სექტემბრის გადახდას“. მიხ. ზანდუკელი უკეთებს კომენტარს ამ

<sup>3</sup> მიხ. ზანდუკელი, პეტრე უმიკაშვილის წერილები ეკატერინე გაბაშვილთან. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1941, თბილისი.

ზოვლენას: „1895 წ. სექტემბრის 11 ქართველმა საზოგადოებამ, მეფის რუსეთისადმი საწინააღმდეგო განწყობილების არალეგალური გზით გამოხატვის მიზნით, დიდის მოწიწებით საჯაროდ აღნიშნა კრწანისის ველზე დალუპულთა ხსოვნა ბრძოლის ასის წლის თავზე. ამ გარემოებაში გამოიწვია დიდი გამოძახილი“. ამგვარად, ნათელი ხდება პ. უმიკაშვილის წერილში მოთხრობილი მეტად საგულისხმო ფაქტი, რომელიც საინტერესოა მაშინდელი ქართველი საზოგადოებისა და ქართული პრესის განწყობილების გაგებისათვის.

მიხ. ზანდუკელის მიერაა გამოქვეყნებული ნიკო ლომოურის დაუმთავრებელი მოთხრობა „ერთობა“<sup>4</sup>. წერილში, რომელიც ერთის ამ პუბლიკაციას, ლაპარაკია მწერლის შემოქმედების ხასიათის და კერძოდ ამ მოთხრობის შესახებ. ის მწერლის არქივში წარმოდგენილია სამი საგრძნობლად განსხვავებული ვარიანტით. ერთს სათაურად აქვს „დეიდა სალომე“, ორს კი „ერთობა“. არც ერთი მათგანი დათარიღებული არაა. მ. ზანდუკელი მოთხრობის შინაარსის მიხედვით ვარაუდობს, რომ მოთხრობის წერა ავტორს უნდა დაეწყო არა უადრეს 1905 წლისა, მოაქვს აგრეთვე მწერლის ქალიშვილის ცნობა, რომ „ერთობა“ იწერებოდა 1913—14 წლებში, საგაზაფხულო დასვენების დროს. მ. ზანდუკელის მიერ გამოქვეყნებული ნაწილი წარმოადგენს ყველაზე სრულ ვარიანტს, რომელიც მხოლოდ შესავალია ნიკო ლომოურის დაუმთავრებელი მოთხრობისა.

1926 წელს № 7 „მნათობში“ მიხ. ზანდუკელმა გამოაქვეყნა გ. ორბელიანის მანამდე უცნობი ლექსები. ლექსებს დართული აქვს წერილი, სადაც ავტორი იძლევა ცნობებს ამ ახალი მასალის შესახებ. ლენინგრადის ცენტრალური არქივის სიძველეთა დაცვის განყოფილებაში ინახება გრიგოლ ორბელიანის მიწერ-მოწერა, კერძოდ ოფიციალურ პირებთან. „Бумаги, отобранные у поручика Грузинского-Гренадерского полка кн. Григория Орбелиани 1833 г.“.

ამ ხელნაწერთა წყებაში გარდა საქმეთა (წერილები და ფაქტიური მასალა) აღმოჩნდა წმინდა ლიტერატურული მასალაც, ჯერ გამოუქვეყნებელი. ესენია: 1 „Тетрадь, разных стихов на грузинском языке“. 2. რვეული, რომელშიც მოთავსებულია „სადღეგრძელოს“ პირველი ვარიანტი, 3. ცალკე ფურცელზე არაკი „დათვი და ცხვარი“, პოეტის ხელით გარეკანს აწერია: „Сочинение вынудое из бумаг князя Александра Арбелианова“ ამიტომ მიხ. ზანდუკელი გამოთქვამს ექვს,

<sup>4</sup> მიხ. ზანდუკელი, ნიკო ლომოურის დაუმთავრებელი მოთხრობა „ერთობა“, ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი 1, 1935, თბილისი.



რომ ეს ლექსი შეიძლება გრ. ორბელიანს არ ეკუთვნოდეს, თუმცა მეტად გავს მისას სულიერი განწყობილებით და ფორმით. 4. სოლ. რაზმაძის მიერ თარგმნილი მიცკევიჩის „ფარისი“, 5. გრ. ორბელიანის წერილები სხვადასხვა პირებისადმი, „პასუხი შეილთა“-ს ვარიანტი, „გამოცანების“ პასუხი, 6. ამავე წყებაში არის ლექსი: „ქართველი ძეგლის წინ“ ხელმოწერით „ქართველი“, ორბელიანის ხელით. აქაც ზანდუკელი გამოთქვამს მოსაზრებას, რომე ეს ლექსიც არ უნდა ეკუთვნოდეს გრ. ორბელიანს, რადგან ასეთი ფსევდონიმებით ის არაა ცნობილი.

ასეთია, დაახლოებით, მიხ. ზანდუკელის, როგორც ტექსტოლოგიისა და რედაქტორ-გამომცემლის სახე-მოტანილი გამოცემების დახასიათებაც საკმარისია, რათა შეიქმნას გარკვეული წარმოდგენა ამ შესანიშნავი მოღვაწის საქმიანობის იმ სფეროზე, რომელსაც ტექსტოლოგია ჰქვია.

---

## გიორგი შერეთელი

გ. შერეთლისათვის თავიდანვე იყო გარკვეული, რომ წიგნი განათლების დასაყრდენია და ადამიანის განათლებაზე ლაპარაკი არც არის შესაძლებელი, თუ მას „რიგიანი წასაკითხი წიგნებიც არა აქვს“<sup>1</sup>. ცხადია, ამითაც აიხსნებოდა, რომ ქართველ მესამოციანელებიდან, კ. ლორთქიფანიძის შემდეგ, საგამომცემლო-ტექსტოლოგიურ საქმესთან, შეიძლება ითქვას, ყველაზე ადრე გ. შერეთელი მივიდა. მან ჯერ კიდევ 1867 წელს გამოსცა, დაე. ყიფიანთან ერთად, ქართველი ხალხის ყველაზე სანუკვარი წიგნი, შ. რუსთაველის უკვდავი პოემა — ვეფხისტყაოსანი<sup>2</sup>.

იღეა პოემის ამ გამოცემისა, ჩანს, ჩასახულა მამულის განახლებისათვის მეზრძოლი ახალგაზრდობის იმ წრეში, რომელიც ის იყო. ყ-

<sup>1</sup> გ. შერეთელი, განათლების გავრცელებაზედ საქართველოში, „დროება“, 1866, № 35, № 36; შდრ. გ. შერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ს. ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბ., 1931, გვ. 78.

<sup>2</sup> შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თქმული შოთა რუსთაველისაგან, ტფ. მელიქიშვილისა და კამპ. სტ. 1867, 232, 11 გვ. (16. XII). ათი შაური. ქვევით ყველგან დასახელებული გვექნება: „პოემის 1867 წ. გამოცემა“.

აქვე უნდა შევნიშნოთ: წიგნში არავითარი ცნობა არ არის მოცემული, რომ მისი გამომცემლები ნამდვილად გ. შერეთელი და დ. ყიფიანი იყვნენ. მიუხედავად ამისა, დღეს არავის ეეჭვება, რომ ეს გამოცემა ნამდვილად გ. შერეთელსა და დ. ყიფიანს ეკუთვნით, მით უფრო, რომ შენახულა იმ დროინდელი ფრიად სანდო წყაროები. ვეფხისტყაოსნის მომდევნო ხანის, 1875 წ. გამოცემის წინასიტყვაობაში, სადაც ნათქვამია: „წიგნზედ (იგულისხმება პოემის 1867 წ. გამოცემა, ნ. კ.) გამომცემლების სახელი და გვარი არ არის გამოცხადებული, ვითთ კი, რომ ეს გამოცემა გ. შერეთელსა და დაე. ყიფიანს ეკუთვნისო“. ამის გარდა, გრ. ჩარკვიანი ვეფხისტყაოსნის 1887 წ. გამოცემის „შენიშვნაში“, პირველივე გვერდზე გადმოგვცემს, რომ პოემა „მეხუთედ გამოიცა 1867 წელს, ტფილისში, გამოცემას არ აწერია გამომცემლის სახელი და გვარი, მაგრამ დაბეჭდვით ვითთ, რომ ეკუთვნის გ. შერეთელს და დაე. ყიფიანს“.

ლიბდებოდა ი. ჭავჭავაძის მეთაურობით 60-იანი წლების საქართველოში. წრის გადაუღებელ ამოცანას შეადგენდა „ქართული წიგნების გამოცემა, ჟურნალ-გაზეთების დაარსება, უფასო სკოლების გახსნა“<sup>3</sup>.

აღნიშნულ წრის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წევრმა დ. ყიფიანმა 1862 წლისათვის თბილისში კიდევ დააარსა ვაჟთა პანსიონი, რომელიც შემდეგ ყიფიანის პანსიონის სახელით იყო ცნობილი<sup>4</sup>. იმ ხანად ყიფიანის ამ პანსიონში მასწავლებლად მუშაობდა გ. წერეთელი და ი. ჭავჭავაძის წრის სხვა წევრებიც<sup>5</sup>. უდავოა, ამ წრეში უნდა გადაწყვეტილიყო ვეფხისტყაოსნის 1867 წ. გამოცემის საკითხი<sup>6</sup>. უფრო საფიქრებელია, საქმის კურსში ყოფილიყო თვით ი. ჭავჭავაძეც<sup>7</sup>.

როგორც ცნობილია, პოემის აღნიშნულ გამოცემის მომზადება ჯერ კიდევ 1866 წელს დაწყებულა<sup>8</sup>. საცენზურო კომიტეტის მიერ წიგნის ბეჭდვის ნებართვა გაცემულია 1866 წელს 27 ნოემბერს. ბაზარზე იგი გამოსულა 1867 წ. სექტემბერ-ოქტომბრისათვის, რადგან სხვა მრავალ გამოცემათა შორის, წესისამებრ, მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიას იმავე წლის 19 ოქტომბერს გაეგზავნა ამ გამოცემის ერთი ცალი და მიმართვა (№ 214)<sup>9</sup>.

დადგენილია, რომ ვეფხისტყაოსნის 1867 წ. გამოცემა გადმობეჭდილია დ. ჩუბინაშვილის 1860 წ. გამოცემიდან<sup>10</sup>. თუმცა ტექსტში ზოგი ცვლილება მაინც არის შეტანილი „ამოღებულთა, — წერს პროფ. სოლ. ყუბანეიშვილი, — სამი სტროფი 301-ე (406: კაცმან ვით პოვოს, ღმრთისაგან, რაც არა დანაბადია), 302-ე (407: მაგრა ღმერთმან მით ცნობითა ერთი მზითა) და 434-ე (580: მე დილასა მოციქულთა სიტყვა ტკბილი შეუთვალე). შემცირებულია სათაურების რაოდენობა

<sup>3</sup> ა. კალანდაძე, საქართველოს მოამბე, თბ., 1963, გვ. 73.

<sup>4</sup> ნ. ლოლობერიძის წერილი ი. ჭავჭავაძისადმი, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი № 17627.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> Г. М. Туманов, Характеристика и Воспоминания. 1913, стр. 8.

<sup>7</sup> ა. კალანდაძე, საქართველოს მოამბე, თბ., 1963, გვ. 73.

<sup>8</sup> სოლ. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 69.

<sup>9</sup> საქართველოს სახელმწიფო არქივი, ფონდი 480, საქმე № 6, ფ. 21. პროფ. სოლ. ყუბანეიშვილის დასახელებულ მონოგრაფიაში (გვ. 70, სქოლიო) საკითხის გარშემო მითითებული აქვს: „ფ. 20,7 ფ. 6“ ეს „20“ საბუთის ხელახალი გადანომრების შედეგად არქივში დღეისათვის 21-ად არის შეცვლილი, აღნიშვნა კი—„...7 ფ. 6“, როგორც ეს მონოგრაფიაშია ნაჩვენები, უნებლად შეცდომაა, არც მე-6, არც მე-7 და არც მომდევნო მე-8 ფურცელზედაც არაფერია ნათქვამში „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის გარშემო.

<sup>10</sup> სოლ. ყუბანეიშვილი, დასახელებული მონოგრაფია, გვ. 7.

(შდრ. გვ. 24—22). სტროფები არაა დანომრილი და ზოგი სათაურიც გასწორებულია (შდ. 54—48, 55—49, 56—50, 58—52). ზოგ ადგილას სტროფი გვერდიდან გვერდზე გადადის (იხ. გვ. 54, 112—118, 157)<sup>11</sup>.

პროფ. სოლ. ყუბანეიშვილის ამ შენიშვნებს უნდა დაუმატო, რომ დ. ჩუბინაშვილის 1860 წ. გამოცემასთან განსხვავებით, 1867 წლის გამოცემაში „ვეფხისტყაოსნის“ თავები რომაული ციფრებით, რიგის მიხედვით არის აღნუსხული, მაგრამ ამასთან, არა მხოლოდ „შემცირებულია სათაურების რაოდენობა“, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული<sup>12</sup>, არამედ, უმთავრესად ამის გამო დარღვეულია სათაურების რიგითი ნუმერაციაც, ასე: ა) თავს — „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“ უზის სათვალავი, რომაული ციფრი, „I“<sup>13</sup>. მომდევნო თავი პოემისა კი — „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“ — ნაჩვენებია „III“ თავად<sup>14</sup>, მას მოსდევს IV თავი და ა. შ. თუ თანმიმდევრობას დავიცავდით, „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“ 1867 წ. გამოცემაშიც II თავი უნდა ყოფილიყო. მაგრამ რიგითი ციფრი „II“ მთლიანად გამოტოვებულია პოემის 1867 წ. გამოცემაში.

ბ) თავები თუ დაინომრებოდა „წიგნი ავთანდილისაგან ფატმანისადმი პასუხად მიწერილი“, ამ გამოცემის სათვალავის მიხედვით უნდა ყოფილიყო 32-ე თავი, მაგრამ მის ნაცვლად 1867 წ. გამოცემაში უზის „XXIV“<sup>15</sup>.

გ) ასევე თავი „აქა ავთანდილისაგან ჩაჩნაგირისა და ორის მისის დარაჯის დახოცა“ რიგის მიხედვით 1867 წ. გამოცემაში 33-ე თავი უნდა ყოფილიყო, წიგნში კი იგი აღნიშნულია, როგორც „XXVI“ თავი<sup>16</sup>. მხოლოდ ამის შემდეგ მოდის თავები XXXI, XXXII, XXXIII და ა. შ.<sup>17</sup>.

მაგრამ ტექსტში შეტანილ ყველა ამ ცვლილებიდან მთავარი მაინც დასახელებულყო სამი სტროფის ამოღებაა.

აღნიშნული სამი სტროფი დაცულია რიგ ხელნაწერებში; დაბეჭდილია პოემის ვახტანგისეულ გამოცემაში. ეს სტროფები ასევე დაცულია მ. ბროსეს, ზ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინაშვილის 1841 წლის გამოცემაში. ისინი, სამივე, თავთავიანთ ალაგას გამეორებულია

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> პოემის 1867 წ. გამოცემა, გვ. 5.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 160.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 163.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 164, 168 და სხვ.

დ. ჩუბინაშვილის, როგორც „ქართულ ქრესტომატიაში“, აგრეთვე ვეფხისტყაოსნის 1860 წლის გამოცემაშიც. პირველი ბეჭდური გამოცემა, ვეფხისტყაოსნისა ესაა გ. წერეთლისა და დ. ყიფიანის 1867 წ. გამოცემა, რომელშიც ეს სამი სტროფი უარყოფილია.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის მთელს შემდგომ ისტორიაში ამიერიდან აღნიშნული სტროფები აზრთა სხვადასხვაობის, კვლევისა და ძიების საგანი გახდა.

სამივე სტროფი ამოღებულ იქნა პოემის 1875 წ. კალანდაძისა და ამხანაგობის გამოცემაში<sup>18</sup>. მათგან ორი პირველი სტროფი დედნისეულად მიიღო, ხოლო მესამე („მე დილასა...“) უარყო პ. წულუკიძემ, რომელმაც 1883 წ. ქუთაისში გამოსცა ვეფხისტყაოსანი<sup>19</sup>. იგივე გაიმეორა გ. ჩარკვიანმა „ვეფხისტყაოსნის“ 1887 წ. გამოცემაში<sup>20</sup>.

ამ სტროფებიდან ორი პირველი უარყო<sup>21</sup> ხოლო მესამე დაბეჭდა რედაქციამ, რომელმაც მოამზადა პოემის ქართველიშვილისეული, 1888 წ. ცნობილი გამოცემა<sup>22</sup>. ეს მესამე სტროფია („მე დილასა...“), ამოღებული პოემის 1891 წლის (ოზურგეთის) გამოცემაშიც<sup>23</sup>. დ. კარიჭაშვილმა კი მესამე სტროფი დატოვა და ორი პირველი სტროფი ამოიღო პოემის მის, როგორც 1903 წლის, ასევე 1920 წლის გამოცემაში<sup>24</sup>.

ი. აბულაძემ მათგან მესამე სტროფი ძირითადში დაბეჭდა, „ვეფხისტყაოსნის“ მიერ ორივე (1914, 1926 წლების) გამოცემაში<sup>25</sup>, ხოლო პირველი ორი სტროფი („კაცმან ვით ჰპოვოს...“ და „მაგრამ ღმერთმან...“) სქოლიოში ჩამოიტანა, როგორც, მისი აზრით, არადედნისეუ-

---

18 შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, მეექვსედ დაბეჭდილი. არსენ კალანდაძის და ამხ-გან, ავტორის სურათით, თბილისი, 1876, გვ. 38, 52—59.

19 თავ. პ. გ. წულუკიძის გამოცემა, ვეფხისტყაოსანი, თბილენბა შოთა რუსთაველისა, ქუთაისი, 1883, გვ. გვ. 35, 50.

20 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (ავტორის სურათით), გამოცემული გრიგოლ ჩარკვიანისაგან, ტფილისი 1887, გვ. 28—46, 63—71.

21 ვეფხისტყაოსანი, შოთა რუსთაველისა, გამოცემული გ. ლ. ქართველიშვილის მიერ, 1888, გვ. 63.

22 იქვე, გვ. 94.

23 ვეფხისტყაოსანი, შოთა რუსთაველისა, ოზურგეთი, 1891, გვ. 59—67.

24 ვეფხისტყაოსანი, დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით, თბ., 1903, გვ. 46, 69. პოემის მისივე 1920 წ. გამოცემა, 46, 69.

25 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ი. აბულაძის რედაქტორობით, თბ., 1914, გვ. 36, 52; პოემის მისივე გამოცემა, თბ., 1926, გვ. 36, 52.

ლი ნაწილი. სამივე სტროფი დედნისეულად მიაჩნდათ ს. კაკაბაძეს<sup>26</sup>.  
კ. კიკინაძეს<sup>27</sup> და სხვ.

აღნიშნული სამი სტროფი დღესაც პრობლემატური რჩება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის ისტორიაში. პოემის 1966 წლის აკადემიის გამოცემაში სამივე სტროფი დედნისეულადაა მიჩნეული<sup>28</sup>, ხოლო სხვა გამოცემაში კი, რომელიც ასევე 1966 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საიუბილეო კომიტეტის დადგენილებით დაიბეჭდა, აღნიშნული სტროფებიდან პირველი ორი უარყოფილა<sup>29</sup>, მაგრამ მესამე ძირითადად ტექსტშია მოცემული<sup>30</sup>.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად აღნიშნული სამი სტროფის ექვის ქვეშ დაყენება და მათი ამოღება პოემის 1867 წ. გამოცემიდან უშუალოდ გ. წერეთლის სახელთან იყო დაკავშირებული. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ის შეუხელებელი ინტერესი, რომელსაც თავიდანვე იჩენდა გ. წერეთელი შოთა რუსთაველის პოემის გარშემო. თვლიდა მას რა მხატვრული აზრის საქვეყნო დიდებად, ამავე დროს მწერალს „ვეფხისტყაოსანი“ ყოველთვის მიაჩნდა ქართული ეროვნული თვითშეგნების მუდმივი ზრდისა და სულიერი სიმხნევის უშრეტ წყაროდ; თავიდანვე იყენებდა თავის მხატვრულ შემოქმედებაში, იცავდა პოემას ნიჰილისტთა ყოველნაირი გამოხდომებისგან, იკვლევდა და იღწვოდა „ვეფხისტყაოსნის“ მასებში პოპულარიზაციისათვის.

სამოცდაათიან წლებში გ. წერეთელი ქენევაში სათავეში ჩაუდგა საზოგადოება „უღელს“, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა „უღელის“ ლიტერატურული საქმიანობის ერთი მთავარი ამოცანა გახდა. შემდეგ კი საზოგადოების არსებობის მთელს მანძილზე სისტემატური სახე მიეცა ე. წ. „ვეფხისტყაოსნის საღამოებს“ ქენევაში. ამ „საღამოების“ მიზანი იყო „პოემის საფუძვლიანი შესწავლა, ქართული ეროვნული

---

26 ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, თბ., 1913, გვ. 31, 50, 1926, გვ. 38, 54.

27 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი კ. კიკინაძის რედაქციით, თბ., 1934, გვ. 45, 69.

28 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი და ვარიანტები ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, ტ. 1, თბ. 1966, გვ. 98—99 (სტროფ. 306, 307), გვ. 143, (სტრ. 441).

29 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, საიუბილეო გამოცემა, თბ., 1966, გვ. 61.

30 იქვე, გვ. 89 (სტრ. 431).

იდეების გაღრმავება მსმენელთა შორის და ამ იდეების პროპაგანდა საქართველოში<sup>31</sup>.

ოთხმოცდან წლებისათვის გ. წერეთელი ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა ი. მეუნარგიას ინიციატივით შექმნილ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობისა<sup>32</sup>, რაზეც უფრო დაწვრილებით ქვევით გვაქვს ლაპარაკი<sup>33</sup>.

ასე რომ, შეიძლება გვეფიქრა, დასახელებული სამი სტროფი გ. წერეთლის ინიციატივით ყოფილიყო ამოღებული „ვეფხისტყაოსნის“ 1867 წ. გამოცემაში, მით უფრო, რომ ამ გამოცემის (1867 წ.) გამომცემელთაგან 80-იან წლებში, „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციაში, როგორც ვნახეთ, გ. წერეთელსაც მიუღია მონაწილეობა. და, რაც მთავარია, პოემის 1888 წ. გამოცემის რედაქციას გაუზიარებია 1867 წ. გამოცემის გასწორების ერთი ნაწილი: „ვეფხისტყაოსნიდან“ ამოუღია პოემის 1867 წ. გამოცემაში უარყოფილი ორი სტროფი. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული სტროფების ამოღებასთან დაკავშირებით, 80-იან წლებშიც, მსჯელობისას, უთუოდ უწინარეს გ. წერეთელს უნდა დაეყენებია საკითხი და დაეცვა თავიდანვე, ალბათ, 1867 წელსაც, მის მიერ წამოყენებული აზრი, აღნიშნული სტროფების ამოღების გარშემო.

მაგრამ ეს მაინც ვარაუდია. ფაქტი ის არის, რომ ეს სამი სტროფი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველად პოემის 1867 წ. გამოცემაშია ამოღებული, რაც ამ გამოცემის ერთ-ერთი უალრესად მნიშვნელოვანი მონაცემია. მაშასადამე, ყველა შემთხვევაში პოემიდან ამ სტროფების ამოღება, გ. წერეთლის, როგორც ვეფხისტყაოსნის დიდი

---

31 გ. აბზიანიძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959, გვ. გვ. 466, 468, 499.

32 „ღროება“, 1880, № 250.

33 რაც შეეხება დავ. ყიფიანს, მასალების მიხედვით, „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული რედაქციის მუშაობის მონაწილე არ ჩანს; არ არის დასახელებული არც საორგანიზაციო სხდომაზე დამსწრეთა შორის („ღროება“, 1880, № 250), აოც რედაქციის პირველი სხდომის მონაწილეთა სიაში. იგი არ არის მოხსენიებული, რედაქციის სიტყვით რომ ვთქვათ, იმ „უჩვეულო დამსწრეთა შორისაც, რომელნიც არ იყვნენ ჩამოთვლილი პირველ სხდომაზე“, მაგრამ შემდეგ მათი გვარები ქვეყნდებოდა გაზეთში („ღროება“ 1881, № 42. № 54, № 71 და სხვა). საერთოდაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პოემის 1867 წ. გამოცემას, დავ. ყიფიანის მოღვაწეობაში მისი კვლევის საგანი არც ყოფილა ვეფხისტყაოსანი და რუსთველოლოგიური პრობლემატიკა, (პროფ. კ. მეძველია, თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწენი, 1, 1959, გვ. 240—244; აღ. კალანდაძე, საქართველოს შოაბზე, თბ., 1963, გვ. 71—78, პროფ. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 69).

მკოდნის, გამოცემლისა და საერთოდ, როგორც ტექსტოლოგის უტყუარ მეცნიერულ ალლოსა და მიგნებაზე მეტყველებს<sup>34</sup>.

ვეფხისტყაოსნის 1867 წ. გამოცემას დართული აქვს „მოკლე განმარტებელი ლექსიკონი“. ლექსიკონის გარშემო გ. წერეთელს თავისი შეხედულება აქვს გამოთქმული, მიაჩნია, რომ „უფრო საინტერესო იქნებოდა“ პოემის გამოცემას სიტყვების იმგვარი განმარტება დართოდა „როგორც უ. ჩუბინოვისაგან 1860-ში გამოცემულ ვეფხისტყაოსანსა აქვს“. თუმცა ხარჯსაც უნდა მოვრიდებოდითო, აცხადებს ის; ამასთან არ უარყოფს, რომ გამოცემელთ არ შეეძლოთ ლექსიკონი „ისეთის სისრულეში მოყვანათ, როგორც იმ გვარი განმარტება მოითხოვოსო“. მაგრამ ავტორის აზრით, ეს არ არის მთავარი. ვეფხისტყაოსნის კარგად გაგებისათვის, „ვეგონებთ, ხშირად კითხვაზე უკეთესი ღონისძიება სხვა არა იყოს რა“-ო, — წერს იგი. ამიტომ თუ ლექსიკონი მაინც ერთვის ამ გამოცემას, ეს, მწერლის სიტყვით, „მხოლოდ ზოგან სწორი აზრის მიხვედრის გასაადვილებლად“ არის დართული. იქვე მითითებულია ლექსიკონისათვის გამოყენებული წყაროები: „უ. ჩუბინოვის განმარტება“, მისივე ლექსიკონი, პოემის „ბროსეს, ჩუბინოვის და ფალავანდიშვილის გამოცემის ლექსიკონი“. წყაროებიდან სიტყვები აღებულია „მარტო პირველი სახეობის ფორმებში და მათგან წარმოდგენილნი კი აღარ ჩაეართვითო“, — გადმოგვცემს გ. წერეთელი ლექსიკონის შესავალ ნაწილში<sup>35</sup>.

ამრიგად, პოემის 1867 წ. გამოცემა ბევრნაირად არის საყურადღებო. ამ გამოცემით კვლავ განახლდა „ვეფხისტყაოსნის“ თბილისში ბეჭდვის ადრინდელი ტრადიცია. ვახტანგ VI-ის 1712 წ. გამოცემის შემდეგ ბეჭდურად მეორედ გამოვიდა „ვეფხისტყაოსანი“ 1867 წ. თბილისში; ამ გამოცემით ჩაეყარა საფუძველი ჩვენში „ვეფხისტყაოსნის“ სახალხო, იაფფასიან, ე. წ. შაურთან გამოცემებს. მთავარი მაინც ის არის, რომ გ. წერეთელმა, ვახტანგ VI-ის შემდეგ, ახალ დროში, ზემოთ აღნიშნული სტროფების ამოღებით, პირველმა დაიწყო პოემის ვახტანგისეული გამოცემის სტროფების გაცხრილვა.

---

34 სამწუხაროდ, არ ჩანს მიზეზი, თუ რატომ მხოლოდ „რამდენიმე სიტყვით“ ჩერდება, პროფ. ლ. მენაბდე პოემის 1867 წ. გამოცემაზე. ეს მით უფრო არის საკვირველი, რომ პროფ. ლ. მენაბდე მონოგრაფიულად იხილავს პრობლემას — ვეფხისტყაოსანი და გ. წერეთელი (იხ. ლ. მენაბდე, ვეფხისტყაოსანი და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი. თბ., 1967, გვ. 83, 113).

35 ვეფხისტყაოსანი, თქმული შოთა რუსთაველისაგან, ტფ., მელიქიშვილისა და კომპ. სტ. 1867, გვ. 233.



ამრიგად, გ. წერეთელმა, ვეფხისტყაოსნის დასახელებული გამოცემით, მე-19 საუკუნის ჯერ კიდევ 60-იან წლებში, ერთმა პირველთაგანმა შესძლო, კრიტიკულად აეთვისებინა გამოსაცემი ტექსტი. ერთგვარად გაელრმავებინა რუსთველოლოგიური მონაპოვარი ამ მხრივ და გადაედგა ნაბიჯიც წინ, საერთოდ, ქართული ტექსტოლოგიისათვის მყარი, მეცნიერული საფუძვლების შესაქმნელად.

„1870 წ. 43 თავი, სრულად, ერთ წიგნად გიორგი წერეთლის (ამისავე წინასიტყვაობით), ვანსვენებულის ნიკოლოზ ბერძენოვის და ჩემი რედაქტორობით „გამოვიდა, დ. გურამიშვილის „დავითიანი“-ო წერდა პ. უმიკაშვილი 1881 წელს<sup>36</sup>. ეს იყო პირველი კრებული, რომელშიაც „დავითიანის“ მხოლოდ ერთი ნაწილია შესული<sup>37</sup>.

დასახელებულ წინასიტყვაობაში ნაგულისხმევია გ. წერეთლის გამოკვლევა „დავით გურამიშვილი და იმისი წინა დროები“, რომელიც „დავითიანის“ 1870 წლის პირველ გამოცემას ჰქონდა წამძღვარებული. საერთოდ, ცნობილია, რომ გამოცემისათვის დართული გამოკვლევა წიგნის მეცნიერული აპარატის ნაწილია<sup>38</sup>. ამდენად გ. წერეთელს, როგორც ვნახეთ, „დავითიანის“ 1870 წ. გამოცემისათვის ორმაგი შრომა უტვირთია. მონაწილე ყოფილიყო ტექსტის რედაქტირებისა და აგრეთვე მასვე დაეწერა წინასიტყვაობა „დავით გურამიშვილი და იმისი წინა დროები“<sup>39</sup>.

გ. წერეთლის ინტერესი დ. გურამიშვილის პოემისადმი გაპირობებული იყო, მისივე თქმით, იმით, რომ მასში აღიბეჭდა გურამიშვილის „თანადროული სურათი ერის ცხოვრებისა: იმის აზრი, სულისკვეთება და გაჭირება“... ხოლო გურამიშვილმა „ნაციონალურ კი-

36 პ. უმიკაშვილი, დავით გურამიშვილი და მისი დავითიანი, თბ., 1881, გვ. 1.

37 დავით გურამიშვილი, დავითიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1955 წ., გვ. 307.

38 ა. ბარამიძე, „კორნელი კეკელიძე“. თბ., 1961, გვ. 29.

39 ვ. აბრამიშვილი, „დავითიანის“ დასახელებული გამოცემის რედაქტორად მარტო პ. უმიკაშვილს მიიჩნევს და გიორგი წერეთელს მხოლოდ „წინასიტყვაობის“ ატორად აცხადებს. (ვ. აბრამიშვილი, გიორგი წერეთლის წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი, „მაცნე“, 1966, № 6, გვ. 222). ნამდვილად ეს წიგნი გამოვიდა გ. წერეთლის, პ. უმიკაშვილის, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით და ამასთან გ. წერეთლის გამოკვლევით — „დავით გურამიშვილი და იმისი წინა დროები“, რომელიც გამოცემას უძღვნის წინ (იხ. დავითიანი, თქმული გურამიშვილისაგან, წიგნი პირველი, ტფილისი, 1870, გვ. XXVI; დავითიანი, პ. უმიკაშვილის გამოცემა, 1881, გვ. 307; დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 306).

ლოზე მოღვესეთა ბევრად გადაამეტა ღრმა პოეტურის გრძნობით, აზრით და უფრო განცხოველებულის სურათების გამოხატვით“<sup>40</sup>.

გ. წერეთელი ამ სტრიქონებით დ. გურამიშვილის მიმართ ქართველი საზოგადოებისა და მის მოწინავე შვილთა აზრს გამოხატავდა. ამიტომ, ცხადია, „ვეფხისტყაოსნის“ გამოქვეყნების შემდეგ, მესამოციანელთა პირველი ნაბიჯი ქართულ მხატვრულ ნაწერების გამოცემის თვალსაზრისით ძველი მწერლობიდან, სწორედ დ. გურამიშვილის თხზულებათა გარშემო უნდა გადადგმულიყო.

ამ კეთილშობილურ აზრს ხელს უწყობდა ქართულ საზოგადოებაში უკვე 50-იანი წლების დამდეგიდანვე აღებული კურსი. ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა გამოცემის თვალსაზრისით პლატონ იოსელიანის ღვაწლს ამ მხრივ მაშინაც ანგარიში ეწეოდა<sup>41</sup>, მით უფრო, რომ გრ. ორბელიანის „და სხვათა ქართველთა ენის მცოდნეთა“ მინდობილობით, როგორც თვითონ წერდა, პ. იოსელიანი კვლავაც საქვეყნოდ მოითხოვდა: „განვმხნევედეთ და განვძლიერდეთ იმედით: და სასოებითა; შეუდგეთ შრომას... დამცველნი წარსულთა დროთა საუნჯისა, განსაერცელებლად ახლისა, სწავლითისა და ხელოვნებითისა, ცხოვრებისათვის საუნჯისავე“<sup>42</sup>.

მაგრამ მიუხედავად პ. იოსელიანის ამ გატაცებული პატრიოტული მოწოდებისა, 1869 წელს, გაზაფხულისათვის, „მოუტლულობის გამო“ მან ვერ იკისრა კვლავაც გაძლოლოდა ძველი წიგნების გამოცემის საქმეს<sup>43</sup>. ამიტომაც, — წერდა გ. წერეთელი, — „ამჟამად, საქირთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ქართული წიგნების გამოცემა მოგვანდო თავადმა გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანმა“... იქვე მოცხადებული იყო, რომ მომავალ, 1870 წლის იანვარშივე დაიწყება ზეკდვა დავით გურამიშვილის თხზულებებისა<sup>44</sup>.

ამ გამოცემაში, როგორც გ. წერეთელი შესავალშიც მიუთითებს, „დაიბეჭდა მხოლოდ ერთი პოემა, „დავითიანი, რომელსაც საგნად აქვს ვახტანგ მეექვსის დრო“<sup>45</sup>. გამოცემა მოიცავს სულ 43 თავს:

<sup>40</sup> გ. წერეთელი, დავით გურამიშვილი და იმისი წინა დროები, იხ. დავითიანი, თქმული გურამიშვილის დავითისაგან, წიგნი პირველი. ტფ., 1870, გვ. XXV.

<sup>41</sup> პ. იოსელიანი, სიტყვა „საყოველთაოდ საუწყებელი, წიგნთა ქართველთა ბეჭდვისა გამო „დროება“, 1869, № 9, „ცისკარი“, 1869, № 1, გვ. 26.

<sup>42</sup> პ. იოსელიანი, სიტყვა საყოველთაოდ საუწყებელი, წიგნთა ქართველთა ბეჭდვისა გამო „დროება“, 1869, № 9, „ცისკარი“ 1869, № 1, გვ. 26.

<sup>43</sup> გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ნ. ბერძენოვი, ძველი წიგნების გამოცემაზე, „დროება“ 1869, № 52.

<sup>44</sup> იქვე.

<sup>45</sup> დავით გურამიშვილი, დავითიანი, ტფილისი, 1870, გვ. XX.

იხსნება სარჩევით „პირველი წიგნისა ამის დავითიანისა“, რომელშიც ზოგან თავების დედნისეული დასახელება არასწორადაა გადმოცემული. მაგალითად, სარჩევში იკითხება თავი: „იგ. მტერთაგან მეფის ვახტანგის ყეენთან შესმენა და ყეენისაგან წართმევა და კახის ბატონის მიცემა ქართლისა“, ხოლო ეს თვით ტექსტში სწორადაა მოცემული. „შ. მტერთაგან მეფის ვახტანგის ყეენთან შესმენა და ყეენისაგან ქართლის წართმევა და კახის ბატონის მიცემა“ (გვ. 35).

„ზანდუკის“ შემდეგ, წიგნში დაბეჭდილია გ. წერეთლის გამოკვლევა — „დავით გურამიშვილი და იმის წინა დროები“, დართული აქვს პატარა შენიშვნა („გურამის-შვილის თხზულებათა გამოცემაზე“). შემდეგ კი უშუალოდ ტექსტია მოცემული; ბოლოს ჯერ „უმთავრეს შეცდომათ გასწორებაა“ დაბეჭდილი, ხოლო გარეკანზე უსათაუროდ არის მითითებული, რომ „ჟამთა ვითარებისაგან არ განაცრდეს ძველ ქართველთა მწერალთა შრომა“, დიდი ხანია ბევრს სურს დაიბეჭდოს ძველი ქართული წიგნები. შეგროვდა ფულიც. დაიბეჭდა ეს წიგნიც. გაიყიდება იგი და თუ „საკმაოდ ფული შესდგება, გამოცემელნი ხელს მიჰყოფენ მეორის ბეჭდვას და ამგვარად გაგრძელდება ძველი წიგნების გამოცემა“. აქვეა თხოვნა — ვისაც ძველი ხელნაწერები აქვთ, დაუთმონ რედაქციას იმ ანგარიშით, რომ ეს წიგნები „შემდეგ ისევ პატრონებს დაუბრუნდებათ წაუხდენლად“; ნაჩვენებია მისამართიც: „სასოფლო გაზეთის“ კანტორა, „რომელიც არის დუბელირის (გ. წერეთლის და კომპ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩა, ხატისოვის სახლში“. აქვეა გამოცხადებული, თუ სად იყიდება ეს წიგნი — „დავითიანი“.

შენიშვნაში (გვ. XXVI „გურამიშვილის თხზულებათა გამოცემაზე“ და სხვა) განმარტებულია, რომ ტექსტი იბეჭდება „დავით გურამის-შვილის ხელნაწერებისაგან“. ხელნაწერის ეს ეკზემპლარი, — ვკითხულობთ იქვე, — ავტორს მიუერთმევია ერეკლე მეფისძის მირიანისათვის. ამ ხელნაწერიდან ამჟამად დაბეჭდილიათ „სრულად მხოლოდ პირველი წიგნი მთელის თხზულებისა, რომელსაც ჩვენში „გურამიანი“ უწოდებენ და დავით გურამიშვილი კი უწოდებს „დავითიანს“.

არ არის დავიწყებული არც მართლწერის საკითხები. ტექსტში „მართლწერა, — გადმოცემულია შენიშვნაში, — დავითავით ავტორისა; მაგალითად, კ უ და სხვანი ხმარებულ იქნა შეუცვალებლათ, როგორც ავტორს უხმარიაო“<sup>46</sup>.

საერთოდ, ტექსტი კარგად არის გამართული, თუ მხედველობა-

46 დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, „დავითიანი“, ტფ., 1870, გვ. XXVI.

ში არ გვექნება კორექტურული შეცდომების სიმრავლე, თუმცა ისიცაა აღსანიშნავი, რომ წაგნს, როგორც აღვნიშნეთ, დართული აქვს, „უმთავრეს შეცდომათა გასწორება“.

ალაგ-ალაგ სქოლიოებში ტექსტს დართული აქვს ცალკეული შენიშვნები, რომლებიც ტექსტის უკეთ გაგებასა და განმარტებას ემსახურებიან.

გამოკვლევის I—IV თავებში გ. წერეთელი იძლევა ერთგვარ წინამძღვრებს „დავითიანის“ იდეური არსისა და მხატვრული ჩანაფიქრის ამოსახსნელად. VII თავი ეძღვნება უშუალოდ ტექსტის განმარტებას, პოემის ისტორიულ-ლიტერატურული საკვანძო საკითხების ახსნას.

გ. წერეთელს კარგად ესმოდა, რომ 70-იან წლებისათვის 40-ჯერ გამოცემული „ქალ-ვაჟიანის“, ასევე „ალექსიანის“, „ყარამანიანის“ და სხვა ზღაპრებით გონებაგაბრუებული მკითხველისათვის აუცილებლად უნდა ახსნილიყო ქართული ლიტერატურული წარსული, „დავითიანის“ მრავალი ადგილი, მისი მართალი, რეალისტური ტენდენციები. მაგრამ ყოველივე ეს გამოკვლევაში მაინც ტექსტის განმარტების ფონზეა მოცემული და ამდენად, აღნიშნული გამოკვლევა ერთგვარად ავსებს ტექსტის სქოლიოებში მოცემულ კომენტარებს.

გ. წერეთელი შემდეგაც ფიქრობდა ქართული ლიტერატურის სხვა ძეგლთა გამოცემას. ამ ხანებისათვის კ. ლორთქიფანიძესთან გაზავნულ ერთ წერილში იგი წერდა:

„ძველი წიგნების საბეჭდი ფული ჯერჯერობით ოცდაექვსი თუმანი მოვავროვეთ და გურამიანის პირველი ნაწილიც ამ დღეებში გამოვა. შემდეგ პირობა მოგვცეს: ყოველ წლობით ორმოცდაათ თუმანს მოგივროვებთ ზოლმეო. თუ მართლა ასრულდა ეს დანაპირები, ზუთი წლის განმავლობაში სამას თუმნამდე გვექნებაო“<sup>47</sup>. მაგრამ, სამწუხაროდ, „ეს დანაპირები“ არ ასრულებულა და არა, თუ სხვა ძეგლები, თვით „დავითიანის“ მეორე ნაწილის გამოცემაც ვერ განხორციელდა, რასაც გ. წერეთელი „დავითიანის“ პირველი ნაწილის შესავალში ჰპირდებოდა მკითხველს<sup>48</sup>.

გ. წერეთელმა თავისი შემდგომი ტექსტოლოგიური დაკვირვებანი და პრაქტიკული ნაბიჯები ცალკეულ წერილებში, რეცენზიებში

47 გ. წერეთლის წერილები კ. ლორთქიფანიძისადმი, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში, კ. ლორთქიფანიძის ლიტერატურული არქივი, № 900; ე. აბრამიშვილი, გიორგი წერეთლის წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი, „მაცნე“, 1966, № 1, გვ. 207.

48 დავითიანი, ტფილისი, გვ. XX.

და ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა მემკვიდრეობის გამოცემასთან დაკავშირებით გამოავლინა.

ჩერ ისევ 1869 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ძველი წიგნების გამოცემაზედ“ გ. წერეთელმა დააყენა საკითხი ხელნაწერების მიხედვით, თხზულების ავტორისეული ტექსტის დადგენისა და ბეჭდვის აუცილებლობის შესახებ. იგი, როგორც უკვე დადგინდა, აცხადებდა: „ძველი მწერლობის თხზულებანი დაიბეჭდებიან შეუცდომლად და ხელშეუხებლივ“<sup>49</sup>. ეს დებულება იმაზე მიუთითებდა, რომ გ. წერეთელი თავიდანვე შორს იყო ედიტორულ-საგამომცემლო საქმიანობისაგან და მისი ტექსტოლოგიური ძიებანი იმთავითვე არსებითად მეცნიერულ საფუძველზე იყო დამყარებული.

ამავე ნაშრომში აყენებდა იგი პრინციპს, ტექსტის მეცნიერული აპარატით გამოცემის შესახებ. „რამდენადაც შესაძლებელი იქნება, — წერდა გ. წერეთელი, — ყოველს თხზულებას დაერთვის მწერლის თხზულების აღწერა და საჭირო შენიშვნები“<sup>50</sup>. ამასთან, ძველი მწერლობის ძეგლთა გამოცემისათვის, მას აუცილებლად მიაჩნდა მართლწერა დარჩენილიყო უსათუოდ ძველი<sup>51</sup>.

ტექსტოლოგიური პრობლემატიკის ყველა საკითხი მას შემდეგაც იზიდავდა. 80-იანი წლებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის პერიოდში, ის მხარს უჭერდა ამ კომისიის წევრებს ვ. მიქელაძესა და პ. უმიკაშვილს, პოემის ტექსტისათვის სრული მეცნიერული აპარატის დართვის შესახებ. მისი აზრით, ამ მიზნით, საჭირო იყო ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის „საქმეში მონაწილე პირები უნდა დაყოფილიყვნენ წრეებად და თითო წრეს ამოერჩია ვანსაკუთრებულ მიზნათ: ზოგს გაუგებარი სიტყვების ლექსიკური განმარტება, ზოგს გაუგებარი აზრის ახსნა, ზოგს ისტორიული და ზნეობითი ნაწილი პოემისა და სხვ.“<sup>52</sup>.

ყოველივე ეს, ცხადია, ნიშნავდა ხელთ გვექონოდა პოემის აკადემიური გამოცემა: კომენტარებით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და გამოკვლევით. ეს იყო საკითხის გარშემო გ. წერეთლის, უკვე აღრიდანვე შემუშავებული სანდო და ყოველმხრივ მისაღები მეცნიერული შეხედულება.

---

<sup>49</sup> ძველი წიგნების გამოცემაზედ, „ღრობა“, 1869, № 52. შტრ „მნათობი“, 1869, № 11—12, გვ. 212.

<sup>50</sup> იქვე.

<sup>51</sup> იქვე.

<sup>52</sup> „ღრობა“, 1880, № 250.

გ. წერეთელი თავის კვლევა-ძიებაში თავიდანვე იცავდა იმ აზრს, რომ არ დარღვეულიყო მწერლის ნება; გამოცემულიყო ტექსტი იმ სახით, როგორადაც იგი გამოვიდა მწერლის ხელიდან. როგორც ვნახეთ ამავე პრინციპს იცავდა იგი „დავითიანის“ გამოცემაშიც. ამავე პრინციპით ამოიღო მან ვეფხისტყაოსნის 1867 წლის გამოცემიდან პოემის სამი სტროფი, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

შემდეგშიც გ. წერეთელს კვლევა-ძიების მთავარ ამოცანად ლიტერატურულ ძეგლთა გამოცემა ჰქონდა დასახული. ჩვენი მაშინდელი ლიტერატურული ყოფის ნაკლოვანებათა ერთ-ერთ მთავარ მიზეზს ის ომაში ხედავდა, რომ ახალგაზრდა მწერლებს ხელთ არ აქვთ ჩვენი ცნობილ მწერალთა ნაწერების სათანადო გამოცემანი, რომ მათ საშუალება ჰქონდეთ ლიტერატურულ ცხოვრების შემდგომ განვითარებაში თავიანთი შესაძლებლობა, როლი და ადგილი განსაზღვრონ.

ენებოდა რა დუტუ მეგრელის ლექსების გამოცემას („ცრემლი“).

გ. წერეთელი წერდა: „აკაკის ლექსების შემდეგ მისი ლექსები არ მოგვეწონება; თითქოს მას თავისებურად და თავის საკუთარს კილოზე გაუმართავს ჩანგი, თითქოს წინამორბედად და მოძღვრად ჰყოლია მხოლოდ მეორმოცე წლების ქართველი პოეტები... მისი ლექსი არ არის სუბუქ ფრთითა აღმაფრენი. მაგრამ ეს ნაკლოვანება უფრო ჩვენი მწერლობის თხზულებათა გამოუცემლობის ბრალია. სანამდის ჩვენი თანამედროვე მწერლების თხზულებანი თავთავის დროზე არ გამოვა, რომ ახალგაზრდობას მიეცეს ხელში შესასწავლად, მანამდის მეგვიდრეობით ზრდა ლიტერატურისაც შეუძლებელია. ნათქვამია: „წინა კაცი უკანა კაცის ხილია“... აკაკის პოეტურმა ნიჭმა ღრმა კვალი გაავლო ძველსა და ახალს შორის და მის თხზულებათა გამოცემით მკაფიოდ ნათელი ზოლი გაეღება ახალს ხანას ლიტერატურისას. აი, ამით აიხსნება, რომ დუტუ მეგრელის მუზა გარეგანი ფორმით ჩამორჩენილა ძველსა და ახალს შორის“, — ასკვნიდა გ. წერეთელი<sup>53</sup>.

ამრიგად, ლიტერატურულ ძეგლთა გამოცემა გ. წერეთლისათვის იყო „ნამდვილი წარმატების“ საწინდარი ჩვენი ლიტერატურის განვითარებაში.

უთუოდ ამ გაგებით მოჰკიდა მან ხელი მისთვის ახლობელი და საყვარელი მწერლის, ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის „პარტახის“

<sup>53</sup> XX (გ. წერეთელი), „ცრემლი“, ლექსები დუტუ მეგრელისა, პ. გლეიშვილის მიერ გამოცემული, „კვალი“, 1893, № 13, 15.

გამოცემას, მაგრამ „პარტახის“ გამოცემით მან თითქოს უარყო ტექსტის გამოცემის თავისი ადრინდელი მოსაზრებანი.

როგორც ცნობილია, „პარტახი“ დაიბეჭდა ეგ. ნინოშვილის ვარდაცვალების შემდეგ, 1894—1895 წლებში<sup>54</sup>. მოთხრობის ავტორაფის ერთ-ერთ ცალში, რომელიც ჩვენამდე შენახულა<sup>55</sup>, გ. წერეთელს საკუთარი ხელით, შავი მელნით, შეუტანია მთელი რიგი შესწორებანი და ამ სახით დაუბეჭდია „კვალში“ (1894 წ. №№ 41—59, 1895 წ. №№ 7—9). შესწორებათაგან ტექსტი გაწმინდა პროფ. ს. ხუნდაძემ და გ. წერეთლის უმთავრესი შესწორებების ჩვენებით, კიდევაც დაიბეჭდა მოთხრობა 1932 წელს ე. ნინოშვილის თხზულებათა II ტომში. სურათის ნათელსაყოფად, გ. წერეთლის შესწორებებიდან მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ეგნატე წერს ავტორაფში: „ახლა მას მაგიორში თვალში აფრუნტი და ფუიოს უძახი!“ ეს ადგილი გ. წერეთლის მიერ ასეა გასწორებული: „ახლა კაის მაგიერ თვალში აფურთხე და ფუიო უძახე“. შეიძლება ითქვას, არა მხოლოდ შეცვლილია ე. ნინოშვილის ავტორაფის ბევრი ადგილი, არამედ მთლიანად დამახინჯებულია „პარტახის“ ტექსტი, სადაც შეტანილია თვით კომპოზიციური ხასიათის შესწორებებიც კი. დაინტერესებულ მკითხველს, რათა დარწმუნდეს ნათქვამის სისწორეში, თუ ხელნაწერი არა, შეუძლია ნახოს ე. ნინოშვილის თხზულებათა ს. ხუნდაძისეული, დასახელებული გამოცემა<sup>56</sup>.

გ. წერეთელს, როცა ავტორაფში შესწორებები შეჰქონდა, ჩანს ფიქრობდა მხოლოდ ერთ, კეთილ განზრახვაზე: უკეთ „გაემართა“ ტექსტი. ტექსტოლოგიის ისტორიამ იცის არა ერთი შემთხვევა, „როცა ტექსტებში რედაქტორებს შეაქვთ ცვლილებები... ავტორისადმი მეგობრული დამოკიდებულებებით, — წერს პ. კეკელიძე, — ე. ი. კეთილი განზრახვით: „დაეხმარონ“, „გაუსწორონ“ ავტორს შეცდომები, ხელი შეუწყონ არსებული „ნაკლის“ თავიდან აცილებასა და საერთოდ თხზულების გაუმჯობესებას“<sup>57</sup>. ალბათ, ამ მიზანს ისახავდა გ. წერეთელიც, როდესაც „პარტახის“ ტექსტის თვითნებურ შესწორებებს მიჰყო ხელი. ასეა თუ ისე, საქმე გვაქვს გამოწკლისთან, რო-

54 ე. ნინოშვილი, კვალი, 1894, №№ 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50; 1895, № 7, 8, 9.

55 კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ე. ნინოშვილის ფონდი, № 3

56 ე. ნინოშვილი, თხზულებათა კრებული ს. ხუნდაძის რედაქციით და შენიშვნებით. ტ. II, თბ., 1932. გვ. 302—306.

57 პ. კეკელიძე, სიმონ ხუნდაძის ტექსტოლოგიური ძიებანი, „მნათობი“, 1968, № 9, გვ. 126.

შელიც გ. წერეთელმა მხოლოდ ე. ნინოშვილის ერთადერთი მოთხრობის მიმართ დაუშვა. საერთოდ კი, იგი თხზულების მეცნიერულ გამოცემის პრინციპების მოთხოვნათა სიმალლეზე დარჩა და ავტორის ნებას ბოლომდე იცავდა.

„პარტახის“ დაბეჭდვის შემდეგ მან გაილაშქრა ი. გოგებაშვილის წინააღმდეგ იმის გამო, რომ უკანასკნელმა თავის „დედაენაში“ აკაკი წერეთლის ლექსები შესწორებული სახით დაბეჭდა. იგი ზრონიული ტონით შენიშნავს: „თურმე ნუ იტყვი, ჩვენი სახელოვანი პესტალოცი აკაკიზე უაღრესი ნიჭის პოეტიც ყოფილა და ჩვენ კი არ ვიცოდითო“<sup>58</sup>.

გ. წერეთელი „თერგდალეულთაგან“ ერთი პირველთაგანი იყო. რომელიც 60-იანი წლების დამდეგიდანვე დაულალავად იღწვოდა იმისათვის, რათა ქართული ტექსტოლოგიური კვლევა-ძიება გამოეყვანა მდარე, ედიციურ-საგამომცემლო მდგომარეობიდან.

---

<sup>58</sup> გ. წერეთელი, ბატონი გოგებაშვილი და მისი ხრიკების „ხუხულა“, „კვალი“, 1897, № 15, გვ. 30.



## ეთერ შარაშენიძე

### დავით კარიჭაშვილი

ცნობილი ქართველი მეცნიერი დავით კარიჭაშვილი (1862—1927) XIX საუკ. დასასრულისა და XX საუკ. დასაწყისის საქართველოს იმ ძოღვაწეთა რიგს ეკუთვნის, რომელთაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, საქმიანობა და განუზომელი სიყვარული მხოლოდ მშობლიური ენის, ლიტერატურისა და ერის კულტურის კეთილდღეობას მოახმარეს.

რომ არაფერი ვთქვათ დავით კარიჭაშვილის მიერ შედგენილი და დამუშავებული ქართული ენის სახელმძღვანელოზე, მისი რედაქტორობით გამოცემული ქართული ლიტერატურის სასკოლო პროგრამაზე, ეურნალისტიკურ და პედაგოგიურ საქმიანობაზე, იგი ქართველ რედაქტორ-გამომცემელთა შორის ერთ-ერთი კვალიფიციური და თვალსაჩინო მოღვაწეა.

მართალია, დ. კარიჭაშვილს სპეციალური თეორიული ტექსტოლოგიური კვლევა-ძიება არ უწარმოებია, მაგრამ ტექსტის გამოსაცემად მომზადების დროს შენიშვნებში და ცალკეულ წერილებში ნათლად ჩანს მისი ტექსტოლოგიური შეხედულებანი.

დავით კარიჭაშვილი მეტად ფრთხილად, დიდი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ეკიდებოდა ქართული წიგნის გამოცემის საქმეს და ასევე სერიოზულ დამოკიდებულებას მოითხოვდა ამ საქმისადმი სხვისგანაც.

ჯერ კიდევ 1879 წ. იგი წერდა: „ჩემის აზრით, გამომცემელი თვითონ გონებითაც გახსნილი და ზნეობითაც პატიოსანი და მალლა მდგომი კაცი უნდა იყვეს, ის უნდა კარგად იცნობდეს იმ წიგნს, რომელსაც თითონა სცემს, უნდა ყოველთვის ცდილობდეს გამოსცეს კარგი წიგნი. ღირსი დაბეჭდვისა, წინააღმდეგს შემთხვევაში ბევრჯერ თვითონაც

ტყუილად დახარჯავს ფულს და მკითხველი კი ვნების მეტს ვერას გამოიტანს<sup>1</sup>.

გამომცემლის დიდ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს დ. კარიჭაშვილი თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში დასტამბული ნარკვევის<sup>2</sup> წინასიტყვაობაში.

დ. კარიჭაშვილის გამოცემათა შორის აღსანიშნავია ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემანი: 1895 წ. (ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად), 1910 წელს ორი სხვადასხვა გამოცემა და 1919 წლის გამოცემა. აგრეთვე ვეფხისტყაოსანი, 1903 წ. და 1920 წწ. და ალ. ყაზბეგის თხზულებანი, 1904 წ.

ყველა ზემოჩამოთვლილ გამოცემაში დ. კარიჭაშვილი სწორად პასუხობს ტექსტოლოგიის მეცნიერების ძირითად მოთხოვნებს, ახორციელებს მას პრაქტიკულად და შენიშვნებში იძლევა ერთგვარ თეორიულ დასაბუთებასაც.

ამდენად, დ. კარიჭაშვილის მიერ გამოცემული წიგნები არა მარტო იმ დროისათვის, არამედ დღეისათვისაც არ არიან ინტერესს მოკლებული ქართული საგამომცემლო ისტორიის თავალსაზრისით.

წიგნის გამოსაცემად მომზადების დროს დ. კარიჭაშვილი ატარებს ყოველგვარ წინა სამუშაოს: იგი თავს უყრის ყველა არსებულ ხელნაწერსა თუ ნაბეჭდ წყაროს და მათი ურთიერთშეჯერების შედეგად ძირითად ტექსტად იღებს რომელიმე მათგანს, ხოლო დანარჩენების კარიანტულ წაკითხვას უჩვენებს შენიშვნებში.

ამგვარი სამუშაო ჩაატარეს ე. თაყაიშვილმა და დ. კარიჭაშვილმა მათ მიერ 1895 წ. გამოცემულ წიგნზე ნ. ბარათაშვილის „ლექსები და წერილები“ (გამოცემა მეხუთე).

წინასიტყვაობაში და შემდეგ ამ გამოცემის შესახებ დაწერილი რეცენზიის<sup>3</sup> პასუხშიც<sup>4</sup> გამომცემლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მათ ხელთ არსებული სამი ავტორისეული ხელნაწერი კრებულიდან გამოცემას საფუძვლად დაედო ერთი ვარიანტი (თაყაიშვილისა), „რადვან ეს ვარიანტი სხვებზე უფრო მოწოდებით არის გადაწერილი“—ო აცხადებენ გამომცემლები.

1 დ. კარიჭაშვილი, ჩვენს წიგნთა გამომცემლობაზე, გაზ. „დროება“, 1878, № 20.

2 დ. კარიჭაშვილი, „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“, 1929 წ.

3 ფხა (რომანოზ ფანცხავა), ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები. გამოცემა მეხუთე — 1895, კვალი, 1695, № 45, გვ. 17, 19.

4 დ. კარიჭაშვილი, ე. თაყაიშვილი, „მოწყალეო ხელმწიფეო, ბატონო რედაქტორო“. კვალი, 1895, № 45, გვ. 14, 15.

როგორც ცნობილია, ე. თაყაიშვილის მიერ მიკვლეული, შექმნილი და ქართველთა შორის წერა-კითხვის განავრცელებელი საზოგადოებისათვის გადაცემული ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ხელნაწერი კრებული პოეტს ეკატერინე ჭავჭავაძისათვის მიუძღვნია. იგი მეტად ფაქიზად და გულმოდგინედ არის შედგენილი, სუფთად გადაწერილია და, რა თქმა უნდა, უფრო სანდოცაა.

სწორედ ამ მოსაზრებით ექვთ. თაყაიშვილმა და დ. კარიჭაშვილმა ხსენებული გამოცემისათვის სრულიად მართებულად აიღეს ეს ხელნაწერი ძირითადი ტექსტის წყაროდ, ხოლო ორი დანარჩენი ხელნაწერი — მის ვარიანტებად. ეს არჩევანი შემთხვევითი არ არის. როგორც უკვე აღვნიშნეთ გამომცემლებს კარგათ ესმით ე. თაყაიშვილის ვარიანტის უპირატესობა დანარჩენ ავტოგრაფებთან შედარებით.

გამომცემლები თეორიულად ასაბუთებენ მათ მიერ პრაქტიკულად განხორციელებულ ავტორის ნების დაცვის სისწორეს და აუცილებლობას.

ძირითადი ტექსტის წყაროს შერჩევასა და ავტორის ნების გათვალისწინებასთან ერთად, გამომცემლებმა ერთმანეთს შეუჯერეს მათ ხელთ არსებული ავტოგრაფები და ვარიანტული სხვაობები შენიშვნებში გაიტანეს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მათ კარგად ესმოდათ ვარიანტული წაკითხვების მნიშვნელობა აკადემიური გამოცემისათვის.

დ. კარიჭაშვილის მიერ გამოცემული ტექსტების ერთ ნაწილს ერთვის შენიშვნები, სადაც დასახელებულია ყველა მის ხელთ არსებული წყარო, მიმოხილულია ავტორის სტილის თავისებურება, ორთოგრაფია და განხილულია თითოეული ნაწარმოების ვარიანტული წაკითხვები, მოცემულია აგრეთვე, ზოგიერთი ნაწარმოების დათარიღების ცდა. ყოველივე ამით მტკიცდება, რომ დ. კარიჭაშვილი ღიდ მნიშვნელობას აძლევდა მწერლის ყოველი ნაწარმოების პასპორტიზაციას, ვარიანტებსა და დათარიღებას. მაგალითად ნ. ბარათაშვილის „ლეკსები და წერილები“-ს 1910 წ. კარიჭაშვილისეულ გამოცემას (გამოცემა მე-შვიდე) დართული აქვს შენიშვნები, სადაც ჩამოთვლილი და დახასიათებულია გამომცემლისათვის ცნობილი ხუთი ავტოგრაფი, რომელთაც პირობითად ვუწოდებთ: თაყაიშვილის, გუნიას, მაიკო ორბელიანის, ვეზირიშვილის და გრ. ორბელიანისას. ამას გარდა გამომცემელს ხელთ ჰქონია ი. მესხიშვილის გადაწერილი ნ. ბარათაშვილის თხზულებანი (S—1555), რომელიც დ. კარიჭაშვილის ცნობით „წარმოგვიდგენს ტექსტის და სიტყვების შესამჩნევს განსხვავებას და ჩვენც საჭიროდ დავინახეთ ასეთ განსხვავებათა აღნიშვნაო“.

ტექსტის შესწავლიდან ირკვევა, რომ დ. კარიჭაშვილს გამოცემისათვის ძირითად ტექსტად თაყაიშვილის ვარიანტი აუღია. მაგრამ იგი გაუმართავს სხვა ვარიანტების მოშველებით. მაგალითად, ლექსში „შენოლამება მთაწმინდაზე“ V სტროფის I სტრიქონის — „მე შენსა მკვრეტელს მავიწყდების საწუთრობა“ IV სიტყვის „მავიწყდების“ ნაცვლად თაყაიშვილის ვარიანტში იკითხება „მავიწყდება“, ხოლო გუნიას, ვეზირიშვილის, და S—1555 ხელნაწერებში — „მავიწყდების“. გამომცემელს ეს უკანასკნელი წაკითხვა შეუტანია ძირითად ტექსტში და თაყაიშვილის ვარიანტის წაკითხვა გაუტანია ცალკე შენიშვნებში.

პოემა „ბედი ქართლისა“ 1 კარის 29 სტრიქონის. — „ამ დროს გამოჩნდა სამხრეთით მტერი“, სიტყვა „გამოჩნდა“ ძირითად ტექსტში ვეზირიშვილის ვარიანტის ფორმით არის დაბეჭდილი, ხოლო თაყაიშვილის ვარიანტის წაკითხვა „აღმოჩნდა“ გატანილია ცალკე შენიშვნებში.

ან კიდევ, ამავე პოემის I კარის 58 — 59 სტრიქონები დაბეჭდილია ვეზირიშვილის ვარიანტის ფორმით. „მხდალო განგამხნევეს, მხნევე განგალვიძებს და შენც, მიჯნურო, სულს შეგვიფოთებს“, ხოლო თაყაიშვილის ვარიანტის წაკითხვა შენიშვნებშია გატანილი.

გამოცემა ძირითადად თაყაიშვილის ვარიანტს ემყარება და შეეცაბულია სხვადასხვა ავტოგრაფებიდან თუ ნაბეჭდი წყაროებიდან გადამობეჭდილი ლექსებით.

მაგალითად: ლექსები — „შევიშრობ ცრემლსა“ (გვ. 74) დაიბეჭდა ვეზირიშვილის ვარიანტიდან; „ძია გ... სთან“ (გვ. 74—75) გუნიას ვარიანტიდან; „... ნა ფორტეპიანოზე მომღერალი“ (გვ. 77) — ეურნალ „ივერიიდან“ (1882 წ. №№ IV და V) „ჩინარი“ (გვ. 77—78) — S № 1555 ხელნაწერიდან. (იგივე ლექსი დაბეჭდილი იყო „ცისქარშიც“ 1869 წ. № 10); „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“ (გვ. 79—80) — გადამობეჭდილია „ცისკრიდან“ (1858 წ. № 2); „მაძლი შენს გამჩენს“ (გვ. 80) — „საქართველოს მოამბედან“ (1863 წ. № 2); „დაბქროლა ქარმან სასტიკმან“ (გვ. 81) — მაიკო ორბელიანის ვარიანტიდან: „როს ბედნიერ ვარ“ და „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“, (გვ. 81) — „ივერიიდან“ (1882 წ. №№ IV, V); „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“ (გვ. 82) — ბარათაშვილის ლექსების ზ. კიჭინაძისეული გამოცემიდან (მეოთხე გამოცემა 1890 წ.).

ჩა თქმა უნდა, ასეთი კომბინირებული მეთოდით ტექსტის გამართვა, გაუმართლებელია.

შენიშვნების იმ ნაწილში, რომელიც გამოყოფილია ქვესათაურით „საზოგადო შენიშვნა“, გამომცემელი ეხება პოეტის მართლწერას და

ახასიათებს რა მას, იძლევა განმარტებას, თუ რა შემთხვევაში იცავს ან უარყოფს მწერლის ორთოგრაფიას. მაგ. „ნ. ბარათაშვილი ხმარობს ასოს ჯ იმ სიტყვებში, რომლებშიც ძველს მწერლობაში ეს ასო იხმარებოდა, მაგრამ, ყოველთვის არ იცავს ამ წესს და ხშირად მის მაგიერ ხმარობს ასოს ხ. ჩვენ ყველგან ჯ-ის ნაცვლად ვიხმარეთ ხ...“

ასევეა მოგვარებული ასოების ვ, ჟ, ჭ ხმარების საკითხიც.

ჩვენის აზრით, გამომცემელი სწორედ მოიქცა, როდესაც ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ჩაერია ავტორს მართლწერაში, მით უმეტეს. რომ თვით პოეტსაც ხშირად აღრეული ჰქონია ამ ასოების ხმარება (ამ სახით იცემა დღესაც ნ. ბარათაშვილის თხზულებანი), მაგრამ ვერ გავიზიარებთ კარიჭაშვილის მიერ ჩატარებულ სწორებას მეორე სუბიექტური პირის და შესამე ობიექტური პირის ნიშნების ჰ და ს ხმარების დროს იმ მოტივით, რომ „თვით პოეტიც არ იცავს ამ ასოების ხმარების წესს ყველგან და ხშირად თვითონაც ისე სწერს, როგორც ახლა გამოითქმება“-ო.

გამომცემელს ამ შემთხვევაშიც ისევე უნდა დაეტოვებინა პარალელური ფორმები, როგორც მან ეს გააკეთა ზმნის წინსართში გან // გა, მოთხრობითი ბრუნვის დაბოლოებაში მ ა ნ // მ ა და სიტყვაში მ შ ვ ე ნ ი ე რ ი // შ ვ ე ნ ი ე რ ი, რაზედაც მიუთითებს კრდეც „საზოგადო შენიშვნებში“; „ჩვენ ამნაირი სხვადასხვა ხმარება დავტოვეთ ტექსტში და ვარიანტების აღნიშვნას არ გამოვკიდებივართ“-ო.

ზემოაღნიშნულ „საზოგადო შენიშვნას“ მოსდევს შენიშვნების ის ნაწილი, რომელიც გამოყოფილია ქვესათაურით „ცალკე შენიშვნები“ და იგივეა, რაც დღევანდელი ვარიანტების განყოფილება, სადაც ნაჩვენებია თითოეული ნაწარმოების ცალკეული სტროფის, სტრიქონისა თუ სიტყვის ვარიანტული წაკითხვა (სხვადასხვა ვარიანტი აღნიშნულია ლ ი ტ ე რ ი თ — გვარის, ან სახელის და გვარის ინიციალით).

ზოგ შემთხვევაში დ. კარიჭაშვილი პოეტის ორთოგრაფიას ასწორებს გრამატიკული ნორმის მიხედვით, ამ სწორებას მიუთითებს კრდეც შენიშვნაში მაგრამ არ ასაბუთებს, თუ რატომ იქცევა ასე, მაგ. ლექსის „ქეთევან“ III სტროფის I სტრიქონის I სიტყვა „ავ-ენანო“ ძირითად ტექსტში დაბეჭდილია „ავ-ენანო“, ხოლო „ცალკე შენიშვნებში“ განმარტებულია „ავტოგრაფებში ყველგან: ავ-ენანო“-ო.

ავტორის ტექსტში გამომცემლის ამგვარი ჩარევა გაუმართლებელია.

დ. კარიჭაშვილის შენიშვნებში მოცემულია ნ. ბარათაშვილის ზოგიერთი უთარილო ლექსისა და პირადი წერილის დათარიღების ცდა. ასე, მაგალითად: „შ ე ვ ი შ რ ო ბ ც რ ე მ ლ ს ა“ (74 გვ.) I. ვ (ივ-

ულისხმება ვეზირიშვილის ვარიანტი — ე. შ.), სადაც ეს ლექსია მოთავსებული, არ არის აღნიშნული წელიწადი. რადგანაც იგი მოსდევს 1843 წ. დაწერილს ლექსს, საფიქრებელია, რომ დაწერილი იყვეს ამ წელს“. „ძია გ... სთან (74 — 75 გვ.) I. ესა და შემდეგი ლექსი (ღამე ყაბახზედ) მოქცეულნი არიან გუნიას ვარიანტში 1835 და 1836 წლებში დაწერილს ლექსებს შორის. ესევე ლექსები მოქცეულნი არიან პოეტის წერილში გრ. ორბელიანის მიმართ მიწერილში 1837 წ. თებერვალში. რადგან ზაფხულის ღამეა იქ აწერილი, უეჭველია ამიტომ, რომ ისინი დაწერილნი უნდა იყვნენ 1836 წლის ზაფხულში“.

„სალკე შენიშვნების“ იმ განყოფილებაში, სადაც წერილებზეა საუბარი, დ. კარიჭაშვილი მიუთითებს მათ პირველწყაროებს, ცდილობს ახსნას ადრესატები და დაწერის თარიღი, განმარტოს ზოგიერთი გაუგებარი სიტყვა. იძლევა თავის ვარაუდებსაც. მაგ. ერთ-ერთი წერილის შენიშვნაში წერს: „დაბეჭდილია ალატუჭვლს ალბათ შეცდომით ნაცვლად ალატუჭვლს“. ეს წერილი გადმოუბეჭდავს 1885 წ. „დროების“ 114 №-დან.

წერილების დათარიღებისას დ. კარიჭაშვილი ხშირად ტექსტის მონაცემებს და შინაარსს ემყარება. მაგ. ბარათაშვილის ერთ-ერთ წერილს ის ასე ათარიღებს: „ამ წერილს არ უზის წელიწადისა და თვის რიცხვი. უნდა დაწერილი იყვეს 1844 წ. მარიაშობის თვეში, რადგან შიგ აწერილია პოეტის დის კატოს ქორწილი, რომელიც მოხდა 1844 წ. როგორც ჩანს VIII, IX და X წერილებთან და მოხსენებული ალევობა, რომლის შესახებ შენიშნავს პოეტი ამ თვის 15 იყოვო. ალევობა კი მოდის 15 მარიაშობისთვის“.

ერთ-ერთ შენიშვნაში კი ვკითხულობთ:

„ღედანში ამ წერილს არ უზის არც წელიწადის და არც თვის რიცხვი და არც ადგილის სახელი. როგორც შინაარსითგან ჩანს, იგი მიწერილი უნდა იყვეს ნახევრითგან 1845 წ. 9 თებერვლის შემდეგ“.

როგორც ვხედავთ, გამომცემელს ნ. ბარათაშვილის ყოველი ლექსის ან წერილის დათარიღებისათვის მყარი არგუმენტები აქვს წამოყენებული. ანგარიშს უწევს რა მათ შინაარსს, ადგილს — ესა თუ ის ლექსი რომელ წერილში ან რომელი ლექსის შემდეგ არის დაწერილი, ასევე ითვალისწინებს, ესა თუ ის წერილი, რომლის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი, დასაბუთებულად ათარიღებს მათ, რასაც თითქმის უკამათოდ იზიარებენ შემდეგი გამომცემლებიც. (მაგალითად, ლექსები „შევიშრობ ცრემლსა“, „ძია გ... სთან“, „დამქროლა ქარმან სასტიკმან“. წერილები, მიწერილი ზაქარია ორბელიანისადმი და მდიკო ორბელიანისადმი).

გამოცემაში არის ერთგვარი ცდა პიროვნების ან მოვლენის კომენტირებისა. მაგალითისათვის დავასახელებთ ლექსს: „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“ (79—80 გვ.) 1. ეს ლექსი გადმობეჭდილია „ცისკრითგან“ 1858 წ. № 2. პ. უმიკაშვილის რვეულში ამ ლექსს სათაურად აქვს: ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნის და ჩეჩნელთა, წელსა 1844-ს მძღვანელობა ქვეშეღებერნიის მარშლის თავადის დ... ო... „ეს მარშალი არის დიმიტრი ორბელიანი“-ო ამბობს გამოცემელი.

დ. კარიჭაშვილი კარგად ერკვევა გამოცემათა ტიპებშიც. თუ 1910 წ. ნ. ბარათაშვილის „ლექსებსა და წერილებს“ მან დაურთო სრული აპარატი ვარიანტული წაკითხვებით და შენიშვნებით, 1919 წ. ნ. ბარათაშვილის „ლექსების“ სასკოლო გამოცემას ეს აპარატი ჩამოაშორა და „სიტყვათა განმარტება“ დაურთო, „საზოგადო შენიშვნებში“ კი აღნიშნა: „რადგანაც ეს გამოცემა არის დანიშნული სასწავლებლებში სახმარებლად, ამიტომ საჭიროდ დავინახეთ ტექსტის მართლწერაში შეგვეტანა ზოგიერთი შესწორებანი ახლანდელის მართლწერის მიხედვით. ამის გარდა მეტად ვსცანით აგვენიშნა ვარიანტები, რომელნიც გვხვდება თვით ბარათაშვილის ხელით გადაწერილს ლექსებში“-ო.

ტექსტის ბოლოს დართულ ლექსიკონში გატანილი და განმარტებულია ისეთი სიტყვები, რაც გამოცემლის აზრით ძნელად გასაგებია მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, როგორცაა მაგალითად: ავენანი, ანგარი, ანდერძნამაგი, არაგვიანი და სხვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ დ. კარიჭაშვილმა 1916 წ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავში ძიაკვლია ნ. ბარათაშვილის დაუბეჭდავ სახუმარო ლექსს „ელენეს და მარიამს“<sup>5</sup>.

ჩვენ არ შევჩერდებით 1904 წ. დ. კარიჭაშვილის გამოცემულ ალ. ყაზბეგის თხზულებებზე, რადგანაც ამ გამოცემაში მხოლოდ ტექსტებია მოცემული, იგი საყურადღებოა იმით, რომ წარმოადგენს მწერლის ნაწერების სრული კრებულის გამოცემის ცდას.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩაატარა დ. კარიჭაშვილმა ვეფხისტყაოსნის გამოსაცემად მომზადების დროს, რომელიც მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო 1903 და 1920 წწ. ისინი დამსახურებულად ითვლებიან მეცნიერულ გამოცემებად. მათზე დაწვრილებით არ შევჩერდებით. ვეფხისტყაოსნის სხვა გამოცემებთან ერთად ისინი საგანგებოდ

<sup>5</sup> გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 728, გვ. 3, სურათებიანი დამატება, № 130, გვ. 2.

შეისწავლა და განიხილა სოლ. ყუბანიევილი<sup>6</sup>. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ ვეფხისტყაოსნის დ. კარიჭაშვილისეული გამოცემა შესრულებულია საქმის დიდი ცოდნით, სიფრთხილითა და ტექსტოლოგიურ ნორმათა ზუსტით დაცვით.

გამომცემელმა იტვირთა მეტად სერიოზული, უაღრესად პასუხსაგები და შრომატევადი სამუშაო და კარგადაც გაართვა თავი.

გამოცემის მაღალ დონეზე მომზადებისათვის დ. კარიჭაშვილმა გამოიყენა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და გამოცემები, შეუჭერა ისინი ერთმანეთს, აღნიშნა მათი ღირსება-ნაკლოვანება, კრიტიკულად გასინჯა ტექსტი და დაადგინა რა არის საერთო ყველა ვარიანტში და სად რა ადგილი არის წარყვნილი თუ ყალბი. „ასეთი შრომა რომ შესრულდება, მაშინ შეგვიძლია დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ რა სახისა უნდა ყოფილიყო ავტორის ხელთაგან გამოსული ვეფხისტყაოსანი“-ო, ამბობს დ. კარიჭაშვილი<sup>7</sup>. იგი ცდილობს ვეფხისტყაოსნის ტექსტი წარმოადგინოს ისე, როგორც ეს ავტორს უნდა ჰქონოდა. ამდენად გამომცემელი თავის თავს მოვალედ სთვლის შეძლებისდაგვარად გაასწოროს გადამწერთა დამახინჯებული და წარყვნილი, ხოლო გამოცემებში ცუდად წაკითხული ადგილები და ამას, რა თქმა უნდა, რუსთაველის ენის სწორებად კი არ მიიჩნევს, არამედ მის აღდგენად.

დ. კარიჭაშვილი ვეფხისტყაოსნის ტექსტში ასწორებს სიტყვებს. სასვენ ნიშნებს, აცალკევებს უმართებულოდ გადაბმულ სიტყვებს ან აერთებს გაშორებული სიტყვის ნაწილებს და ყოველივე ამით აადგილებს ტექსტის გაგებას. თუ სხვაგვარად აქვს წაკითხული ან გაგებული რომელიმე სიტყვა ან გამოთქმა, ტექსტის ბოლოს დართულ შენიშვნებში აქვს მოხსენებული და დასაბუთებული.

გამომცემელი გრამატიკული ნორმების გათვალისწინებისა, ლექსიკურ თავისებურებათა მანმარტებისა, ტექსტების კარგად გააზრებისა და შინაარსის გახსნის შემდეგ მეტად ლოგიკურად მიდის სწორ დასკვნამდის, რომ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებსა და გამოცემებში პოემას ერთვის პროლოგ-ეპილოგი, „რომელთა დიდი ნაწილი არც ტექსტთან და არც თვით ერთმანეთთან აზრობრივად არ არიან დაკავშირებული და ამდენად რუსთაველს კი არა, ამა თუ იმ გადამწერს მიეკუთვნებიან“, მაგრამ ზოგჯერ დ. კარიჭაშვილი უკიდურესობაში ვარდება და თითქმის

6 დაცულია ხელნაწერის სახით შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

7 დ. კარიჭაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის რეცენზიის გამო — ჟურნ. „მომავლ“ 1904. № 3, განყ. II გვ. 13—38, № 4, განყ. II, გვ. 38-62.



სრულიად უარყოფს პროლოგ-ეპილოგის გარკვეული ნაწილის ავტორი-სეულობას, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.

ვეფხისტყაოსნის გამოცემას უძღვის დ. კარიჭაშვილის შედგენილი ვრცელი ლექსიკონი, სადაც ახსნილია მრავალი ისეთი სიტყვა, რომლის გაგება კირს პოემის შექმნიდან საუკუნეებით დაშორებულ ადამიანთათვის. ამ ლექსიკონის რეცენზენტს მოსე ჭანაშვილს არ აკმაყოფილებს ზოგიერთი სიტყვის განმარტება<sup>8</sup>, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ კარიჭაშვილმა ეს შეტად რთული, პასუხსაგები, საშვილიშვილო საქმე დიდი გულმოდგინებით და სიყვარულით დაავიროგვინა.

ვეფხისტყაოსნის კარიჭაშვილისეულ გამოცემას ძირითადი ტექსტის წყაროდან, როგორც გამომცემელი უწოდებს, „დედნად“ გ. ქართველიშვილის გამოცემა ჰქონდა. ხსენებული გამოცემა „არის ნაშრომი და ნაღვაწი ჩვენის საუკეთესო ლიტერატორებისა და არის ამასთანავე პირველი ცდა ვეფხისტყაოსნის შეგნებულად და სიფრთხილით დაბეჭდვისა“—ო, აღნიშნავს დ. კარიჭაშვილი<sup>9</sup>.

იგი საგანგებოდ გასცნობია გ. ქართველიშვილის გამოცემებისათვის რედაქციისა და გამომცემელთა მიერ ჩატარებულ ყოველგვარ სამუშაოს და ბევრი რამ სახელმძღვანელოდ გაუხდია თავის გამოცემის მომზადების დროს.

ორიოდე სიტყვით გვინდა მოვიხსენიოთ დ. კარიჭაშვილის მიერ 1904 წ. გამოცემული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის კატალოგი, რომელიც შეიცავს როგორც ხელნაწერ და ნაბეჭდ ქართულ წიგნებს, ისე ქართული ასოებით დაწერილ ან დაბეჭდილ ოსურ, სომხურ, სპარსულ და თათრულ წიგნებს. სულ 3875 ნომერია და ცხრამეტი განყოფილებისაგან შედგება. ერთვის წინასიტყვაობა და გამოტოვებული წიგნებისა და ნომრების სია. გადასწორებული ნომრები და შეცდომათა გასწორება.

კატალოგი ბიბლიოგრაფიის თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა, მაგრამ რამდენადაც მასში დასმული და წინ წამოწეული არ არის. არც ერთი ტექსტოლოგიური საკითხი, იგი ჩვენი განხილვის ობიექტს არ წარმოადგენს.

გვინდა შევეხოთ დ. კარიჭაშვილის ერთ ტექსტოლოგიურ გამოკვლევას — „ვინ არის კალმასობის ანუ ხუმარსწავლად წოდებული ქარ-

<sup>8</sup> მოსე ჭანაშვილი, „სახალხო გაზეთი“, 1912, № 641, გვ. 2—3.

<sup>9</sup> დ. კარიჭაშვილი, „ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის რეცენზიის გამო“.. ეურნ. „მოამბე“, 1905, № 4, განყ. 11, გვ. 38—62.

თული ენციკლოპედიის ავტორი<sup>10</sup>, სადაც დასმული და დასაბუთებულა ავტორობის ანუ ატრიბუციის საკითხი.

ხსენებულ ნაშრომში დ. კარიჭაშვილი მიმოიხილავს მანამდე არსებულ ყველა გამოკვლევას თუ ცნობას „კალმასობის“ ავტორის ვინაობაზე, მას განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ნესტორ წერეთლის საგვარეულო არქივში აღმოჩენილი ერთი ფრიად დაზიანებული ხელნაწერისათვის (S—5374), გულდასმით შეუსწავლია იგი და მისულა იმ დასკვნამდის, რომ ეს ხელნაწერი წარმოადგენს დაბეჭდილი „კალმასობის“ გაგრძელებას. ეს ვარაუდი დაადასტურა დიმიტრი ბაქრაძის მიერ 1861 წ. „ცისკარში“ გადმოცემული „კალმასობის“ შინაარსისა და ზემოხსენებული ხელნაწერის შინაარსის ურთიერთშედარებამ. დ. კარიჭაშვილმა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე, იმავე წერეთლის არქივში მოპოვებულ მეორე ხელნაწერზე (S — 5375) და ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ ორ ხელნაწერზე, რომლებიც სხვა ქართულ ხელნაწერებთან ერთად, ჩამოტანილ იქნა თბილისში. ყველა ამ ხელნაწერთა საფუძვლიანი შესწავლით დ. კარიჭაშვილმა დაამტკიცა, რომ ისინი ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენენ და შეიცავენ ერთ თხზულებას.

დ. კარიჭაშვილმა დაამტკიცა აგრეთვე, რომ „კალმასობის“ ავტორი იოანე ბატონიშვილია და არა იონა ხელაშვილი. „ამის პირველი და უმთავრესი საბუთი არის ის — ამბობს დ. კარიჭაშვილი, — რომ ეს უშველებელი თხზულება, ჯერჯერობით ერთ ცალად ცნობილი, არის თავითგან ბოლომდე დაწერილი იოანე ბატონიშვილის საკუთარის ხელით. მეორე საბუთია ის, რომ იგი დაწერილია არა ერთიანად, არამედ თანდათანობით რვა—თორმეტი წლის განმავლობაში. მესამე — ის, რომ თვით ხელნაწერზე აღნიშნულია, თუმცა სხვის ხელით, თხზულების ავტორად იოანე ბატონიშვილი და მის ავტორობაში ექვი არავის შეუტანია თხზულების დაწერის ახლო ხანებში. მეოთხე — ის, რომ ამ თხზულების ზოგიერთი შემადგენელი ნაწილი, მცირეოდენის ცვლილებით მოპოვება ცალკეც იოანე ბატონიშვილის ხელით დაწერილი მის მიერვე ხელმოწერილის წინასიტყვაობით, საითგანაც ჩანს მისი ავტორობა, მეხუთე — ის, რომ იოანე ბატონიშვილის მაგიერ მის ავტორად იონა ხელაშვილის ჩათვლა ყოველსავე საფუძველს მოკლებულია. ის გარემოება, რომ იონა ხელაშვილს არსად აქვს მოხსენებული თავის თხზულებათა შორის „კალმასობა“ ანუ უკეთ ვსთქვათ „ხუმარისწავლა“, იმას ამტკიცებს, რომ იონა ხელაშვილს აზრადაც არ მოს-

<sup>10</sup> კრებ. „საქართველოს არქივი“ 1927, წიგნი II, გვ. 29.

ვლია იმ თხზულების დაწერა... ის კაცი, რომელიც ყოველ თავის წიგნს ურთავდა თავის ნაწარმოებთა სიას, ნუთუ არ მოიხსენიებდა იმისთანა უზარმაზარს შრომას, როგორიც იყო „ხუმარსწავლა“?

დ. კარიჭაშვილის მოსაზრება გამართლდა. მან მიაკვლია ერთ პირად წერილს (S—1532), იონა ხელაშვილს 1825 წ. სექტემბრის 4-ს ომებისათვის და რძლებისათვის მიუწერია: „მე თუ ისევ მეროჭიკე (მოჯამაგირე — დ. კ.) ვყოფილიყავ, ჩემი სახელი აქვე მკვდარი იქნებოდა. ათვითცა მრავალი წიგნები შევკითხე ჩემით. საქართველოსათვის და დაბადების (დაბადება — ბიბლია — დ. კ.) ოდენი წიგნი დაწერა, თორმეტი წელიწადია ჰსწერს იოანე ბატონისშვილი ჩემს სახელსა ზედა, ე. ი. მალაპარაკებს ყოველსავე ჰსწავლასა სულიერსა და ხორციელსა“. წერილის ამ ადგილს დ. კარიჭაშვილი შემდეგნაირ კომენტარს უკეთებს: „დაბადების ოდენი, რომელსაც სწერდა თორმეტის წლის განმავლობაში იოანე ბატონისშვილი და რომელშიაც იგი ალაპარაკებს იონა ხელაშვილს ყოველსავე სულიერს და ხორციელს სწავლას, ცხადია, არის „კალმასობა“ ანუ „ხუმარსწავლა“<sup>11</sup>.

ზემოხსენებული წერილის მოპოვებამ საბოლოოდ დაადასტურა დ. კარიჭაშვილის ვარაუდი.

ნაშრომი „ვინ არის კალმასობის ანუ ხუმარსწავლად წოდებული ქართული ენციკლოპედიის ავტორი“ სხვა მხრივაც არის საინტერესო.

აქ დამაჯერებლად უარყოფილია იოანე ბატონისშვილისადმი წაყენებული ბრალდება პეტრე ლარაძის „დილარიანის“ მითვისების გამო.

აქვე სქოლიოში ახსნილი და შესწორებულია ქმშკგ საზოგადოების კატალოგში (შემდგენელი დ. კარიჭაშვილი) ერთ ადგილას გაპარული შეცდომა, რამაც თავის დროზე კიდევ ერთი გაუგებრობა გამოიწვია, სახელდობრ: იონა ხელაშვილის ლექსიკონის ავტორად სოლომონ დოდაშვილის გამოცხადება.

საერთოდ დ. კარიჭაშვილი უყურადღებოდ და უპასუხოდ არ ტოვებდა არც ერთ საკითხს, საფუძვლიანად სწავლობდა მათ და იძლეოდა ვარაუდებსა თუ დასკვნებს.

ვეფქრობთ, ეს პატარა მიმოხილვაც ნათლად წარმოგვიდგენს, თუ რაოდენ კარგად ჰქონდა მას გაცნობიერებული, შესწავლილი და პრაქტიკულად გამოყენებული ტექსტოლოგიის ძირითადი პრინციპები, რამდენად სწორი მეცნიერული ალღო ჰქონდა დათარღლებისა, ავტორობის დადგენისა თუ სხვა საკითხების გადაწყვეტის დროს. ყოველივე ამის გამო ქართველ რედაქტორ-გამომცემელთა შორის დ. კარიჭაშვილს საპატიო ადგილი უჭირავს.

<sup>11</sup> დ. კარიჭაშვილი, „დამატებითი შენიშვნა“, კრებ. „საქართველოს არქივი“, 1927, წიგნი 11, გვ. 187.

ილია ჭავჭავაძის „ვახტანგ ორბელიანის  
ბიოგრაფიის“ დათარიღებისათვის

დღემდე არ არის დადგენილი თარიღი, თუ როდის არის დაწერილი ი. ჭავჭავაძის „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის-ძის თავ. ჭამბაკურიან-ორბელიანისა“. ნაშრომის დათარიღებასა და განსაკუთრებით ძის გარშემო არსებული უცნობი მასალების გამოვლენას, გარკვეული მნიშვნელობა აქვს მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა და აზროვნების ისტორიის არა ერთი საკითხის შესწავლასა და გადაჭრაში. უცნობი მასალები აგრეთვე იძლევიან საფუძველს დევასკენათ, რომ ი. ჭავჭავაძის ეს ნაშრომი არის კრიტიკულ-ლიტერატურული წერილი და არა „ბიოგრაფია“, ან თუნდაც, „მოკლე ბიოგრაფია“. ამასთან, მტკიცდება, რომ ეს წერილი ორგანულ კავშირშია ი. ჭავჭავაძის აღრინდელ ნაშრომთან „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“. იგი ემყარება დასახელებულ „წერილების“ სახელმძღვანელო დებულებებს და, გარკვეულ ნაწილში, ავსებს მას. ამდენად, ჩვენი ნარკვევი, არ არის შემოფარგლული მხოლოდ დათარიღების საკითხით.

ი. ჭავჭავაძის ნაწერების აკადემიური გამოცემის „სარედაქციო შენიშვნებში“ პ. ინგოროყვა 1953 წ. წერდა: „თუ როდის არის დაწერილი ვახტანგ ორბელიანის ეს ბიოგრაფია, ამის შესახებ ზედმიწევნითი ცნობები არა გვაქვს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ იგი 1893—1894 წლების ფარგლებს არ სცილდება, რადგან ეს ბიოგრაფია, როგორც ჩანს, დაწერილია სპეციალურად ვახტანგ ორბელიანის ლექსთა კრებულის გამოცემისათვის 1894 წლისა. ამ თარიღს იხიცი ეთანხმება, რომ ილიას ამ ბიოგრაფიის დაწერის დროს გამოუყენებია ზოგიერთი ადგილები „წერილებიდან ქართულ ლტერატურაზე“, რომელიც... 1892 წელს ეკუთვნის, და რომლის გამოქვეყნებაც ავტორმა, საცენზურო პირობების გამო, ვეღარ მოახერხა!“.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. III, თბ., 1953, გვ. 496.

ამრიგად, დათარიღების, თუნდაც სარწმუნო ვარაუდიც კი, თითქმის სამ წელს მოიცავს. მკვლევრის აზრით, ნაშრომის დაწერის დრო 1892 წლიდან, კერძოდ „1893—1894 წლების ფარგლებს არ სცილდება“.

ხელთა გვაქვს დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ჩვენს სიძველეთსადაც შემოუნახავთ და რომელთა მიხედვით ხერხდება დავადგინოთ, თუ როდის არის დაწერილი ი. ჭავჭავაძის აღნიშნული კრიტიკული წერილი.

ახლად მოპოვებული მასალებით მტკიცდება, ეს ნაშრომი ი. ჭავჭავაძის საგანგებოდ აქვს დაწერილი კრებულისათვის „ლექსები ვახტანგ ორბელიანისა“, რომელიც 1894 წელს არის გამოცემული.

ი. ჭავჭავაძის, ჯერ კიდევ 1891 წელს ჰქონია განზრახული დაეწერა ნაშრომი ვ. ორბელიანის შესახებ. ამ განზრახვას, უდავოა, განაპირობებდა უპირველეს ყოვლისა ის დიდი ინტერესი, რასაც ი. ჭავჭავაძე თავიდანვე ვ. ორბელიანის პოეზიისადმი იჩენდა, იქამდის კი, როგორც უკვე ცნობილია, მას ვ. ორბელიანის ზოგიერთი ლექსი თვით ხელნაწერშიც უნდა სცოდნოდა<sup>2</sup>. ხოლო, მეორეს მხრივ ი. ჭავჭავაძის ეს სურვილი გადაუდებელი გამხდარა ვ. ორბელიანის თხზულებათა ხსენებული კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით, რომელიც ი. ჭავჭავაძის საერთო ხელმძღვანელობით მზადდებოდა<sup>3</sup>.

კრებულის გამოცემისათვის მუშაობა დაწყებული იქნა 1891 წლის ოქტომბრიდან, მის შემდეგ, რაც საზღვარგარეთიდან დაბრუნდა მარიამ ორბელიანი (1852—1941). გამოცემელთა გეგმის მიხედვით, ვ. ორბელიანის თხზულებათა ეს კრებული, პ. უმიკაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, რიგიანი უნდა ყოფლიყო, უნდა დართოდა, დროის კვალობაზე, სრული სამეცნიერო აპარატურა. კერძოდ, პოეტის ბიოგრაფია, რომელშიც შემოქმედების გარჩევაც (წინასიტყვაობის სახით) იყო ნავარაუდევო, იგი თავდაპირველად ი. მეუნარგიას უნდა დაეწერა<sup>4</sup>. „ეს წინასიტყვაობა და ბიოგრაფია შენ მოგანდეს, ამისათვის მასალები უნდა შეეკრიბოთ და გამოგიგზავნოთ... ჩვენ ამ ერთი თვის განმავლობაში შე-

<sup>2</sup> ნ. ალანია, ი. ჭავჭავაძისა და ვ. ორბელიანის შემოქმედებითი ურთიერთობის სწავლებისათვის, ჟურნ., „სკოლა და ცხოვრება“, 1962, № 3, გვ. 39.

<sup>3</sup> წიგნის ფაქტიური რედაქტორი იყო პ. უმიკაშვილი. რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე ი. გოგებაშვილი და ექ. თაყაიშვილი; გამოცემის ინიციატივა ეკუთვნოდა პოეტის ქალიშვილს მარ. ორბელიანს (იხ. პ. უმიკაშვილის წერილი ი. მეუნარგიასადმი, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის „შრომები“ I, თბ., 1947, გვ. 225).

<sup>4</sup> იქვე, გვ. 225.

ვუდგებით ლექსების ბეჭდვას და ყოველ ფორმას. დაბეჭდვისთანავე გამოვიგზავნიოთ წინასიტყვაობისათვისოა“ — წერდა პ. უმიკაშვილი ო. მეუნარგიას რედაქციის პირველი სხდომის შემდეგ 1891 წ. 14 ოქტომბერს<sup>5</sup>. მათი ვარაუდით, ო. მეუნარგიას მთლიან ნაშრომს, ჩვეულებრივ, წინასიტყვაობის მოვალეობაც უნდა შეესრულებინა და იგი ლექსებისათვის ერთგვარი შესავალიც უნდა ყოფილიყო. ამიტომ, როგორც ქვევით დავინახავთ, როცა კრებულის ამ ნაწილზეა ლაპარაკი, მას, ერთად აღებულს, წინასიტყვაობას უწოდებენ.

მაგრამ ფოთის ქალაქის ხმოსანს ო. მეუნარგიას<sup>6</sup> 1892—1895 წლებში ქალაქის თავის მოვალეობაც დაეკისრა და, იმ ხანად, იგი თოქპის მთლიანად მოწყდა ლიტერატურულ საქმიანობას<sup>7</sup>; ალბათ, ვერც გამოცემლებმა შეძლეს მასალები გაეგზავნათ მისთვის. როგორც ჩანს, სან ვერ მოახერხა დაეწერა ნაშრომი ვ. ორბელიანის შესახებ, (ივარაუდება 1891 წ. ბოლოსათვის)<sup>8</sup>. შესავლის დართვა კი კრებულისათვის რედაქციას აუცილებლად მიიჩნდა.

ჩვენი „მწერლობის საბიოგრაფიო მასალა ზრულიად შეუსწავლელია, — წერდა ჯერ კიდევ ადრე პ. უმიკაშვილი, — დრო მიდის და თან შიაქვს ის მცირეოდენი ცნობა, რაც შეეხება ამ საუკუნის პირველი დროის მწერლებსაო“<sup>9</sup>. მკვლევრის ამ სიტყვებში საზოგადოებისაერთო აზრი იყო გამოთქმული. ზოლო კერძოდ, იმ ხანებში სალიტერატურო კრიტიკაში უკვე პირდაპირ უარყოფითად მსჯელობდნენ პოეტურ თხზულებათა იმ კრებულებზე, რომლებიც გამოცემული იქნებოდა „სადად, ყოველ შენიშვნას მოკლებულ, უბიოგრაფიო ცნობებით“<sup>10</sup>.

რასაკვირველია, ო. ჰავკვაძეს, როგორც კრებულის რედაქციის წევრსა და გამოცემის საერთო ხელმძღვანელს, ეს ყოველივე კარგად

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> Кавказск. календ., 1892, გვ. 103—104.

<sup>7</sup> ო. მეუნარგია, ნამსახურების სია (ავტოგრაფი). საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი № 17433.

<sup>8</sup> უფრო გვიან, ანალოგიური პირობების გამო, ფოთში მყოფი ო. მეუნარგია, ივ. მაჩაბლის ბიოგრაფიის თაობაზე წერდა ტ. მაჩაბლისას, ივ. მაჩაბლის მეუღლეს: „ბატონო ენეინა თბილისის გარეშე ვანოს ბიოგრაფია არ დაიწერება და ამითვის, რადგანაც თბილისში ყოფნა არ შემოიძლია, ჩემდა სამწუხაროდ, აღთქმული ბიოგრაფიის წერას თავი უნდა გავანებო. ბოდიშს ვიხდი თქვენთან, რომ პირობას ვერ ვასრულებო“. (იქვე. 14266—ხ).

<sup>9</sup> პ. უმიკაშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1937, გვ. XXIV.

<sup>10</sup> ა. ხ. (ალექსანდრე ხახანაშვილი), ლექსები ვახტანგ ორბელიანისა, „ივერია“, 1895, № 74.

ჰქონდა გათვალისწინებული, როცა მან თვითონ იკისრა „ტკბილად-მთქმელი“ პოეტის<sup>11</sup> ცხოვრებისა და შემოქმედების გარშემო კრებულისათვის დაეწერა წინასიტყვაობა. ჩვენამდე შემონახულია საკითხის თაობაზე პ. უმიკაშვილთან არსებული მიმოწერა, რომლის მიხედვით აშკარად ჩანს, თუ რა პირობებში განუცხადებია ი. ჭავჭავაძეს სურვილი, მოუხზავს ნაშრომის გეგმაც, რომ დაეწერა ვრცელი გამოკვლევა ვ. ორბელიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, თუმცა უდროობა საქმის თავიდანვე აფერხებდა.

1891 წ. დეკემბერში ი. ჭავჭავაძეს განზრახული ჰქონდა, შესაძლებელია ბანკის საქმეების გამო, წასულიყო პეტერბურგში. გადაუწყვეტია, იქ წაეღო სათანადო მასალები, გამოენახა დრო და ემუშავა ნაშრომზე ვ. ორბელიანის შესახებ. ი. ჭავჭავაძეს ბიოგრაფიული ცნობებისა და პოეტის ლექსების თაობაზე რედაქციისათვის, კერძოდ, მარიამ ვახტანგის ასულისათვის მიუმართავს. ცხადია, ილიას მხედველობაში უნდა ჰქონოდა ლექსებისა და საბიოგრაფიო ცნობების შეგროვებაში რედაქციის მიერ ოქტომბრიდან ჩატარებული ღონისძიებანი<sup>12</sup>. მაგრამ რედაქციის ხელში ამ დროს ჯერ კიდევ არ ყოფილა ვ. ორბელიანის ერთად შეკრებილი ლექსები.

---

11 „ივერიის“ ნეკროლოგი ვ. ორბელიანის გარდაცვალებაზე, „ივერია“, 1890, № 209.

12 მასალებს კრებულისათვის „ლექსები ვახტანგ ორბელიანისა“ რედაქცია უმთავრესად ორბელიანთა ოჯახში, კერძოდ მარიამ ვახტანგის ასულთან აგროვებდა: სხლამებიც მათთან იწვეოდა. პოეტის გარშემო საჭირო ცნობებსაც მათგან, კერძოდ მ. ორბელიანისაგან იღებდნენ. „ეს ორი წერილი ვახტანგ ორბელიანისაა, რომელიც გადმომცა მარიამ ვახტანგის ასულმა, — წერდა პ. უმიკაშვილი ი. ჭავჭავაძეს, — ბიოგრაფიის მასალად თუ გამოავადგაო...“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის ფონდი, № 202); ილიამ დამთავრებისთანავე, რედაქციისათვის მარიამს გადასცა თავისი ნაშრომი (საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი № 13404).

კრებულზე მუშაობის დაწყებისათვის უკვე ხელნაწერად არსებობდა მარიამის „მოგონებანიც“, რომელთა დამუშავება, თავისი გამზრდელის ქეთევან გოგოლაშვილის ნაამბობის მიხედვით, მარიამს 1884 წლიდან ჰქონდა დაწყებული (ლიტერატურის მატრიანე, წიგნი 5, ნაკვეთი პირველი. თბილისი, 1949, გვ. 97). ამ დროისათვის რედაქციის ბიკაგრაფულუმაში ყოფილა, აგრეთვე, პოეტის დიდი მეგობრის კ. მამაცაშვილის ბიოგრაფიული ნარკვევიც — „გენერალ-მაიორ ვახტანგ ვახტანგის ძე ჭამბაქურიან-ორბელიანი“, რომელიც ბევრგან მარ. ორბელიანის „მოგონებებს“ მიჰყვება და დაწერილია სწორედ იმავე წელს, ზუსტად ერთი თვით ადრე. ვიღრე .ი. ჭავჭავაძე რედაქციას მოთხოვდა მასალებს ვ. ორბელიანის ცხოვრებასა და პოეზიაზე. (კ. მამაცაშვილის ნარკვევი დათარიღებულია 1891 წ. 21 ოქტომბრით, იქვე, გვ. 110. ეს უკანასკნელი მარიამთან ინახებოდა შემდეგაც), კ. მამაცაშვილის ხსენებული ნარკვე-

11. ჭავჭავაძის ამ გადაწყვეტილებების თაობაზე მარიამს, რომელიც იმხანად ავად ყოფილა, პ. უმიკაშვილისათვის თხოვნით მიუმართავს: წერილი უმიკაშვილთან მარიამის რძალს, ნიკ. ვახტანგის ძე ორბელიანის მეუღლეს, ნინო ნიკოლოზის ასულს (თუმანიშვილ-ორბელიანს) პიუწერია. უკანასკნელი აცნობებდა პ. უმიკაშვილს მარიამის ავადმყოფობასა და თხოვდა, მისი სახელით, რომ გადაუღებელი საქმის გამო. სასწრაფოდ შეეველო მათთან. წერილი დათარიღებულია 1891 წ. 20 დეკემბრით<sup>13</sup>. მაგრამ თვით უმიკაშვილიც ავად ყოფილა, რაც წერილითვე უცნობებია მარიამისათვის და უთხოვნია, გაეთვალისწინებინა, თუ კრებულის თაობაზე იბარებდა, ლექსები სასტამბოდ 15 იანვრისა-ჟვის ექნებოდა მზად<sup>14</sup>.

ორი დღის შემდეგ, ავადმყოფ მარიამს პ. უმიკაშვილისათვის განუმარტავს ი. ჭავჭავაძის განზრახვა და პ. უმიკაშვილის სასწრაფო დაბარების მიზეზი. არსებობს მარ. ორბელიანის პ. უმიკაშვილისადმი 1891 წ. 22 დეკემბრის თარიღით მიწერილი წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ: „Кн. Илья Чавчавадзе, взявшись столь любезно, написать Биографию, отца моего и разбор его стихотворении хочет заняться этим в Петербурге. Для это ему нужно будет иметь собой стихотворения отца моего“. ამიტომ, — თხოვს მარიამი პ. უმიკაშვილს, — სასწრაფოდ, როგორმე ი. ჭავჭავაძის წასვლამდე, გადააწერინოს ვინმეს ვ. ორბელიანის ლექსები, რომ მარიამ ორბელიანმა. ი. ჭავჭავაძეს პეტერბურგში თან გაატანოს ისინი<sup>15</sup>.

ამრიგად, 1891 წლისათვის, ჯერ კიდევ ადრე, ვიდრე დაიწერებოდა მისი „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, ი. ჭავჭავაძეს თვითონ უქისრია დაეწერა ნაშრომი ვ. ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების გარშემო.

---

ვის ერთადერთი ავტოგრაფი (რუსულად) მ. ორბელიანმა, თავის „წერილ ჩანაწერებთან ერთად“, ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, ჩააბარა ლიტერატურის მუზეუმს. (იქვე, გვ. 110). ყველაფერი ეს ხელთ ჰქონია ი. ჭავჭავაძეს, როცა იგი წინასიტყვაობას ამზადებდა კრებულისათვის, „ლექსები ვახტანგ ორბელიანისა“. მაგრამ, სამწუხაროდ ეს მასალები ყოველთვის ვერ არის სანდო, ი. ჭავჭავაძე კი სხვა წყაროების უქონლობის გამო, იძულებულია, ხშირად სიტყვასიტყვით, იმეორებდეს მათ. ამით აიხსნება ი. ჭავჭავაძის „ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიაში“ არსებული შეუსაბამობანი. რომელთა შესახებ, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ნაწილობრივ, ჯერ კიდევ ამ ოცდაათი წლის წინათ იყო მითითებული (ს. კილაია, ვახტანგ ორბელიანი, თბილისი 1941, გვ. 25).

13 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, ფოლკლორის არქივი, პ. უმიკაშვილის ფონდი, 9.

<sup>14</sup> ი ქ ვ ე.

<sup>15</sup> ი ქ ვ ე.



არ ვიცით პ. უმიკაშვილმა ცალკე გადააწერინა თუ არა მაშინ ვინ-მეს ვ. ორბელიანის ლექსები, დანამდვილებით არც ის არის ცნობილი, წავიდა თუ არა ი. ჭავჭავაძე 1891 წ. დეკემბრისათვის პეტერბურგში. მაგრამ, როგორც ჩანს, თავისი ეს განსაზღვრა მაშინ ი. ჭავჭავაძეს სისრულეში ვერ მოუყვანია.

წინასიტყვაობის მოლოდინში კი სტამბისათვის ჩაბარებული ვ. ორბელიანის ლექსები უკვე დაუბეჭდილად და მზად ყოფილა. დიდი ხანი უცდიდა კრებული წინასიტყვაობასა და სხვა დამატებით მასალებს. ასეთ პირობებში რედაქციას, პირადად მარ. ორბელიანის მეშვეობით, 1894 წელს, ილ. ჭავჭავაძისათვის უთხოვია, როგორმე დაჩქარებით დაეწერა წინასიტყვაობა<sup>16</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ილია, მარიამის სიტყვით, ამ დროს „საშინლად იყო დატვირთული საქმეებით“, მას მაინც თანხმობა განუცხადებია. სამწუხაროდ, მარიამს თავის მოგონებაში არა აქვს ნათქვამი თუ 1894 წლის რომელ თვესა და რიცხვში შეხვდა იგი ი. ჭავჭავაძეს. ეს კი შესაძლებლობას მოგვცემდა, ზუსტად გაგვეჩვენა, რა დროისათვის არ ჰქონდა ჯერაც დაწერილი ნაშრომი ავტორს.

ამ მხრივ საყურადღებო ცნობები შემოუნახავს ეკ. გაბაშვილის მიერ პ. უმიკაშვილისადმი გაგზავნილ ერთ კერძო წერილს, რომლიდანაც ირკვევა, რომ ადრე პ. უმიკაშვილს ეკ. გაბაშვილისათვის უთხოვია, ენახა მარ. ორბელიანი, გაეგო მისგან კრებულის გამოცემის საქმეთა მსვლელობა და ზესტაფონში ეცნობებინა მისთვის<sup>17</sup>. ეკ. გაბაშვილი წერდა პ. უმიკაშვილს: მარიამ ორბელიანმა „მითხრა, რომ ილიას კინაღამ ხელზე ვაკოცე იმ დაპირებისათვის, რომელიც იმან გუშინწინ მომცა! უთუოდ ამ ცოტა ხანში მოვამზადებ წინასიტყვაობას და შეგიძლიათ წიგნები გამოიტანოთ ცენზორისაგან (ვახტანგის ლექსებიო)“<sup>18</sup>.

ამავე საკითხზე 1894 წლის 13 თებერვალს პ. უმიკაშვილი ეკატერინე გაბაშვილს სწერს: „დიდი მადლობელი ვარ, რომ ვახტანგის ქალი გინახიათ და გიკითხავთ, მე ძალიან მაწუხებს, რომ „ვახტანგ ორბელიანის ლექსები“ წელიწად ნახევარი მეტი სტამბაში უნდა ლპებოდეს, ენახოთ, ილია დაწერს თუ არა წინასიტყვაობას. კიდევ ეპკვი მაქვს, მეტადრე ეხლა. ჭავჭავაძეს საქმეები ბევრი აქვს და თვითონაც არ იცის, რა

<sup>16</sup> მარიამ ორბელიანი, ცალკეული მოგონება (ეპიზოდი ილიას ცხოვრებიდან), საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, მოგონებათა ფონდი, ხელნაწერი № 13404.

<sup>17</sup> პ. უმიკაშვილი ამ დროს ზესტაფონში მსახურობდა.

<sup>18</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, ფოლკლორის არქივი, პ. უმიკაშვილის ფონდი, 9.

როდის რის დაწერა შეუძლია; აი, ახლა მომავალ ბანკის კრებისათვის რამდენი ანგარიშები და საწერები ექნება, სადღა მოიცლის სალიტერატურო მუშაობისათვის, ჩვენი საქმეები სულ ასეა... გული გვერჩის, გვინდა რაზე გავაკეთოთ და ცხოვრება კი გვიხლართავს გზებს. აი, თუნდაც პატარა, მომცრო წიგნის (წიგნის კი არა ბროშურის) გამოტანა სტამბიდან... როგორ გაძნელდა“<sup>19</sup>. აქ უკვე პირდაპირაა ნათქვამი, რომ ი. ჭავჭავაძეს 1894 წ. თებერვლის პირველ ნახევარში არ ჰქონია დაწყებული წერილზე მუშაობა. პ. უმიკაშვილს, 1894 წ. 13 თებერვლისათვის, კიდევ ექვი აქვს ი. ჭავჭავაძე „დაწერს თუ არა წინასიტყვაობას“, მაგრამ იმედს არ ჰქარავს. თუმცა ი. ჭავჭავაძეს 1894 წ. თებერვლის შუა რიცხვებისათვის არ ჰქონია დაწყებული წერილის წერა.

ცხადია, ი. ჭავჭავაძეს ბანკის საქმეებთან დაკავშირებით ბევრი სამუშაო ისევ წინ ჰქონდა. ამიტომ, პ. უმიკაშვილის ექვიც არ იყო საფუძველს მოკლებული.

მაისის დამდეგისათვის იწყებოდა ბანკის წვერთა მორიგი საერთო კრება<sup>20</sup>, რომელიც ისმენდა გამგეობის თავმჯდომარის ანგარიშს. გარდა ამისა, ი. ჭავჭავაძის რწმუნებას, თავმჯდომარის თანამდებობაზე, ვადა გაუდიოდა. ილიამ კარგად იცოდა, რომ ოპოზიცია ახალი გადამწყვეტი იერიშებისათვის ემზადებოდა. საჭირო იყო ყველა წვრილმანის გათვალისწინება. როგორც ცნობილია, 1894 წელს მთელი 14 დღე მიწინარეობდა მწვავე კამათი<sup>21</sup>. მართლაც, „ბანკის გამგეობასა და ოპოზიციას შორის გაჩაღებულმა ბრძოლამ კულმინაციურ წერტილს მიიღწია“<sup>22</sup>. გასაგებია, თუ გამგეობის თავმჯდომარეს „ბანკის კრებისათვის რამდენი ანგარიშები და საწერები“ ექნებოდა. სწორი იყო პ. უმიკაშვილის ნაღვლიანი სიტყვებიც: ი. ჭავჭავაძეს სადღა შეეძლო მოეცალა „სალიტერატურო მუშაობისათვის“... ამ მხრივ მას, მართლაც, თვით ცხოვრება „უხლართავდა გზებს“.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ი. ჭავჭავაძეს მარ. ორბელიანისათვის მიცემული პირობა მართლაც შედარებით „ცოტა ხანში“ შეუსრულებია: 1894 წლის 29 მარტს წერილი ხელთ ჰქონია

19 პროფ. მ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, პეტრე უმიკაშვილის ოთხი წერილი ეკატერინე გაბაშვილისადმი, პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, 1, 1941 გვ. 60.

20 „ივერია“, 1894, № 99.

21 ი ქ ვ ე, 1894, № 111.

22 პ. რ ა ტ ი ა ნ ი, ილია ჭავჭავაძე, პოლიტიკურ-ეკონომიური შეხედულებანი, ტ. 11, თბ., 1957, გვ. 218.

კრებულის რედაქტორს პ. უმიკაშვილს, ხოლო გაცილებით უფრო ადრე — მარ. ორბელიანს.

პ. უმიკაშვილს 1894 წ. 29 მარტს დაწერილი აქვს კრებულის წინასიტყვაობის ვრცელი ვარიანტი, რომელსაც იგი „სარედაქციო შენიშვნას“ უწოდებს. დატულია მისი ავტოგრაფი<sup>23</sup> (შემოკლებული ვარიანტი დაბეჭდილია კრებულში იმავე თარიღით: „29 მარტს, 1894 წ.“)<sup>24</sup>. წინასიტყვაობის ვრცელ ვარიანტში პ. უმიკაშვილი მსჯელობს ი. ჭავჭავაძის აღნიშნულ ნაშრომზე. ეს ნაშრომი, წერს 1894 წ. 29 მარტს პ. უმიკაშვილი, „განსაკუთრებით ამ გამოცემისათვის არის მომზადებული ერთის ჩვენის პატივცემულის მწერლის მიერ“. იგი, მისი თქმით, ორი ნაწილისაგან შედგება. მასში „მოცემულია პოეტის მოკლე ბიოგრაფია და დახასიათება მისის პოეზიისა“. პ. უმიკაშვილს უფრო საყურადღებოდ მიაჩნია ნაშრომის მეორე ნაწილი. ეს ნაწილი, მისი აზრით, „ნამდვილი მართალი და უტყუარი სჯაა ვახტანგ ორბელიანის ნაწერების მნიშვნელობაზე“.

აღსანიშნავია, რომ აქ პ. უმიკაშვილი პირველად მიუთითებს ნაშრომის ორ ნაწილზე, რომელთაგან პირველი პირდაპირი მინიშნებაა წერილის ახალი სათაურისა (მოკლე ბიოგრაფია). ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვით ი. ჭავჭავაძემ სასტამბო ცალში თუ არ შეიტანა შესწორება, მაშინ პ. უმიკაშვილს სწორედ 1894 წ. 29 მარტს უნდა შეეცვალა ი. ჭავჭავაძის პირვანდელი სათაური: „ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფია ილია ჭავჭავაძისა“ ახალი სათაურით: „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძის თავ. ჯამბაყურიან-ორბელიანისა“.

გარდა ზემოხსენებულისა, რომ წერილი პ. უმიკაშვილს უკვე ხელთ ჰქონდა 1894 წ. 29 მარტს, ეს შემდეგიდანაც მტკიცდება: 1894, III, 29 პ. უმიკაშვილს მოუმზადებია, წინასიტყვაობასთან ერთად, სხვა, დამატებითი მასალებიც. ხოლო ყველაფერი ეს — ი. ჭავჭავაძის წერილი, „ქრონოლოგიური მაჩვენებელი“, რომელიც მას ჯერ კიდევ 1892 წლიდან ჰქონდა შედგენილი<sup>25</sup> და სხვა, წინასიტყვაობის შემოკლებულ ვარიანტთან ერთად, მეორე დღეს პ. უმიკაშვილს სტამბაში გაუგზავნია. „ამხანაგობის სტამბაში გაუგზავნენ 30 მარტს შენი წე-

23 საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, 54906 გ.

24 არსებობს მესამე ვარიანტიც. იგი უთარღოა და ნაწილობრივ განსხვავდება როგორც დაბეჭდილი, ასევე დაუბეჭდავ ვრცელ ვარიანტისაგან (იქვე).

25 საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, ფოლკლორის არქივი, უმიკაშვილის ფონდი, 10.

რილი და რაც აკლდა ვახტანგის ლექსების გამოცემას, — სწერდა პ. უმიკაშვილი ი. ჭავჭავაძეს, — სტამბაში მითქვამს, რომ მეორე კორექტურა მოგართვან. მე მოკლე სარედაქციო შენიშვნა გავაკეთე, ბოლოში დაერთვის ქრონოლოგიური მაჩვენებელი, როდის რა ლექსია დაწერილი ან დაბეჭდილი. მომატებული ლექსები 1879 წ. მერედ არის დაწერილი. ორი დღე ვიყავი ქალაქში, დრო ვერ ჩავიგდე, მენახე... შენი პეტრე უმიკაშვილი. 1 აპრილს, 1894 წ. ჭიათურა“<sup>26</sup>.

1894 წ. 30 მარტს სტამბაში გაგზავნილი ყველა მასალა და მათ შორის ი. ჭავჭავაძის წერილი ივნისში უკვე დაუბეჭდიდათ. მაგრამ, რატომღაც ი. გოგებაშვილს პ. უმიკაშვილთან შეთანხმების გარეშე, პ. უმიკაშვილის უკვე „დადგენილი რიგი“ შეუცვლია. ცნობის მიღებისთანავე პ. უმიკაშვილი, 25 ივნისს, კატეგორიული ტონით წერდა ი. გოგებაშვილს: „ეხლა მე არ ვიცი როგორ იბეჭდება ან ჩემი შენიშვნა (ლაპარაკია უმიკაშვილის მოკლე წინასიტყვაობაზე. ნ. კ.) ან რიგი დასტამბული ნაწილებისა, რომელიც გადავეცი სტამბას და ან წინასიტყვაობა ჭავჭავაძესი რა ადგილას იბეჭდება? ჩემგან დადგენილი რიგი შეგიცვლია შენ, არაფერს კი არ მატყობინებ. ეს როგორი საქმეა, სადაურია, რომელ სალიტერატურო შრომაში გაგონილა? მე მწყინს, ძალიან მწყინს და გთხოვთ გამოგზავნოთ ყოველივე, რაც ჩემ უნახავად დაგბეჭდინებია, ყდის ფურცლიდამ მოყოლებული სარჩევამდე, თვით ლექსები მაქვს, ნუ გამომიგზავნი ლექსებს, თუ რამე იქნება სამიზეზო შევცვლი, თუ არა და ისე დარჩება... ჩემ უნახველი არ გაუშვით წიგნი“<sup>27</sup>.

ერთი სიტყვით, 1894 წ. ივნისში ლაპარაკია 30 მარტს სტამბაში გაგზავნილ მასალებისა და ი. ჭავჭავაძის წერილის ანაბეჭდებზე, მათი ადგილის შესახებ კრებულში. კრებული კი, პ. უმიკაშვილის მიერ დადგენილ მასალების რიგის მიხედვით, იმავე წელს გამოვიდა. როგორც ცნობილია, პ. უმიკაშვილის მოკლე წინასიტყვაობის შემდეგ, კრებულში დაბეჭდილია ი. ჭავჭავაძის აღნიშნული წერილი.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძის „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძის თავ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა“ დაწერილია 1894 წლის თებერვლის გასულიდან 29 მარტამდე.

26 აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის ფონდი, № 202.

27 ი. კ. ვ. ი. გოგებაშვილის ფონდი, № 228.

ტიქსტოლოგიური უენიშენიბი ი. ლორთქიფანიძის  
„გალაქტიონ ტაბიძის თხზულებათა ტიქსტოლოგიურ  
საკითხებზე“

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ი. ლორთქიფანიძის მონოგრაფია „გალაქტიონ ტაბიძის თხზულებათა ტიქსტოლოგიური საკითხები“. ქართული ტიქსტოლოგია არ არის განებივრებული ასეთი ხასიათის მეცნიერული ნაშრომებით. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ფილოლოგიის ეს უბანი ყველაზე უფრო ღარიბია და ჩამორჩენილია ამ მხრივ. ამიტომ და საერთოდაც ი. ლორთქიფანიძის მონოგრაფია ყურადსაღები და საინტერესოა. მასში თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის მოთხოვნილებების შესაბამისად მრავალმხრივია გაშუქებული ზოგადტიქსტოლოგიური თეორიული საკითხები, რომლებიც კიდევ უფრო საინტერესო ხდება მათი დაკავშირებით დიდი პოეტის გ. ტაბიძის შემოქმედებით ლაბორატორიასთან.

გ. ტაბიძის შემოქმედებითი ლაბორატორია ხომ დაუშრეტელი წყაროა ტიქსტოლოგიისათვის. მასში თითქმის ყველა ის ფაქტი და მასალა თავმოყრილი, რაც ესოდენ საინტერესო და პრობლემატურია ქართული ტიქსტოლოგიისათვის. არ არის ამ დარგში თითქმის არც ერთი საკითხი, რაზედაც ამ დიდებული პოეტის ლიტერატურულმა შემეკიდრეობამ თავისებურად არ გასცეს პასუხი. იგი ძლიერ მდიდარი და მრავალფეროვანია და ამდენად რთული და შრომატევადი. ამიტომ გ. ტაბიძის შემოქმედების ტიქსტოლოგიურად შესწავლა არც ისე იოლი საქმეა და საკმაო დროს, ენერჯიასა და ტიქსტოლოგიურ დაკვირვებებს მოითხოვს.

ყოველივე ზემოთქმული იმის დამადასტურებელია, რომ ი. ლორთქიფანიძის წინამდებარე მონოგრაფია სერიოზული ხასიათისაა. ავტორს დაუმუშავებია დიდძალი ლიტერატურა, შეუსწავლია გ. ტაბიძის ხელნაწერი, ნაბეჭდი წყაროები. ნაშრომი თავიდან ბოლომდე საინტერესოდ

იკითხება. იგი ექვსი თავისაგან შედგება: 1. შესავალი, 2. ორიოდ სიტყვა ტექსტოლოგიის ისტორიიდან, 3. ატრიბუციის საკითხი, 4. პოეტის შემოქმედებითი ლაბორატორია, 5. ვალაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებთა დათარიღების საკითხი, 6. ტექსტის ძირითადი წყაროს არჩევა და ბოლოს, რუსულ ენაზე დართული აქვს რეზიუმე.

მონოგრაფია შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: ერთი, ზოგადტექსტოლოგიურ-თეორიული ნაწილი და მეორე, უფრო კონკრეტული ხასიათის — გ. ტაბიძის შემოქმედებითი ლაბორატორიის ტექსტოლოგიური საკითხები. ეს ორი ნაწილი ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ კონკრეტული ზოგადს ექვემდებარება. ამ უკანასკნელს კი მონოგრაფიაში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია. მაგალითად, მეორე თავში „ორიოდ სიტყვა ტექსტოლოგიის ისტორიიდან“ (გვ. 14—50) დაწვრილებითაა განხილული ტექსტოლოგიის რაობა, მისი, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების ისტორია, საზღვარგარეთელ და რუს ტექსტოლოგთა ნაშრომები და მსჯელობები. ასევე განხილულია საბჭოთა ტექსტოლოგების დამსახურება ამ დარგში და ბოლოს ტექსტოლოგიური მუშაობა საქართველოში. აქ ჩამოთვლილია თითქმის ყველა ქართული გამოცემა, რომელსაც რაიმე პრეტენზია აქვს მეცნიერულ თუ აკადემიურ გამოცემაზე და მართებულადაა შენიშნული, რომ ეს გამოცემები ისტორიულიტერატურული და ტექსტოლოგიური თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ სურათს არ იძლევა. ბოლოს ამ თავში განხილულია, თუ რა პრობლემებს სახავს საბჭოთა ტექსტოლოგია და როგორ უნდა გადაიჭრას ისინი. ყოველივე ამით ავტორი თითქოს ცდილობს მოამზადოს მკითხველი შემდგომისათვის, უფრო რთულ ტექსტოლოგიურ საკითხებში გასარკვევად და გადადის ატრიბუციის, ე. ი. ნაწარმოების ავტორობის დადგენის საკითხზე (თავი მესამე, გვ. 51—62), რაც ნიშნავს: „აქვეყნებდა თუ არა მწერალი თავის ნაწარმოებებს ხელმოუწერლად, ინიციალებით, ფსევდონიმებით და კრიპტონიმებით, რომელთა გაუხსნელად შეუძლებელია მწერლის შემოქმედების სრული სახით წარმოდგენა“ (გვ. 51).

ცნობილია, რომ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებამდე ქართულ პერიოდულ პრესაში ძლიერ იყო გავრცელებული ფსევდონიმებითა და კრიპტონიმებით წერა. დღესდღეობით გაშიფრული და დადგენილია მრავალი ავტორის ვინაობა, მაგრამ ეს საქმე ბოლომდე არ არის მისული და კვლავ დიდ მუშაობას მოითხოვს. მეცნიერული თუ აკადემიური გამოცემისათვის კი საჭირო და აუცილებელია ავტორის ვინაობის დადგენა, რაც ტექსტოლოგს დიდი სირთულის წინაშე აყენებს. როგორც ი. ლორთქიფანიძე წერს, საავტორო კუთვნილების დადასტურება პირველ-

ყოელისა შეუძლია ხელნაწერს, რომელიც ასახავს მწერლის შემოქმედებითი შრომის შედეგს და წარმოადგენს აუცილებელ მოწმობას საავტორო უფლების მოპოვებისათვის (გვ. 54).

ამის საილუსტრაციოდ ი. ლორთქიფანიძე ეხება გ. ტაბიძის ფსევდონიმებს და აღნიშნავს: „და დასტურდა, რომ გალაკტიონ ტაბიძის ნაწერებს სხვადასხვა დროს ხელმოწერილი ჰქონიაო“ და თითოეულ ფსევდონიმს თანამიმდევრობით განიხილავს („გალ. ტ—ბ-ძე“. „ტაბი“, „გა“ და „გ“, „გალაშკა“ და „გ“, „ახალი მწიგნობარი“ და „გ“, „№№“, „ცრემლი“, „ Accordj — სამშაბათელა“, „გაფრინდაშვილი“ და „ტობანიერელი“, „რიმანელი“, „ბანოვანი“). კარგი იქნებოდა, მონოგრაფიის ავტორს ამ ფსევდონიმების ჩამოთვლა-განხილვაში ერთი პრინციპი დაეცვა და ცალ-ცალკე განხილული ფსევდონიმების მსგავსად ასევე ცალკე გამოეყო „გ“ ფსევდონიმიც (მაგალითად ასე: „გალ. ტ—ბ-ძე“, „ტაბი“, „გა“, „გ“ „გალაშკა“ და სხვა). ავტორი ეტყობა კურნალების ან რაღაცა პრინციპის მიხედვით იხილავს ამ ფსევდონიმებს და სადაც ორი ფსევდონიმი შეხედება, ორივე ერთად გამოაქვს. ამის გამო „გ“ ფსევდონიმი ხშირად ხედება სხვა რომელიმე ფსევდონიმის გვერდით („გა“ და „გ“, „გალაშკა“ და „გ“ „ახალი მწიგნობარი“ და „გ“) და ამდენად იგი რამდენჯერმე მეორდება ფსევდონიმების ჩამოთვლა-განხილვაში. ასევე მიზანშეწონილი იქნებოდა ცალ-ცალკე გამოეყო „გაფრინდაშვილი“ და „ტობანიერელი“.

ამ ფსევდონიმებზე არ შეეჩერდებოდით, რომ ერთ გარემოებას არ მიექცია ჩვენი ყურადღება: ი. ლორთქიფანიძეს, როგორც თვითონ აღნიშნავს, ჩამოთვლილი აქვს გ. ტაბიძის კუთვნილი ფსევდონიმები. ამიტომ, ამ შემთხვევაში ზედმეტად მიგვაჩნია იმ ფსევდონიმების გამოტანაც, რაც პოეტს არ ეკუთვნის, მაგრამ მის არქივშია მოხსენიებული. მაგალითად, „ბანოვანი“ ცნობილი ქართველი მწერალი ქალის დესპინე დავითის-ასულ გელოვანის ფსევდონიმია. ამასვე ადასტურებს ი. ლორთქიფანიძეც, კერძოდ, გ. ტაბიძეს თავისი ინიციატივით 1928 წ. უერ. „მნათობში“ მოუთავსებია ბანოვანის რომანი „სამართალს სისხლით მოკვებნი“. ამის შესახებ პოეტს აღუნიშნავს კიდევ თავის ერთ-ერთ ჩანაწერში. მონოგრაფიაში კი (გვ. 61) ეს ფსევდონიმი რატომღაც დასახელებულია გ. ტაბიძის კუთვნილ ფსევდონიმებს შორის, თუმცა ი. ლორთქიფანიძე იქვე უარყოფს მას, როგორც გ. ტაბიძის ფსევდონიმს.

იგივე ითქმის „რიმანელზეც“. მონოგრაფიის ავტორის სიტყვით,

ყოფილა ცნობა, თითქოს ამ ფსევდონიმს ხმარობდა გ. ტაბიძე. მაგრამ ავტორი ვერ პოულობს ამის დამადასტურებელ საბუთს („ამ ფსევდონიმით გ. ტაბიძის ნაწერი არ ჩანს“ — წერს იგი). გ. ტაბიძის არქივში მას უპოვია ერთი ლექსი „რიმანელის“ ფსევდონიმით, მაგრამ, როგორც გარკვეულა, ისიც ირ. ყანჩელის კუთვნილება ყოფილა (გვ. 61). როგორ გაიგოს მკითხველმა — „ბანოვანი“ და „რიმანელი“ არის თუ არა გ. ტაბიძის კუთვნილი ფსევდონიმები?

თავისთავად მეტად საინტერესოა პოეტის და მით უმეტეს გ. ტაბიძის შემოქმედებითი ლაბორატორიის გაცნობა, კერძოდ კი მისი ტექსტოლოგიური ანალიზი, რის შედეგადაც აშკარავდება მწერლის მუშაობის სტილი, მისი განვითარების ეტაპები, შემოქმედებითი თავისებურებანი და საერთოდ მთელი შემოქმედებითი პროცესი. ამ საკითხს ეხება სწორედ მეოთხე თავი — „პოეტის შემოქმედებითი ლაბორატორია“, რომელშიც ავტორი ერთგვარ დახასიათებას იძლევა გ. ტაბიძის ლიტერატურული მემკვიდრეობისა. გ. ტაბიძე, როგორც შემოქმედი მეტად მდიდარია პოეტური თავისებურებებით, ჯერ მხოლოდ ამ თავისებურებებზე საკმაოდ დიდი მოცულობის გამოკვლევა დაიწერება. მონოგრაფიის ავტორს კარგად აქვს შემჩნეული ეს თავისებურებანი, რომლებზედაც ცალ-ცალკე ჩერდება და ნათქვამს ფაქტებით ადასტურებს. მაგრამ ზოგიერთი თავისებურების განხილვაში ერთგვარ წინააღმდეგობაში ვარდება, რადგან თეორიულად ერთს ამბობს, ხოლო ამის დასადასტურებლად მოტანილი მაგალითიდან კი სულ სხვა დასკვნა კეთდება.

მაგალითად, გ. ტაბიძის ერთ-ერთ თავისებურებად ავტორი შემდეგს მიიჩნევს: „პოეტი წერს ლექსს, ამთავრებს, მაგრამ გამოკვეყნებისას ცვლის ლექსის მეტრს (ათმარცვლოვანის ნაცვლად ბექდავს ხუთმარცვლოვანს)“ (გვ. 68) და იქვე ქვემოთ სამართლიანად დასძენს: „თუ არა გულდასმითი შესწავლა მასალისა და დაკვირვებული თვალი, გამომცემელმა შეიძლება შეცდომა დაუშვასო“. მიუხედავად ასეთი სიფრთხილისა, ი. ლორთქიფანიძე ამ თავისებურების არასწორ ინტერპრეტაციას იძლევა. კერძოდ, მას სურს ჩვენება, თუ როგორ ცვლის პოეტი ერთი ლექსის მეტრს. ფაქტიურად კი აქ მოტანილი მაგალითი პოეტის სულ სხვა თავისებურებაზე მიუთითებს — ათმარცვლიანი ლექსიდან თუ როგორ ქმნის ახალი გააზრების ლექსს — ათმარცვლიანი სტრიქონების მხოლოდ მეორე ნახევრის (ხუთი მარცვლის) გამოყოფით და მასში ვარიანტული სხვაობის შეტანით. ე. ი.:



აი ჩემს თვალწინ /ძველი სიონი,  
 გულდახურული, / დინჯი ზვიადი.  
 შორს მოუმართავს / მზერა დიადი,  
 აღმოსავლეთით/ქრიან სიონი  
 მიწა ზურმუხტის, / ზეცა იისა,  
 ღმერთო მკვლე! / მას გადაარიდე,  
 გადაუსახე / იმელს ჭვარედი  
 ოქროთი მქრონი / ბიზანტიისა.  
 გამოუელინე / ერს ანგელოსი,  
 საუკეთესო მიეცი მშვიდი,  
 რომ დაშთეს მარად განუქარველი  
 დიდება დიდი საქართველოსი<sup>2</sup>.

დაიბეჭდა:    ჰქროდენ სიონი

ძველი სიონი  
 დინჯი, ზვიადი  
 მზერა დიადი,  
 ქრიან სიონი.  
 ზეცა იისა,  
 გადაარიდე  
 იმელს ჭვარედი  
 ბიზანტიისა.  
 ის ანგელოსი  
 აწ არ არს მშვიდი,  
 ოდესმე დიდი  
 საქართველოსი.

გ. ტაბიძეს რომ ეს ათმარცვლიანი ლექსი შუაზე გაეცეხა და  
 ხუთ-ხუთმარცვლიანად დაებეჭდა, იგი ასეთ სახეს მიიღებდა: .

აი, ჩემს თვალწინ  
 ძველი სიონი,  
 გულდახურული,  
 დინჯი, ზვიადი.  
 აღმოსავლეთით  
 ქრიან სიონი-და ა. შ.

მაშინ ი. ლორთქიფანიძის მიერ ამ თავისებურებაზე გამოტანი-  
 ლი დასკვნაც მართებული იქნებოდა.

<sup>1</sup> ალბათ „მეკვლე“ უნდა იყოს. (რ. კ.).

<sup>2</sup> დაყოფა ჩვენია (რ. კ.)

ასევე არასწორად მიგვაჩნია მესამე თავისებურების დასაბუთება. ავტორი წერს: „პოეტი ერთი ლექსის საფუძველზე აკეთებს მეორე; მის იდენტურ ლექსს, გარკვეული ვარიანტული სხვაობებით“ (გვ. 69). ამის საილუსტრაციოდ მოაქვს შემდეგი გამოუქვეყნებელი ლექსი:

ეხლა კი მშვიდობით! ნახვამდის,  
ნახვამდის, ლექსებო, კამარა,  
ჩემს გზაზე რაც უნდა დაღამდეს,  
ვარ თქვენზე ოცნების ამარა!  
მგზავრობა გქონდეთ! კეთილი.  
და მინდა გისურვოთ მხოლოდ ეს,  
რომ როგორც ქვითკირის კედელი,  
მფარველად სიმართლე გყოლოდეთ.  
ნუ სძრახდეთ მართებულ ყიფინას.  
ნურც რისხვა გაკრთობდეთ უხეში  
თვალი არ უქციოთ მტრის ჭინას,  
დაღლილსაც ხომ უნდა ნუგეში.  
უთხარიო, ცხოვრების ნამგალი  
გასკედლოს, მოხაროს, მიხაროს,  
რომ აქვე ბევრია სამკალი,  
რომელიც იძლევა სიხარულს.  
ნახვამდის, ლექსებო! მძლე გუნდით  
გაპკვეთეთ ქარი და ნატბარი.  
გასწიეთ და ისეე დაბრუნდით  
მკითხველის გრძნობებით გამთბარი!  
**მის ვარიანტად მიჩნეული ა:**  
ეხლა კი გავეშვათ, გავეშვათ მეხივით,  
ავიღოთ ციხეთა კამარა,  
ვართ თავისთავის ამარა  
და კიდევ გლეხების,  
ღარიბი გლეხების ამარა.  
ბრძოლა არ გვექონია კეთილი.  
რის ლხენა, ან რა დროს დარდია,  
ჩვენ როგორც ქვითკირის კედელი,  
წინ გვიძღვის ლენინის პარტია!  
ნუ ვუკრთით მართებულ ყიფინას,  
თუ ბრძოლა გვექნება უხეში  
ის შხამად ექცევა მტრის ჭინას,  
რომ მშრომელთ მიუზღოს ნუგეში.  
მისია ცხოვრების ნამგალი,  
გასკედლოს, მოხაროს, მიხაროს,  
ოქტომბერს მოჰყუება სამკალი,  
რომელიც იძლევა სიხარულს.

2 მარცვლი აკლია, ალბათ უნდა იყოს „გქონოდეთ“.

კომენტარი, ვფიქრობ ზედმეტია. მაგალითიდან აშკარაა, რომ პოეტი ერთი ლექსიდან აკეთებს მეორე, არა მის იდენტურ ლექსს ვარიანტული სხვაობებით (თუ იდენტურია „გარკვეული ვარიანტული სხვაობები“ რაღას ნიშნავს!), არამედ ლექსის სულ სხვა რედაქციას. ერთი ლექსიდან გარკვეული რედაქციული ცვლილებებით რომ მეორე ლექსს იღებს და მათ ორ დამოუკიდებელი ლექსის სახეს აძლევს, გ. ტაბიძისათვის ეს დამახასიათებელი თავისებურებაა და ზემოთ მოყვანილი ლექსიც სწორედ ამის დამადასტურებელი ფაქტია.

არ არის, აგრეთვე, სრული შეთანხმება მეშვიდე თავისებურებასა და მის დამადასტურებელ მაგალითს შორის. აქ ხელნაწერი ტექსტი „გალაკტიონ“ შედარებულია ნაბეჭდ ტექსტთან — „მე ერთადერთი მქონდა წუხილი“ (გვ. 71). ხელნაწერი რვა სტროფისაგან შედგება, ნაბეჭდი მხოლოდ სამი სტროფისაგან. აქედან, ნაბეჭდის მარტო პირველი სტროფი იმეორებს უცვლელად ხელნაწერის მეხუთე სტროფს, ნაბეჭდის მეორე სტროფი ხელნაწერის მეექვსე სტროფის ვარიანტული სახეცვლილებაა, ხოლო ნაბეჭდის უკანასკნელი მესამე სტროფი ხელნაწერ ტექსტში არ დასტურდება. იგი სხვა, ახალი სტროფია. ამ მაგალითზე დაყრდნობით ი. ლორთქიფანიძე პოეტის თავისებურების არასწორ კვალიფიკაციას იძლევა: „ხელნაწერთა თავისებურება გამოსკვივის აგრეთვე პირვანდელი ტექსტის შემდგომ შემცირებაში“. ასეთი თავისებურებაც ახასიათებს გ. ტაბიძეს, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო სხვა თავისებურებასთან გვაქვს საქმე, კერძოდ, ხელნაწერი ტექსტიდან ამ ტექსტის უბრალო შემცირებას კი არ ახდენს, არამედ მისგან აკეთებს მოკლე რედაქციას და ისე ბეჭდავს მას.

მონოგრაფიაში წარმოდგენილია გალაკტიონის შემოქმედებითი პროცესის შვიდი თავისებურება, ამათგან პირველი და მეოთხე აშკარად პოეტის ერთ თავისებურებაზე მიუთითებს, თუმცა ი. ლორთქიფანიძეს რატომღაც სხვადასხვა თავისებურებად მიუჩნევია და ერთმანეთისაგან გამოუყვია. კერძოდ, 65 გვერდზე ვკითხულობთ: „... გალაკტიონ ტაბიძისათვის დამახასიათებელია ზოგიერთი სპეციფიკური თავისებურებანი: 1. პოეტური ჩანაფიქრი გადააქვს ქაღალდზე, ლექსი მთავრდება, ის საბოლოო სახეს ღებულობს (იმავე შავში), მაგრამ გამოქვეყნებისას იგი ლექსს რამდენიმე დამოუკიდებელ ლექსად ყოფს“. ეს თავისებურება სწორად არის შენიშნული და სათანადო ფაქტების მოტანითაც დასტურდება, მაგრამ 69 გვერდზე, როცა ავტორი მეოთხე თავისებურებაზე მიუთითებს, იქაც იმავეს იმეორებს,

რასაც პირველ თავისებურებაში: „4. ნაწარმოები, რომელიც შემოქმედებით პროცესის სტადიაში ერთიანი იყო, გამოქვეყნების დროს პოეტი ცალ-ცალკე ნაწარმოებად ჰყოფს“. ამის დამადასტურებლად შოტანლი პირველი მაგალითი სწორია, მაგრამ შემდგომი მაგალითებიდან უკვე სხვა დასკვნა გამოდის, კერძოდ, როცა პოეტი სხვადასხვა დამოუკიდებელ ლექსებს აერთიანებს და ისე ბეჭდავს მათ. ჩვენს ნათქვამის ნათელსაყოფად მოვუსმინოთ ისევ ი. ლორთქიფანიძეს: „მაგ. პოემა „აფეთქების“ ერთ-ერთი ხელნაწერის (არქივი, გვ. 2617—2644) ბოლო, საკმაოდ მოზრდილი ნაწილი, პოეტმა დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით დაბეჭდა 1957 წ. თხზულებათა VIII ტომში (გვ. 135) „პარიზის სახელწოდებით“.

პოემაში „ძაუგიდან“ შეტანილია 1941 წელს დაბეჭდილი ლექსი „ჩვენ გავიმარჯვებთ“ (რომლის რამდენიმე ხელნაწერი არსებობს). არქივში ამ პოემის ცალკე ნაწყვეტები დამოუკიდებელ ლექსებადაა წარმოდგენილი: მაგ. „ვერ გავიმარჯვეს“ (არქივი, გვ. 5809) და „დიდ გზაზე“ (არქივი, გვ. 5810). პოემის „გაერთიანება მშენებლობისათვის“ ვრცელი ნაწილი ავტორს არქივში დამოუკიდებელი სახით (სათაურით „გელათი“) აქვს წარმოდგენილი. ასეთი შემთხვევები ხშირია“. რა შემთხვევები? ის, რომ პოეტს ცალ-ცალკე დაუწერია ლექსები და ამ ხელნაწერ, დამოუკიდებელ ლექსებს ერთ მთლიან ლექსად ბეჭდავს? იქნებ ი. ლორთქიფანიძეს სწორედ ეს უნდოდა მეოთხე თავისებურებად გამოეტანა. გ. ტაბიძეს ხომ ახასიათებს ასეთი თავისებურება. ან შეიძლება მონოგრაფიის ავტორს სხვა რამ ჰქონდა მხედველობაში, მაგრამ მკითხველიც უნდა გაერკვია მას თავის ჩანაფიქრში.

მეოთხე თავში ი. ლორთქიფანიძე ეხება, აგრეთვე, ხელნაწერ და ნაბეჭდ წყაროებს, იძლევა ამ წყაროების ჩამოთვლა-დახასიათებას. მოაქვს მათ შესახებ გამოჩენილი ტექსტოლოგიების აზრები და სამართლიანადაც აკრიტიკებს ზოგიერთ მათგანს. შედარებით სქემატურია ნაბეჭდ წყაროებზე მსჯელობა (გვ. 79—114). აქ მონოგრაფიის ავტორი უფრო მეტად ნაბეჭდი წყაროების ბიბლიოგრაფიული ჩამოთვლითა და მათი ლიტერატურულ-კრიტიკული ცნობებით კმაყოფილება, ვიდრე ტექსტოლოგიური ანალიზით. რასაკვირველია, თავისთავად საინტერესოა, როდის რა დაიბეჭდა გ. ტაბიძისა ან როგორ შეხვდა მას პრესა, საზოგადოება, ან რას ამბობს თვითონ პოეტი ამის შესახებ, მაგრამ წინამდებარე ნაშრომისათვის ეს არ კმარა. ამასთან ერთად უფრო საინტერესო იქნებოდა კონკრეტულად წარმოდგენილი იყო იმ ნაბეჭდი წყაროების ტექსტოლოგიური ანალიზი, რომელთა-

გამოცემაშიაც უშუალოდ მონაწილეობდა პოეტი. ამით უფრო თვალსაჩინო გახდებოდა ავტორის ნება და მთელი მისი შემოქმედებითი მუშაობა ნაბეჭდ წყაროებზე. მაგალითად, 85 გვერდზე ი. ლორთქიფანიძე გ. ტაბიძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაზე წერს, რომ პოეტს მასზე დიდი სიყვარულით უმუშავია, რომ ტომში შესულია 157 ლექსი, რომელთაგან 35 ადრე იყო დაბეჭდილი (ჩამოთვლილია ეს 35 ლექსი). იქვე ვკითხულობთ: „1914 წლის ლექსების ტომი პირველი ავტორიზებული გამოცემაა, რომლის მომზადებასა და გამოცემაში ავტორი გადამწყვეტ როლს ასრულებდა. ამ ტომში შემავალმა ლექსებმა შემდგომ გამოცემებში სტილისტური და რედაქციული ცვლილებები განიცადეს, განსაკუთრებით 1927 წლის გამოცემაში“. მკითხველი უკვე დაინტერესებულია პოეტის მუშაობით ამ ავტორიზებულ გამოცემაზე, მაგრამ ამ განცხადების მეტს ნაშრომში ვერაფერს პოულობს: ვერც იმას, თუ რაში მდგომარეობს 1914 წლის კრებულში გ. ტაბიძის გადამწყვეტი როლი, ვერც იმას, თუ რა სტილისტური და რედაქციული ცვლილებები განიცადა ტომმა შემდგომ გამოცემებში. ავტორის ასეთი დამაჯერებელი განცხადება კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ფაქტებით უნდა დადასტურებულიყო. მონოგრაფიის მიზანიც პირველყოვლისა ესაა. ამის შემდეგ უკვე ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ გამოეხმაურა პრესა და მკითხველი საზოგადოება ხსენებულ გამოცემას.

1919 წელს გამოდის გ. ტაბიძის თხზულებათა II ტომი. ამის შესახებ მონოგრაფიის 91—92 გვერდზე ვკითხულობთ: „ამ წიგნით იხსნება ქართული პოეტური კულტურის სრულიად ახალი ხანა“... და რომ „ავტორს დიდი სიფაქიზითა და გულისყურით შეურჩევია ნაწარმოებთა ტექსტი, უზრუნია მათ უნაკლოდ დაბეჭდვაზეც, წიგნში არც ერთი კორექტურული შეცდომა არ არის. ამდენად ეს გამოცემა ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია ავტორის მიერ სიცოცხლეში გამოცემულ ტომებსა და კრებულებს შორის“. ნუთუ მართო კორექტურული შეცდომების დაუშვებლობის გამოა ეს გამოცემა საუკეთესო? მაგრამ, არა. „მასში იმდენად ძლიერად ჩანს ავტორის უშუალო მონაწილეობა, რომ ლექსების ძირითადი ტექსტის არჩევისას ყველაზე სანდო წყაროდ ეს გამოცემა უნდა იქნას მიჩნეულიო“ — აცხადებს კვლავ დაბეჭდვით ავტორი, მაგრამ როგორ ან საიდან ჩანს გამოცემაში ავტორის უშუალო მონაწილეობა, ან რატომ მიიჩნევს ი. ლორთქიფანიძე ამ გამოცემას ყველაზე სანდო წყაროდ, ამის შესახებ იგი არავითარ ტექსტოლოგიურ დასაბუთებას არ იძლევა. როგორ დაიჯეროს მკითხველმა ი. ლორთქიფანიძის ასეთი ავტორიტეტული განცხადება?

მართალია, ი. ლორთქიფანიძის თქმით, 1919 წლის გამოცემა ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია, მაგრამ თითქმის იგივე შეფასებას აძლევს იგი გ. ტაბიძის თხზულებათა 1927 წლის გამოცემასაც. 98 გვერდზე ვკითხულობთ: „პოეტმა დიდი ენერგია და სიყვარული ჩაქსოვა წიგნის მომზადებასა და გამოცემას. პოეტი ამ კრებულს - დიდ წიგნს“ უწოდებს და გამოცემულ წიგნთა შორის უპირველეს ადგილს აკუთვნებს“. შემდეგ მონოგრაფიის ავტორისაგანვე ვგებულობთ, რომ „პოეტს ლექსები დაუხვეწია, ზოგი მათგანი არსებითად გადაუმუშავებია, შეუცვლია სათაურები“... და საილუსტრაციოდ მოაქვს „მიმღერე რამე“ ლექსის ვარიანტული სხვაობები. აქაც შეიძლება საინტერესო ტექსტოლოგიური დაკვირვებები ჩაეტარებინა წიგნის ავტორს, რომლებსაც მკითხველი დიდი ინტერესით მიიღებდა. მით უმეტეს, რომ ი. ლორთქიფანიძის სიტყვით, „ტექსტოლოგიური თვალსაზრისით კრებული წარმოდგენს ავტორის ტექსტზე მუშაობის ახალ ეტაპს“. მაგრამ ავტორი თითქოს განგებ უხვევს ამას გვერდს და მხოლოდ ერთ-ორ აბზაცში წარმოდგენილი ძუნწი ცნობებით კმაყოფილდება. ასევე გაკვირიტ ეხება ი. ლორთქიფანიძე „აკაკი წერეთლის“ ცალკე წიგნად გამოქვეყნებას (გვ. 102), რომელიც ადრე მნათობში იბეჭდებოდა. აქაც მხოლოდ ასეთ განცხადებას ვკითხულობთ: „ცალკე წიგნად გამოცემული „აკაკი წერეთლის“ ტექსტი „მნათობში“ დაბეჭდილი რედაქციისაგან განსხვავებულია. ცალკე გამოცემას ავტორის მიერ მომზადებული ტექსტი უძევს საფუძვლად“.

103 გვერდზე კი ი. ლორთქიფანიძე მიუთითებს „მშობლიური ჩემო მიწავ“ — ცალკე გამოცემაზე და ამბობს, რომ ავტორის როლი კრებულის მომზადებაში ვერ და ვ ა დ გ ი ნ ე ო“. როდესაც ი. ლორთქიფანიძე ვერ ადგენს მწერლის მონაწილეობას ამა თუ იმ გამოცემაზე, ამას ერთი თქმითაც დაუჭერებს მკითხველი, მაგრამ რომელ გამოცემაზედაც იგი დამაჯერებლად წერს ავტორის უშუალო მონაწილეობის შესახებ, ამის დაუსაბუთებლად როგორ დარწმუნდეს მკითხველი? 1943 წელს გამოსულ ლექსთა კრებულის შესახებ („მამულო სიცოცხლო“) რომ ვკითხულობთ: „ტექსტი კრებულისათვის მომზადებულია ავტორის მიერო“ და ამისათვის სქოლიოში მითითებულია მხოლოდ ს. კილაიას რეცენზია, ნუთუ ეს კმარა?

1944 წლის გამოცემაზე მისი რედაქტორი შ. რადიანი წერს, პოეტის მიერ შემოთავაზებული 30000 სტრიქონიდან მხოლოდ 10000 შევარჩიეთო. „... არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ლექსი განმეორებით ან სხვადასხვა სათაურითაა დაბეჭდილი... რაც ვერც მე, როგორც გამომცემელმა და ვერც ავტორმა ვერ შევნიშნეთო“

(გვ. 103). 104-ე გვერდზე ი. ლორთქიფანიძეს მოაქვს ამ ხარვეზების დამადასტურებელი ფაქტები და ამით გამოცემის ნაკლოვან მხარეებს გვაცნობს. მაგრამ იქვე მოულოდნელად ასეთ დასკვნას გვაწვდის: „მეცნიერული გამოცემის დროს ამ კრებულს დიდი მნიშვნელობა მიენიჭებაო“. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ წიგნის გამოქვეყნებაში პოეტიკ იღებდა მონაწილეობას? როგორც შ. რადიანის სიტყვებიდან ჩანს, რედაქტორს უფრო მეტი უფლება ჰქონია გამოცემაზე, ვიდრე გ. ტაბიძეს. კერძოდ პოეტის მიერ მოტანილ 30000 სტრიქონიდან 10000 შეურჩევია. ასევე, როგორც შ. რადიანი წერს: „ამ გამოცემის დროსაც მას ჰქონდა თავისი გასწორებანი, რომელთაგან ავტორთან შეთანხმებით ბევრი არ გავიზიარეო“. საყოველთაოდ ცნობილია გ. ტაბიძის დამყოლი ხასიათი რედაქტორებთან მუშაობის დროს. იქნებ აქაც ასეთ დამყოლობას იჩენდა. ბოლოს და ბოლოს რახან ეთანხმებოდა, მის ნებად ჩაითვლება, მაგრამ მონოგრაფიაში არ ჩანს პოეტის ეს ნება, რომ მკითხველიც დარწმუნდეს 1944 წლის გამოცემის ღირებულებაში, კერძოდ, იმაში თუ რატომ მიენიჭება მეცნიერული გამოცემის დროს ამ კრებულს დიდი მნიშვნელობა.

ყოველივე ზემოთ თქმულზე დაწვრილებით იმიტომ შეეჩერდით, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინამდებარე მონოგრაფიაში აუცილებელი იყო ზემოთ ჩამოთვლილი გამოცემების ტექსტოლოგიური ანალიზი და მის საფუძველზე სათანადო დასკვნების გამოტანაც. ავტორი ყველგან ხაზს უსვამს, რომ ამა თუ იმ კრებულზე პოეტს სული და გული ჩაუქსოვია, გულმოდგინედ და დიდი სიყვარულით უმუშავია, ტექსტები დაუხვეწია, შეუცვლია, ახალი რედაქციები მოუცია, ახალი ნაბიჯები გადაუდგამს ტექსტებზე მუშაობისას და ა. შ. მაგრამ ყოველივე ეს შესატყვის დასაბუთებასაა მოკლებული, მიუხედავად იმისა, რომ ი. ლორთქიფანიძეს ამის დიდი საშუალება და შესაძლებლობა ჰქონდა: მის ხელთ იყო მთელი საარქივო მასალა, ნაბეჭდი და ხელნაწერი წყაროები.

მონოგრაფიის ეს მეოთხე თავი — „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი ლაბორატორია“ — ასეთი შემაჯამებელი დასკვნით მთავრდება: „ამრიგად, გ. ტაბიძის ნაწარმოებთა ტექსტის ნაბეჭდი წყაროების შესწავლამ გამოავლინა გ. ტაბიძის ყოველი ცალკეული ნაწარმოების დღეისათვის ყველა ხელმისაწვდომი წყარო, გამოავლინა ყველა არსებული ავტორიზებული გამოცემა, დადასტურებულია თუ რომელ გამოცემაში იღებდა ყველაზე აქტიურ მონაწილეობას, როგორც ავტორ-შემდგენელი (1914, 1919, 1927) სხვასთან თანარედაქტორობით: „აკაკი წერეთელი“ (ამის შესახებ აქ პირველად ვგებულობთ — რ. კ.) „მშობლიურო ჩემო მიწავ“ (გვ. 103-ზე კი წერს, რომ ავტორის რო-

ლი კრებულის მომზადებაში ვერ დავადგინეთო — რ. კ.). „მამულო ხიცოცხლო“ (103 გვერდზე აცხადებს, რომ კრებული მომზადებულია ავტორის მიერო — რ. კ.) და ა. შ.

ვფიქრობთ, მეოთხე თავის წაკითხვის შემდეგ ასეთი დასკვნის გამოტანა ცოტა უხერხულია და ავტორისაგან უფრო მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

მეზუთე თავი გალაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებთა დათარიღების საკითხს ეხება. ავტორი აქაც თანმიმდევრობით ავითარებს თეორიულ მსჯელობას თარიღის დადგენის შესახებ. ამის დასამტკიცებლად უხვ და საინტერესო ფაქტებს იშველიებს გ. ტაბიძის საარქივო მასალებიდან, ადგენს ამა თუ იმ ლექსის თარიღს („ალარ არის მენესტრელი“, „ახალი მერნების წყება“ და სხვა), განსაკუთრებით 1910—1914 წლებში დაწერილი ლექსების თარიღებს. არკვევს აგრეთვე ლექსების „პირველი მაისი“ და „გადანახული დროშები“ — თარიღებს (გვ. 126—127). მაგრამ არ ვეთანხმებით დათარიღების ზოგ თეორიულ საკითხში. მაგალითად, ჩვენს პრაქტიკაში ცნობილია დათარიღების ასეთი კლასიფიკაცია: ზუსტი, ორმაგი და ფართო თარიღი. ი. ლორთქიფანიძე ძირითადად ფართო თარიღის ნაცვლად ტერმინს „შუალედურ თარიღს“ ხმარობს და მის ასეთ განმარტებას იძლევა: „ასეთი სახით თარიღდება ნაწარმოები, როდესაც ის იწერებოდა წლების ფარგლებში, მაგ. გ. ტაბიძის პოემა „აფეთქება“ იწერებოდა 1941—1949 წლებში. მისი დათარიღება ამ წლებით ხდება“ (გვ. 122), მაგრამ იქვე ქვემოთ, როგორც დათარიღების მეოთხე ტიპს, ასახელებს „ფართო თარიღსაც“ და როგორც ცალკე ცნებას ისე გამოყოფს მას. ამის გამო ჩვენთვის გაურკვეველი ხდება, ი. ლორთქიფანიძისათვის რას წარმოადგენს შუალედური თარიღი და რას ფართო თარიღი. რატომ არის ეს ორი ცნება ავტორისათვის სხვადასხვა, აქ მკითხველს ამის შესახებ ნათელი წარმოდგენა ვერ ეძლევა, ალბათ ეს გაუგებრობაა მიზეზი იმისაც, რომ შუალედური თარიღის განმარტების შემდეგ, ავტორი ფართო თარიღის სხვაგვარად განმარტებას ცდილობს, რის გამოც ეს უკანასკნელი უკვე ბუნდოვანი გამოდის. კერძოდ, ფართო თარიღში „ორი თარიღი შეერთებულია ტირეთი (ასეთივე ტირეთია შეერთებული შუალედური თარიღიც) — რ. კ.). აქ ტირე მიუთითებს შემოქმედებითი პროცესის ხანგრძლივობაზე, რომელიც შესაძლებელია მითითებულ დროში შეწყვეტილი იყო (და არა ერთხელ), მაგრამ არც ეს შეწყვეტა და არც ქრონოლოგია ნაწარმოებისადმი შემოქმედებით მიმართვისას არ ექვემდებარება ზუსტ განსაზღვრას. ასეთი შემთხვევების დროს მიზანშეწონილია ნაჩვენები იქნას ნაწარმოებზე მუშაობის დასაწყისის



და დამთავრების თარიღი“. ამის ნიმუშად მოაქვს გ. ტაბიძის პოემა „ძაღვიდან ბერლინამდე“, რომელიც იწერებოდა 1941—1945 წლებში. კი, მაგრამ პოემა „აფეთქებასაც“ ხომ ასე უწერია თარიღი 1941—1949 წწ. და მას შუალედურ თარიღს უწოდებს. როგორ გავარჩიოთ, 1941—1945 წწ. და 1941—1949 წწ. დათარიღებები ერთ ტიპს განეკუთვნება თუ სხვადასხვას.

სწორია განმარტება ორმაგ თარიღზე. მაგრამ სწორი არ არის ავტორი, როცა აცხადებს, რომ გ. ტაბიძესთან ორმაგი დათარიღების შემთხვევები არ შეინიშნებაო. ნაწარმოების ორმაგი დათარიღების შემთხვევაში გ. ტაბიძის თხზულებათა ტომებში გვხვდება და გამოცემელთა საკმაო დასაბუთებითაც, მაგალითად, თხზულებათა მეოთხე ტომში (1966 წ.) ორმაგი თარიღითაა დათარიღებული ლექსები: „შრომა და მოსვენება“ — 1936, 1938 წწ. (გვ. 152—153), „მე მახსოვს მისი სახე“ — 1938, 1940 წწ. (გვ. 186—187), მეხუთე ტომში (1967 წ.) „წიგნის შესახებ“ — 1936, 1941 წწ. (გვ. 7—8), „გზა გამარჯვებისა“ — 1940, 1941 წწ. (გვ. 8—9), „იცოდეთ ყველამ“ — 1940, 1942 წწ. (გვ. 91), მეექვსე ტომში (1968 წ.)“ ო, ნანა, ნანა. ნანა“ — 1954, 1956 წწ. (გვ. 251—252) და ა. შ.

მსჯელობს რა ისეთი ლექსის დათარიღებაზე, რომელიც დროთა განმავლობაში ტექსტობრივ ცვლილებებთან ერთად სხვადასხვა თარიღსაც იღებდა, ავტორი ასეთ კითხვას სვამს: „რომელი თარიღი ჩავთვალოთ ძირითადად, დაწერისა (1940 — უნდა ეწეროს 1936 — რ. კ.), თუ გადამუშავებისა (1941), თუ ისინი, როგორც წესი თანასწორუფლებიანი არიან?“ და იქვე პასუხობს: „არავითარი გადაწყვეტილებანი აქ არ შეიძლება იქნას რეკომენდებული. მხოლოდ ისტორიულ-ლიტერატურულ და ტექსტოლოგიურ ანალიზს შეუძლია უჩვენოს გზა მართებული გადაწყვეტილებისაკენ“ (გვ. 124). აქ ლაპარაკია ლექსზე „შუქი აღმოსავლეთით“. რომელიც 1940 წელს თხზულებათა მესამე ტომში უთარიღოდ დაიბეჭდა. ავტორაფში კი იგი დათარიღებულია ზუსტი თარიღით: 1936 წ. 8 ივლისი. 1947 წელს ეს ლექსი მთელი რიგი ცვლილებებით დაიბეჭდა, რომელსაც ავტორმა უკვე 1941 წელი მოაწერა, ხოლო თხზულებათა მეშვიდე ტომში და 1954 წლის რჩეულში ამ ლექსმა ახალი სათაური მიიღო („კრებული“) და 1942 წლით დათარიღდა.

თუ სხვა სარწმუნო წყაროები არა გვაქვს, ამ თარიღებს უნდა დავეყრდნოთ, ე. ი. 1936 წელს დათარიღებულ ლექსს თუ 1942 წელს მიეცა საბოლოო სახე, მას ფართო თარიღი მიეწერება, კერძოდ 1936—1942 წწ. აქ ცოტა გაუგებარია, რატომ ტოვებს ღიად ავტორი ამ ლექსის დათარიღების საკითხს.

დასასრულ, ბოლო თავში („ტექსტის ძირითადი წყაროს არჩევა“) ავტორი საკმაოდ ვრცლად განიხილავს ძირითადი ტექსტის შერჩევისა და მწერლის უკანასკნელი ნების ზოგად-თეორიულ საკითხებს (გვ. 136—151). მოჰყავს გამოჩენილი ტექსტოლოგების პ. ანენიკოვის, პ. ეფრემოვის, ს. ვენგეროვის, მ. გოფმანის, გ. ვინოკურის, ბ. ტომაშევსკის და სხვათა მოსაზრებები. ანალიზს უკეთებს ამ მოსაზრებებს და თანამედროვე ტექსტოლოგიაში შემუშავებულ პრინციპებს უპირისპირებს მათ. საბოლოოდ ი. ლორთქიფანიძე მართებულად ასკვნის, რომ „მხოლოდ დიალექტიკური მიდგომა“ ავტორის ნების „საკითხისადმი, დაპირისპირება, დაფუძნებული ტექსტის მეცნიერულ კრიტიკაზე — მცდარ, არამეცნიერულ დებულებათა მტკიცებებთან იძლევა შესაძლებლობას ვიპოვოთ, გამოვძებნოთ მართებული გზა ძირითადი ტექსტის არჩევის პრობლემის გადაწყვეტისათვის“ (გვ. 146).

ამის შემდეგ გადადის გ. ტაბიძის საარქივო მასალებზე, იშველიებს პოეტის ჩანაწერებს, საიდანაც ნათელი ხდება ავტორის ნება ამა თუ იმ ნაწარმოებებზე. ამ თავში განხილული ზოგიერთი საკითხისადმი გვაქვს სადავო. მაგალითად, გვ. 155-ზე ლექსის „მოვა, მაგრამ როდის“ შესახებ წერს, რომ 1954 წლის შემდეგ ამ ლექსმა საგრძნობი რედაქციული ცვლილებები განიცადა, და საილუსტრაციოდ მოაქვს, როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, ორივე რედაქცია. მართლაც, მოტანილია და შედარებულია ლექსის ტექსტი 1954 წლამდე და მას შემდეგ. ჩვენც ვნახეთ ამ ლექსის ორივე ტექსტი და გამოირკვა, რომ მათ შორის არის არა რედაქციული, არამედ ვარიანტული სხვაობა. კერძოდ, თითო სტროფში თითო სიტყვაა შეცვლილი, მხოლოდ 1954 წლის შემდეგ პოეტს ლექსიდან ორი სტროფი ამოუღია. 163 გვერდზე, როცა ი. ლორთქიფანიძე ვარიანტს განმარტავს, სწორედ ასეთი ტექსტობრივი სხვაობები აქვს მას მხედველობაში. აქ კი მათ რედაქციებს უწოდებს. თუმცა ავტორის მიერ ვარიანტის განსაზღვრა ერთგვარად სცილდება მის ფარგლებს: „ვარიანტად, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, იწოდება ყოველგვარი განსხვავება ერთი ტექსტისა მეორისაგან“ (გვ. 163) თუ ყოველგვარი განსხვავება ვარიანტია, მაშინ რაღაა რედაქცია? რატომღა უწოდებს „მოვა, მაგრამ როდის“ ლექსის უბრალო ნაირწყაითხვას რედაქციას. ვფიქრობთ, ზემოთ წარმოდგენილ ვარიანტის განსაზღვრაში ზედმეტია სიტყვების — „ფართო მნიშვნელობით“ ხმარება, რადგანაც ყოველნაირი განსხვავება ტექსტებს შორის არ არის ვარიანტი. არ არის ვარიანტი იმიტომ, რომ მის გვერდით არსებობს ცნება „რედაქცია“. 165 გვერდზე ი. ლორთქიფანიძე უკვე რედაქციებზე მსჯე-

ლობს: „ვარიანტების სიმრავლე იწვევს ხშირად ისეთ ღრმა ცვლილებებს, რომ ძნელია ლაპარაკი ნაწარმოების ტექსტის ერთიანობაზე. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთი და იგივე ნაწარმოების სხვადასხვა რედაქციასთან“. რას ნიშნავს—„ძნელია ლაპარაკი ნაწარმოების ტექსტის ერთიანობაზე“ — ჩვენთვის გაუგებარია.

ჩანს, მონოგრაფიის ავტორს სწორად არა აქვს გაგებული ვარიანტისა და რედაქციის განმსაზღვრელი ცნებები, თორემ არც ეჭვის და არც მეორის ასეთ განმარტებას არ მიაწვდიდა მკითხველს. საქმე ტექსტის ნაირწყაიოთხვათა რაოდენობაში არ არის. ნაირწყაიოთხვათა სიმრავლით რედაქციების განსაზღვრა პირობითია. ნაირწყაიოთხვები, რამდენიც არ უნდა იყოს რაოდენობით, მაინც ვარიანტს ეკუთვნის, თუ ნაწარმოების იდეურ-მხატვრული კონცეფცია, ავტორის ჩანაფიქრი, სტილი, სიუჟეტი ნაწარმოებებში უცვლელი რჩება. მაგრამ, როცა ყველაფერ ამას ან ერთ-ერთ მათგანს მაინც სცვლის მწერალი, მაშინ უკვე ნაწარმოების რედაქციასთან გვაქვს საქმე. ამიტომ გვ. 163-ზე — ვარიანტად იწოდება ყოველგვარი განსხვავება ტექსტებისაო — სწორი არ არის. აქედან გამომდინარე, მონოგრაფიის 69 გვერდზე მოტანილ მაგალითში რედაქციული სხვაობები გვაქვს და არა ვარიანტული. და პირიქით, 155 გვერდზე მოტანილ მაგალითში ვარიანტული სხვაობები გვაქვს და არა რედაქციული.

დასასრულ, მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი კარგად იკითხება, მასში შეინიშნება აზრობრივი თუ ენობრივ-სტილისტური უზუსტობანი. საილუსტრაციოდ თითო-ოროლა მაგალითით დავკმაყოფილდებით. მაგალითად, 72 გვერდზე ი. ლორთქიფანიძე ასლს ასე განმარტავს: ავტოგრაფი ავტორის საკუთარი ხელით ნაწერ ან ნაბეჭდში ჩასწორებული ტექსტიაო, ასლი კი სხვის მიერ გადაწერილიაო. იმავე გვერდზე ქვემოთ კვლავ უბრუნდება ასლის რაობას და ახლა მის სხვაგვარ განმარტებას იძლევა: „არის შემთხვევები, როდესაც ავტორი არაერთხელ წერს (ან აწერინებს სხვას) უკვე დამუშავებულ ნაწარმოების ტექსტს, რასაც „ასლს“ უწოდებენ“. 75 გვერდზე კი მისი უფრო ზუსტი განსაზღვრა აქვს მოცემული. საერთოდ მიღებულია ასლის ასეთი განმარტება: ხელნაწერ ან მანქანაზე ნაბეჭდ ტექსტს, რომელიც ორიგინალის ზუსტ განმეორებას წარმოადგენს, ასლი ეწოდება.

ამავე გვერდზე ვკითხულობთ: „რთულია განმასხვავებელი ნიშნების დადგენა თეთრ და შავ ავტოგრაფებს შორისო“. სხვათა შორის სრულებით არ არის რთული თეთრსა და შავ ავტოგრაფს შორის განმასხვავებელი ნიშნების დადგენა. პირიქით,

ეს განმასხვავებელი ნიშნები ისე მკვეთრია, რომ სწორედ ამის გამო შავს ეწოდება შავი, თეთრს კი თეთრი. ალბათ, ავტორს ამის ნაცვლად უნდოდა ეთქვა შემოქმედებითი პროცესის დროს შავსა და თეთრ ხელნაწერებს შორის ძნელდება ზღვარის დადება, რადგანაც შავი ხელნაწერი შეიძლება თეთრად იქცეს და პირიქით, თეთრი — შავად. ეს კი გრძელდება მანამ, სანამ ნაწარმოები საბოლოო სახეს არ მიიღებს.

სტილისტურ დახვეწას მოითხოვს, მაგალითად, მონოგრაფიის წინ დართული ანოტაციის ერთი ადგილი, კერძოდ: „წინამდებარე მონოგრაფიაში... მოცემულია გ. ტაბიძის ნაწარმოებთა ტექსტოლოგიის პრობლემური დახასიათება“. ასევე, „ძირითადი ტექსტის არჩევის დროს გარკვეულ სიძნელეს ჰქმნიან ნაწარმოებები, რომლებიც დამთავრებული არ არის ავტორის მიერ და მოიპოვება მისი რამდენიმე ხელნაწერი“ (გვ. 160).

„მაშინ ნაწარმოები არ კარგავს თავის ერთიანობას და შეიძლება ის გამოიკეს ავტორის მიერ გადამუშავებულის გაუსწორებლობიდან დაშორების გარეშე“ (გვ. 161). „თუ ეს გადამუშავება, რომელიც ბოლომდე არ არის მიყვანილი, არ დაარღვევს პოემის ერთიანობას (მთლიანობას), მაშინ მიზანშეწონილია მისი დაბეჭდვა გაუსწორებელი ნაწილის დაკავშირებით მასთან...“ (იქვე) და სხვ.

არ არის სწორი გამოთქმა: „მათი სტილის ანარეკლი“ (გვ. 7) „კოლექტივისტური მუშაობის პრინციპი“ (გვ. 16), მესამოცე წლების მოღვაწეები“ (გვ. 29), „ავტორის სამწერლო მანერა“ (გვ. 77), „განსხვავების დაბადება“ (გვ. 163), „გ. ტაბიძის თხზულებათა გამოცემის მოსამზადებელი ჯგუფი“ (გვ. 63), „შავი შეიცავს დაკავშირებულ ტექსტს“ (გვ. 72), „ასეთი გამიჯვნა წარმოადგენს დიდ მოუხერხებლობას“ (გვ. 164) და სხვ.

კორექტურული შეცდომაა „ოქროს თავი ორნამენტებით“ (გვ. 05), „შემთხვევითი შესწორებების გასწორება“ (გვ. 164) და სხვ.

ზედმეტად მიმაჩნია ისეთი უცხო სიტყვების ხმარება, როგორცაა *A discretion* (გვ. 63), *Conditio sine qua non* (გვ. 64), *terminus ante quem* და *terminus post quem* (გვ. 116), *editio princeps* (გვ. 123) *Licentia poetica* (გვ. 151). უფრო კარგი და გასაგები იქნებოდა ავტორს მათი ქართული შესატყვისი სიტყვებით ესარგებლა.

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, მონოგრაფია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სერიოზული ნაშრომია და ტექსტოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი კარგი შენაძენია.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

ლევან ჭრელაშვილი, გამოცემათა სახეები . . . . .	3
იოსებ ლორთქიფანიძე, ტექსტოლოგიური მუშაობა XIX საუკუნის საქართველოში . . . . .	33
რედაქტორ-გამომცემლები	
ოუსუდან კუსრაშვილი, იოსებ გრიშაშვილი . . . . .	46
იოსებ ლორთქიფანიძე, ექვთიმე თაყაიშვილი . . . . .	79
ლეილა სანაძე, ალ. აბაშელი . . . . .	94
მზიულა ხუციშვილი, მიხეილ ზანდუკელი . . . . .	115
ნიკოლოზ კილანაძე, გიორგი წერეთელი . . . . .	130
ეთერ შარაშენიძე, დავით კარიჭაშვილი . . . . .	145
ნიკოლოზ კილანაძე, ი. კავკავაძის „ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიის დათარიღებისათვის“ . . . . .	156
ოუსუდან კუსრაშვილი, ტექსტოლოგიური შენიშვნები ი. ლორთქი- ფანიძის „გალაქტიონ ტაბიძის თხზულებათა ტექსტოლოგიურ საკითხე- ბზე“ . . . . .	165